სებჭოთა წარსულის გაანალიზება

დისკუსიები

2011

კომუნიზმი ყიანგის

სებჭოთა წერსყრის გეეზრებე
ფისკუსიები
2011

თბილისი 2012

SOYLAB
საბჭოთა ბოლოდის ლაბორატორია

საბჭოთა წარსულის გააზრება. დისკუსიები – 2011
რედაქტორები: ნინო ბექიშვილი, ნინო ლეჟავა

თბილისი 2012

პროექტის კოორდინატორი: დავით გოგიშვილი

წიგნში გამოყენებული ფოტომასალის ავტორები:
თაკო კალანდაძე:
ლევან მაისურაძე:
ანი ქობულაძე:

გარეკანზე გამოყენებულია: ირაკლი ჭუმბურიძის ფოტო.

ISBN: 978-9941-0-4335-2

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სარჩევი

[004] წინასიტყვაობა

[006] ქართული მწერლობა საბჭოთა სისტემაში: რეალობის განზომილება

[030] ეზოპეს ენა ტოტალიტარულ სისტემაში: ქართული კინოს წარმატებები და ცენზურა საბჭოთა ხანაში

[046] სტალინის კულტის გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე: იყო თუ არა სტალინი ქართველი?

[060] წარსულის რეკონსტრუქცია: ისტორიოგრაფიის როლი საბჭოთა წარსულის გააზრებაში

[076] საბჭოთა არქიტექტურის მეტამორფოზები

[096] თავისუფლების ქარტია

[106] „ლუსტრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა: აღმოსავლეთ ევროპა და საქართველო“

[120] აკრძალული ლიტერატურა

[138] ქართული დისიდენტობის მემკვიდრეობა

[154] საბჭოთა იმპერია და პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი

[170] სტალინური დეპორტაციები და პოლიტიკა რეპრესირებულთა მიმართ

[182] საბჭოთა კავშირის დაშლა

წინასიტყვაობა

ამ წიგნში იმ დისკუსიების ტექსტური ვერსიებია თავმოყრილი, რომლებსაც საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია ერთი წლის მანძილზე გოეთეს ინსტიტუტში მართავდა.

დისკუსიების თემა საბჭოთა წარსულის გააზრება გახლდათ და ბევრ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავდა – საბჭოთა მწერლობას, კინოს, არქიტექტურას, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმს, სტალინურ რეპრესიებსა და დეპორტაციებს, აკრძალულ ლიტერატურას, დისიდენტების მოღვაწეობას, საბჭოთა კავშირის დაშლას, ლუსტრაციის პოლიტიკას და იმ კანონს, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 20 წლის დაგვიანებით – 2011 წელს მიიღო.

1991 წელს, საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, თბილისში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და ეს ამბავი საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არც გაუგია. ამის შემდეგ ოცი მძიმე წელიწადი გამოვიარეთ და ალბათ, სწორედ ამიტომ, ბოლო დრომდე უახლესი წარსულის შესასწავლად და გასააზრებლად ვერ მოვიცალეთ. შეიძლება, ამ ამბავს სხვა უფრო საფუძვლიანი მიზეზებიც ჰქონდეს – მაგალითად ის, რომ რუსული ოკუპაციის მსხვერპლის როლში ყოფნა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე მწარე სიმართლისთვის თვალის გასწორება – საბჭოთა სისხლიან ისტორიას, ჩვენ, ქართველები სხვებთან ერთად ვქმნიდით.

როგორც ერთხელ მოხდენილად თქვა ივლიანე ხაინდრავამ – ერთდროულად მსხვერპლიც ვიყავით და ჯალათებიც.

ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში, მაშინ, როცა ძეგლების ბუმია და განსაკუთრებით, ბოლო წლებში სოკოებივით ჩნდება ახალი ქანდაკებები, არ არსებობს საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა მემორიალი.

უკვე ოცი წლისაა თაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ამ თაობამ და ცოტა უფროსებმაც თითქმის არაფერი იციან საბჭოთა კავშირზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ მათი წინაპრები 50 წლის წინ, იმაზე, თუ რამდენი სრულიად უდანაშაულო ადამიანი შეიწირა „ბოროტების იმპერიამ“ დიდი ტერორის წლებში, იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც 70 წლის მანძილზე დროის სხვადასხვა მონაკვეთებში საბჭოთა რეჟიმს უპირისპირდებოდნენ და ხშირად, თავსაც სწირავდნენ.

ჩვენს უნივერსიტეტებშიც ხომ მხოლოდ ორიოდე წლის წინ გაჩნდა კურსები, სადაც საბჭოთა წარსულს იკვლევენ და ასწავლიან.

საბჭოთა კავშირზე საუბარი, ფიქრი და ამ ქვეყნის ისტორიის შესწავლა ალბათ, ყველაზე მეტად იმიტომ გვჭირდება, რომ ამ წარსულსა და მის მემკვიდრეობას თვალი გავუს-

წოროთ და შევეცადოთ, როგორც მამარდაშვილი ამბობდა, „ისტორიაში ჩავვარდეთ“. დღევანდელი ოფიციალური პროპაგანდა ამ „გათავისუფლების“ მარტივ და მოუხეშავ გზას გვთავაზობს - 2011 წელს მიღებული „თავისუფლების ქარტიით“ ურბანული სივრცი-დან საბჭოური სიმბოლიკის გაქრობა უკვე დაკანონდა, ოკუპაციის მუზეუმიც გაიხსნა და გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლიც აიღეს.

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ ერთი წლის განმავლობაში ღია სადისკუ-სიო სივრცე გახსნა საბჭოთა კავშირზე სასაუბროდ. ეს დისკუსიები განსაკუთრებით ღირე-ბულია, რადგან არა მხოლოდ საბჭოთა წარსულის შესახებ შეიტყობთ ბევრ რამეს, არამედ იმასაც გაიგებთ, 2011 წელს რა ვიცოდით, როგორ ვსაუბრობდით და როგორ გვესმოდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი და მისი მემკვიდრეობა, არამედ - თანამედროვე პრობ-ლემებიც, რომელებიც სათავეს სწორედ იმ სამოცდაათწლიანი პერიოდიდან იღებს.

წიგნში წარმოდგენილი დისკუსიების ვიდეო ჩანაწერების მოძიება ინტერნეტში, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ვებ-გვერდზეა შესაძლებელი - *www.sovlab.ge.*

ქართული მწერლობა საბჭოთა სისტემაში: რეალობის განზომილება

25.01.2011

ნინო ბექიშვილი — ფილოლოგი / ჟურნალისტი

გიორგი კეკელიძე — საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა / პოეტი / ლიბ.ჯი

მოდერატორი: ლაშა ბაქრაძე — საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

ლაშა ბაქრაძე — საბჭოთა აზროვნებისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში დიდია მწერლების როლი, ამიტომაც დისკუსიების ციკლს საბჭოთა წარსულის სხვადასხვა ასპექტის შესახებ სწორედ მწერლობაზე საუბრით ვიწყებთ. შემთხვევითი არ იყო, რომ სტალინმა მწერლებს „ადამიანის სულის ინჟინრები“ უწოდა. რევოლუციურ გარდაქმნებში უპირველესად ხელოვანი ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას, მათ შორის — მწერლებიც.

ბევრი ინტელიგენტი, მწერალი გაანადგურა საბჭოთა ხელისუფლებამ. ჩვენ მათზე ვსაუბრობთ ხოლმე, როგორც მსხვერპლზე, მაგრამ ისინი სისტემის თანაშემქნელებიც იყვნენ. რასაკვირველია, არ ვგულისხმობ, რომ ყველაფერი შავ-თეთრად დავინახოთ, მწერალთა კავშირს ძალიან საინტერესო ფუნქციაც ჰქონდა, ეს ყველაფერი შავ-თეთრად წარმოსადგენი და, მით უმეტეს, ადვილად გასაგები არ არის.

1937 წლის ჟურნალ „მნათობის“1-2-ე ნომრებში დაბეჭდილია სტატია „მწერალთა მიტინგი კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმეზე განაჩენის გამოტანის გამო“. აქვეა „საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა ამხანაგ ბერიასადმი“. როცა ამას კითხულობ, ხვდები, რა ისტერიკა იყო, რა დღეში იყვნენ მწერლები, რას განიცდიდნენ. მიტინგზე, რომელიც თბილისში სასწრაფოდ გამართეს მას შემდეგ, რაც მოსკოვში 31 იანვარს მემარჯვენე ტროცკისტული ჯგუფის განადგურების შესახებ გამოცხადდა, ტიციან ტაბიძემ თქვა: „საბჭოთა სასამართლომ გამოუტანა სამართლიანი განაჩენი მავნებლების, ჯაშუშებისა და კონტრრევოლიუციონერების ბანდას, სასამართლოს განაჩენი განაჩენია საბჭოთა ხალხისა, რომელიც დაუნდობელია თავისი მოსისხლე მტრების, სოციალისტური სამშობლოს გამცემლების მიმართ. ასეთივე სიმკაცრით უნდა დაისაჯონ ტროცკიზმის ქართველი ნაბოლარები, რომლებსაც აქტიური მონაწილეობა მიუღიათ გასამართლებული კონტრრევოლუციონერების ბნელ საქმეებში და ა. შ“.

ამას რომ კითხულობ, ხვდები, რა მძიმე მდგომარეობა იყო და არ ფიქრობ, რომ ტიციან ტაბიძე ისეთივე ნაძირალაა, როგორიც, მაგალითად, ლავრენტი ბერია. ამ საკითხებს ძალიან სათუთი მოპყრობა სჭირდება და არ შეიძლება მათზე მხოლოდ გაკიცხვის ტონით ვისაუბროთ. იმედია, შევეცდებით საბჭოთა წარსული წარმოვაჩინოთ ბევრად უფრო კომპლექსურად, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე — კეთილისა და ბოროტის ჭრილში.

ნინო ბექიშვილი — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პარტიულმა ნომენკლატურამ მალევე იზრუნა იმაზე, რომ ქვეყნის იდეოლოგის როლი მწერლებს აეღოთ საკუთარ თავზე. პრესა იდეოლოგიას ავრცელებდა, ახალ მითს კი ბოლშევიკების დაკვეთით სწორედ მწერლები ქმნიდნენ. ახალი რელიგიის აპოლოგეტის როლი მწერლობამ ისე მოირგო, რომ შემდეგ კარგა ხანი დასჭირდა მისგან გასათავისუფლებლად.

თუმცა, ამ მოვლენის გარკვეული წანამძღვრები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაშიც არსებობდა. ილიამ ცნობილი სიტყვები — „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი

ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“ — იმიტომაც დაწერა, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი მოკლებული იყო საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას და ამიტომაც, ერის წინამძღოლობის ფუნქცია ირიბად პოეტებს ჰქონდათ აღებული საკუთარ თავზე, ან ეგონათ, რომ აღებული ჰქონდათ.

20-იანი წლებიდან მოყოლებული, მწერლები თანდათანობით პარტიის იდეოლოგებად და მითების შემქმნელ აგიტატორებად იქცნენ — მათ ახლა არა მხოლოდ წერა, არამედ უპირველესად, პარტიის იდეოლოგიის პროპაგანდა ევალებოდათ.

ეს როლი ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა თავიდან ალბათ ნებაყოფლობითაც მოირგო, მაგრამ სტალინის დიქტატურის გამყარებასთან ერთად უფრო და უფრო ძლიერდებოდა მწერლებზე ზეწოლა. მათ არა მხოლოდ ახალი ღმერთის სახის შექმნა და მისი დიდება ევალებოდათ, არამედ პასუხისმგებლებიც იყვნენ პარტიის წინაშე — პარტია თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში სწორედ „დიდ ტერორს“ (ეს ტერმინი პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა რობერტ კონკვესტმა[1] იხმარა 1960-იანი წლების ბოლოს) დაემთხვა პარტიის ახალი მოთხოვნაც: საბჭოთა და თან ქართული ნაციონალური იდეოლოგიის შექმნა, რასაც, როგორც ცნობილია, თავად სტალინი ხელმძღვანელობდა კრემლიდან. 1937 წელს ილია ჭავჭავაძისა და რუსთველის იუბილეები საკავშირო მასშტაბით გადაიხადეს, „ვეფხისტყაოსნი“ ითარგმნა რუსულად და საბჭოთა კავშირის ხალხთა ბევრ ენაზე; რუსთველისა და ილიას საიუბილეო საღამოები მოსკოვში იმართებოდა და მათ სტალინი ესწრებოდა. არც უბრალო ხალხი დავიწყნიათ — შეყრიდნენ რომელიმე დარბაზში ან სოფლის კლუბში გლეხებს და მუშებს და უმტკიცებდნენ, როგორ იბრძოდა ილია ჭავჭავაძე მათი ბედნიერებისთვის. ამავე წელს გაიმართა ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში, რომელსაც არნახული წარმატება ხვდა წილად.

20-იანი წლებში საქართველოში ცოცხალი და საინტერესო ლიტერატურული პროცესი მიდიოდა, გამოიცემოდა რამდენიმე ლიტერატურული ჟურნალი, რომელთა ირგვლივაც იყვნენ გაერთიანებული მწერლები — ეს ყველაფერი ინერციით მხოლოდ რამდენიმე წელი გაგრძელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გასაბჭოების შემდეგ ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი გულწრფელად თანაუგრძნობდა ბოლშევიკებს. მაგალითად, ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა ესეი „პოეტები და რევოლუცია“, პაოლო იაშვილმა კი ცნობილი ლექსი „ახალ საქართველოს — 1921 წლის 25 თებერვალი“; ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ გალაკტიონის რევოლუციური სულისკვეთების ლექსები და ა.შ.

1932 წლამდე საქართველოში მწერლები ჯერ არ იყვნენ მოქცეულნი ერთ მონოლითურ გაერთიანებაში და მწერალთა რამდენიმე ჯგუფი არსებობდა: „პროლეტარიატ მწერალთა ასოციაცია“, რომელიც გამოსცემდა ჟურნალ „ქურას“, სადაც იბეჭდებოდნენ სანდრო ეული, იონა ვაკელი, იაკინთე ლისაშვილი, კარლო კალაძე, ალიო მირცხულავა და ა.შ.; „აკადემიურ მწერალთა კავშირის“ წევრები — მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა, ლეო ქიაჩელი ჟურნალ „არიფიონის“ ირგვლივ იყვნენ გაერთიანე-

ბული; ფუტურისტთა ჯგუფი „მემარცხენეობა“ — სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ნიკოლოზ ჩაჩავა და სხვები გამოსცემდნენ ჟურნალს *H2SO4;* ქუთაისში პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ და სხვებმა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ და ცისფერყანწელთა ორდენი დააარსეს.

1925 წელს ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა დადგენილება „პარტიის პოლიტიკის შესახებ ლიტერატურის დარგში“, რომელმაც პროლეტარულ მწერლობას განუსაზღვრა სამოქმედო მიზნები და ძირითადად იდეოლოგიური დატვირთვა მისცა. მწერალთა კავშირის სტრუქტურაზეც პარტიამ იზრუნა. 1928 წელს ქართველი მწერლები აიძულეს გაერთიანებულიყვნენ „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“. მალევე, 1932 წლის ცკ-ის დადგენილებით („ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“) გაუქმდა ფედერაცია, მასში შემავალი მწერალთა ყველა გაერთიანებითურთ და დაარსდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირი, რომელიც მთლიანად იდეოლოგიზირებული ორგანო იყო და პარტიული ნომენკლატურის მიერ იმართებოდა. მისი პირველი თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, მრავალთა მსგავსად, კრებებზე გამოდიოდა და ხალხის მტრებს გმობდა, ხოლო შემდეგ თვითონვე იქცა სტალინური რეპრესიების მსხვერპლად.

1931 წელს „მწერალთა ფედერაციიდან“ გარიცხეს რამდენიმე წევრი. მათ შორის — კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ იმედაშვილი და პავლე ინგოროყვა. გამსახურდია მალევე აღადგინეს მწერალთა რიგებში, პავლე ინგოროყვა კი ამ ამბის მერე მწერალთა კავშირს აღარ გაკარებია.

რეპრესიები

1936-1938 წლების რეპრესიებს საფუძველი 1934 წელს ჩაეყარა, როცა ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი, ძველი ბოლშევიკი სერგეი კიროვი[2] მოკლეს. ამბობენ, რომ ეს მკვლელობა თავად სტალინის მიერ იყო დაგეგმილი. იმავე დღეს გამოქვეყნდა სტალინის დადგენილება, სადაც გაწერილი იყო, თუ როგორ უნდა ემოქმედათ ტერორისტული აქტების მოწყობაში ბრალდებულების მიმართ — საქმეები უმოკლეს ვადაში, 10 დღეში უნდა განხილულიყო, აღიარების მიზნით დაშვებული იყო წამება და განაჩენი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულებულიყო.

ამ დადგენილებით, ნებისმიერს, ვინც ტერორიზმში იქნებოდა ეჭვმიტანილი, ფაქტობრივად, სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ. 1934 წლისთვის სტალინმა ძალაუფლების ხელში სრულად ჩასაგდებად იმ ბოლშევიკების განადგურება დაიწყო, ვისაც ხალხში ავტორიტეტი ჰქონდა. კიროვის მკვლელობა ამისთვის კარგ საბაბად იქცა. ბელადის მტრე-

ბის სიაში პირველი ადგილი ძველ ბოლშევიკურ გვარდიას და, უპირველესად, ლევ ტროცკის[3] აქტიურ მომხრეებს ეჭირათ.

რეპრესიების სქემა, რომელმაც მალევე მთელი ქვეყანა მოიცვა, საკმაოდ მარტივი იყო: საბჭოთა კავშირში სტალინის ყველა ფარული თუ აშკარა მოწინააღმდეგე ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო. იჭერდნენ, ხვრეტდნენ, ამხელდნენ ძველ რევოლუციონერებს; მაგრამ მანამდე მათ საშინლად აწამებდნენ, რათა საჩვენებელ ღია სასამართლოებზე ბრალდებულებს ეღიარებინათ საკუთარი დანაშაული. ტერორი შეეხო ყველას — სამხედრო პირებს, მეცნიერებს, მწერლებს, არტისტებს, სრულიად უბრალო მოქალაქეებს.

პირველი ღია პროცესი 1936 წელს, ზაფხულში, კამენევისა[4] და ზინოვიევის[5] წინააღმდეგ გაიმართა. მალევე მოსკოვიდან დაიგზავნა ინსტრუქცია, რომელის მიხედვითაც შინსახკომს[6] ყველა რესპუბლიკაში უნდა აღმოეჩინა მსგავსი ტერორისტული ცენტრები, რომელთაც მოსკოვის მთავარ ორგანიზაციასთან ექნებოდათ კონსპირაციული კავშირი. ეს გეგმა შინსახკომს მასობრივი დაჭერების საშუალებას აძლევდა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1936-1938 წლებში განხორციელებული რეპრესიების ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ამ წლებში 7-8 მილიონზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს. ე.წ. „ტროიკების“ (სამეული — სამი ადამიანისგან შემდგარი სასამართლო) მიერ დახვრეტილია 1,5 მილიონზე მეტი. აქედან 700 ათასი უბრალო მუშა იყო. 2 მილიონი გულაგებში და გადასახლებაში გარდაიცვალა (უფლებადაცვითი საზოგადოების, „მემორიალის“[7] მონაცემები).

საქართველოში საპყრობილეებში დაახლოებით 63 ათასი ადამიანი მოხვდა, აქედან 20 ათასამდე დახვრიტეს. თუმცა, დახვრეტილთა ან გულაგში გარდაცვლილთა ზუსტი რაოდენობის დადგენა მაინც ჭირს. შეიძლება, რეპრესირებულთა რიცხვი გაცილებით მეტიც იყოს, მაგრამ მონაცემები ჯერ კიდევ დასამუშავებელია. საქართველოში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ ციხეები პატიმრებს ვეღარ იტევდა. ცენტრალური ხელისუფლება მოკავშირე რესპუბლიკებს დასაჭერი ხალხის ლიმიტებს უწესებდა; ხშირად ისინი ცდილობდნენ გეგმა გადაჭარბებით შეესრულებინათ, ანუ იმაზე მეტი დაეჭირათ და დაეხვრიტათ, ვიდრე ცენტრი ითხოვდა.

ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც მასობრივი დაპატიმრებები 1936 წლის მიწურულს და 1937 წლის დასაწყისში დაიწყო. ქართველი მწერლების მართლაც საუკეთესო ნაწილმა, მათაც კი, ვინც შემდგომ კლასიკოსებად ვაღიარეთ, თავიდანვე აქტიურად დაუჭირეს მხარი პარტიის ახალ კურსს. მაჩაბლის 12-ში, მწერალთა სახლში თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა კრებები, სადაც ლიტერატურაზე სულაც არ საუბრობდნენ: იმ საკითხებს განიხილავდნენ, რასაც პარტია მიუთითებდათ. შეიძლება ითქვას, რომ 1936 წლისთვის ქართველი მწერლების უდიდესი ნაწილი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სამსახურში იდგა.

1937 წელი – „ლიტერატურული საქართველო“

პირველად რეპრესიების შესახებ ინფორმაცია „ლიტერატურული საქართველოს“ 1936 წლის 16 ავვისტოს ნომერში გვხვდება, სადაც დაბეჭდილია „პრავდის“ 15 ავვისტოს მოწინავე სტატიის „ხალხის მტრებს დანაშაულზე წაასწრეს“ თარგმანი. სტატია ეხება ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის შეთქმულებას. გაიმართა ქართველი მწერლების კრება, რომელმაც ერთხმად აღიარა, რომ „სიტყვა ეკუთვნის კანონს, რომელმაც იცის მხოლოდ ერთი ზომა იმ ბოროტმოქმედებებისთვის, რომელიც ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ბანდამ ჩაიდინა“ — ამ გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირა მხარი მწერალთა სახლში შეკრებილმა მწერალთა გუნდმა.

1937 წლის დასაწყისში, მაშინ, როდესაც რეპრესიებს საქართველოში ჯერ არ ჰქონდა მიღებული ფართო მასშტაბები, მაგრამ უკვე დაპატიმრებული ჰყავდათ რამდენიმე ძველი ბოლშევიკი, 30 იანვრის „ლიტერატურული საქართველოს“ პირველსავე გვერდზე დაბეჭდილია „ქართველი მწერლების მიმართვა ამხ. ლავრენტი ბერიასადმი“[8], სადაც ისინი საუბრობენ ტროცკისტთა ბანდაში აღმოჩენილ ქართველ „გამყიდველზე“ ბუდუ მდივანზე[9]: „პროცესის მასალებიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ხალხის მტრებისა და ჯალათების ამ გარეწართა ხროვაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ტროცკისტ-ზინოვიეველთა ქართველ ნაძირალებსაც — ხალხის მოსისხლე მტრისა და გამოუსწორებელი კონტრრევოლუციონერი ტროცკისტის ბუდუ მდივნის მეთაურობით. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მახვილ თვალს ვერ დაემალება მოღალატეთა ბანდის ვერც ერთი მოღალატე-ქვეწარმავალი. ჩვენ მოვითხოვთ, აღიგავოს პირისაგან დედამიწისა ჩვენი სამშობლოს მოღალატეთა ბანდის ყოველი მონაწილე. წყევლა და ზიზღი მათს სისხლით შესვრილ ხელს!“

ქართველი მწერლები 29 იანვარს შეიკრიბნენ და კრებაზე ყველამ დაგმო ეს „შემზარავი“ დანაშაული. გაზეთი სხდომის მოკლე რეზიუმეს ბეჭდავს. კრება გახსნა დავით დემეტრაძემ. ბუდუ მდივანი დაგმეს — მიხეილ ჯავახიშვილმა, შალვა დადიანმა, გიორგი ბააზოვმა, სიმონ ჩიქოვანმა, გიორგი ლეონიძემ, ალიო მაშაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ტიციან ტაბიძემ, დემნა შენგელაიამ, სიმონ წვერავამ, ირაკლი აბაშიძემ. გაზეთი გვთავაზობს მწერალთა კრების მოკლე მიმოხილვას და ამავე თემაზე ბეჭდავს სტატიებსაც. თვალსაჩინოებისთვის მათი სათაურებიც კმარა: „სიკვდილი მუხანათურ მტერს“ — მიხეილ ჯავახიშვილი; „სულის სიღრმემდე აღშფოთებული ვარ“ — შალვა დადიანი; „უსასტიკესი განაჩენი სამშობლოს მოღალატეებს“ — ალიო მაშაშვილი; „ზიზღი ბანდიტებსა და ქვეწარმავლებს“ — გიორგი ლეონიძე; „ისტორიას არ ახსოვს უფრო მეტი გათახსირება“ — ტიციან ტაბიძე; „ხალხის მსჯავრი“ — სიმონ ჩიქოვანი; „აღმოვფხვრათ მათი ხსენება“ — ვალერიან გაფრინდაშვილი, „მილიონების მრისხანების ქარიშხალი“ — სანდრო ეული.

გიორგი ლეონიძე წერდა: „ამხ. სტალინზე ხელის აღმართვა, როგორც მათ განზრახვაში ჰქონიათ, არის ხელის აღმართვა მილიონიან მშრომელთა თავისუფლებაზე, ხელის აღმართვა მანათობელ მზეზე, რომელიც მხოლოდ ჩვენს ბედნიერ ეპოქას ეღირსა. მხოლოდ უბადრუკი ქვეწარმავალი, მხოლოდ ადამიანისა და კაცობრიობის მტერი გაბედავს ფიქრს, რომ შეიძლება ამ დროშის ჩამოღება, მხოლოდ წუნკალი არსება გაბედავს იფიქროს, რომ შეიძლება ამ ზღვა სიყვარულის დაშრობა, ამ დიდებული მზის დაბნელება! სტალინი მილიონების გულშია“.

1937 წლის იანვარში ალბათ უკვე გრძნობდნენ მწერლები რეალურ საფრთხეს, იმავე წლის 15 მაისს საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე ლავრენტი ბერიას მოხსენებამ კი ცხადყო, რომ რეპრესიებს ვერც ქართველ მწერალთა საუკეთესო ნაწილი გაექცეოდა: „პ. იაშვილმა, რომელიც 40-ზე მეტი წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავიანთ მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მიწიშვილი, შევარდნაძე და კიდევ ზოგიერთები“ — თქვა ბერიამ. მალევე, 10 ივნისს „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს მოწინავე სტატიას — საქართველოს კ.პ.(ბ) ყრილობის შედეგების განხილვა მწერალთა საერთო კრებაზე „შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებისთვის.“

„კერძოდ, პავლე იაშვილისგან კრება მოელოდა, რომ იგი იტყოდა, თუ როგორ ნავარდობდა იგი ლომინაძისგან ჯიქიასკენ, ჯიქიასგან — აღნიაშვილისკენ, ღოღობერიძისგან ლომინაძისკენ. როგორ მოხვდა იგი ელიავას[10] კლანჭებში. პავლე იაშვილმა ვერ გასცა პასუხი ამ კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მიეცა სიტყვის თქმის საშუალება. იმის ნაცვლად რომ მას გაემხილა, თუ რაში მდგომარეობდა მისი კავშირი ხალხის გამომჟღავნებულ მტრებთან, პ. იაშვილი მოჰყვა მათ დახასიათებას. ყველასთვის ცხადი შეიქმნა პ. იაშვილის სიტყვების შემდეგ, რომ მან უფრო ბევრი იცის, ვიდრე ამბობს. როგორც სამართლიანად შენიშნეს კ. მელაძემ, შ. რადიანმა, კ. ლორთქიფანიძემ, გ. ბუხნიკაშვილმა, ს. ჩიქოვანმა და სხვებმა, პ. იაშვილი ჯერ კიდევ კარგად არ ჩაჰკვირვებია ამხანაგ ლ. ბერიას გაფრთხილებას და ვერ გამოუტანია იქიდან დასკვნები“.

ამავე კრებაზე იმსჯელეს ნიკოლო მიწიშვილის შესახებაც. მასაც მოუსმინეს, მაგრამ დაასკვნეს, რომ „ნ. მიწიშვილის გამოსვლა სავსებით წარმოადგენდა თვალთმაქცურ და ყალთაბანდურ ცდას, გვერდი აეხვია მის წინაშე პირდაპირ დასმული საკითხებისთვის ხალხის სისხლიან მტრებთან კავშირის შესახებ.“

თავის მართლება უშედეგოდ მოუწია ტიციან ტაბიძესაც — „ჩვეულებრივი დეკლარაციით გამოვიდა ამხანაგი ტიციან ტაბიძე. მან შემდეგი განცხადებით მოიხადა მოვალეობა: შეცდომად ვთვლი ჩემ ურთიერთობას ხალხის მტრებთან. ეს დიდი დანაშაულია, მაგრამ თავი ბედნიერად მიმაჩნია იმის გამო, რომ არასდროს არ ყოფილა შემთხვევა, ისინი ჩემს საქმეში ჩარეულიყვნენ, რაიმე გავლენა მოეხდინათ ჩემს ლიტერატურულ კარიერაზეო.

ამას ამბობს ამხ. ტაბიძე კრებაზე. კერძო საუბარში კი მას ხშირად უთქვამს, ჩემთვის არ არის საყურადღებო და საგულისხმო, თუ რას იტყვიან ჩემზე და ჩემ შემოქმედებაზე აქ, მწერალთა წრეში, ჩემი საკითხი „ცაშია გადაწყვეტილიო“.

1937 წლის 30 ივნისის „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს გიორგი ნატროშვილის სტატიას „ხალხის მტერი მწერლის ნიღაბში“ — „მიწიშვილი, რომელმაც საერთო ენა გამონახა ხალხის სამგზის და გათახსირებულ მტრებთან, თავის შემოქმედებით იდეებს ყოველთვის უხვად სესხულობდა დეკადენტური ლიტერატურიდან“... „დაუნდობლად ვამხილოთ და ნიღაბი ჩამოვაცალოთ ყველას, ვინც შეეცდება ხელი შეუშალოს სოციალიზმის დიად საქმეს. ჩვენი მწერლობის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხალხის მოღალატე არც ერთ გარეწარს.“

1937 წლის 12 ივლისის „ლიტერატურული საქართველო“ მოწინავე სტატიაში — „ძლევამოსილი ქართველი ხალხის განაჩენი“ — იუწყებოდა, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ სისხლის სამართლის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა ჩვენი სოციალისტური სამშობლოსა და გამარჯვებული ხალხის დაუძინებელ მტრებს, ფაშიზმის ვერაგ აგენეტებს — ბ. მდივანს, მ. ტოროშელიძეს, მ. ოკუჯავას, გ.ყურულოვს, ს. ჩიხლაძეს, გ. ელიავას და ნ. ქარცივაძეს.“ ხოლო, 10 სექტემბერს პირველი გვერდზე ქვეყნდება სტატია მოღალატე მწერლების შესახებ სათაურით „დაუნდობლად ვამხილოთ ხალხის მტრები“: „მთელი რიგი წლების მანძილზე თვალთმაქცობის უაღრესი ხელოვნებით ატარებდნენ საბჭოთა მწერლის ნიღაბს დღეს უკვე საბოლოოდ გამომჟღავნებული ჯაშუშ-დივერსანტები ნ. მიწიშვილი, მ.ჯავახიშვილი, ბ. ბუაჩიძე.“

„ლიტერატურული საქართველო“ მთელი წლის მანძილზე აქვეყნებდა კრებების ოქმებს ამგვარი სათაურებით — „სიკვდილი სოციალისტური სამშობლოს მაღალატეებს,“ „მოღალატეები გასრესილნი არიან“ და ა.შ. საინტერესოა ერთი ფაქტიც: ნოემბერში მწერალთა კრებამ დაადგინა, რომ „ვინაიდან ყოველგვარ ეჭვგარეშეა ტ. ტაბიძის კავშირი ხალხის მტრებთან, გაირიცხოს მწერალთა კავშირის რიგებიდან“ — ეს სხდომა დავით დემეტრაძეს მიჰყავდა. იმავე ნომრის ბოლო გვერდზე საუბარია იმაზე, რომ დემეტრაძეც გაირიცხა მწერალთა კავშირიდან, რადგან „ხალხის მოსისხლე მტრების დავალებით საბჭოთა მწერლებს შორის ეწეოდა მავნებლურ, გამხრწნელ მუშაობას“. 1937 წლის 22 ივლისს სწორედ ერთ-ერთი ამგვარი კრების დროს პაოლო იაშვილმა იქვე, მწერალთა კავშირის შენობაში მოიკლა თავი.

1937 წლის დეკემბერში, მაშინ, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და ტიციან ტაბიძე უკვე დაჭერილები არიან, დაბეჭდილია კონსტანტინე გამსახურდიას სტატია — „სინამდვილემ გაუსწრო ოცნებას“, სადაც ის წერდა: „მათი გესლი და მათი ბნელი ხელი ჩვენი კავშირის მშვიდობიანი მშენებლობისკენაც მოიმართა. გათავხედებული ბნელეთის მოციქულები შეეცადნენ ხელი შეეშალათ ჩვენი სოციალისტური სამ-

შობლოს მშენებლობისთვის. ამ გარეწრებმა საკადრისი პასუხი მიიღეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებისგან“.

ვერ ვიტყვით, რომ ქართველი მწერლებიდან ყველანი მონაწილეობდნენ მწერალთა კავშირის ცხოვრებაში. მწერალთა სახლში მისვლას და მწერალთა დაუსრულებელ სხდომებს ერიდებოდნენ ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, პოლიკარპე კაკაბაძე, ლევან ასათიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, სხვებიც. მათი სახელები იმდროინდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ არ გვხვდება. საგულისხმოა ისიც, რომ 1937 წლის რეპრესიებს ისინი ყველანი გადაურჩნენ.

1938 წლის ბოლოს „ლიტერატურულ საქართველოს“ უკვე ეტყობა, რომ ტერორი მინელდა: აღარ ამხელენ და ავლენენ „ხალხის მტრებს“. გაზეთის თემატიკაც შეცვლილია: სტალინის, ბერიას და პარტიის სადიდებელი ტექსტების გვერდით იბეჭდება ჩვეულებრივი მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული და ლიტმცოდნეობითი წერილები, თარგმანები.

თუმცა, ამ დროისთვის მწერლობა უკვე საბოლოოდ „მოთვინიერებულია“.[11] ასეთად დარჩა იგი ლამის საბჭოთა კავშირის დაშლამდე — მწერალთა ერთი ჯგუფი პატიოსნად ასრულებდა ცეკას ყველა ინსტრუქციას. ამის კარგი მაგალითია ბორის პასტერნაკის ნობელის პრემიის ისტორია: 1958 წელს, როცა პასტერნაკს პრემია მიანიჭეს, მის წინააღმდეგ საკავშირო მასშტაბით აგორებულ ცილისწამებასა და ლანძღვას ქართველი მწერლებიც შეუერთდნენ. რამ აიძულა ისინი, ჩვენი მწერლობის კლასიკოსები, პასტერნაკის ახლო მეგობრები, მონაწილეობა მიეღოთ ლანძღვა-გინებაში, რომელიც პოეტისთვის ნობელის პრემიის მინიჭების გამო საკავშირო მასშტაბით გაიშალა, ძნელი სათქმელია. ეს ის დროა, როცა აღარ ხვრეტდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იჭერდნენ და შიშიც, როგორც ჩანს, ცოცხალი იყო.

„ლიტერატურული გაზეთი“ 1958 წლის 31 ოქტომბერს ბეჭდავს ცნობილი პასკვილის თარგმანს პასტერნაკის შესახებ და იქვე იუწყება, რომ „29 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებმა. სიტყვით გამოვიდა ირაკლი აბაშიძე, რომელმაც მწერლებს გააცნო ამ საკითხის განხილვის მსვლელობა სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხვადასხვა სხდომებზე. სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს ალიო მირცხულავამ, ბესარიონ ჟღენტმა, შალვა დადიანმა, კარლო კალაძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, გრიგოლ აბაშიძემ, რევაზ მარგიანმა, იოსებ ნონეშვილმა, გიორგი ლეონიძემ, გიორგი ნატროშვილმა, ანდრია ბალანჩივაძემ, ალექსი მაჭავარიანმა. ყველა ორატორმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მწერალთა კავშირის რიგებიდან ბორის პასტერნაკის გარიცხვას. „ბ. პასტერნაკი დიდი ხანია მოსწყდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებას და წავიდა შინაგანი ემიგრანტის მდგომარეობაში. ბ.პასტერნაკის ცილისმწამებლური პასკვილის „ექიმი ჟივაგოსთვის“ ნობელის პრემიის მინიჭება წარმოადგენს საერთაშორისო რეაქციის პროვოკაციულ გამოხტომას.“

აქ ჩამოთვლილ მწერალთაგან რამდენიმე ბორის პასტერნაკის ახლო მეგობარი იყო; ეს არ ყოფილა მხოლოდ მწერლების საქმიანი თანამშრომლობა, ისინი ერთმანეთთან მიმოდიოდნენ, მათი შვილები და ძმისშვილები მოსკოვში და პერედელკინოში პასტერნაკთან სახლში ცხოვრობდნენ, ისიც ხშირად ჩამოდიოდა აქ და ა. შ.

ტ. ტაბიძის ქვრივი ნინო ტაბიძე იგონებს, რომ პასტერნაკმა, 1939 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ საღამოზე ძალით წაიყვანა, მის გვერდით დაჯდა და დემონსტრაციულად აცხადებდა, რომ ლექსებს სწორედ მას, თავისი მეგობრის, ტიციან ტაბიძის მეუღლეს უძღვნიდა. ეს იმ დროს ნამდვილი გმირობა იყო — მაშინ ხალხის მტრების ოჯახის წევრებს ქუჩაში უახლოესი მეგობრებიც კი არ ესალმებოდნენ; შეიძლებოდა, ამის გამო პასტერნაკი დაეჭირათ.

ქართული მწერლობა დიდი ტერორის შემდეგ

რეზო ინანიშვილი ხშირად წერდა 1937 წლის დიდი ტერორის დროინდელ ამბებზე. ეს უფრო მისი ბავშვობის მოგონებებია — მოთხრობა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“ იმის შესახებ, თუ როგორ შეავლო თვალი დაპატიმრებულ მამამისს, როცა ჩეკადან სასამართლოში გადაჰყავდათ, როგორ ვერ იცნო ნაწამები და ნაშიმშილები მამა და როგორ გაუღიმა იმან, ვინც ოდესღაც მამამისი იყო. ინანიშვილი ხშირად უბრუნდებოდა იმ წლებს, ბავშვობისდროინდელ ამბებს და ჰყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდნენ „ხალხის მტრის“ შვილები მიწურში დედასთან და ბებიასთან ერთად, როგორ შეწყვიტეს ნათესავებმა და მეგობრებმა მათთან სიარული, როგორ მოდიოდა ერთი ნათესავი ქალი, დარეჯანი და უამბობდა ზღაპრებს და ა.შ. მას აქვს ერთი მოგონება —„შემოქმედის ბედი“ ჰქვია და ორი ამბავია იმის შესახებ, თუ როგორ დატუქსეს ის და როგორ იტირა ბავშვობაში საკუთარი ნახატების გამო. პირველად — როცა მამამისი მიჰყავდათ და ვიღაც ჩეკისტმა ჩხრეკისას ბავშვის დახატული პენსნეიანი კაცის პორტრეტი აღმოაჩინა და შავი ფანქრით დახატული ჩრდილი თვალში არ მოუვიდა; მეორედ — მეძველმანე კაცმა, რომელმაც შეხედა კედელზე გაკრულ, შავი ფანქრით დახატულ სამხედრო პირის პორტრეტს და შეშინდა — „ემაგისთვის ყველას დაგიჭერენ თქვენა... შავი ვარსკვლავებისთვის და შავი პეტლიცებისთვის“ — ფანქარიაო, რომ სცადა 10 წლის ბავშვმა თავის მართლება, — იმან მოკლედ მოუჭრა — რა, არ იყო წითელი ფანქარიო? ცხადია, შეშინებულმა დედამ პორტრეტი მაშინვე ნაკუწებად აქცია. თავადაც შეშინებულმა მეძველმანემ სასწრაფოდ ჩაალაგა ნივთები და გაიქცა.

ეს პატარა სურათი კარგად აღწერს იმ საყოველთაო შიშს, დიდ ტერორს რომ ახლდა თან. როგორც ჩანს, ეს შიში კიდევ დიდხანს გაჰყვა იმათ, ვინც რეპრესიებს გადაურჩა.

ცნობილია ისიც, რომ ქართველი მწერლები არიდებდნენ და დღემდე არიდებენ თავს იმ საშინელ წლებზე წერას — შეიძლება იმის გამოც, რომ ადამიანებს, ვინც ტერორი გამოიარა, შიში მუდმივად თან სდევდა. ხომ ხდება ასეც — იმას, რაც ყველაზე მძიმეა, ივიწყებ და ცდილობ, მეხსიერებიდან ამოშალო. გალაკტიონის „უკანასკნელი მატარებელი“ ალბათ, ერთადერთი შედევრია, რომელიც სტალინური რეპრესიების თემაზე ქართულად დაწერილა.

„პერესტროიკის“ პერიოდში, როცა რუსული პრესა მიჰქონდა ე.წ. „არალეგალურ“ ლიტერატურას, ქართველებმა თითქმის ვერაფერი გამოვაჩინეთ. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ უფროსი თაობის „ბობოლა“, ტერორს გადარჩენილი მწერლები, რომელთაც მაშინ მაღალი თანამდებობები ეჭირათ და ლამის ყოვლისშემძლეები იყვნენ, თითქოს ცდილობდნენ გამოესყიდათ „დანაშაული“, რომელსაც, ცხადია, აცნობიერებდნენ: ისინი ყველას, ვინც ნიჭიერად წერდა, ხელს უწყობდნენ — ბეჭდავდნენ, წიგნებს უცემდნენ, მფარველობდნენ. ე.წ. „ოტეპტელის“ პერიოდში და მას შემდეგაც ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერლებს აღარ აიძულებდნენ პარტიისა და საბჭოთა კავშირის სადიდებელი ტექსტები წაემძღვარებინათ პუბლიკაციებისთვის. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ამგვარი „პარაოზები“ (რუს. *паровоз*) ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად და წიგნების დასაბეჭდად უკვე აღარ იყო საჭირო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით რუსეთზე, სადაც ისევ გრძელდებოდა წნეხი. საქართველოში 70-იანებიდან თუ ვინმე მაინც წერდა პარტიის სადიდებელ ჰიმნებს — ნებაყოფლობით წერდა და ეს არჩევანი მხოლოდ გარკვეულ პრივილეგიებს განაპირობებდა — მწერალთა კავშირში ან რომელიმე გამომცემლობაში მაღალ თანამდებობას, აგარაკს, მანქანას და ა. შ.. მწერლებს შეეძლოთ არ შესულიყვნენ კომუნისტურ პარტიაში, არაფერი დაეწერათ სინდისის საწინააღმდეგოდ, შეეძლოთ, მიემართათ იგავისთვის, ე.წ. ეზოპეს ენისთვის; ერთადერთი, მათ ღიად არ უნდა ელანძღათ პარტია და მთავრობა. ამ კომპრომისზე ქართველი მწერლები მიდიოდნენ და, სავარაუდოდ, თვლიდნენ, რომ დიდსაც არაფერს აშავებდნენ.

30-იანი წლებიდან მწერალთა კავშირის გარეთ საქართველოში ხარისხიანი ლიტერატურა, უბრალოდ, არ იქმნებოდა. შოთა ჩანტლაძე და ნიკო სამადაშვილი გამონაკლისია. ამასვე ნამდვილად ვერ ვიტყვით რუსეთზე — იქ საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე იწერებოდა „ალტერნატიული“ ლიტერატურა, რომელსაც დღის სინათლის ხილვა მხოლოდ „პერესტროიკის“ შემდეგ ეღირსა.

დიდ ტერორს ქართული ლიტერატურა არც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიბრუნებია — ცხადია, ამასაც აქვს თავისი მიზეზები, რაც ცალკე და გრძელი საუბრის თემაა. ერთს კი ვიტყვი — მწერლები და, ზოგადად, არტისტები დღესაც თანაუგრძნობენ ტოტალიტარულ რეჟიმებს; რეჟიმები კი ცდილობენ, რაც შეიძლება, ახლოს ჰყავდეთ მწერლები და არტისტები. უამისობა არც დღევანდელ საქართველოშია.

გიორგი კეკელიძე

ლიტერატურა ქართული საბჭოთა პერიოდიკის (1920–1941 წწ.) ფურცლებზე

თუ ქართული ლიტერატურის (ფოლკლორის ზოგიერთი ნიმუშის გამოკლებით) ისტორიას გადავავლებთ თვალს, როგორც წესი, ის ყოველთვის რაღაცის და ვიღაცის სამსახურში იდგა — ბუნებრივია, ობიექტი სახელმწიფო ან გარკვეული იდეოლოგია გახლდათ. ტექსტს ჰაგიოგრაფიისა და შუა საუკუნეების საერო მწერლობის დროს მთელ მსოფლიოში მსგავსი ფუნქცია ჰქონდა, თუმცა, საქართველოში სხვა საუკუნეებშიც გადაჰყვა — თუ დანარჩენ პერიოდებს გადავავლებთ თვალს, ლიტერატურა საქართველოში ყველაზე ეფექტური იარაღი გახლდათ, ავტორი კი — ადვილად მანიპულირებადი მოთამაშე (უმეტეს შემთხვევაში — სხვათაგან მართული, ზოგჯერ კი — მმართველი).

მეოცე საუკუნის 10-20-იან წლებში იყო ერთგვარი ოაზისი, როცა სლოგანი „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ ქართველმა ცისფერყანწელებმა, ფუტურისტებმა, დადაისტებმა და ა.შ. ქართულ სააზროვნო სივრცეში პირველად განახორციელეს. სწორედ ამგვარი მოულოდნელი „მემკვიდრეობა ერგო“ საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანას, რომელმაც მალევე ყველაფერი „საკუთარ კალაპოტში“ ჩააყენა. ყველა კავშირი ერთ შემოქმედებით გაერთიანებაში მოექცა. პროლეტარული მწერლობა იქცა განმსაზღვრელ ძალად, ხოლო ეგრეთ წოდებულ „თანამგზავრებს“ (ავტორები, რომელებიც „იზიარებდნენ“ კომუნისტური პარტიის კურსს, ოღონდ ბოლომდე ვერ „გათავისუფლებულიყვნენ“ ძველი აზროვნებისგან) 1937 წლის რეპრესიებამდე კიდევ ჰქონდათ მცირე შემოქმედებითი ასპარეზი.

საბჭოთა პერიოდის პირველი საინტერესო ფენომენი გახლდათ მწერლობაში მუშათა გაწვევა. ფაბრიკა-ქარხნებიდან მოყვანილ ადამიანებს, რომლებიც იდეურად უფრო სანდონი იქნებოდნენ, მეცადინეობებს ცნობილი ავტორები უტარებდნენ. მაგალითად, 1935 წლის გაზეთი „კომუნისტი“, სტატიაში „ტფილისის ლიტწრეების საქალაქო შეკრება“ წერდა: „8 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიხსნა ტფილისის ლიტერატურული წრეების საქალაქო შეკრება-კონფერენცია. მწერალთა კავშირის მდივნის, ამხ. ბესო ჟღენტის[12] შესავალი სიტყვის შემდეგ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის მასობრივი სექტორიდან ამხ. ვ. წულუკიძე. ამის შემდეგ შეკრებამ მოისმინა პლეხანოვის კლუბთან არსებული ლიტწრის ხელმძღვანელის, მწერალ იასამნის თანამოხსენება. მოხსენებაში გამოირკვა, რომ ამ წრეებში ლიტერატურის სწავლება და მუშაობა კარგად მიდის, განსაკუთრებით აღსანიშნავია პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ლიტერატურულ წრის მუშაობა. გარდა იმისა, რომ წრეში მეცადინეობენ ენაში და სწავლობენ თანამედროვე მწერლობას, მათ განზრახული აქვთ იმუშაონ ფაბრიკა-ქარხნების ისტორიაზე. ამ მხრივ წრეს მეტად სერიოზული მუშაობა მოუხდება და მისთვის ეს არც ისე

ძნელი საქმე იქნება, რადგან წრეში მუშაობენ ტფილისის რკინისგზის დეპოების და სახელოსნოების მუშები და მათი შვილები. შემდეგ კონფერენციამ მოისმინა პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის მოხსენება დამწყებ მწერალთა შემოქმედების და მათთან მუშაობის შესახებ. მან გაარჩია რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის მხატვრული ნიმუში და ხაზგასმით აღნიშნა ცნობილ და გამოცდილ მწერალთა დახმარების აუცილებლობა.

გაფრინდაშვილის მოხსენების შემდეგ, საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ სხვადასხვა ლიტწრის წევრები ქისტაური და ტალაშვილი (ჰასაკოვანთა ათწლედი), აბიაშვილი და ხეველი (ვოროშილოვის კლუბი), ტაბატაძე, გაგოშიძე და ჯავრეიშვილი (პლეხანოვის კლუბი), რატიშვილი (ნავთლუღის რკინისგზის კლუბი) და ფერაძე (პოლიგრაფ-სკოლა).

განსაკუთრებით საინტერესო იყო მწერლობის მომავალი კადრების გამოსვლა; ეს გამოსვლა ხელმძღვანელ მწერალთა ენერგიული და სწორი მუშაობის ცოცხალ დემონსტრაციად იქცა. მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და აუდიტორიის მქუხარე ტაში დაიმსახურეს პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ლიტწრის წევრებმა ტაბატაძემ და რკინისგზელი მუშის შვილმა, 12 წლის გაგოშიძემ.

მოსმენილ მოხსენებათა და ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებთა გარშემო გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა — ნიკო ლორთქიფანიძემ, ლეო ქიაჩელმა, იოსებ ტატიშვილმა, დუტუ მეგრელმა, მწერალმა ქალმა ცქვიტმა, დანარჩენი მწერლების ხელმძღვანელებმა და ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების წამომადგენლებმა. კამათში გამოირკვა სხვათაშორის ერთი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ლიტწრეების მუშაობისა, ესაა პროფორგანიზაციების მიერ მუშათა ლიტწრეების მნიშვნელობის აშკარა შეუფასებლობა. ეს იმით გამოიხატა, რომ არ გაუნაღდებიათ წრეებისთვის გამოყოფილი თანხები. ეს მომენტი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა თავის შემაჯამებელ სიტყვაში მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა დემეტრაძემ. შეკრება-კონფერენციამ დ.დემეტრაძის დასკვნითი სიტყვით დაასრულა მუშაობა“.

როგორც აღმოჩნდა, პროფორგანიზაციები უნებლიეთ, მაგრამ როდი „ცდებოდნენ“— ვერა და ვერ ისწავლეს ამ პატიოსანმა ადამიანებმა ლექსის წერა, ამიტომაც მათგან ახალი ფენომენის — მუშკორის (მუშაკორესპოდენტის) ძერწვა დაიწყეს. მათ უკვე გარითმვას იშვიათად ავალებდნენ, მაგრამ წერის სტილი აუცილებლად მხატვრული უნდა ყოფილიყო — პათეტიკური და მეტაფორული, ასე აგიტაციას მეტი ძალა ჰქონდა.

თუ რა სტილით წერდნენ მუშკორები და რა ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული, ამ ორი ამონარიდიდან ცხადად შეიტყობთ:

გაზეთი „კომუნისტი“, 1937 წელი, 5 მაისი: — მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი. წერილი სასამართლოს ბლაკატ (!) ყაველაშვილზე: „გასაკვირი ისაა, რომ ეს კაცი ასე დაუსჯელად დადის დღემდე და მას საშუალება ეძლევა „იბლაკატოს“ საბჭოთა სასამართლოში. ყივის ყაველაშვილი საჯიშეთ შემონახულ მამალივით. ყივის და საკენკსაც ბლომად შოულობს. როდის უნდა დადგეს ამ მამლის „განკითხვის დღე?“ ნუ თუ ამისთვისაც ყველიერია საჭირო?“

„პირველად მიმიღეს თბილისის ტრამვაის მეურნეობაში. ეს იყო 12 წლის წინათ. მაშინ წერა-კითხვის მცირედ მცოდნედ ვითვლებოდი, მაგრამ ტრამვაის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზების დახმარებით გავიარე მცირედმცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც საკმაოდ შევისწავლე წერა-კითხვა, ანგარიში, ხაზვა და სხვ...ჩემი საოცნებო გახდა მეთანამშრომლნა გაზეთებში და დამემსახურებინა მუშკორის საპატიო სახელწოდება... დღეს „პრავდას“ დაარსების 25 წლისთავზე მუშკორულ პირობას ვიძლევი, კიდევ უფრო გავამახვილო შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე და მედგრად ვიბრძოლო პარტიის მითითებათა ღირსეული შესრულებისთვის“ — წერს სტახანოველი მუშკორი რეზო ცხვედაძე. მუშკორები აქტიურად იყვნენ ჩართული ანტირელიგიურ კამპანიაში. ამ კამპანიისას არსებული რელიგიური სისტემების (ქრისტიანობა, ისლამი და სხვა) ჩანაცვლება ახალი რელიგიური პანთეონით ხდებოდა, რომელსაც საკუთარი ღმერთები (მაგ.: ლენინი, სტალინი), ნახევარღმერთები (მაგ.: ბერია, მოლოტოვი), კერპები (მაგ.: ჰიდრო-ჰესი, სილოსი) ჰყავდა.

მაშინ ხშირად იმართებოდა ამგვარი პროცესები.

ლენრაიონის კომკავშირელების „სააღდგომო“ (1928 წლის 13 აპრილი): „უკვე ორი კვირაა, რაც ლენინის რაიონში დაიწყო ანტირელიგიური კამპანია. კომკავშირის უჯრედებში დაისვა მოხსენებები სააღდგომო დღესასწაულის მავნებლობის შესახებ. უჯრედების საერთო კრებებმა ერთხმად გამოიტანეს დადგენილებები აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ. იმ მიზნით, რომ ანტისააღდგომო კამპანიამ ფართო და მასიური ხასიათი მიიღოს, კვირას, 15 აპრილს ა.ლ.კ.კ. ლენრაიკომი აწყობს მასიურ ექსკურსიას ზაჰესის მიდამოებში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 4 ათასამდე კომკავშირელი, მათი მშობელი, ოჯახის წევრები და უპარტიო ახალგაზრდები. ადგილობრივ მოეწყობა კომკავშირელის გასამართლება, რომელმაც ჯვარი დაიწერა ეკლესიაში. გაიმართება ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი, ჯირითი, რბენა-წარმოდგენა და სხვ. გარდა ამისა, ექსკურსიის ადგილას გაიხსნება მიტინგი ანტირელიგიურ კამპანიასთან დაკავშირებით.“

ისეთი ლექსები იწერებოდა, სადაც ახალ ღმერთზე მინიშნება უკვე ცხადი ალეგორიის ამოცნობით შეგეძლოთ:

რუბრიკიდან — ანტისააღდგომო კამპანია

დღეს ჩვენ ახალი ზეიმი გავხსნათ,
ახალს რწმენაზე დაყრდნობით მტკიცედ
ცრუმორწუნეთა კვერცხი და პასკაც
და ცრუ აღდგომაც არქივში მივცეთ!
შორს ღრეობა და ნაყროვანება
და მასთან ერთად ცრუ ადათები,

სამაგიერო აღფრთოვანებას
ახალ დევიზით შევუთანხდებით.
ჩვენს თვალწინ უკვე მარცხდება ძველი
და ასპარეზი რჩება მომავალს,
ჩვენც საზეიმო ავსება გველის,
გამარჯვებულნი კვარცხლბეკს რომ ავალთ!
მაშ დღეს ახალი ზეიმი გველის,
ახალს რწმენაზე დაყრდნობით მტკიცედ
ცრუმორწმუნეთა კვერცხი და პასკაც
და ცრუ აღდგომაც არქივში მივცეთ!

საინტერესო იყო ღია დავალებების პოლიტიკა, როცა რომელიმე ხელმძღვანელი პირი რაიმე მოვლენის გამო ტექსტებს შეუკვეთდა ხოლმე. მაგალითად, მოგეხსენებათ, ესპანეთის სამოქალაქო ომში საბჭოთა კავშირი მხარს რესპუბლიკელებს უჭერდა. შესაბამისად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც. გაზეთი „კომუნისტი“ ყველა მოვლენაზე უფრო აქტიურად ამ მოვლენას აშუქებდა. მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავჯდომარემ, დ. დემეტრაძემ საგანგებო მანიფესტში („ახალი მიღწევებისკენ“) მიანიშნა, რომ ვერავინ გამოაქვეყნებდა პოეზიას, თუ ამ თემაზე არ დაწერდნენ. შესაბამისად, გთავაზობთ ამონარიდებს ზოგიერთი ლექსიდან. ეს ნაწარმოებები პირველ გვერდზე იბეჭდებოდა მაშინდელ პერიოდულ პრესაში.

რაჟდენ გვეტაძე
იბარური
მორწყო სისხლით მან მიწა,
გადალახა მთები,
მრისხანე და უნდო
ახლა მადრიდს იცავს
და სურს თავის თმებით
შეკრას მტრების ურდო.

ვალერიან გაფრინდაშვილი
გმირულ ესპანეთს
ლაურენსია მიუძღვის ვაჟებს,
კომანდორს გულში რომ ჩასცეს ხმალი,
რომელ ფორნდოზოს არ გააკაჟებს
გაბედულობა მისი ფრთამალი.

გიორგი ლეონიძე
მადრიდის დამცველებს
კალამს გავტყორცნი... გიყივით,
არ იწერება ძახილი,
კლდე შეუძვრელი იყავით,
თავისუფალი სახელი.

ილო მოსაშვილი
მოდის დოლორეს
არ შეუტყვიათ ნახმლევი ხმალში,
არ უკვნესიათ სიკვდილის დროსაც
სისხლიან პერანგს გაშლიდნენ ქარში
და მტრის ბანაკში მიჰქონდათ დროშად.

სიმონ ჩიქოვანი
მიძღვნა ესპანელი ხალხისადმი
ჩვენი მოძმენი და მოგვარენი
ქალაქებში და მთებში ჰკივიან
და მოსისხლეთა უშავეს გვამებს
მალე უფსკრულში გასტყორცნიან.

ლადო ასათიანი
ესპანელ ძმებს
ირგვლივ გარტყიათ საზიზღარი ფაშიზმის ბანდა
და ესპანელი შავრაზმელების ვერაგი ჯარი.
დაჰკარით ძმებო, რისხვიანად დაჰკარით მარდად,
ჩვენც თქვენთანა ვართ, მოგახმაროთ ღონე და ჯანი.

უინტერესო არ იქნება იმაზე საუბარი, თუ როგორ წარიმართა დღეს შედარებით უცნობ ავტორთა ბედი, რომელთა სიცოცხლეც რეპრესიებს არ შეწირვია. საგანგებოდ ავიღოთ ყველაზე რადიკალური დაჯგუფების, ფუტურისტთა ორდენის წევრები. აი, მათი არასრული სია: ნიკოლოზ თავდგირიძე, აკაკი ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, ბესარიონ ჟღენტი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ ორაგველიძე, პოლ ნოზაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი, ნიკოლოზ შენგელაია, ჟანგო ღოღობერიძე, შალვა ალხაზიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა. საინტერესოა, როგორ დაიწყეს მათ და შემდეგ რა კონტექსტში ჩნდება ამ ადამიანების სახელები იმდროინდელ პერიოდიკაში:

ნიკოლოზ შენგელაია კოტე მარჯანიშვილმა ქუჩაში ლექსების კითხვისას შეამჩნია, ორატორული ნიჭი მოუწონა და თეატრში გაიყოლა. ოდესღაც პოეტმა მერე კინემატოგრაფს მიმართა და ბევრის აზრით გენიალური „ელისო“ გადაიღო. მოღვაწეობის მანძილზე რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეც გახდა და სსრკ პრემიის ლაურეატიც.

ნიკოლოზ ჩაჩავა — ქართული პერფორმანსის პიონერი; კაცი, რომელიც ელექტროგადაცემის ბოძებზე ადიოდა და იქიდან გაჰკიოდა ლექსებს, ჰალსტუხის ნაცვლად ბოლოკი ეკეთა და პაოლო იაშვილს ერთხელ მოულოდნელად ლაყე კვერცხებიც დაუშინა; ვინაც დაწერა, ალბათ, იშვიათი ლექსი ქართული ფუტურისტული წარსულიდან, ლიტერატურის ისტორიას ასე თუ ისე რომ შემორჩა — „შანდი და შროშანა“; წლების მერე საოცრად მორცხვად საუბრობდა საკუთარ „ავანგარდულ წარსულზე“, საშუალო დონის საბავშვო ლექსებს წერდა. გამოსცა წიგნი „ვითამაშოთ ერთად“ და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიაც დაიმსახურა.

შალვა ალხაზიშვილმა ასევე წყნარად, ეპატაჟგაძარცულმა განაგრძო მოღვაწეობა ე.წ ლიტმუშაკად, კინო-დრამატურგიასაც მიმართა — შეგვიძლია გავიხსენოთ მისი სცენარი „საკანი 79.“ ავტობიოგრაფიაში ისიც ვერ გაექცა საყოველთაო კონიუნქტურას და ხაზგასმით აღნიშნა ფრაზა, რომელიც ფუტურისტულ ეპოქაში დაწერილი ტექსტებიდან ვითომდა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: „ახალი ხანა — ლენინიადა, პლანეტა ხდება ლენინის, კოსმიურ სივრცეს გაანათებს ალი კომინტერნის“...

ბესარიონ ჟღენტი, ფუტურისტთა მანიფესტის ავტორთაგანი სოციალისტური რეალიზმის მადიდებელი კრიტიკოსთა-კრიტიკოსი და უპირველესი ცენზორი გახდა. საკმაოდ დიდხანს ცეკასთან უაღრესად დაახლოებული ბესარიონი ლამის მარტო განსაზღვრავდა ქართული ლიტერატურის თამაშის წესებს და ეს თავის დროზე ფუტურისტი კაცი იმდენად უკირკიტებდა ყველას, რომ ერთხელ კოწია გამსახურდიამ ვეღარ მოითმინა და მიაძახა: „შენ ჟღენტი ხარ თუ ჟღვინტიო!“ ბესარიონ ჟღენტი შრომის წითელი ორდენის კავალერია.

აკაკი ბელიაშვილი ბიბილიოფილებს, ალბათ, მეორე მსოფლიო ომზე დაწერილი რომანით „უღელტეხილი“ ახსოვთ. თუ ვინმე თავდადებულს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე დაწერილი „ვეფხია ხალიბაურიც“ წაგიკითხავთ, მაშინ იოლად დაეთანხმებით საბჭოთა პრესას, რომელიც წერდა: „პროზაიკოსმა 30-იანი წლებიდან ხელი აიღო ფორმალისტურ ძიებებზე“.

სიმონ ჩიქოვანი, ყველაზე ცნობილი სახელი *„H2SO4“*-დან; მალევე შეეშვა საკუთარ „ორკესტრულ ლექსაობას“, „აიდა-ბაიდებს“ და „მეკამეჩეების ურმულს“; მუშაობდა რედაქტორად, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, წერდა ოსტატურად, მაგრამ ძირითადად ისტორიულ პერსონაჟებზე და რეალიებზე. ერთი სიტყვით, არაფრით ჰგავდა კაცს, რომელიც ამბობს: „უარვყოფთ წარსულს, რადგან იგი არის სამლოცველო ბებრების და მომაკვდავების“.

აი, ასე აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ახალი ტიპის ქართველ მწერალს. ამ საქმეში მას არც ტაშისმცემელთა გუნდი და არც „თავგანწირული'' თანამზრახველები აკლდა. სიმბოლურად დავასრულოთ კონსტანტინე მელაძის წერილით „მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე", რომელიც, სხვათა შორის, ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა: „კლასობრივი ბრძოლა გრძელდება თეატრის, კინოს, მხატვრობის, ლიტერატურის, მეცნიერების სფეროში. მომაკვდავი კლასის ნარჩენები ისევ გაბედულად აწარმოებენ ბრძოლას ჩვენს წინააღმდეგ. ისინი თავიანთი კლასის მხატვრული ავტორიტეტები არიან. ამ ნიშნის ქვეშ მუშაობს დღესაც ს. თავაძე, ს. აბაშელი, ვ. რუხაძე და სხვები, რომელთა შემოქმედებაც უიდეო, უდღეური და ისტორიას მიბარებული ქართული მენშევიზმის აგიტაციაა! არც სხვები ისვენებენ — კერძოდ, კ.გამსახურდია. იგი კვლავ მზადაა იოცნებოს ფეოდალურ, არისტოკრატულ საქართველოზე, თამარ მეფის სილამაზე-სიმშვენიერეზე. ამ ჯურის კალმოსნებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათ წინააღმდეგ, როგორც რეაქციონური განწყობილების მწერლებისა, დაუნდობელ ბრძოლას ვაწარმოებთ, ვიდრე არ მოხდება მათი აბსოლუტური ლიკვიდაცია. რა თქმა უნდა, ამ პლეადის ორდენთაგანი, მ.ჯავახიშვილიც არ იქნება მივიწყებული, რომელმაც ბოლო დროს თავი შეაფარა „არსენა მარაბდელის" თემატიურ მასალას, ეს სრულიადაც არ ხსნის ბრძოლის წარმოების აუცილებლობას მის წინააღდეგ... ყოვლად შეუძლებელია თანამგზავრად ვაღიაროთ პაოლო იაშვილი ან ტ. ტაბიძე, რომლებმაც ვითომდა ამ ბოლო ხანებში დაიწყეს თანამგზავრული ლექსების წერა. ეგ შეცდომა იქნება, რადგან მათი ვითომდა თანამგზავრული ტენდენციების გამტარებელი ლექსები არის ნიღაბი, რომლის შიგნითაც მოთავსებულია დეკადენტური და დაცემულობის განწყობილებები.. ჩამოიგლიჯეთ ნიღაბი, გვაჩვენეთ თქვენი ნამდვილი სახე — აი, რას მოვითხოვთ ჩვენ თქვენგან... ჩვენ მოკავშირე თანამგზავრად გვყავს ისეთი მძლავრი მწერალი, როგორიცაა გალ. ტაბიძე. გ.ტაბიძე გულწრფელი მომღერალია სოციალიზმის დღეებისა... აქვე აღსანიშნავია ირ. აბაშიძის მუშაობა, რომელიც კონკრეტულად პასუხობს ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებს... საერთოდ, პროლეტარულ მწერალ აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ:
„კლასს ვუმღეროთ, რადგან გაგვზარდა მან,
კლასს ვუმღეროთ, რადგან კლასის შვილი ვართ!"
გაზეთი „ნორჩი ლენინელი", 1931 წელი.

ზაირა არსენიშვილი, მწერალი — ჩემი ასაკის გამო ბევრი ამბის მომსწრე ვარ. შეგახსენებთ, ეჟოვამდე[13] იყო იაგოდა[14], რომელსაც კაბინეტში შხამებით სავსე კარადა ჰქონდა, სწორედ მან დაიწყო რეპრესიები. ის დაიჭირეს და მის ადგილას დანიშნეს ეჟოვი. მისი თანაშემწე, სლუცკი[15], რომელიც ციხეში აკითხავდა იაგოდას, ჰყვება: იაგოდამ მითხრა, თურმე ღმერთი არსებობს, იმიტომ, რომ მე სტალინის ერთგული ვიყავი და ღმერთის მცნებებს სულ ვარღვევდი და აი, ახლა სადა ვარო.

ბესო ჟღენტი ახალ ქართულში სპეცკურსს გვიტარებდა. ჩვენ ვეკითხებოდით 37 წელზე. „თქვენ ბერია გინახავთ? იმას თქვენთვის თვალებში ჩაუხედია? რომ წარმოიდგინოთ ხახა, თავი ამ ხახაში გაქვთ, ფეხებს კიდევ ასხმარტალებთო.“ აი, ასეთი იყო ბერიას თვალებიო. 1947 წელს, როცა სკოლის მოსწავლე ვიყავი, პიონერთა სასახლეში, ლიტერატურის წრეზე დავდიოდი. მწერლებს შინ ვაკითხავდით ხოლმე. ვიყავით გალაკტიონთან, გამსახურდიასთანაც. მისმა ცოლმა მიგვიღო, მწერალი არ არის სახლში და დაუცადეთო; შევედით ოთახში და ბერიას უზარმაზარი დასადგამი პორტრეტი დავინახეთ. გული ჩამწყდა, რადგან ჩემი დიდი ოჯახიდან 11 კაცი იყო რეპრესირებული. არ მჯეროდა, რომ გამსახურდიას შეიძლებოდა სახლში ბერიას პორტრეტი ჰქონოდა. რომ დავბრუნდი შინ, დედას ვუთხარი: დედა, წარმოგიდგენია, გამსახურდიასთან ბერიას სურათი ვნახე-მეთქი. დედა-ჩემი ვერ იტანდა სტალინს, მაგრამ მითხრა, ჩვენ ისეთ საშინელ დროში ვცხოვრობთ, ნუ გაგიკვირდებაო.

ნინო, უნდა შემოგედაოთ: მაშინ, როცა არაფერს არ მიბეჭდავდნენ, დავწერე ორი რომანი და მოთხრობები ამ სისტემის წინააღმდეგ. შემდეგ, 90-იანებში გამოვაქვეყნე. ერთში, რომელსაც ჰქვია „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის“ მივიღე სახელმწიფო პრემია, მეორეში, „ვაჰ, სოფელო“ — ილია ჭავჭავაძის პრემია. იქ არის 24 წელი, კოლექტივიზაცია, 37 წელიც.

რაც შეეხება პასტერნაკის ისტორიას, ერთ ამბავს გავიხსენებ — მედეა კახიძე მაშინ მოსკოვში, ლიტერატურის ინსტიტუტში სწავლობდა და სთხოვეს, ხელი მოაწერე პასტერნაკის საწინააღმდეგო წერილსო. მან უპასუხა, თუ გინდათ, გამრიცხეთ, ხელს არ მოვაწერო.

ლაშა ბაქრაძე — ასეთები, ალბათ, ბევრნი იყვნენ. დღეს რთულ და მრავალპლანიან თემაზე ვსაუბრობთ, და თუნდაც ერთი დისკუსიის განმავლობაში რთული იქნება, ასე თუ ისე, იმ დროის სრული სურათის შექმნა.

დარბაზიდან — საქართველოში იქმნებოდა ალტერნატიული ტექსტები, რომელთა ავტორებიც არ იზიარებდნენ საბჭოთა რეალობას, მაგრამ არც უპირიპირდებოდნენ მას. პროფანული დამოკიდებულება, თითქოს საბჭოთა კავშირი მხოლოდ კეთილისა და ბოროტის ასპარეზი იყო, შესაცვლელია.

ნინო ბექიშვილი — მწერალთა კავშირის ბეჭდვითი ორგანოების — გამომცემლობების და ჟურნალ-გაზეთების მიღმა საბჭოთა საქართველოში მხატვრული ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა. თუმცა, მაინც იყვნენ ადამიანები, რომლებიც საინტერესოდ წერდნენ. გავიხსენებ ორ მნიშვნელოვან პოეტს — ნიკო სამადაშვილს და შოთა ჩანტლაძეს, რომელთაც არაფერი დაუბეჭდავთ. ფაქტია, რომ ქართული მწერლობა ძირითადად მაინც მწერალთა კავშირის ირგვლივ იყო შემოკრებილი და ეს სულაც არ

ნიშნავს იმას, რომ 60-იან, 70-იან და 80-იან წლებში საინტერესო და ღირებული ლიტერატურა არ იქმნებოდა.

გიორგი კეკელიძე — ბუნებრივია, ვეთანხმები ნინოს: არსებობდნენ ავტორები, რომლებიც წერდნენ ლექსებს და წიგნებს ვერ გამოსცემდნენ. შოთა ჩანტლაძე, რომელიც აქტიური ლიტერატორი იყო, „კალევალას“ მუხრან მაჭავარიანთან და გივი ძნელაძესთან ერთად თარგმნიდა, ვერ ბეჭდავდა ლექსებს და ვერც მეგობრები ეხმარებოდნენ; იმიტომ, რომ არ წერდა ე.წ. „პარაოზებს“. რაც შეეხება გაბრიელ ჯაბუშანურის პოემას სტალინზე, „ინვექტივა-მონუმენტს“,[16] ე.წ. სტალინის წყევლას, ცხადია, ისიც მოგვიანებით გამოქვეყნდა. 80-იან წლებში ეცადნენ დაებეჭდათ კოლაუ ნადირაძის ცნობილი ლექსი, „25 თებერვალი“[17], მაგრამ მაშინ წიგნის მთელი ტირაჟი ამოიღეს და რედაქტორიც მოხსნეს.

დარბაზიდან — მაშინ ისეთი დრო იყო, სადაც არ უნდა ყოფილიყავი, მთაში, ბარში თუ სოფლად, მაინც მოგაგნებდნენ და ამიტომ ბრალს ნუ დავდებთ ნურავის. კარგი იქნება, თუ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია გაითვალიწინებს იმას, რომ დისკუსიები გაიმართოს თემაზე, თუ როგორ უნდა გავთავისუფლდეთ და გამოვიდეთ საბჭოთა კავშირიდან. ერთი სტალინის ძეგლის გორის ცენტრიდან აღება ამ საქმეს ვერ უშველის, რითი უნდა შევძლოთ ამ კოშმარის მოშორება?

ზაირა არსენიშვილი — ჯერჯერობით არ ჩანს, რომ რაიმე გვეშველება. განა ის ჟურნალისტები, რომლებსაც მწერალთა კავშირის შესახებ მიჰყავდათ გადაცემა (იგულისხმება იმედის „სპეციალური რეპორტაჟი“) რაიმეთი განსხვავდებიან? რა ეშველება ამას? შიში და მონობა ადამიანში ბუდობს.

გიორგი გვახარია, კინომცოდნე — ნინომ დასაწყისში ახსენა კომუნისტური ნაციონალიზმი. არადა, კომუნიზმი იმას გულისხმობს, რომ ნაციონალიზმი არ უნდა იყოს. ასევე, მინდა ვთქვა — რომ სჯობდა, გამოგვეყო ერთმანეთისგან 20-იანი და 30-იანი წლები. გვემსჯელა იმაზე, რა რევოლუციური ცვლილებები მოხდა მწერლობაში 30-იანი წლების მიჯნაზე. ეს რომ გვეთქვა, მაშინ არ დაიბადებოდა კითხვა ლენინთან და სტალინთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ამ ორ პერიოდში მწერლობის მდგომარეობა განსხვავდებოდა. გიორგის მინდა ვკითხო — მეც ვიზიარებ იმ აზრს, რომ მწერალიც ადამიანია, მაგრამ როგორ შეიძლება გავამართლოთ ის ფაქტი, რომ 70-იან წლებში ქართველმა მწერლებმა, ფაქტიურად, გაწირეს ზვიად გამსახურდია? ეშინოდათ თუ ასე ფიქრობდნენ?

ნინო ბექიშვილი — კომუნისტური ნაციონალიზმი აბსურდია, მაგრამ ასეთი რამ ნამდვილად არსებობდა. აქ ორივე სიტყვა ყალბია — ეს არც ნაციონალიზმია და, მით უმეტეს,

არც კომუნიზმი; მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ აბსურდში ადამიანები ათეულობით წლები აცხოვრეს. მაგალითად, 1937 წელს ნამდვილად თავიდან იწერებოდა, თუ ვინ იყო ილია.

ლაშა ბაქრაძე — საქართველო არ უნდა გამოვყოთ ცალკე და ცუდია ხოლმე, როცა პარალელებს არ ვავლებთ. 1937 წელს მოსკოვში გადაიხადეს პუშკინის იუბილე და პუშკინი საბჭოთა ქვეყნის სამსახურში ჩააყენეს. იგივე მოხდა საქართველოშიც ილიასთან დაკავშირებით.

გიორგი კეკელიძე — 70-იან წლებში, და უფრო ადრეც, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ნამდვილად არ იდგა — იდგა თბილი სკამის, მწერალთა კავშირის, ბინებისა და აგარაკების და ა. შ. საკითხი. საგულისხმოა, რომ 60-70-80-იან წლებში იწერებოდა ძალიან ბევრი პატრიოტული ლექსი. შევარდნაძეს შევხვდი და მან თქვა, რომ არ ყოფილა არც ერთი ცნობილი მწერალი, რომელიც მასთან არ დადიოდა, არ აკითხებდა ლექსებს; შემდეგ შევარდნაძეს არ დაჰყავდა ხოლმე საქეიფოდ... ამ პერიოდში თვითცენზურა გადაიზარდა კმაყოფილ მონობაში; პროტესტი — ძალიან ზერელე ნარატივში და, ხშირად, ქსენოფობიურ კონტექსტში იყო ხოლმე დაფიქსირებული.

სქოლიო

[1] რობერტ კონკვესტი (დაიბ. 1917 წ.) — ბრიტანელი ისტორიკოსი, სოვეტოლოგი, პოეტი, ავტორი წიგნისა „დიდი ტერორი“.

[2] სერგეი კიროვი (1886-1934) — ძველი ბოლშევიკი, პარტიის წევრი 1904 წლიდან. 1926 წელს დაინიშნა ლენინგრადის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელად. მოკლეს 1934 წელს.

[3] ლევ ტროცკი (1879-1940) — რუსი რევოლუციონერი, 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხედრო კომისარი. დაუპირისპირდა ლენინს და სტალინს, რისთვისაც გარიცხეს პარტიიდან და 1932 წელს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს. მოკლეს მექსიკაში 1940 წელს. არის ტროცკიზმის მთავარი იდეოლოგი.

[4] ლევ კამენევი (1883-1936) — გამოჩენილი რევოლუციონერი, პარტიის წევრი 1901 წლიდან. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაუპირისპირდა ტროცკის (1923-24 წწ.), ხოლო შემდეგ სტალინს (1926-27 წწ.). დახვრიტეს 1936 წელს.

[5] გრიგორი ზინოვიევი (1883-1936) — გამოჩენილი ბოლშევიკი, უპირიპირდებოდა სტალინს. მიუხედავად იმისა, რომ მოინანია და გაიზიარა სტალინის ხაზი, 1936 წელს კამენევთან ერთად დახვრიტეს.

[6] შინსახკომი — შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატი.

[7] მემორიალი — მოძრაობა, შემდგომში — ორგანიზაცია, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დაარსდა რუსეთში და რომელიც დღეს აერთიანებს რეგიონალურ ორგანიზაციებს რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, საქართველოში. რუსული „მემორიალი“ მუშაობს ორი მიმართულებით — საბჭოთა წარსულის შესწავლა და ადამიანის უფლებების დაცვა. იხ. *www.memo.ru*

[8] ლავრენტი ბერია (1899-1953) — საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, პარტიის წევრი 1919 წლიდან. 1931-1938 წლებში საქართველოს კომპარტიის მდივანი. საქართველოში გატარებული რეპრესიები ძირითადად მის სახელთან ასოცირდებოდა. 1938 წლიდან სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი. დახვრიტეს 1953 წელს.

[9] ბუდუ (პოლიკარპე) მდივანი (1877-1937 წწ.) — ცნობილი რევოლუციონერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი 1903 წლიდან; რევოლუციის და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე ამიერკავკასიაში; 1920-1921 წწ. რუსეთის კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის ბიუროს წევრი; 1921 წ. ივნისიდან საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, 1922 წლიდან საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი. ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო შემდგომ, საკავშირო ტროცკისტული ორგანიზაციის აქტიური წევრი. 1928-1930 წლები სამარაში, გადასახლებაში გაატარა. 1936 წ. ბ. მდივანი იყო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, 1936 წ. 17 ოქტომბერს დააკავეს ტროცკისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, დახვრიტეს 1937 წელს.

[10] ბესო ლომინაძე (თავი მოიკლა 1935 წელს), ლევან აღნიაშვილი, ლევან ღოღობერიძე, შალვა ელიავა — პარტიული მუშაკები, რომლებიც იმ დროისთვის უკვე დაჭერილები იყვნენ.

[11] ტერმინი ეკუთვნის აკაკი ბაქრაძეს. იხ. ბაქრაძე აკაკი, „მწერლობის მოთვინიერება“, თბ. 1991.

[12] ბესარიონ (ბესო) ჟღენტი(1903-1976) — ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

[13] ნიკოლაი ეჟოვი (1895-1940) — საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარი 1936-1938 წლებში. რუსეთში დიდი ტერორს მის სახელს უკავშირებდნენ და „ეჟოვშჩინას“ სახელით მოიხსენიებდნენ.

[14] გენრიხ იაგოდა (1891-1938) — ძველი რევოლუციონერი, მონაწილეობდა 1917 წლის რევოლუციაში, საბჭოთა პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარი 1934-1936 წლებში.

[15] აბრამ სლუცკი (1898-1938) — საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე. მუშაობდა საგარეო დაზვერვაში. ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (НКВД)-ს საგარეო უწყებას (1935-1938).

[16] გაბრიელ ჯაბუშანური, „ინვექტივა-მონუმენტი“, იხ. *http://burusi.wordpress.com/2010/06/25/jabushanuri/*

[17] კოლაუ ნადირაძე „25 თებერვალი“, იხ. *http://lib.ge/body_text.php?5560*

ეზოპეს ენა ტოტალიტარულ სისტემაში: ქართული კინოს წარმატებები და ცენზურა საბჭოთა ხანაში

22.02.2011

მომხსენებლები:

გიორგი გვახარია — კინომცოდნე, რადიო „თავისუფლება“

მერაბ კოკოჩაშვილი — კინორეჟისორი

მოდერატორი:

ლია ჯაყელი — კინოდოკუმენტალისტი

ლია ჯაყელი — კინო და მწერლობა ხელოვნების ორი მონათესავე დარგია, მაგრამ ლიტერატურას უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, შეფაროს სათქმელი და იგავური ენით ისაუბროს. თუ საბჭოთა მწერალი არ იყო სისტემის მეხოტბე და ნაწარმოებებს ვერ გამოსცემდა, მას ის მაინც შეეძლო, დაეწერა, უჯრაში შეენახა და უკეთეს დროს დალოდებოდა. კინო ინდუსტრიაა და თუკი რამენაირად არ იყავი შეკრული სისტემასთან, გამორიცხული იყო, კინო გადაგეღო.

მიუხედავად დაბრკოლებებისა, საბჭოთა ეპოქაში კინოს წარმატებები ჰქონდა. დღეს იმასაც კი ვფიქრობ, რომ ქართულ კინოსთან ცოტა გადაჭარბებულად რომანტიზირებული დამოკიდებულებაც იყო და მას ზედმეტადაც კი აქებდნენ.

გიორგი გვახარია — ჩემი მოხსენება არა მხოლოდ ქართულ კინოს შეეხება, არამედ, მთლიანად საბჭოთა კინოს. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ცენზურასთან ბრძოლის ისტორია ქართულ და საბჭოთა კინოში. თემა იმდენად ვრცელია, რომ შეიძლება ლექციების კურსი ორი სემესტრიც კი იკითხო. საინტერესოა, რომელ ფილმებს კრძალავდნენ, რომელს — არა, რომელ ნაწყვეტებს ჭრიდნენ და ა. შ. ეს მართლაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაა.

მე მაინც სტალინით დავიწყებდი: რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მიძებნია, 20-იანი წლების კინოში ცენზურის კვალი არ მინახავს. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ, უბრალოდ, არ ეცალათ ცენზურისთვის. თუ გავიხსენებთ, როგორი იყო ქართული და საბჭოთა კულტურა 20-იანი წლების პირველ ნახევარში, ნათელი გახდება, რომ კინოს ამ დროს ცენზორი არ ჰყავდა. ცენზურის ისტორია სტალინით იწყება; შეიძლება ითქვას, სტალინი მაშინ ქვეყნის მთავარი კინოპროდიუსერი იყო — კვირაში ერთხელ აწყობდა დახურულ კინოსეანსებს, კითხულობდა სცენარებს და მასზე იყო დამოკიდებული ფილმის და რეჟისორის ბედი.

თუკი თავის დროზე ლენინმა თქვა — კინო ხელოვნების მთავარი დარგიაო; დღევანდელი პოლიტიკოსი, მაგალითად, ქვეყნის პრეზიდენტი, აუცილებლად იტყვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი ტელევიზიაა. შესაძლებელია უხეში პარალელის გავლებაც — როგორც დღევანდელი ხელისუფლება ერევა ტელევიზიების საქმიანობაში, დაახლოებით ასევე ერეოდა საბჭოთა ხელისუფლება კინოს ცხოვრებაში. მოდელირებული „ქრონიკის“[1] ეთერში გასვლის შემდეგ დაისვა კითხვა, ერეოდა თუ არა პრეზიდენტი ამ გადაცემის მომზადებაში, უფრო მეტიც — იყო თუ არა „ქრონიკის“ ავტორი. წარმოუდგენელია, მაგალითად, საფრანგეთში მედიამ ამგვარი რამ იკითხოს. ჩვენთან კი ეს კითხვა ბუნებრივად გაჩნდა, რადგან არსებობს ტრადიცია, რომელიც სწორედ სტალინმა დაამკვიდრა.

კინოს მანიპულატორულ როლს და შესაძლებლობებს სტალინი კინოში ხმის შემოსვლის შემდეგ მიხვდა. ეს საკითხი ჩემი აქაური და დასავლელი კოლეგების ნაშრომებში მიძებნია, თუმცა, არსად შევხვედრივარ ამ თემას — რატომ ემთხვევა 1937 წლის დიდი

ტერორი ხმის შემოსვლას კინოში, შემთხვევითია თუ არა ეს ფაქტი? თუ შევთანხმდებით, რომ ისტორიაში შემთხვევით არაფერი ხდება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხმის შემოსვლამ კინოში საბჭოთა კავშირში ტერორის პროცესი დააჩქარა.

1933 წელს ალექსანდრ ზარხიმ[2] გადაიღო ფილმი „ჩემი სამშობლო". ფილმი ძალიან მოეწონათ, რეჟისორი დააჯილდოვეს საგზურით სოჭში თუ სოხუმში. მაგრამ როცა ის მოსკოვში დაბრუნდა, ფილმი უკვე აკრძალული დახვდა. აკრძალვას დაემთხვა სტალინის სტატია სათაურით „იდეურად არასრულფასოვანი ფილმი", ქვესათაურით — „მავნე სურათი". ფილმში ნაჩვენები იყო საბჭოთა სამხედრო ტექნიკა. სტალინი ამბობდა — მტერი ნახავს, როგორ ვემზადებით, რეჟისორმა გაგვყიდაო. 1933 წელს ჯერ არ ხვრეტდნენ, ამიტომ შეიკრიბნენ კინოსტუდიაში და გადაწყვიტეს, ფილმიდან სამხედრო ტექნიკის ამსახველი კადრები ამოეღოთ. ამოიღეს, ისევ გაუშვეს ფილმი ეკრანებზე, ისევ ნახა სტალინმა და თქვა — საშინელი ფილმია, რადგან არ ჩანს, რითი ვიბრძვით, იარაღი არ ჩანს, ხელებით ხომ არ ომობენო.

30-იან წლებში სტალინმა შექმნა აგიტპროპი, აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილება, სადაც კინოს ბორის შუმიაცკი[3] ხელმძღვანელობდა, რომელიც შემდეგ დახვრიტეს. სეანსების დროს სტალინი რეპლიკებს ამბობდა, რომელთაც შუმიაცკი იწერდა. მისი 150-მდე ჩანაწერი არსებობს და ინტერნეტშიც დევს — სტალინის კომენტარები ფილმებზე, რომლებსაც ნახულობდა. სტალინმა ერთ-ერთი ქრონიკის, სიმფონიური მუსიკის კონცერტის ნახვის შემდეგ, თქვა: კარგია, რომ ადამიანს აღარ უჩვენებთ ნაწილებად, არამედ მთლიანად, დაუნაწევრებლად აჩვენებთო. საინტერესო შეფასებაა — ხმის შემოსვლასთან ერთად მონატაჟი უკანა პლანზე ინაცვლებს, კადრი აღარ იჭრება. სტალინს მოეწონა ის, რომ დეტალები არ ჩანდა — როგორც ჩანს, ახლო ხედის ეშინოდა. ზოგადად, ავტორიტარულ ადამიანებს ახლო ხედი აშინებთ.

30-იანი წლების კინოში ვერ ნახავთ ვერც ერთ ფილმს, რომელიც ფართო მაყურებლისთვის იყო განკუთვნილი და აკრძალეს. ე.წ. საკასო ფილმები თავისუფლად გადიოდა ეკრანებზე. მაგალითად, ისეთი საეჭვო ფილმი, როგორიც გრიგორი ალექსანდროვის[4] „მხიარული ახალგაზრდობაა" *(Веселые ребята)*, სადაც ამერიკული ჯაზია, დიდხანს იდო თაროზე, მაგრამ ბოლოს მაინც ნახა მაყურებელმა. სტალინს მოსწონებია ეს ფილმი, უთქვამს, — კარგად გავერთე და ჩვენი მშობლები აღფრთოვანდებიან, ეს სურათი აუცილებლად უნდა ვაჩვენოთო. ჩანს, მას კომერციული გათვლებიც ჰქონდა: უთქვამს, ეს ფილმი ჩვენ სალაროს შეავსებს და დიდ მოგებას მოგვიტანსო. სამაგიეროდ, აკრძალეს ეიზენშტეინის[5] „ვეჟას მდელო", ფილმი პავლიკ მოროზოვზე[6], რომელიც ეიზენშტეინმა იმდენად განაზოგადა, რომ საბოლოოდ გამოვიდა სურათი ოიდიპოსის კომპლექსზე. ამ ფილმის ნახვის შემდეგ სტალინმა განაცხადა: ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ბავშვები საბჭოთა ხელისუფლების განსახიერებად გამოიყვანონ, აიკრძალოს ფილმი ანტიმხატვრულობისა და პოლიტიკური უსუსურობის გამოო. ფილმი გაანადგურეს. ამის შემდეგ ეიზენშტეინმა სტალინს წერილი მისწერა და სთხოვა უფლება, გადაეღო კიდევ ერთი „პოტიომკინი". გა-

დაიღო კიდეც „ალექსანდრ ნეველი“, თუმცა, ფინალი შეაცვლევინეს; თქვეს, ასეთი კარგი მხედართმთავარი არ შეიძლება კვდებოდეს ფილმის ბოლოსო.

ომის დამთავრების შემდეგ რეჟისორები დაიბნენ — აღარ იყო მტერი და არ იცოდნენ რაზე გადაეღოთ ფილმები; ვერ ხვდებოდნენ, რა უნდოდა სტალინს; ხშირად ეგონათ, რომ რაღაც მოეწონებოდა, მაგრამ ფილმებს რატომღაც კრძალავდნენ. ჩვენი თანამემამულე მიხეილ ჭიაურელი ბევრად უფრო ნიჭიერი აღმოჩნდა, ვიდრე სხვები: მან დანარჩენებზე უკეთ იგრძნო კონიუნქტურა, მიხვდა, რა მოეწონებოდა ბელადს. „ბერლინის დაცემაში“ ნაჩვენებია ბელადი ბერლინში — მაშინ სტალინი ბერლინში არ ჩასულა. ეს სცენა კარგად მიიღეს, არავინ იგრძნო უხერხულობა. არადა, სოცრეალიზმის ეპოქაში თითქოს თითოეულ დეტალს აკვირდებოდნენ.

როცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ პიროვნების კულტი დაგმეს, მიხეილ რომმა[7], ადამიანმა, რომელიც იღებდა ფილმებს სტალინის მონაწილეობით — ასეთი რამ გააკეთა — სტუდიაში ღამით შეიპარა, დარაჯს არაყი მისცა და თავის ყველა ფილმში სტალინის სცენები ამოჭრა. თანაც ეს ყველაფერი ძალიან ოსტატურად გააკეთა.

ამ დროს მიხეილ ჭიაურელს აუკრძალეს კინოს გადაღება და სვერდლოვსკში გადაასახლეს, სადაც გადაიღო მულტფილმი — „როგორ ასაფლავებენ თაგვები კატას“. ჭიაურელი ბოლომდე სტალინის ერთგული დარჩა — მან სტალინის დასაფლავება გადაიღო, სადაც ცეკას ჩინოვნიკები თაგვებად გამოიყვანა, სტალინი კი კატად. უფრო მეტიც — 60-იან წლებში, როცა უკვე აღარავინ ლაპარაკობდა სტალინიზმზე, ის იღებს ყველასათვის ნაცნობ ფილმს, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, სადაც ჩნდება აკაკი ხორავას პერსონაჟი, რომელიც ქმნის ასოციაციებს სტალინთან.

60-იან წლებში ქართულ კინოში მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც გააკეთა ის, რასაც დღევანდელი თაობა ვერა და ვერ აკეთებს. მაშინ ლანა ღოღობერიძემ, მერაბ კოკოჩაშვილმა და სხვებმა, არა ლოზუნგებით, როგორც ფრანგებმა, მაგრამ მაინც, ყველაფრის უარყოფა დაიწყეს, რასაც წინა თაობა სტალინის ეპოქაში აკეთებდა. მოგეხსენებათ, 70-იან წლებში, როცა ქართული კინო ძალიან წარმატებული იყო, რუსეთში კინო კრიზისს განიცდიდა — არ იცოდნენ, რომელი ფილმები წაეღოთ ფესტივალებზე.

1978 წელს ჟურნალ „ისკუსტვო კინოში“ დაიბეჭდა იური ბოგომოლოვის[8] სტატია, რომელსაც სტუდენტებს ვაძლევ ხოლმე წასაკითხად. მაშინ ყველა გაბრაზდა, მაგრამ სტატიაში ნაწინასწარმეტყველებია, როგორ იცხოვრებს ქართული კინო მომავალში. სტატიის ავტორი ამბობს, რომ პოეტური ენა (ის არ ახსენებს ეზოპეს ენას), რომლითაც ქართულმა კინომ ასეთი დიდი წარმატება მოიპოვა მსოფლიოში და თავი გადაირჩინა, ქართული ხასიათის გამოვლენაა, აქ სინამდვილისადმი ქართველის დამოკიდებულებაც ჩანს: ქართველს ეშინია რეალობის და გაურბის მას. ჩვენ შეგვიძლია ეს ორნაირად გავიგოთ — კინოში სინამდვილეს მაშინ მაინც ვერ ასახავდი და უნდა გეცრუა. ამიტომ, ქართველები იღებდნენ, მაგალითად, ფილმ-იგავ „შერეკილებს“, სადაც აღწერილი რეალობა მთლიანად მოგონილი და პირობითი იყო.

ხომ საინტერესოა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები 70-იან წლებში? როგორი იყო არქიტექტურა, დიზაინი, როგორი ტრანსპორტი დადიოდა? გარწმუნებთ, თქვენ ამას ქართულ კინოში ვერ ნახავთ, გარდა ერთი ფილმისა — ლანა ღოღობერიძის „როცა აყვავდა ნუში“. 70-იან წლებში, როგორც არ უნდა ეძებოთ რეალობა კინოში, ის არ ჩანს. ნახავთ რეხვიაშვილის შესანიშნავს ფილმებს, მაგრამ სინამდვილე იქაც პირობითია. საშა რეხვიაშვილი თვლის, რომ რეალობა მაინც მალე ძველდება და სჯობს ყველაფერი პირობითი იყოს. შეიძლება, რეხვიაშვილი მართალიც იყოს. როცა დღეს ვუყურებთ ფილმს „როცა აყვავდა ნუში“, ჩვენი თვალი უფრო აღწერილ გარემოს ათვალიერებს, ვიდრე ფილმს უყურებს.

90-იანებში, როცა ამდენი რამ გავიარეთ — გამსახურდიას არჩევა, სამოქალაქო ომი და გაჩნდნენ პოლიტიკოსები, რომელთაც რეალობის გრძნობა მართლა არ ჰქონდათ — სულ ბოგომოლოვის წერილი მახსენდებოდა, რომელიც თითქოს კინოს ეძღვნებოდა, მაგრამ ზოგადად, ქართულ ხასიათს, სინამდვილისადმი ქართველების დამოკიდებულებას აღწერდა.

წელს ბერლინის კინოფესტივალზე ირანულმა ფილმმა გაიმარჯვა. ფილმის დასრულების შემდეგ ვფიქრობდი იმაზე, რომ გერმანიაში, სადაც ამდენი ნიჭიერი ადამიანია, ამდენი ფულია კინოსთვის, დღეს საშინელ ფილმებს იღებენ. ირანში კი, სადაც ამხელა ცენზურაა, კინო ვითარდება. რა გამოდის, ხელოვნება კარგია მხოლოდ იქ, სადაც გალიაშია? იქნებ, ადამიანს აქვს სურვილი, წინააღმდეგობა გაუწიოს რაღაცას და ხელოვნება ამ წინააღმდეგობას გამოხატავს. ასეა ირანში და ასე იყო საქართველოშიც წნეხის დროს.

ბოლოს მინდა გავიხსენო მერაბ კოკოჩაშვილის ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, სადაც კარგად ჩანს, რომ მითია, თითქოს შევარდნაძის დროს ქართული კინო თავისუფალი იყო. თუ არ ჩავთვლით გელა კანდელაკის ფილმს „უბედურება“, რომელიც არ გამოვიდა ეკრანებზე, ეს არის ერთ-ერთი უკანასკნელი ფილმი, რომელიც შევარდნაძის დროს აკრძალეს. ფილმის პერსონაჟს თამრიკო ჰქვია. მაშინ, როცა ფილმი ეკრანებზე უნდა გამოსულიყო, თამრიკო ჩხეიძე დააპატიმრეს. კარგი იქნება, თუ ბატონი მერაბი ამაზე თვითონ გვიამბობს.

იქნებ მართალი იყო ბოგომოლოვი და თავისუფლება დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენი კინოსთვის? ახლა რასაც ვამბობ, ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ. შეიძლება, ამას საბჭოთა კომპლექსები მალაპარაკებს, მეც ამ თაობას მივეკუთვნები. შეგიძლიათ შემისწოროთ, მაგრამ ფაქტია, — როგორც კი მარწუხები მოიხსნა, აღარც ქართული კინოა ისეთი, როგორიც 60-70-იან წლებში იყო.

მერაბ კოკოჩაშვილი — გოგიმ ძალიან ზუსტად დაახასიათა ის პერიოდი. მე ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვილაპარაკებ. ეზოპეს ენაზე ვსაუბრობთ და „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ იმიტომ კი არ აკრძალეს, რომ იქ პირდაპირ იყო ნათქვამი სიმართლე;

არამედ იმიტომ, რომ ფილმში ნაჩვენები იყო მეცნიერი, არქეოლოგი, რომელმაც აღმოაჩინა, გახსნა, მიწიდან გაათავისუფლა ქვეყნის წარსულისთვის უმნიშვნელოვანესი რამ და როცა არც ხელისუფლებამ და არც არავინ გამოიჩინა ყურადღება, ისევ მიწაში ჩაფლა. ეს ყველაფერი ეზოპეს ენით იყო ნათქვამი — მიწაში უკეთ შეინახება ის, რაც წესით გახსნილი უნდა იყოს. საქართველოში ბევრს ვმოგზაურობდი და შულავერში ვნახე ჩვ.წ.-აღ-მდე VI ათასწლეულის გათხრილი სოფელი, არაჩვეულებრივი ექსპონატები, ათასწლეულების განმავლობაში ერთმანეთზე ნაშენი მრგვალი შენობები, რაც იმას ნიშნავდა, რომ 10-15 საუკუნის განუწყვეტელი ცხოვრების ნაშთი იყო დარჩენილი. დღეს იქ რომ მიხვიდეთ, აღარაფერია, ისევ მიწით დაფარეს. „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ სწორედ ამ ისტორიის გამოძახილია.

ქართულ კინოს იმიტომაც ჰქონდა წარმატებები, რომ მას მცოდნე ადამიანები ხელმძღვანელობდნენ: კაკო დვალიშვილი და რეზო ჩხეიძე, ვის ზურგზეც გადაიარა ყველაფერმა, რაც იმდროინდელ ქართულ კინოში ხდებოდა. როცა „ცხელი ზაფხულის სამი დღე“ წელიწადნახევარი არ გაუშვეს ეკრანებზე, კაკო დვალიშვილმა მოახერხა, შევხვედროდი ედუარდ შევარდნაძეს[9]. ის გაჯავრებული დამხვდა, თუმცა, ნელ-ნელა მოლბა და მითხრა, ფილმიდან არაფერს ამოჭრი, მაგრამ გავუშვებთ ისე, როგორც ჩვენ ჩავთვლით საჭიროდო. ვერ გავიგე, რას ნიშნავდა მისი ეს ნათქვამი. შევარდნაძემ მითხრა — ეროვნული საკითხი ახლა ყველაზე მწვავეაო, ეს ის პერიოდია, როცა ენასთან დაკავშირებით უკვე მომხდარია ამბები (1978 წ. 14 აპრილი). გავიდა კიდევ ნახევარი წელიწადი და ფილმი ეკრანებზე გაუშვეს. მე და ჩემი მეუღლე კინოთეატრ „ამირანში“ წავედით, იქ კი აღმოჩნდა, რომ ორი სერიის ბილეთი უნდა მეყიდა. გამიკვირდა, სურათი ერთსერიიანი იყო. შევედით დარბაზში და დაიწყო სულ სხვა, დოკუმენტური ფილმი, რომელსაც ერქვა — „ქართული არქეოლოგია გუშინ, დღეს, ხვალ“. 50-წუთიანი ფილმი იყო. შემდეგ დაიწყო „ცხელი ზაფხულის სამი დღე“...

გიორგი გვახარია — თანაც ფილმს წინ ტიტრი დაურთეს, როგორც მახსოვს...

მერაბ კოკოჩაშვილი — ახლა მოვჭერი ეს ტიტრი — იქ ეწერა, რომ ყველაფერი, რასაც ფილმში ნახავთ, 1972 წლამდე ხდებოდაო. იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლება ისე გაიწაფა, რომ ისინი თავად ეწეოდნენ დამატებით შემოქმედებას. თვითონ პოულობდნენ ფორმას, როგორ უნდა წარედგინათ ფილმები საზოგადოებისთვის. მაშინ შევარდნაძემ პირდაპირ მითხრა, შენ არ ფიქრობ, მაგრამ ასოციაციები ჩნდება ადამიანებთან, რომლებიც შეიძლება თქვენი გმირების პროტოტიპებად წარმოვიდგინოთო. ასეა თუ ისე, შევარდნაძე ნიჭიერი ადამიანია და იუმორს არასდროს კარგავდა.

ბატონმა გოგიმ ბოგომოლოვი ახსენა. როცა მოსკოვიდან თბილისში ბევრი რეჟისორი და კინომცოდნე ჩამოვიდა სამდივნოს სხდომის ჩასატარებლად, ისინი შევარდნაძემ მიი-

ღო და ქართულ კულტურაზე ესაუბრა. მართალია, ბოგომოლოვი ვერ მოთაფლა, მაგრამ სხვები უკვე სხვანაირად ლაპარაკობდნენ...

გიორგი გვახარია — ბოგომოლოვი წესიერი კაცია, ბატონო მერაბ...

მერაბ კოკოჩაშვილი — რაც შეეხება ეზოპეს ენას, ამ ენით ჯერ კიდევ 20-იან წლებში ლაპარაკობდნენ. გავიხსენებ კოტე მიქაბერიძის 1929 წელს გადაღებულ ფილმს „ჩემი ბებია". ის ჩაფიქრებული იყო, როგორც აგიტფილმი ბიუროკრატიის საწინააღმდეგოდ.მაგრამ ისე გააკეთა კოტე მიქაბერიძემ, ისეთი დეკორაცია შექმნა, რომ ფიქრობდი არა ერთ-ორ ბიუროკრატზე, არამედ მთელი ქვეყნის ბიუროკრატიულ სისტემაზე. „ჩემი ბებია" ამიტომ აკრძალეს. ფილმი დაახლობით 50-60 წლის შემდეგ გამოვიდა. კოტე მიქაბერიძეს — უნიჭიერეს ადამიანს აღარ მისცეს საშუალება სერიოზულად ემუშავა კინოში.

არ დამავიწყდება ერთი დღე. ესეც ჩვენი კინოს ისტორიაა. კოტე მიქაბერიძე კინემატოგრაფიის კავშირში, კინოს სახლის დიდ დარბაზში ერთ-ერთ სხდომას ესწრებოდა. როცა შეხვედრა დასრულდა, ყველანი გამოვედით. გარეთ ვიდექით, როცა გვითხრეს, ვიღაც კაცი დარჩა დარბაზშიო. შევბრუნდით და კოტე მიქაბერიძე დაგვხვდა გარდაცვლილი. ასეთი ტრაგიკული ბედისა აღმოჩნდა ეს უნიჭიერესი ადამიანი. დღეს ევროპის კინოსკოლებში უჩვენებენ „ჩემ ბებიას", როგორც აბსურდის კინოკლასიკას.

ჰაიდეგერის ერთ გამონათქვამს გავიხსენებ: ის ამბობს, რომ ხელოვნება არის ჭეშმარიტების მიერ საკუთარი თავის დადგინება ქმნილებაში. ქმნილებაში, რომელიც მშვენიერებაა და ინდივიდუალურია. დაახლოებით ასეა ნათქვამი. ეს ფრაზა იმიტომ გავიხსენე, რომ ხელოვნებამ აუცილებლად უნდა ეძებოს ჭეშმარიტება. ქართული კინოში 60-იან წლებში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მთელი თაობა იბრძოდა. საინტერესოა ისიც, რომ ყველა ხელოვანმა იპოვა ენა, რომლითაც სათქმელს იტყოდა. პირდაპირ თქმა, ცხადია, უფრო რთულია; ამიტომაც ოთარ იოსელიანს ძალიან უჭირდა, ლანა ღოღობერიძეს და ელდარ შენგელაიასაც უჭირდათ, მეც. უნდა ყოფილიყავი ეშმაკი, ჭკვიანი, უნდა გეპოვა რაღაც ხვრელი, საიდანაც მოახერხებდი სიმართლის თქმას.

გავიხსენებ უაღრესად საინტერესო მიშა კობახიძეს, რომელსაც სამი ფილმის შემდეგ აუკრძალეს კინოს გადაღება. ის ხან ერთ სტუდიაში იყო, ხან მეორეში. პირველი ფილმი კინოსტუდიაში დაიწყო და ტელეფილმების სტუდიაში დაასრულა. მისი ყველა ფილმი საინტერესოა, მაგრამ უკანასკნელში — „მუსიკოსებში" — ორი გმირის და მუსიკის საშუალებით პირდაპირაა ნათქვამი, თუ რა მძიმეა და, ამავე დროს, რა მშვენიერია ადამიანის ცხოვრება. დაუვიწყარია ეპიზოდი, როდესაც ჩხუბის შემდეგ მთავარი გმირი ფონენდოსკოპს იდებს თავზე, წამლებს ყლაპავს და აფეთქებების ხმაურს მუსიკა ცვლის. სრულიად განსხვავებულია მიშა კობახიძის ენა.

ჩვენ ყველას გვაწუხებდა ის, რომ შემოქმედებითი და პიროვნული თავისუფლება არ გვქონდა. ჩვენი ყველა ფილმი ამაზეა. საბოლოოდ, სხვა არაფერი გვიკეთებია, გარდა იმისა, რომ გვეთქვა: ადამიანი არის თავისუფალი, ადამიანი არის თავისი ეროვნული თვისებების მატარებელი, რომელთა გარეშეც ის ამ ერის წარმომადგენელი ვერ იქნება. ჩვენ ყველანი ამას ვაკეთებდით. ელდარ შენგელაიამ განსაკუთრებული ენა იპოვა ჯერ რეზო გაბრიაძესთან, შემდეგ — რეზო ჭეიშვილთან ერთად. „შერეკილებში“ დატყვევებულები თავისუფლებისკენ მიფრინავენ. ელდარმა ეს ისე გააკეთა, რომ წინ ვერავინ აღუდგა. ის აღმოჩნდა უფრო ჭკვიანი, ვიდრე მთელი სისტემა. თანაც, ყველა მიხვდა, რაც გააკეთა, მაგრამ საბოლოოდ სისტემამ თვალი დახუჭა. რაც შეეხება „ცისფერ მთებს“, იქ პირდაპირაა ნაჩვენები იმ სისტემის ნგრევა. ელდარს წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს.

ცხადია, უფრო მეტად უჭირდათ იმათ, ვინც ცდილობდა სათქმელი პირდაპირ ეთქვა. გავიხსნებ ოთარ იოსელიანს, გიორგი შენგელაიას ზოგიერთ ფილმს, ლანა ღოღობერიძეს. მე ეზოპეს ენით არ მილაპარაკია და ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად, ჩემი სისუსტეც იყო. გავიხსენებ ფილმს, რომელიც ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით გადავიღე, სადაც მოქმედება საქართველო-თურქეთის საზღვარზე ხდება. იქით — თურქეთია, სადაც ქართველები ცხოვრობენ, აქეთ სარფია, საქართველო, შუაში საბჭოთა ჯარისკაცები დგანან. ერთი ბიჭია, ასევე მესაზღვრე, რომელიც, როცა გვერდზე ქართველის სახლი იწვოდა, იბრძოდა იმისთვის, რომ წყალი მიესხა და გადაერჩინა. ეს ეპიზოდი ამომიჭრეს. მაშინ ყველა ფილმს მოსკოვში ვაბარებდით. ჩავიტანე ფილმი მოსკოვში. მიმითითეს დარბაზი, სადაც ფილმი უნდა ეჩვენებინათ. შევედი და სულ სამხედროები — გენერლები, პოლკოვნიკები, მაიორები დამხვდნენ; გამოვბრუნდი, ვიფიქრე — შემეშალა, სხვა დარბაზში მოვხვდი-მეთქი. მოვდივარ და შემხვდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და შემაბრუნა ისევ იმ დარბაზში. დამთავრდა ფილმი, ადგა გენერალი და მეკითხება — წაიკითხეთ საბჭოთა არმიის წესდება? — ვუთხარი, კი, წავიკითხე, ჯარშიც ნამყოფი ვარ-მეთქი. ცუდად იყავი შენ ჯარშიო; რას ნიშნავს, როცა სამხედრო სამსახურს ამთავრებს შენი გმირი, სიცილ-ხითხითში პანჩურს რომ ურტყამენო. ვუპასუხე, მეც ასე გამომიშვეს, ჯარიდან რომ მოვდიოდი-მეთქი. უცებ გენერალმა მუშტი დაარტყა მაგიდაზე და დაიძახა — *„Встать!“*. ყველანი, მაიორები, პოლკოვნიკები ფეხზე ადგნენ, მე არ ვიცი, უნდა ავდგე თუ არა, მეხება თუ არა მე ეს ყველაფერი. მეუბნება — სამი თვის მერე პენსიაში გავდივარ, და რა, მეც პანჩურს ამომარტყამენო?! 25 წუთი, ყველაფერი, რაც მთავარი იყო, ამომიღეს ფილმიდან. ნოდარ დუმბაძის რომანი კი სრულად დაიბეჭდა რუსულადაც. როგორც ჩანს, კინოსა და ლიტერატურას შორის მაინც იყო დიდი განსხვავება, კინო ზემოქმედების უფრო აქტიური ფორმაა.

შესანიშნავი იყო ქართული კინოს ის წლები, როდესაც ბევრი სხვადასხვა მიდრეკილების, სურვილის, ინტერესის მქონე ხელოვანი თავისი ენით ცდილობდა ეთქვა სათქმელი. გოგიმ თქვა, ნუთუ გალიაში უნდა იყოს ადამიანი, რომ საკუთარი სათქმელი განსაკუთრე-

ბულად თქვასო; ვფიქრობ, რაც უფრო დიდი წინააღმდეგობა აქვს ადამიანს, მით უფრო მეტს აღწევს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი თავისუფალი არ უნდა იყოს.

ვფიქრობ, დღევანდელი თაობა ვერ პოულობს იმ წინააღმდეგობას, ვერ პოულობს იმას, რასაც უნდა დაუპირისპირდეს. არა მგონია, რომ დღეს ისეა ფილმის გადაღების შესაძლებლობები შეზღუდული, რომ შეუძლებელია ფილმის გადაღება. რადგან დღევანდელი ხელისუფლება არ იძლევა კინოსთვის საკმარის ფულს, ის კონტროლსაც არ ამყარებს. ყველა ხელოვანი სრულიად თავისუფალია — თქვას ის, რაც უნდა. ბევრი სტუდენტი მყავს და ვიცი, რომ მუშაობენ, ჩემთან საინტერესო სცენარები მოაქვთ. ერთმა ჩემმა სტუდენტმა უკვე გადაღებაც დაიწყო. მესმის, რომ პატარა კამერებით გადაღებულ კინოს დიდ ფესტივალებზე ვერ გაიტან, მაგრამ ეს კამერები აძლევთ შესაძლებლობას, თუნდაც ისე იმუშაონ, როგორც ნეორეალიზმისა და ანდერგრაუნდის დროს მუშაობდნენ. ნელ-ნელა კამერა კალამს, ფურცელს უახლოვდება. პერსპექტივას ახალგაზრდებში ნამდვილად ვხედავ. ეზოპეს ენა კი მშვენიერია — სულ ერთია, ის საბჭოთა სისტემას უპირისპირდება, თუ რომელიმე სხვას.

ლია ჯაყელი — ეზოპეს ენა, ცხადია, ზოგადად, თვითგამოხატვის ერთ-ერთი ხერხია. ყველა ხელოვანს თავისი ენა აქვს. თუ არა აქვს, მაშინ ის აუდიტორიამდე ვერ მიაღწევს. ეზოპეს ენით რომ ილაპარაკო, ეს ენა ვინმეს უნდა ესმოდეს კიდეც. ლათინური იმისთვისაა მნიშვნელოვანი, ვინც იცის, თორემ დანარჩენებისთვის მკვდარი ენაა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში მაყურებელიც მზად იყო, რაღაც ისეთში დაენახა იგავურად ნათქვამი სასურველი, სადაც შეიძლება არც ყოფილიყო ჩადებული ამგვარი აზრი. მაგალითად, „მიმინოში“, როცა ვალიკო ვერტმფრენს ჯაჭვით აბამს, ადამიანები ამ ჯაჭვში რაღაც სიმბოლოს ხედავდნენ. როცა „ცისფერ მთებში“ შენობა ინგრევა, ეს ცხადია, სისტემის ნგრევად აღიქმებოდა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რამდენად კარგად ამბობდა ადამიანი იგავური ენით სათქმელს. ოჯახებშიც საუბრობდნენ იგავურ ენაზე, მაგრამ ეს საუბრები ისევ იქ რჩებოდა.

გიორგი გვახარია — ლიამ ახლა ახსენა, რომ უბრალო ჯაჭვიც რაღაცას ნიშნავდაო. ეზოპეს ენას ორმაგი დატვირთვა აქვს; ერთი მხრივ, ეს შემოქმედებით პროცესს ზრდის — როცა რაღაცას უყურებ და ფიქრობ, რომ ამის უკან კიდევ რაღაც იმალება, აქტიურად ხარ ჩართული, ფიქრობ; მეორე მხრივ, ჩვენ დღესაც ხშირად გვგონია, რომ რაღაცის უკან რაღაც დგას. ესეც საბჭოთა ცხოვრების გავლენაა. მუდმივად შეთქმულების თეორიებში ვცხოვრობთ. ქვეტექსტების ძებნის ვნებას მე ეზოპეს ენის მემკვიდრეობას დავარქმევდი.

მერაბ კოკოჩაშვილი — ეზოპეს ენა აითვისეს არა მხოლოდ შემოქმედებმა, არამედ, ხელისუფლებამაც. მაგალითად, ამბობდნენ, ოთარ იოსელიანმა იმიტომ დააწერა 49-ე ნომე-

რი გაფუჭებული ღვინის კასრს, რომ რევოლუციის 49-ე წლისთავია, გაფუჭებული ღვინო კი საბჭოთა სისტემის გაფუჭებას ნიშნავსო. იოსელიანი ამბობდა, მე არ მიფიქრია ამაზეო. ხელისუფლებას ისე გადაუტრიალდა ტვინი, რომ ყველაფერში ეზოპეს ენა ელანდებოდა.

გიორგი გვახარია — ვისაც გაინტერესებთ, გირჩევთ, წაიკითხოთ აკაკი ბაქრაძის მოგონებები, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა. ბოლო გამოცემას ჰქვია „ეკრანსა და სცენაზე“. აკაკი ბაქრაძე კინოსტუდიაში რედაქტორად მუშაობდა და ცენზორების მთელი იდიოტიზმი და მოსკოვთან ურთიერთობა ამ წიგნში კარგადაა აღწერილი. ეზოპეს ენა ჯერ კიდევ სტალინს ჰქონდა ათვისებული. ცნობილია, რომ სტალინი ერთ-ერთ მიღებაზე მიუახლოვდა ლუბოვ ორლოვასა[10] და მის ქმარს — ალექსანდროვს და ჰკითხა, — ხომ არ აბრაზებთ ჩვენს სახალხო მსახიობს, ორლოვას? იცოდეთ, ჩვენ თქვენ ჩამოგახრჩობთო. რაზეო — შეეკითხა შეშინებული ალექსანდროვი. რაზე და კისერზეო. ღამით ალექსანდროვმა გააღვიძა ცოლი, ეს რა მითხრა ბელადამაო. რეჟისორი სტალინმა გააფრთხილა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, სტალინი ამის ოსტატი იყო.

მარინა ვალეიშვილი, ბიოლოგი — ამ ყველაფერს, შეიძლება, ცოტა სხვა მხრიდანაც შევხედოთ. იქნებ არ იყო ეზოპეს ენა საბჭოთა მოვლენა და ის რეალობა, რაც საბჭოთა კავშირში იყო, სწორედ ეზოპეს ენით უნდა დაგენახა. იქნებ ყველაფრის პირდაპირ ჩვენება ნაკლებეფექტური ყოფილიყო. „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ საბჭოთა რეჟისორს არ გადაუღია, მაგრამ ეზოპეს ენით ამ ფილმმა გაცილებით მეტი თქვა, ვიდრე მაგალითად, „ჯეიმს ბონდმა“.

ლია ჯაყელი — ჩვენ იმაზე გვიწევს საუბარი, რომ საბჭოთა დროს ეზოპეს ენას იძულებით მიმართავდენენ, თორემ იგავის ენა, ალბათ თვით ეზოპემდეც კი იყო... როცა ნიჭიერი შემოქმედები ტოტალურად მიმართავენ ეზოპეს ენას, მაშინ სწორედ იძულებასთან გვაქვს საქმე.

გურამ წიბახაშვილი, ფოტოგრაფი — იქნებ ის ცენზორებიც ეზოპეს ენით ცენზორობდნენ? შეიძლება ისიც ეზოპეს ენაა, ფილმს რომ წააწერეს, ეს ყველაფერი 1972 წლამდე ხდებოდაო?

ლანა ღოღობერიძე, კინორეჟისორი — ეზოპეს ენა ერთ-ერთი საშუალება იყო. ერთი მხრივ, დიდი ბედნიერება გვქონდა, იმიტომ, რომ ფილმებს ვიღებდით. გამარჯვებებიც იყო, ჩავარდნებიც, მაგრამ საქართველოში კინოცხოვრება დუღდა. მაშინ ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ საქართველო კინოს ქვეყანაა. ყველაფერი დამავიწყდა, ჩემი თარგმანებიც, ფილოლოგიაც, საერთოდ აღარაფერი მახსოვდა კინოს მეტი. მეორე მხრივ, საშინელი

ცენზურა იყო, დღეს ამის წარმოდგენაც კი ძნელია. ცეკაში რაღაცას რომ მეტყოდნენ, ქუჩაში მოვდიოდი და ვტიროდი. ცენზურა ხშირად აბსოლუტურად აბსურდული იყო.

ჩემს პირველ ფილმში სამი ნოველაა. ერთი — „თავადის ქალი მაია". რადგან თავადის ქალზე იყო, დიდი ღელვა გამოიწვია, ერთი თვე მიმდინარეობდა ფილმის მიღება. ყოველ დღე უყურებდნენ, მსჯელობდნენ იმაზე, საბჭოთა მაყურებლისთვის იყო თუ არა საინტერესო თავადის ქალის ვნებები. ფილმი იმიტომ გადარჩა, რომ კულტურის მინისტრის მრჩეველს მოეწონა და თქვა, მშვენიერი სურათიაო. სწორედ ამ ფილმით მიმიწვიეს ბერლინში, ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საზღვარგარეთ. ფილმი რომ დაიწყო, მხოლოდ მაშინ გავარკვიე, რომ ერთი ნოველა ამოეჭრათ და ასე დასახიჩრებული გაეგზავნათ. მაშინაც ბევრი ვიტირე...

არაჩვეულებრივად საინტერესოა, როგორ მუშაობდა ცენზურა. ეს აბსურდი ჩვენი რეალობა იყო. ბოგომოლოვის ის სტატია, რომელიც გოგიმ ახსენა, მართლაც ძალიან ამაღელვებელი იყო: ყველანი დარაზმულები და საშინლად აღშფოთებულები ვიყავით. მაგრამ ბოგომოლოვი სწორედ იმას გულისხმობდა, რომ ჩვენს ფილმებში არ იყო ასახული საბჭოთა სინამდვილე.

თუმცა, საქართველოში ყველაფერს მაინც რაღაცნაირი იუმორისტული და კუსტარული ხასიათი ჰქონდა. სტალინის წლებს არ ვგულისხმობ, პირადად მაქვს გამოვლილი მთელი ტერორი. ერთხელ ელდარ შენგელაია და მე დევი სტურუამ, რომელიც თან ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, თან ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, დაგვიბარა და გვითხრა — ახლა ისეთი ბრძოლა მიდის ახალგაზრდული კინოს წინააღმდეგ, გეხვეწებით, სადმე თქვენს ფილმებში სიტყვა „კომუნისტი" ახსენეთო. მე და ელდარმა საშინლად ვიუარეთ. კარგით, მაშინ სიტყვა „კომკავშირელი" მაინც ახსენეთო, ესეც ვიუარეთ და ისე წამოვედით, ვერ დაგვითანხმა.

ჩვენს ფილმებში ნამდვილად არ ჩანდა საბჭოთა სინამდვილე და ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილისგან გაქცევის მცდელობა იყო, შეიძლება სისუსტეც. ქართულ კინოში არც ერთი ფილმი არ იყო ბოლომდე საბჭოთა. რეზო ჩხეიძემ „რაიკომის მდივანი" გადაიღო, მაგრამ ისიც ქართული ფილმი იყო. რუსეთში სულ სხვა ტიპის ფილმებს იღებდნენ. თითქოს სისტემას ებრძოდნენ, მაგრამ მაინც სისტემის შვილები იყვნენ, საბჭოთა სინამდვილეს ასახავდნენ; მეორე მხრივ, ანდრეი ტარკოვსკი ფილოსოფიურ კინოს იღებდა.

მეც ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, დღეს რატომ ვეღარ ვიღებთ კარგ კინოს. ერთი მხარეა — ფინანსები და ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა კუსტარულად კინოს ვეღარ გადაიღებ, ეს პერიოდი კინომ უკვე გაიარა. წინააღმდეგობის გაჩენა, ალბათ, რაღაცას უშველის: როცა იცი, რომ რაღაცას უნდა ებრძოლო და უნდა თქვა, რომ თავისუფალი ხარ. ენას სულ არა აქვს მნიშვნელობა — სულ ერთია, ეზოპეს ენით იტყვი, ტარკოვსკის ფილოსოფიური, თუ ფარაჯანოვის სილამაზის ენით. აქ ნიჭიერებაა მთავარი. მიშა კობახიძე ვახსენეთ, მან თავისი სტილი შექმნა, ის სულაც არ არის იგავური, ეს კობახიძის სტილია.

არ მიმაჩნია, რომ დღეს თავისუფლები ვართ. სწორედ იმას ვფიქრობ, დღევანდელი „არათავისუფლება“ როგორ გადავლახოთ. ეს გაცილებით ძნელია. საბჭოთა სისტემასთან ბრძოლა ადვილი იყო, რადგანაც ზუსტად ვიცოდით, რომ ის ნამდვილი „არათავისუფლება“ იყო, საიდანღაც, შორიდან ჩვენს თავს მოხვეული. ახალი ხელოვნება რომ შევქმნათ, დღევანდელი „არათავისუფლება“ უნდა გადავლახოთ. ეს კი ნამდვილად ახალგაზრდობის საქმეა.

გიორგი გვახარია — მგონი, კიდევ ერთი რამაა მნიშვნელოვანი. ქალბატონმა ლანამ რუსული ფილმები ახსენა. იშვიათად მივმართავ ხოლმე ეთნოფსიქოლოგიას კულტურაზე საუბრისას, მაგრამ რუსულ მხატვრობაში არსებობს „პერედვიჟნიკობის“ თხრობითი და ნატურალისტური ტრადიცია. ამიტომ, ბუნებრივია, ეს ნატურალიზმი რუსულ კინოში გადავიდა. მეორეა ქართული ტრადიცია — უფრო პოეტური და უფრო სახეობრივი.

დღევანდელი საუბარი დავიწყეთ სტალინით, როგორც კინოს პროდიუსერით და დღევანდელი ხელისუფლებით, როგორც ქართული ტელევიზიის პროდიუსერით. საქართველოში, მართლაც, ძალიან მტკივნეულად უდგებიან ამ საკითხს. მახსოვს, როცა გამსახურდია მოვიდა ქვეყნის სათავეში, სანამ პრემიერმინისტრად დანიშნავდა ბესო გუგუშვილს, ის კინემატოგრაფისტთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მან კინომცოდნეები დაიბარა და უთხრა, მთელი ქართული კინო საბჭოთაა და ახლა ნამდვილი ქართული კინო უნდა გადავიღოთო. მაგალითად, ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ არ არის ქართული, საბჭოთა ფილმია, რადგან გმირს რუსი ცოლი ჰყავს და თან ბედნიერია, ეს ყველაფერი უნდა დამთავრდესო. ამ შენიშვნაში საბჭოთა ცენზურის ტრადიციას ვხედავ, რომელიც დღესაც ცოცხალია.

ლანა ღოღობერიძე — საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში, პერესტროიკის პერიოდში არანაირი ცენზურა არ იყო. „ორომტრიალი“ ისე გადავიღე, არავის არაფერი უკითხავს, მაგრამ შემდეგ, პირდაპირ გვახვევდნენ თავზე რაღაცებს. პოლიტიკაში ჩართვა სულ არ გვინდოდა, მაგრამ მოგვიწია; იმიტომ, რომ პირდაპირ წამოვიდა ეროვნული წნეხი, რომელიც მართლა საშინელი იყო. უცებ „ხალხის მტრები“ გავხდით, პირდაპირ გვეუბნებოდნენ, მტრები ხართო. ნოდარ წულეისკირი, მშვენიერი მწერალი, როცა კულტურის მინისტრი გახდა, მთავარ ცენზორად იქცა. გვეუბნებოდნენ, ქართული კინო არ არსებობს და ეროვნულობის დროშით უნდა შექმნათ კინოო.

ლელა გაფრინდაშვილი, ფილოსოფოსი — თუ რაიმე დამამახსოვრდება დღევანდელი შეხვედრიდან — ის, რაც ბატონმა მერაბმა კოტე მიქაბერიძეზე გვიამბო.

დასავლელ კინორეჟისორებზე როცა ვკითხულობ ან მათ ინტერვიუებს ვუსმენ, ჩვენი სივრცეების მთავარი განმასხვავებელი ისაა, რომ ისინი თავის პერსონალურ ბედს უკავ-

შირებენ იმას, რასაც აკეთებენ. საკუთარ შემოქმედებას მოწყვეტილად, ეგალიტარულად კი არ განიხილავენ, არამედ, სინამდვილის, მთელის ნაწილად. ამგვარი რამ ჩვენთან არ ხდება. ვფიქრობ, სწორედ ესაა განსაბჭოების პროცესის მთავარი დამაბრკოლებელი.

სვეტლანა ალილუევა[11] თავის მოგონებებში საშინელი სიტყვებით ლანძღავს მიხეილ ჭიაურელს და ამბობს, რომ ის აფერისტია, რომელიც ადამიანის ბედით თამაშობს. მაშინ ვერ გავიგე, რატომ ლანძღავდა. რომ არა გოგი გვახარიას ერთი გადაცემა, სადაც მას სოფიკო ჭიაურელი ჰყავდა მოწვეული, ჩემთვის ეს ამბავი დღემდე გაურკვეველი დარჩებოდა. სოფიკომ თქვა, რომ ბოლოს, როცა მამამისს არავინ უსმენდა, მან გადაწყვიტა, აეღო მაგნიტოფონი და ჩაეწერა მოგონებები. იდგა და ყვებოდა თავის ისტორიას, მაგნიტოფონს ელაპარაკებოდა. გოგიმ ერთი ნაწყვეტი გაუშვა, სადაც მიხეილ ჭიაურელი იგონებს, როგორ გაგზავნა „ბერლინის დაცემის“ სცენარი სტალინთან, სადაც მას იაკობის[12] ისტორია ჰქონდა შეტანილი; სცენარში შვილის გაწირვის ჰეროიზაცია ხდებოდა. ეს წაიკითხა სვეტლანამ და მამამისს უთხრა, რომ რეჟისორს მისი ძმის სიკვდილით უნდოდა კარიერის გაკეთება. საღამოს ჭიაურელი სტალინთან დაიბარეს. სტალინმა 5 საათი ალოდინა და ბოლოს სცენარი თავზე დაახია.

ეს საინტერესო ისტორიაა, ეს ისაა, რაც საბჭოთა კავშირში კულუარებში ხდებოდა: ვინ რეჟიმისგან დარბაზში უპატრონოდ კვდებოდა და ვინ მაინც ახერხებდა ფილმის გადაღებას. საინტერესოა, რა კომპრომისებზე მიდიოდნენ, აწუხებთ თუ არა ეს დღეს? თუკი ვინმე გამოვა და იტყვის, რომ კომპრომისებზე უწევდა წასვლა, ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი იქნება. მე მაქვს ამის დეფიციტი. იმ პერიოდის შესახებ ბევრ რამეს ვკითხულობ. არქივში ვზივარ და იმდროინდელ დოკუმენტებს ვეცნობი, რომელთაც ეტყობათ, რომ ბევრმა ადამიანმა წაიკითხა, მაგრამ დღემდე არ ვყვებით, ვდუმვართ. არ მესმის, ახლა რატომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ პირველ პირში იმაზე, რაც ხდებოდა.

ბატონმა მერაბმა თქვა, ახალგაზრდები რაღაცას ეძებენ, რომ დაუპირისპირდნენ და გადაიღონ ფილმებიო. „პოლიციის ჰიმნზე“, „მიშა მაგარიაზე“, ძეგლომანიაზე, როგორც ჩამოგდებაზე, ასევე დადგმაზე, ქუჩების სახელების გადარქმევა-გადმორქმევაზე — ამ ნეკროფილიაზე შეიძლება ფიქრი. ძიება შეიძლება არის, მაგრამ სახელის დარქმევა რთულია; შესაძლებელია, დრო და დისტანცირებაც იყოს საჭირო.

ანა კურდღელაშვილი — როგორ ფიქრობთ, იდენტობის კრიზისი ხომ არ არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღეს ხელოვნებაშიც კრიზისია? ჩემი აზრით, თითქოს იქმნება ახალი ქართველის, საქართველოს მოქალაქის სახე, რომელიც ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის.

გიორგი გვახარია — გერმანია გავიხსენეთ და დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ერთ-ერთი საინტერესო მიმართულება იყო 60-70-იანი წლების გერმანული კინო, როცა გერმანელმა

ახალგაზრდებმა წარსულის გააზრება დაიწყეს და ბევრ არაპოპულარულ ქმედებაზე წავიდნენ. როცა ლაპარაკობენ, თუ რაზე უნდა გადავიღოთ კინო, ალბათ, უნდა გადავაფასოთ წარსული, მაგრამ ეს მორალისტობაში არ უნდა გადავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ თენგიზ აბულაძის „მონანიებამ“ დიდი როლი ითამაშა პოლიტიკური თვალსაზრისით, მხატვრული თვალსაზრისით ბევრი დააშავა. მკვდრის ამოთხრის მითი იმდენად ემოციური იყო, რომ დღემდე გრძელდება. ჩვენ დღესაც ამ ნეკროფილურ წრეში ვცხოვრობთ — როცა ვთხრით მკვდარს, მაგრამ წინა თაობას არ ვეუბნებით, რა პრეტენზიები გვაქვს. თუ ლაპარაკია რევოლუციაზე, რევოლუცია უნდა დაიწყოს ლოგინში და ოჯახში. სწორედ ესაა იდენტობის თემა.

როცა წინა თაობაზე ვსაუბრობთ, ხშირად ვახსენებთ კონფორმიზმს. მე ისეთი ადამიანებისგან გამიგია სიტყვა „კონფორმიზმი“, რომლებიც მთელი ცხოვრება კონფორმიზმში ცხოვრობდნენ. ძნელია, როცა წინა თაობას და წარსულს ვესაუბრებით, არ იხმაროთ ეს სიტყვა, მაგრამ ძალიან გთხოვთ — ნუ იხმართ.

სტუდენტებს ხშირად ვუყვები ერთ ისტორიას: როცა საქართველოში ბერგმანის „შემოდგომის სონატა“ გამოვიდა, ჩემმა ორმა უფროსმა კოლეგამ სხვადასხვანაირად გაიგო ეს ფილმი. ერთმა თქვა, რა საშინელი შვილია, როგორ უწყობს დედას სასამართლოსო, მეორემ — რა საშინელი დედაა, შვილს როგორ ექცევაო. ორივეს პირადი პრობლემები ჰქონდა. სინამდვილეში ესაა საუკეთესო ფილმი სიყვარულზე, რომელიც მინახავს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სასტიკი დიალოგია დედასა და შვილს შორის, მათ შორის დიდი სიყვარული და გადაჯაჭვულობაა. ვისურვებდი, ორ თაობას ასე გაერკვია ერთმანეთთან ურთიერთობა — იყოს გადაჯაჭვულობა, ახლის განვითარების სურვილი და არა მხილება.

ლია ჯაყელი — მეც მგონია, რომ ყველაფერზე უნდა ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხილება. გოგის ვერ დავეთანხმები იმაში, რომ კონფორმიზმი არ უნდა ვახსენოთ. ყველაფერზე ვილაპარაკოთ, გამოვიყენოთ მდიდარი ქართული ლექსიკა; მაგრამ ვილაპარაკოთ ისე, რომ ერთმანეთი არ შევიძულოთ, არც კუთხეში მივაყენოთ ვინმე და არც კვარცხლბეკზე დავაყენოთ დაუმსახურებლად.

სქოლიო

[1] „მოდელირებული ქრონიკა“ — გადაცემა გავიდა ეთერში 2011 წლის მარტში.

[2] ალექსანდრ ზარხი (1908-1997) — საბჭოთა კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი.

[3] ბორის შუმიაცკი(1886-1938) — რევოლუციონერი, საბჭოთა ჟურნალისტი, დიპლომატი; 30-იან წლებში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კინოს.

[4] გრიგორი ალექსანდროვი (1903-1983) — საბჭოთა კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი. ავტორი ფილმებისა, „ვოლგა, ვოლგა“, „პირველი მაისი“ „ცირკი“ და სხვ.

[5] სერგეი ეიზენშტეინი (1898-1948) საბჭოთა კინორეჟისორი, კინოს თეორეტიკოსი, პედაგოგი. ავტორი ფილმებისა „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, ალექსანდრ ნეველი“, „ივანე მრისხანე“, „მექსიკური სიმფონია“ და ა. შ.

[6] პავლე მოროზოვი (1918-1938) — კულაკებთან მებრძოლი ბიჭი, რომელიც სასამართლოში გამოსვლის გამო ბაბუამ და ბიძებმა მოკლეს. სასამართლოში მან მამა ამხილა. პავლიკ მოროზოვის სახის ჰეროიზაციას საფუძველი დაუდო მაქსიმ გორკის სიტყვებმა — „ეს ბიჭი მონუმენტს იმსახურებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ძეგლს დავუდგამთ“.

[7] მიხეილ რომი (1901-1971) — საბჭოთა კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი; ავტორი ფილმებისა „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „ცოცხალი ლენინი“, „ჩვეულებრივი ფაშიზმი“.

[8] იური ბოგომოლოვი (1937-) — რუსი კინოკრიტიკოსი და არაერთი წიგნის ავტორი.

[9] ედუარდ შევარდნაძე (1928) — იმ პერიოდში ცენტრალური კომიტეტის (ცკ) პირველი მდივანი; მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტი (1992-2003).

[10] ლიუბოვ ორლოვა (1902-1975) — მსახიობი, საბჭოთა კინოს ვარსკვლავი, სსრკ სახალხო არტისტი.

[11] სვეტლანა ალილუევა (1929-2011) — სტალინის ქალიშვილი, ფილოლოგი, მემუარისტი; 1967 წლიდან ემიგრაციაშია.

[12] იაკობ ჯუღაშვილი (1907-1943) — სტალინის ვაჟიშვილი, დაიღუპა მეორე მსოფლიო ომის დროს.

სტალინის კულტის გავლენა ქართულ ნაციონალიზმზე: იყო თუ არა სტალინი ქართველი?

29.03.2011

მომხსენებელი: ზაალ ანდრონიკაშვილი – ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი/ბერლინის ლიტერატურის და კულტურის შესწავლის ცენტრის მეცნიერ–თანამშრომელი

მოდერატორი: ზურაბ ქარუმიძე – მწერალი

ზურაბ ქარუმიძე — ქართული ნაციონალიზმის განვითარების გზას თუ გადავხედავთ, შეიძლება, რამდენიმე ფაზა გამოვყოთ. პირველი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარიდან იწყება, მაშინ, როდესაც ნაციონალიზმი ევროპის (და არა მარტო ევროპის) ქვეყნებში ყალიბდება. ჩვენთან ეს თერგდალეულთა გამოსვლას უკავშირდება, თუმცა, მათი მამების შემოქმედებაშიც ისმის მსგავსი მოტივები. ეს ფაზა მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისამდე, სტალინიზმის ეპოქამდე გრძელდება. სტალინიზმმა ნაციონალური იდენტობის ამბები მთელ საბჭოთა იმპერიაში გადადღაბნა — დაიწყო სიმბიოზი რუსი მეღორე ქალისა და კავკასიელი მწყემსისა. გახსოვთ ალბათ, იყო ასეთი ფილმი „მეღორე ქალი და მწყემსი“[1]. ქართული ნაციონალიზმის განვითარების მეორე ფაზა კომპარტიის მე-20 ყრილობაზე[2] ხრუშჩოვის გამოსვლის შემდეგ დაიწყო. ამ ფაზას მე საბჭოთა ქართულ ნაციონალიზმს ვუწოდებდი. ის 80-იანი წლების ბოლომდე გრძელდება. 1989 წლის 9 აპრილიდან კი, ქართული ნაციონალიზმის ახალი ფაზა — პოსტსაბჭოთა ქართული ნაციონალიზმი ყალიბდება და იგი დღესაც არსებობს. ამ ორ ცხრიანს — 9 მარტსა და 9 აპრილს შორის გრძელდებოდა ქართული საბჭოთა ნაციონალიზმი, — ყველაზე ნარცისული, ინფანტილური და უპასუხისმგებლო ხანა ქართული ნაციონალიზმის ისტორიაში. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ის სტერეოტიპები, რომლებიც დღესაც გვიშლის არსებობაში ხელს.

რა თქმა უნდა, ქართველებს ნაციონალური სენტიმენტის შეურაცხყოფის განცდა გვქონდა, რასაც ის მესიჯები განაპირობებდა, რომლებსაც კრემლიდან პერიოდულად — 1956 წლის შემდეგაც, 60-70-იანებშიც ვიღებდით ხოლმე. 1968 წელს გამოვიდა „არაჩვეულებრივი გამოფენა“. მახსოვს, კინოთეატრში ვუყურებდი ამ ფილმს. იქ ერთი სცენაა, როცა ომი მთავრდება და სტალინის დიდი პლაკატი შემოაქვთ; იმ მომენტში დარბაზში ტაშისცემა ატყდა. მაშინ 11 წლის ვიყავი, ასეთი რაღაცები არ მაინტერესებდა, მაგრამ მაინც ძალიან გამიკვირდა. სულ ორიოდე წლის შემდეგ ბრეჟნევი ჩამოვიდა საქართველოში, გამოვიდა სიტყვით სპორტის სასახლეში, ჩამოთვალა ის ხალხი, ვინც საქართველომ შესძინა მსოფლიოს და როცა სტალინი ახსენა, დარბაზში ისევ აპლოდისმენტები გაისმა.

ამ პერიოდის ქართული ნაციონალიზმისა და სტალინის კავშირი აშკარაა. ცხადია, სტალინი ქართველი იყო. ამის დასტურია მისი პატრიოტული ლექსები — „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, იხარე ივერთ მხარეო“. მოგვიანებით, ის ვრცელ განზომილებებში გავიდა, მაგრამ ეს სხვა საკითხია. რა მომენტები წაახალისებდა სტალინიზმს საქართველოში? მაგალითად, ცნობილია, რომ 1945 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა, სტალინი ტაო-კლარჯეთის შემოერთებას აპირებდა და როგორც ამას წინათ ლაშა ბაქრაძისგან შევიტყვე, რაიკომის მდივანიც კი ჰყავდა დანიშნული იქ, გვარად მერკვილაძე. მაშინ პრესაში იბეჭდებოდა ცნობილი ისტორიკოსების — ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას სტატიები, ილო მოსაშვილმა პიესაც კი დაწერა ამ თემაზე. მოკლედ, დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. ამასწინათ ეს ამბავი ახალგაზრდებს მოვუყევი, მათ, ვისთვისაც სტალინი მხო-

ლოდ ნეგატიური ნიშნითაა აღბეჭდილი და ძალიან დიდი ემოცია გამოიწვია ამ ამბავმა. ყველამ თქვა — ნეტავ, გაეკეთებინაო!

ეს თემა ჩვენთვის დღესაც აქტუალურია. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია უახლეს წარსულს სწავლობს, რათა ის შეცდომები, რაც დავუშვით, აღარ გავიმეოროთ. ბელადომანია, რომელიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თან გვდევს, სწორედ საბჭოთა ეპოქიდან მოგვყვება. საინტერესოა ის ტენდენციაც, რომელსაც სოციალურ ქსელებში ვამჩნევ: საქართველოში, რუსეთთან შედარებით 10 წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც შემოვიდა ტენდენცია — ახალგაზრდების ერთი ნაწილი მემარცხენე იდეოლოგიით ინტერესდება. საინტერესოა, აქ როგორ ჩაჯდება სტალინი — როგორც მემარცხენე თუ როგორც ქართველი?

ზაალ ანდრონიკაშვილი — სტალინიზმის თემას სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ — ბევრი რამ, რასაც ის ეპოქა განაპირობებს, ბოლომდე გააზრებული არ გვაქვს. სტალინიზმი ჩვენი მემკვიდრეობაა. როდესაც მემკვიდრეობაზე ვლაპარაკობთ, ამაში ყოველთვის რაღაც დადებითს მოვიაზრებთ ხოლმე. მაგალითად, სვეტიცხოველს ან ფიროსმანს. სინამდვილეში მემკვიდრეობა შეიძლება უარყოფითიც იყოს — რადიოაქტიურად დაბინძურებული ტერიტორია, რომელსაც ვერაფერს უზამ — იმ სივრცეში ცხოვრება გიწევს და ან მისი გაწმენდა უნდა ისწავლო, ან ასეთ სივრცეში ცხოვრებას შეეგუო. ისტორიაც გარკვეულწილად ასეთი ტერიტორიაა.

ვერ ვიტყვით, რომ საბჭოთა მემკვიდრეობა ყველაფერში უარყოფითია, მაგრამ ფაქტია, მისი შესწავლა ცუდად დავიწყეთ. ჩვენ არა მარტო საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია გვაქვს, არამედ ოკუპაციის მუზეუმიც, რომელიც ცდილობს, წარსული ისე წარმოგვიდგინოს, თითქოს საქართველოს ისტორია 1921 წლიდან 1990 წლამდე გმირული წინააღმდეგობა იყო საბჭოთა ოკუპაციის მიმართ და არა კოლაბორაციონიზმის გრძელი ხანა ისევ ქართველების მონაწილეობით. გავრცელებულია აზრი, რომ ყველაფერი საბჭოთა რუსულია და არაფერი — ქართული.

თავის უფლებას მივცემ, გადავუხვიო ჩვენი დისკუსიის სათაურს და ვისაუბრო სტალინზე, არა როგორც კულტზე, არამედ როგორც კულტურაზე — ოღონდ საბჭოთა სახელმძღვანელოს გაგებით კი არა, არამედ კულტურაზე, როგორც ისეთ რამეზე, რომელიც ცხოვრების ნებისმიერ სფეროს წარმართავს — პოლიტიკასაც და ხელოვნებასაც.

რუს ემიგრანტსა და პუბლიცისტს ბორის გროისს[3] სტალინზე საინტერესო გამოკვლევა აქვს, რომელსაც *Gesamtkunstwerk Stalin*[4] ჰქვია. *Gesamtkunstwerk* — არც ქართულად და არც რუსულად არ ითარგმნება. ესაა რაღაც ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც ყველაფერი დანარჩენი ექვემდებარება. სათაური ორმაგია: სტალინი, როგორც *Gesamtkunstwerk* და სტალინის *Gesamtkunstwerk*. გროისს ჰქონდა საკამათო, მაგრამ საინტერესო თეზისი — სტალინი კი არ დაუპირისპირდა ავანგარდს, არამედ ის თავად იყო ავანგარ-

დის გაგრძელება, უბრალოდ, ისეთ მასშტაბებში, როგორიც ნებისმიერი ავანგარდისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა 1910-20-იან წლებში. სტალინი მართლაც მიზანმიმართულად ცდილობდა წაეშალა საზღვრები რეალობასა და ფიქციას შორის.

დავიწყებ იმით, რომ სტალინი ნაციონალისტი იყო. ესაა ჩემი პასუხი კითხვაზე: იყო თუ არა სტალინი ქართველი. ბევრს ალბათ გაუკვირდება, იტყვიან, ის ხომ იმპერიალისტი და ამხელა იმპერიის საჭეთმპყრობელი იყოო; მაგრამ ვფიქრობ და შევეცდები, დავამტკიცო კიდეც, რომ სტალინი იმპერიასაც ნაციონალისტური პრიზმიდან უყურებდა. მისთვის იმპერია დიდი ნაციონალური სახელმწიფო იყო. ამის დასამტკიცებლად არაა საკმარისი მისი ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, მაგრამ ამ ლექსში ჩადებულია რაღაც, რას უცნობია სტალინის დასავლელი მკვლევარებისთვის. ისინი სტალინს განიხილავენ, როგორც სსრკ-ს მმართველს და სრულიად შეუსწავლელია მისი ქართული წარმოშობა. ეს საინტერესოა, რადგან მან საქართველოდან სემინარიაში მიღებული განათლება წაიღო; ასევე, ის იდეებიც, რომელიც კარგად ჩანს თეორიულ ნაშრომში „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, რომელიც სტალინმა ლენინის დაკვეთით 1913 წელს დაწერა. ერის სტალინისეული დეფინიცია ხუთი კომპონენტისგან შედგება. ესაა ენის, ტერიტორიის, ისტორიის, კულტურისა და ეკონომიკის ერთობლიობა. აქაც ჩანს, თუ რამდენადაა დავალებული სტალინი ქართველი თერგდალეულებისგან. აქ მკვეთრადაა გატარებული ერთი ხაზი — ტერიტორიულობის საკითხი. ამ ნაშრომში სტალინი უნგრელ სოციალ-დემოკრატებს აკრიტიკებს, რომლებიც ამბობენ, რომ პროლეტარიატი ტერიტორიაზე მიბმული არ არის და ჩეხი მუშა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იმყოფება, ჩეხია. სტალინი ამტკიცებდა — ერს აუცილებლად სჭირდება ერთი კონკრეტული ტერიტორია და თუ ტერიტორიული ერთობა არ არსებობს, იქ სხვა ერთობები არ მუშაობსო. ეს მნიშვნელოვანი ბირთვია, რომელიც სტალინიზმში მოგვიანებით განვითარდა.

ძალიან ძნელია სტალინს ნაციონალისტი დავარქვათ იმ პოზიციის გათვალისწინებით, რომელიც მან 1922 წელს, ე.წ. ქართულ საქმეში მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ დაიჭირა. მემარჯვენე უკლონისტებს, ბუდუ მდივნის მეთაურობით, სტალინთან და სერგო ორჯონიკიძესთან კონფლიქტი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მოწყობის გამო. უკლონისტებს უნდოდათ, რომ საქართველო ცალკე შესულიყო სსრკ-ში, ხოლო სტალინი და ორჯონიკიძე ამიერკავკასიის ფედერაციის საბჭოთა კავშირში მთლიანად შესვლას ემხრობოდნენ და გაიტანეს კიდეც ეს ხაზი. ეს თვალსაზრისი, რომ საქართველო ამიერკავკასიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო, 1924 წლიდან შეიცვალა. ვფიქრობ, რომ სწორედ აქედან იწყება სტალინიზმიც.

1924 წლიდან ძალიან საინტერესო დებატები დაიწყო. ორი მთავარი პროტაგონისტი ამ დებატებისა სტალინი და ტროცკი[5] იყვნენ. ორი მთავარი დაპირისპირებული თეორია კი — მსოფლიო რევოლუცია და სოციალიზმის გამარჯვებაა ცალკე აღებულ ქვეყანაში. ტროცკი ფიქრობდა, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს მთელ მსოფლიოში; სტალინი კი ემხრობოდა

იდეას, რომ სოციალიზმი მხოლოდ ერთ სახელმწიფოში უნდა აეშენებინათ. მოგეხსენებათ, გაიმარჯვა სტალინის მოსაზრებამ და ამის შემდეგ ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო არა მარტო პოლიტიკაში, არამედ, ხელოვნებაშიც. შეიძლება, ისტორიკოსები არ დამეთანხმონ, მაგრამ სტალინიზმის ბევრი ფორმულა სწორედ ხელოვნების, და არა პოლიტიკის, სფეროში ჩამოყალიბდა.

სოციალიზმის გამარჯვება ერთ სახელმწიფოში ტერიტორიულ შეზღუდულობას ნიშნავს. ტერიტორიული შეზღუდვა კი გულისხმობს, რომ არსებობს არა მხოლოდ სივრცე, არამედ, დროც. ეს სივრცის, დროის და კანონის ერთობლიობაა. და რადგან ნებისმიერი ტერიტორია, მაგალითად, საბჭოთა კავშირი, რომელსაც სტალინი ძირითადად რუსული იმპერიის საზღვრებში მოიაზრებდა, გულისხმობს დროსაც, და გარკვეულწილად, ისტორიულ დროსაც, დაპირისპირებები ხელოვნების დარგებშიც დაიწყო.

1932 წელს სტალინის ბრძანებით დაიშალა „პროლეტარ მწერალთა ასოციაცია“. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტაში“ კარგად ჩანს ეს პროცესი. რაპპელები[6], უპირისპირდებოდნენ ძველ კულტურას. არა მხოლოდ რაპპელები არამედ, სხვა ჯგუფებიც — მაიაკოვსკი, ფუტურისტები, ავანგარდისტები ამბობდნენ, რომ ისტორია ესაა ბალასტი, რომელიც უნდა გადავაგდოთ. ქართველი რაპპელების ლოზუნგი იყო —“ჩვენი ეგნატე, თქვენი — ილიაო“. ილია ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთო. 1932 წელს რაპპი დაიშალა და მწერალთა კავშირის დაარსებაზე დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით მწერალთა კავშირი გახდა მოდელი მხატვართა, კომპოზიტორთა და სხვა კავშირებისა. შეიცვალა მიდგომა ისტორიის და მათ შორის, ლიტერატურის ისტორიის მიმართ. გორკის[7] ცნობილი გამოსვლის შემდეგ, სადაც მან სოციალისტური რეალიზმის მთავარი პოსტულატები ჩამოაყალიბა, მალაქია ტოროშელიძემ[8] წაიკითხა მოხსენება ქართული ლიტერატურის შესახებ, სადაც ისაუბრა არა იმაზე, რომ პროლეტარი მწერლები უმღერიან მუშათა კლასს, გასაბჭოებას, კოლექტივიზაციას და ა. შ.; არამედ, თქვა, რომ ქართული ლიტერატურა მეხუთე საუკუნიდან იწყება და შემდეგ მოჰყვა იმ ყველაფერს, რასაც ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ სკოლის წიგნებში დღესაც ვსწავლობთ. ეს ისტორია პირველად სწორედ მის მოხსენებაშია წარმოდგენილი. საქართველოს დაეკისრა როლი, შეექმნა მითი საბჭოთა კავშირის ისტორიის სიძველის შესახებ. საბჭოთა ისტორიის წიგნებში ეწერა, რომ ისტორია ურარტუდან იწყებოდა, რომელიც ოდესღაც სომხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1926—1937 წლებში ამ შეხედულების მასობრივი პროპაგანდა მიდიოდა. 1937 წელს მთელი კავშირის მასშტაბით აღინიშნა პუშკინის დაბადების დღე და, ამასთანავე, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის იუბილე. ამავე წელს ილია ჭავჭავაძის იუბილეც აღნიშნეს. კულტურული პოლიტიკა სრულიად შეიცვალა — თუკი მანამდე ილია ისტორიის სანაგვეზე უნდა გადაეგდოთ, ახლა ილია ისტორიული ნარატივის ცენტრალური ფიგურა გახდა. სწორედ ამ დროს დაიწერა ახალი ისტორიული ნარატივი, რომლის ერთ-ერთი ავტორი სტალინიც გახლდათ. კანდიდ ჩარკვიანის[9] მოგონებების მიხედვით სტალინი უშუ-

ალოდ მონაწილეობდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შედგენაშიც. ნიკო ბერძენიშვილიც იხსენებს, რომ სტალინი შეხვდა მას და სიმონ ჯანაშიას და მათ დაწერილ სახელმძღვანელოებში შესწორებები შეიტანა.

ის ისტორიული ნარატივი, რომელსაც ჩვენ დღეს ვხმარობთ, სტალინის მიერაც არის შექმნილი. ნებისმიერი ნარატივი ტელეოლოგიურია — ნარატივს მიზანი აქვს და თხრობა ყოველთვის მიმართულია რაღაცისკენ. ამერიკელ ისტორიკოსს, ჰეიდენ ვაიტს[10] აქვს წიგნი „მეტაისტორია", სადაც ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ ნებისმიერი ისტორიული თხრობა რაღაც ტროპიდანაა წამოსული — ან მეტაფორიდან, ან მეტონიმიიდან, ან სინეკდოხიდან, ან ირონიიდან და ა. შ. ყოველ მეტაფორას თავისი იმპლიკაცია აქვს. მაგალითად, მეტაფორული ნარატივი ყოველთვის რომანს შეესაბამება, რომანში აღწერილი ისტორია გმირული ეპოპეაა, რომელიც საბოლოოდ, ადამიანის, კაცობრიობის გამარჯვებით მთავრდება. სტალინის ისტორიული ნარაცია ამგვარია — მთელი ისტორია საბჭოთა კავშირამდე იყო ერთი მაგისტრალური ხაზი, რომელიც ჯერ სოციალიზმის, ხოლო შემდეგ კომუნიზმის გამარჯვებით გვირგვინდებოდა. ამ ისტორიული ნარატივიდან ამოყრილი იყო ბევრი რამ და, მაგალითად, საქართველოს რუსეთთან შეერთება, ან საქართველოს ევროპული გზა უალტერნატივოდ განიხილებოდა. შეიძლება ითქვას, რომ „უალტერნატივობების" მთელი სერიაა შექმნილი საბჭოთა ისტორიის სახელმძღვანელოებში. ისტორიის პირდაპირ ფუნქციონირებაზე, როგორც ტერიტორიული საკითხების ლეგიტიმაციის მექანიზმზე, ზურამ უკვე ისაუბრა, ამიტომ, მე აღარ შევჩერდები.

მნიშვნელოვანია სტალინი, როგორც სოციალისტური რეალიზმის მამა. ეს მიმდინარეობა 30-იანი წლების დასაწყისიდან იწყება. სოციალისტურ რეალიზმს ერთი გამოკვეთილი ავტორი არ ჰყავდა — სტალინი, ტროცკი, გორკი მონაწილეობდნენ დისკუსიებში, რომელთა შემდეგ გაჩნდა ეს მიმდინარეობა. სოციალისტური რეალიზმი რეალობასთან სპეციფიკურ დამოკიდებულებას გულისხმობს. გორკის ციტატას მოვიტან — *„Социалистический реализм утверждает бытие как деяние, как творчество, цель которого - непрерывное развитие ценнейших индивидуальных способностей человека ради победы его над силами природы, ради его здоровья и долголетия, ради великого счастья жить на земле"*[11] რას ნიშნავს რეალობის აღწერა მის ისტორიულ, რევოლუციურ განვითარებასთან მიმართებაში? ვიცით, რომ არანაირი ზუსტი აღწერა არ ყოფილა, არც ჩვენი, არც სხვისი, არც არანაირი გაგებით. ეს იყო რეალობის შექმნა, სტალინისთვის ეს იყო სივრცე, სადაც რეალობასა და გამონაგონს შორის ზღვარი ძალიან გამჭვირვალე გახლდათ.

რა შეხება ჰქონდა ამ ყველაფერს საქართველოსთან? ვთქვით, რომ რომანი ეპოპეაა კინოშიც და ლიტერატურაშიც. ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის მთავარი ჟანრი სწორედ რომანი ხდება. ისეთი რომანი, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას „ბელადი" იყო და პირდაპირ ეძღვნებოდა სტალინს, მაინც გამონაკლისს წარმოადგენდა. ძირი-

თადად, ამ პერიოდის ქართული რომანი ისტორიული მიმართულებით ვითარდებოდა. ოღონდ, ისტორია გადამუშავებული იყო და გამონაგონსა და რეალობას შორის საზღვარს შლიდა ისევე, როგორც იშლებოდა ეს ზღვარი აწმყოში. მაგალითად, სუხიშვილების ანსამბლს მოვიყვან. ილიკო სუხიშვილმა, და ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას, თავად გამოიგონა ქართული ცეკვები და კოსტიუმები. შემდეგ, წლების განმავლობაში იქმნებოდა წარმოდგენა, რომ სწორედ ასეთია ქართული ხალხური ცეკვა და ნაციონალური კოსტიუმი. დაახლოებით იგივე გააკეთეს ქართველმა მწერლებმა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამის გვიანდელი, მაგრამ ყველაზე ნათელი მაგალითია ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები", — სრულიად ფალსიფიცირებული ისტორიის კარგი მაგალითი, ჰეროიკული ნარატივის უკიდურესი ფორმა. სტალინისეული ფორმულა სოციალისტური რეალიზმისა: ფორმით სოციალისტური და შინაარსით — ნაციონალური გარკვეულ სიმბიოზს განიცდის. ფორმისა და შინაარსის მკაფიოდ გაყოფა არ შეიძლება, ეს ორი რამ მუდმივ ურთიერთქმედებაშია.

ჩემი მეორე თეზისი, რასაც სტალინის ნაციონალისტობის დასამტკიცებლად მოვიყვან, ისაა, რომ ქართული ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენ დღესაც გვაქვს, ფუნდამენტურადაა გადამუშავებული სტალინის პერიოდში და მეტ-ნაკლებად სტალინის მეთვალყურეობის ქვეშ.

საქართვლოში გიორგი სააკაძის კულტის შექმნა უშუალოდ სტალინის დამსახურება იყო. მიხეილ ჭიაურელმა — სტალინის მითების მთავარმა შემქმნელმა — „გიორგი სააკაძე" მეორე მსოფლიო ომის დროს გადაიღო. სტალინმა თავისი ისტორიული გენეალოგია გამოიგონა რუსეთშიც და საქართველოშიც: იმპერიული რუსეთი ივანე მრისხანეს დროს შეიქმნა, პეტრე პირველის გავლით და დაასრულა სტალინმა, ამგვარი პარადიგმა იყო საქართველოშიც: დავით აღმაშენებლის კულტი მანამდე არ არსებულა, თამარ მეფე იყო მთავარი ფიგურა. სტალინის ეპოქაში დაწერა კონსტანტინე გამსახურდიამ „დავით აღმაშენებელი", მოგვიანებით, შოთა მესხიამ — „ძლევაი საკვირველი" და ის ძეგლი, რომელიც დღეს დიღომში დგას, სტალინურად გაფილტრული დავით აღმაშენებელია. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი დავით აღმაშენებლის საფლავთან დებს ფიცს, შეიძლება გაცნობიერებული არა აქვს, მაგრამ სწორედ სტალინურ ტრადიციაში ეწერება.

1936 წლის კონსტიტუციის შემდეგ საქართველო აღარ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში და ყველა ეროვნება ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ეროვნული ეთნიკურს გაუთანაბრდა. მანამდე ეს ასე მკვეთრად ცხადი არ იყო. ამის შედეგია ზვიად გამსახურდიას ეთნიკური ნაციონალიზმი, რამაც მოიტანა კონფლიქტები ოსებთან და აფხაზებთან.

ვფიქრობ, ესაა ის ცენტრალური ბალასტი სტალინური მემკვიდრეობისა, რაც ჩვენთან დღესაც დიდ როლს თამაშობს. რას მოვუხერხებთ ამ მემკვიდრეობას, რომელიც ბედით არ მიგვიღია, მაგრამ რაღაცნაირად შეგვხვდა, ჩვენზეა დამოკიდებული.

ზურაბ ქარუმიძე — ზაალმა სტალინის ლატენტური ნაციონალიზმი გაგვიშიფრა და სტალინის პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ელემენტებზე ისაუბრა. საინტერესოა სტალინის ავანგარდისტობაც. მაგალითად, ისეთი არაკომუნისტური მოვლენა, როგორიც ჯაზი იყო, სტალინს 1947 წლამდე არ აუკრძალავს, ვიდრე ჩერჩილმა არ წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა, საიდანაც დაიწყო ცივი ომი. ცნობილია, რომ მანამდე სტალინი მუსიკოსებს იბარებდა და თვითონაც ინტენსიურად უსმენდა ჯაზს.

ცოტა მტკივნეულია, რომ ბევრი რამ, რაც ჩვენს მსოფლმხედველობაში და ჩვენს ქვეყანაში დღეს ხდება, ისევ და ისევ იმ კაცის ნამოქმედარის შედეგია, რომელსაც ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი. ერთი შენიშვნა მაქვს ნარატივების ტელეოლოგიურობასთან დაკავშირებით. ეს ძალიან რთული თემაა — გააჩნია, ნარატივს როგორ შევხედავთ: თუ კოლექტიურ ან ნაციონალურ ნარატივზე ვსაუბრობთ, ტელეოლოგია უფრო მომავალზე ორიენტაციას გულისხმობს. ნაციონალური ნარატივი, ძირითადად მაინც წარსულზეა ორიენტირებული. უპირველეს ყოვლისა, მისი მიზანი იდენტობის ფორმირება და ამ იდენტობის გამაგრებაა. რა თქმა უნდა, ეს სტალინს კარგად ესმოდა და საბჭოთა ადამიანის იდენტობაზე მუშაობდა.

ნოდარ ნათაძე, ფილოლოგი — დღეს ჩემთვის ახალი ბევრი რამ გავიგე; მაგალითად, სტალინის ავანგარდისტობის შესახებ. თუმცა, მაინც მგონია, რომ სტალინიზმის განსაზღვრისას ძირითადი ხაზი გამოტოვეთ. გავიხსენებ, რომ საბჭოთა ეპოქაში ერთადერთი მთავარი ლოზუნგი მუშაობდა — „დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთის ქვეყნებს“. რუსმა ხალხმა და მთლიანად ერმა შეგნებულად აირჩია სტალინური კურსი — მოვიჭიროთ ქამრები, დავთმოთ მორალი, დავთმოთ პირადი თავისუფლება, დავთმოთ დემოკრატიისკენ სწრაფვა, ოღონდ მივაღწიოთ რევანშს, დავეწიოთ და გავასწროთ იმას, ვისთანაც დღეს თავს ჩამორჩენილად ვგრძნობთ. როცა სტალინი თავის ხუთწლედებს ამართლებდა, მას, სხვათა შორის, გამოსვლებში ასეთი არგუმენტიც მოჰყავდა. „რუსეთს სულ ურტყამდნენ, ურტყამდნენ ჩამორჩენილობის გამო!“ ეს ლოზუნგი მართლა მუშაობდა. რუსმა ხალხმა ხელშეკრულება დადო ეშმაკთან: ყველაფერს ვთმობ, სამაგიეროდ, მინდა ზოგადსახელმწიფობრივი ძალა. ამის ანალოგიაა ფაშიზმიც. თომას მანის თვალს ეს არ გამორჩენია და „დოქტორი ფაუსტუსის“ ბოლოს საუბრობს ამ თემაზე. სტალინი მოკლეს მაშინ, როდესაც მან ეს ომი წააგო.

დარბაზიდან — რუსეთის მართლმადიდებელ იმპერიაში, როცა ერთი იდეოლოგია მეორეთი რევოლუციის შემდეგ შეიცვალა, სიონისტურმა ძალებმა გაიმარჯვეს, რომლებმაც რუსი ერის ექსპერიმენტად საბჭოთა კავშირი მოგვცეს. ცნობილია, რომ ბოლშევიკებში მხოლოდ ორი იყო არაებრაელი, დანარჩენები რუსი ებრაელები იყვნენ. მაინტერესებს, რა იყო ის ძირითადი, რაც სტალინმა სასულიერო სემინარიიდან წაიღო? იყო თუ არა ეს

ის საიდუმლო იარაღი, რომლითაც სიონისტურ ძალებს ებრძოდა? იარსებებდა თუ არა საქართველო, როგორც სახელმწიფო, თუ არ იქნებოდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია?

ზაალ ანდრონიკაშვილი — ნებისმიერი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ არსებობენ რაღაც სიონისტური ძალები და შეთქმულება, ერთ-ერთ ყველაზე საშინელ მონაჩმახად მიმაჩნია, რაც კი კაცობრიობის ისტორიაში არსებობს. სტალინმა სემინარიიდან წერაში კატეხიზმოს, კითხვა-პასუხის ფორმა წაიღო. არა მგონია, რაიმე მნიშვნელოვანი წაეღო. ბოლო შეკითხვის პასუხად გეტყვით, რომ ისტორიას არ გააჩნია თურმეობითი ფორმა. საქართველო დღემდე მოვიდა, როგორც ქვეყანა, რომლისთვისაც მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა მეოთხე საუკუნიდან განმსაზღვრელი იყო. იარსებებდა თუ არა საქართველო, მუსულმანური ქვეყანა რომ ყოფილიყო, ამაზე ვერავინ გასცემს პასუხს. თუ იარსებებდა, ის სულ სხვანაირი ქვეყანა იქნებოდა.

გიორგი გვახარია — სად იყო ილია ჭავჭავაძე? როცა მიხეილ ჭიაურელს სტალინზე ფილმების გადაღება აუკრძალეს, მან თქვა, — მე კიდევ ერთი კერპი, ილია ჭავჭავაძე მყავსო. რატომ მოხდა ეს?

მეორე შეკითხვა — რელიგიის, ბიზანტიის და მართლმადიდებლობის გარეშე არ შეიძლება სტალინიზმზე საუბარი. რა შეინარჩუნა მან აქედან? თუ გავიხსენებთ 1937 წლის დეკადას მოსკოვში, შეიძლება ის აღვწეროთ, როგორც სტალინის სურვილი — საქართველოს ისტორიას რუსეთის ისტორია დაეპყრო. არის ასეთი თვალსაზრისი, რომ სტალინი არ ყოფილა ქართული მოვლენა, რომ ის რუსი იყო. რატომ არ უნდა დავუშვათ მოსაზრება, რომ სტალინი ქართული მოვლენაა? 1937 წლის დეკადიდან აშკარად გამოიკვეთა სტალინის, როგორც ქართველი ნაციონალისტის როლი. გავიხსენოთ ისიც, რომ ექიმთა საქმე, კოსმოპოლიტების წინააღმდეგ ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გამძაფრდა მაშინ, როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიუხვდა სტალინს იმ ტაქტიკას, რომელიც მან 30-იანი წლებიდან დაიწყო.

ზაალ ანდრონიკაშვილი — ცხადია, კავშირი ილია ჭავჭავაძესთან არის. სტალინი ირჩევდა გენიალურ ფიგურებს, მაგალითად, რუსეთში — ივანე მრისხანეს ან პეტრე პირველს, რომელთა შორისაც საკუთარ თავს მოიაზრებდა. საქართველოში გენიალური ფიგურა ილია ჭავჭავაძეა, საქართველოს „უგვირგვინო მეფე“ და, გარკვეულწილად, სტალინი ამთავრებს ილიას დაწყებულ საქმეს. თუმცა, სტალინი საქართველოს მომავალს დიდ კონგლომერატში ხედავდა. როდესაც დღეს ვამბობთ ნატო და ევროკავშირი, ვგულისხმობთ, რომ დიდ კონგლომერატშია ჩვენი გადარჩენა. ამასვე ფიქრობდა სტალინიც, როცა თვლიდა, რომ საქართველო რუსეთში გაშლიდა თავის პოტენციალს.

სერიოზულადაა გამოსაკვლევი ქართველი თერგდალეულების გავლენა სტალინის აზროვნებაზე. როგორც ჩანს, სტალინი თერგდალეულთა ტექსტებს კარგად იცნობდა. „ენა, მამული, სარწმუნოება“ — ეს ლოზუნგი მაშინ არ ყოფილა აქტუალური. როცა სტალინი ერს განსაზღვრავდა, სტალინი „ერთობა ისტორიისას“ უსვამდა ხაზს და პირდაპირ მიდიოდა ილიას „ოსმალოს საქართველოსთან“, სადაც ილია ამბობდა, რომ ერის ერთად ყოფნას ისტორიის ერთობა განსაზღვრავს. მამულის პრინციპი, ტერიტორიულობა, როგორც პრიორიტეტი, სწორედ ილიას „მამულის სარწმუნოებიდან“ გამომდინარეობს. მაინც ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე სტალინისთვის არა მარტო გენეალოგიური წინაპარი, არამედ, იდეოლოგიური საკვები წყაროც იყო.

ბიზანტია, მართლმადიდებლობა და სტალინი ცალკე შესასწავლი და ძალიან საინტერესო თემაა, რომელიც მე არ მიკვლევია. მოგვიანებით შეიცვალა სტალინის მიდგომა ეკლესიის მიმართ, მის დროს მოხდა ეკლესიის ლეგიტიმაცია, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ ეკლესიამ მოაწერა ხელი ზავის აქტს სტალინთან. ჩემთვის მნიშვნელოვანია ეკლესიის ინტელექტუალური გავლენები სტალინზე. აშკარაა, რომ არის რაღაც დამთხვევები მის სახელმწიფოებრივ მოდელსა და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის. სოციალიზმის ქადაგება ნაციონალურ ენებზე რომ ხდებოდა, ეს სწორედ ქრისტიანობის ქადაგების ბიზანტიური მოდელია. ჩვენ რომ აღმოსავლეთ ევროპაში მოვხვედრილიყავით, ჩვენთვის ქრისტიანობის ენა ლათინური იქნებოდა.

რაც შეეხება ანტისემიტიზმს, სტალინის ნაშრომებში არანაირი ანტისემიტიზმი არ ჩანს; ის ეკამათება ებრაულ დიასპორულ მოდელს და მას ტერიტორიულ მოდელს უპირისპირებს. როცა საბჭოთა კავშირი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ტერიტორიების სახელმწიფო, ერთადერთი ერი, რომელსაც საკუთარი ტერიტორია არ ჰქონდა, ებრაელები იყვნენ. ადამიანი, რომელიც არ არის მიბმული მიწას, მონაა — ესაა სტალინის ლოგიკის მაქსიმალურად ზედაპირული რეკონსტრუქცია.

დარბაზიდან — ამ დარბაზში არა მგონია ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ დღევანდელი ნაციონალიზმი, გარკვეულწილად, სტალინის შექმნილია. მაგრამ ნაციონალიზმი სტალინისთვის მიზანი იყო თუ საშუალება? ვფიქრობ, ის მას ქვეყნის სამართავად სჭირდებოდა. ცნობილია, რომ სტალინი ძველ და ახალ აღთქმას კითხულობდა და გააზრებული ჰქონდა, რომ ქვეყანას მარტო მარქსიზმით ვერ მართავდა. ამიტომ იყო ნებადართული ცოტა ნაციონალიზმი, ცოტა მართლმადიდებლობა და ა. შ.; ჩემთვის საკამათოა ქართული ნაციონალიზმი, როგორც მისი შინაგანი მდგომარეობა.

ზაალ ანდრონიკაშვილი — მე არ მითქვამს, რომ სტალინი ქართველი ან რუსი ნაციონალისტი იყო. ნაციონალიზმი მისთვის იყო ფორმა, რომლითაც ის უყურებდა სახელ-

მწიფოს. ის სახელმწიფოს ნაციის პრიზმაში აღიქვამდა. სწორედ ეს იყო მისი მოდელის წარმატების მიზეზი.

ზურაბ ქარუმიძე — ზაალმა ახსნა, რომ საუბარია სტალინის სტრუქტურულ და კონცეპტუალურ ნაციონალიზმზე და არა კონკრეტულად, ქართულ ნაციონალიზმზე. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ისტორიაზე, მაგრამ ჩვენში აღრეულია ორი რამ — ისტორია, როგორც ობიექტური მეცნიერება და ისტორია, როგორც კოლექტიური მეხსიერება. მეხსიერებას თავისი კანონები აქვს, მეხსიერებაში აუცილებლად მონაწილეობს გმირი — ან ინდივიდი, ან მთელი ნაცია, არის ძლიერი სენტიმენტი, და ბევრი ისეთი რამ, რაც ობიექტურ სურათს მაინცდამაინც არ შეესაბამება. სანამ ამ ორი რამის განსხვავებას ვერ ვისწავლით, მანამ მუდმივად იქნება ეს პრობლემები. ეს ურთულესი თემაა და მგონი, ამ საკითხზე ცალკე დისკუსიის მოწყობა შეიძლება.

პაატა საბელაშვილი, ლგბტ აქტივისტი — დღეს ჩვენთან ეთნიკური ნაციონალიზმი რელიგიურმა ნაციონალიზმმა გადაფარა. სტალინს ჰქონდა რელიგიურ ინსტიტუციებში ყოფნის მეხსიერება. თანამედროვე სახით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია სტალინის დროს ჩამოყალიბდა. მაინტერესებს სტალინიზმს თუ აქვს გავლენა დღევანდელი რელიგიური ნაციონალიზმის ფორმირებაზე?

ზურაბ ქარუმიძე — ამის ვიზუალური დასტურიც არსებობს. ბაზრობებზე ხშირად მინახავს, როცა სტალინის ფოტოები და ღვთისმშობლის ხატები იკონოსტასებში ერთად აქვთ ხოლმე გამოფენილი.

ზაალ ანდრონიკაშვილი — ვიცით, რომ საბჭოთა პერიოდში ეკლესია სახელმწიფოს რეპრესიულ ნაწილთან ძალიან ახლო ურთიერთობაში იყო. ამიტომ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი ეკლესია საბჭოთა ეპოქის პროდუქტია. წარმოდგენები სახელმწიფოზე, რომელიც დღეს აქვს ეკლესიას, პირდაპირ საბჭოთა კავშირიდან მომდინარეობს. თეოკრატიის იდეა, რაც მეტ-ნაკლები დოზით მთავარი და წამყვანია ქართული მართლმადიდებლობისთვის, საბჭოთა არ არის; მაგრამ ფორმები, რითიც ამ იდეების მოწოდება ხდება, ნამდვილად საბჭოთაა.

ვახტანგ ბახტაძე — ცნობილია ტერმინ „ნაციოს“ სემანტიკური და სტრუქტურული მნიშვნელობა. როგორ შეიძლება სტალინი, რომელიც სატანისტური მეგაპროექტის, კომუნიზმის წარმომადგენელია, განხილული იყოს ნაციონალიზმთან მიმართებაში სტრუქტურული მნიშვნელობით?

ზაალ ანდრონიკაშვილი — საბჭოთა კავშირი, რომელიც სტალინმა შექმნა, ტროცკიზმის მსოფლიო რევოლუციის მოდელს უპირისპირდებოდა. ნაციონალიზმში ვგულისხმობ იმას, რომ სტალინი ერთ შემოსაზღვულ ტერიტორიაზე, და არა გლობალურად, აშენებდა კომუნიზმს. იმპერიულს არ ვხმარობ, იმიტომ, რომ იმპერია თავისი არსით გლობალური პროექტია. სტალინის ნაციონალიზმში ვგულისხმობ სწორედ იმას, რომ ის ფიქსირებულია სწორედ ერთ, ცალკე აღებულ სახელმწიფოზე და არა — მსოფლიო რევოლუციაზე.

ნოდარ ნათაძე — სტალინის მოქმედებაში გამჭოლი ხაზია ქართველოფობია. მან თქვა, საქართველოს სამოქალაქო ომში არ დაუღვრია სისხლი, დაე, ახლა დაღვაროსო; მან 1924 წელს, როცა ორთქლმავალმშენებელი ქარხნის მუშებმა უსტვინეს, თქვა — გადახანით მთელი თავადაზნაურული საქართველოო; 1921-დან 1941 წლამდე 72 000 ქართველი დახვრიტეს, რაც მთელი ერის 3% იყო; ქერჩში რაც მოხდა, ვიცით. როგორ ფიქრობთ, ამის შემდეგ შეიძლება თუ არა, სტალინური ნაციონალიზმის გაგება მხოლოდ სტრუქტურული აზრით და არა როგორც რუსული ნაციონალიზმისა და ანტიქართული ნაციონალიზმისა? მას თავი რუს ხალხთან ჰყავდა გაიგივებული.

ზაალ ანდრონიკაშვილი — სწორედ ამიტომ შევარჩიე ეს ნეიტრალური პოზიცია: როცა ვერ ვამბობ, რომ ის ქართველი ნაციონალისტი იყო; მაგრამ ვერც იმას ვამტკიცებ, რომ რუსი ნაციონალისტი იყო. რაღაც ქართული, ისევე, როგორც რუსული შრეები მის ნაციონალიზმში არსებობს. მაგრამ იმის თქმა, რომ ის პირწავარდნილი რუსი იყო, და არ ყოფილა ქართველი, შეცდომაა.

სქოლიო

[1] მეღორე ქალი და მწყემსი — შავ-თეთრი კომედიური ფილმი. 1941 წ. რეჟ. ივან პირიევი.

[2] პარტიის მე-20 ყრილობა გაიმართა — მოსკოვში 1956 წლის თებერვალში. ამ ყრილობაზე დაიგმო სტალინი და პიროვნების კულტი.

[3] ბორის გროისი (1947) — ფილოსოფოსი, მედიისა და ხელოვნების მკვლევარი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სლავისტიკის პროფესორი.

[4] *Gesamtkunstwerk Stalin. München — Wien: Hanser Verlag (Edition Akzente), 1988.*
Русск. версия: Утопия и Обмен (Стиль Сталин. О Новом. Статьи). Москва.: Знак, 1993.

[5] ლევ ტროცკი (1879-1940) — რუსი რევოლუციონერი, 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხედრო კომისარი; დაუპირისპირდა ლენინს და სტალინს, რისთვისაც გარიცხეს პარტიიდან და 1932 წელს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს; მოკლეს მექსიკაში 1940 წელს. არის ტროცკიზმის მთავარი იდეოლოგი.

[6] РАПП-რაპპი — რუს პროლეტარ მწერალთა ასოციაცია, რომელიც 1925 წელს პროლეტარ მწერალთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე შეიქმნა და 1932 წლამდე იარსება.

[7] სოციალისტური რეალიზმის მთავარი იდეოლოგის მაქსიმ გორკის (1868—1936) გამოსვლა 1934 წელს, მწერალთა საკავშირო ყრილობაზე. *http://gorkiy.lit-info.ru/gorkiy/articles/article-270.htm*

[8] მალაქია ტოროშელიძე (1880-1938) — საბჭოთა ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, თსუ-ს რექტორი, 1931-1936 წლებში — საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; იმავდროულად, 1934-1935 წლებში — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1936 წელს — განათლების სახალხო კომისარი; დახვრიტეს 1938 წელს.

[9] კანდიდ ჩარკვიანი (1907-1994) — ქართული პარტიული მუშაკი; 1938-1952 წლებში საქართველოს კომპარტიის გენერალური მდივანი.

[10] ჰეიდენ ვაიტი (Hayden White) — თანამედროვე ისტორიკოსი და მკვლევარი. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი. *The Historical Imagination in Nineteenth-Century Europe.*

[11] *Первый всесоюзный съезд советских писателей. Стенографический отчет, 1934, с. 17.*

წარსულის რეკონსტრუქცია: ისტორიოგრაფიის როლი საბჭოთა წარსულის გააზრებაში

29.04.2011

მომხსენებლები:

შოთა ხინჩაგაშვილი — სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, ბლოგერი

თორნიკე შარაშენიძე — საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი / ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის აღმასრულებელი მდივანი

მოდერატორი: დავით ლოსაბერიძე — ისტორიკოსი / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

დავით ლოსაბერიძე — დღევანდელი დისკუსიის თემა იმდენად დიდია, რომ მის განხილვას, შეიძლება, წლები დასჭირდეს. დღეს შევეცდებით მიმოვიხილოთ ის ზოგადი პრინციპები და ხედვები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში არსებობს და, გარკვეულწილად, ხელს უწყობს წარსულის გააზრების, ღირებულებათა შეფასებისა და გადაფასების პროცესს.

ისტორიის სხვადასხვა ხედვით და სხვადასხვა ჭრილში წარმოდგენა მარტო ჩვენთვის დამახასიათებელი მოვლენა არ არის, ნებისმიერი კატაკლიზმის დროს, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ საზოგადოება უახლოესი თუ უფრო შორეული წარსულის გადაფასებას იწყებს. ამ დროს ჩნდება ხედვები, რომლებიც, ხშირად, მკვეთრად იდეოლოგიზირებულია და ეს მხოლოდ ტოტალიტარულ სისტემებს არ ეხება. საკმარისია, გავიხსენოთ დაწყებითი სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოები და დავინახავთ, როგორ ხდება ისტორიის გააზრება სხვადასხვა ქვეყანაში. ბუნებრივია, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი; მით უმეტეს, რომ ჩვენთან ოცი წლის წინ, ერთი მხრივ, სამოცდაათწლიანი ბოლშევიკური მმართველობა დასრულდა, მეორე მხრივ კი — ორასწლიანი პერიოდი, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა არ ჰქონდა და დიდი ევრაზიული იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა დაგვეწყო ამ პერიოდის შეფასებაზე ფიქრი.

საბჭოთა სამოცდაათწლიანი პერიოდის შეფასებისთვის საკმარისი დრო ჯერ არ გასულა, მაგრამ გარკვეული დასკვნები, ალბათ, უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ. არც ის იქნება გასაკვირი, რომ ჩვენი ხედვები მომავალმა თაობებმა არ გაიზიარონ.

თორნიკე შარაშენიძე — ჩემი მოხსენების თემა ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისიის მუშაობას შეეხება; თუმცა, შევეცდები, მარტო კომისიაზე არ ვისაუბრო და საკითხი უფრო ფართო პერსპექტივიდან წარმოვადგინო.

ქართველებს ჩვენი წარსული გააზრებული არ გვაქვს — არ ვიცით, რა მოხდა ახლახან და რა მოხდა ოდესღაც; მაგრამ ეს მხოლოდ ქართული საზოგადოების ბრალი არ არის, რადგან საქართველოს ისტორია დღემდე კარგად შესწავლილი და საზოგადოებამდე მიტანილი არ ყოფილა. მაგალითად, დღემდე არ ვიცით, და საზოგადოებაში თანხმობა არ არის მიღწეული იმის შესახებ, რა მოხდა 90-იან წლებში — ვინ იყო დამნაშავე, ვინ იყო კარგი, ვინ იყო ცუდი და ა. შ.; არც ის ვიცით, და ალბათ, დიდხანს ვერ გავიგებთ, რა მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომში. ჩვენ ძირითადად მითებით ვცხოვრობთ და სიტუაციას რეალურად ვერ ვაფასებთ.

როცა მთავრობაში კომისიის შექმნის იდეა გაჩნდა, დამიკავშირდნენ და თანამშრომლობა შემომთავაზეს; გამიხარდა, რადგან მიმაჩნდა, რომ ეს კომისია გვაძლევდა შესაძლებლობას, ისტორიის კრიტიკული კვლევა დაგვეწყო. კომისია ორ ადამიანს ჩაგვაბარეს — მე და ვასილ რუხაძეს, რომელიც აშშ-ში დოქტორანტია და საისტორიო კვლევებზე მუშაობს.

კომისიას უნდა შეესწავლა რუსული კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში გეორგიევსკის ტრაქტატიდან[1] XX საუკუნის 90-იანი წლებამდე. მიმაჩნდა, რომ ეს იყო ძალიან კარგი შანსი, დაგვეწყო ქართული ისტორიის სერიოზული ანალიზი.

მუშაობა შედარებით ნაკლებად მტკივნეული საკითხით, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების თემით დავიწყეთ. ტექსტს ძირითადად მოწვეული ისტორიკოსები წერდნენ. მე მათთან კოორდინაციით დავწერე მოხსენების ტექსტი, სადაც მქონდა ჩემი მოსაზრებები იმის თაობაზე, რა შეეშალათ ქართველებს, რა ვერ გათვალეს თავის დროზე და რა დანაშაული მიუძღვით თვითონ ქართველებს საქართველოს წინაშე. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ერეკლე მეორის საკმაოდ გულუბრყვილო, არაადეკვატური და არათანმიმდევრული პოლიტიკა, რომლის წყალობითაც ისე ვიქეცით რუსული იმპერიის ნაწილად, რომ ეს არც გვივარაუდია. იმ პერიოდში, როცა ერეკლემ რუსეთს ქვეშევრდომობა სთხოვა, სხვა გათვლები გვქონდა. იმ მოვლენებში, რაც მერე მოხდა, დიდი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ რუსეთის ვერაგობამ, არამედ, ქართველების გაუტანლობამ, არაადეკვატურობამ და ინფანტილიზმმაც. თუმცა, საბოლოოდ, რადგან კომისიის მიზანი იყო, ეჩვენებინა რუსეთის პოლიტიკა საქართველოში, ეს საკითხები, სამწუხაროდ, მოხსენებაში მეორახარისხოვნად დარჩა. როცა გაგრძელდება მუშაობა საქართველოს ისტორიაზე და არა მხოლოდ ამ კომისიის ფარგლებში, უნდა ვეცადოთ, რომ ის, რაც ჩვენ თავს ხდებოდა, ცუდი ან კარგი, მხოლოდ გარე მტრებს არ დავაბრალოთ და პასუხი საკუთარ თავშიც ვეძებოთ — იქნებ, ჩვენც შეგვეშალა რაღაც. რუსეთი დიდი ქვეყანაა და მას ყოველთვის შეუძლია საქართველოს რაღაც ავნოს, მაგრამ შენ თუ აქედან ხელს არ შეუწყობ, ეს ყოველთვის გაუჭირდება.

თუ საკუთარი წარსულიდან გაკვეთილებს არ გამოვიტანთ, მსგავს შეცდომებს მუდმივად გავიმეორებთ. შეცდომები, რომლებიც 2008 წელს დავუშვით, ახალი არ ყოფილა — ბევრჯერ დაგვიშვია და შეიძლება, კიდევ დავუშვათ, რადგან საზოგადოებამ ისტორია არ იცის. საზოგადოებამდე ისტორია არავის მიუტანია. ეს რეალობაა.

ალბათ, გაინტერესებთ, რა იყო ამ კომისიის შექმნის მიზანი, სად იწყებოდა კომისიის მუშაობაში პოლიტიკა და სად მთავრდებოდა მეცნიერული კვლევები. რადგან კომისია სახელმწიფომ და მთავრობამ დაარსა, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ხომ არ იქნება კომისიის დასკვნები პოლიტიზებული. მე ასე ვიტყოდი: მსგავს კომისიებს სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ბალტიისპირეთშიც ყოველთვის მთავრობა ქმნიდა. სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ აამაღლოს ერში თვითიდენტიფიკაციის შეგრძნება — ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, ვინაა ჩვენი მტერი, ვინ — მოყვარე. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ სახელმწიფომ ამგვარი კომისიები შექმნას და ხელფასი გადაუხადოს ისტორიკოსებს, რომლებიც კომისიის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას. პოლიტიკური მიზანი ამის უკან ჩანს, მაგრამ ეს არალეგიტიმური რამ არ არის.

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კომისიის მოხსენება არაობიექტური იყოს და სინამდვილეს არ ასახავდეს; პირიქით — გამოქვეყნდება კომისიის დასკვნა — ნახავთ, რომ ყველაფერი ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა და თან არგუმენტირებულია. ზოგს შეიძლება არ მოეწონოს ის, რომ რუსეთი თავისი პოლიტიკის გამო ზედმეტად გაკრიტიკებულია; ამ თემაზე შეგვიძლია ვიდავოთ. უბრალოდ, საქართველოში ყველაფერზე და ყველაზე ობიექტური შეხედულება უნდა იყოს.

წიგნებიდან და ფილმებიდან ჩანერგილი გვაქვს, რომ ირანელები ცუდები იყვნენ და აქ ძალიან ცუდი რაღაცები გააკეთეს, ეს ინსტინქტის დონეზეა. რუსეთთან კი გაურკვეველი ვითარებაა. რუსეთი თან გვიყვარს, თან არ გვიყვარს. მგონი, მარტივი გამოსავალი უნდა მოვძებნოთ — ფაქტები შევისწავლოთ. რუსეთმა კარგი რაღაცეები გააკეთა, ამას ვერ დავუკარგავთ, რაღაც — ცუდიც გააკეთა და ესეც უნდა ვიცოდეთ. მგონი, ყველა ადამიანს აქვს უფლება, სიმართლე იცოდეს და მერე, დასკვნები თვითონ გააკეთოს — რა მოეწონება და რა არ მოეწონება.

რუსები გვაყვედრიან, რომ მათ დაშლილი ქვეყანა ჩაიბარეს, გააერთიანეს და საქართველოს იმ საზღვრებში არსებობა, რომლებიც 1990 წელს გვქონდა, სწორედ რუსების დამსახურებაა. ამაში სიმართლის რაღაც ნაწილი არის. საქართველო მაშინ მართლა დაშლილი იყო. მაგრამ ქვეყნის ტერიტორიების შეკრება და შეერთება რუსეთის მიერ არა ჩვენი, არამედ მათი ინტერესების გამო ხდებოდა. რუსებმა 1870 წელს თურქებს ბათუმი და აჭარა წაართვეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ გააკეთეს, რომ რუსეთის იმპერიას მეტი ტერიტორიები ჰქონოდა შავი ზღვის პირას. ამის შემდეგ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აჭარიდან ქართველები გაეყარა და იქ რუსები ჩაესახლებინა. ის რეალობა, რომელიც რუსეთთან გვაკავშირებს, ძალიან წინააღმდეგობრივია, მისი შეფასება ფაქტების ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს. კომისიის მიერ მომზადებულ, მაქსიმუმ, 50-60 გვერდიან მოხსენებაში თავმოყრილი იქნება ფაქტები — რა მოხდა და როგორ, რა სურდა რუსეთს საქართველოში და საბოლოოდ რა და როგორ განახორციელა.

როცა რუსეთი საქართველოს იერთებდა, რუსეთის ელიტაში არ იყო კონსენსუსი იმის თაობაზე, სჭირდებოდა თუ არა რუსეთს საქართველოსნაირი ქვეყანა. იმ პერიოდში რუსეთს მართავდა ალექსანდრე პირველი, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი კაცი იყო და ლიბერალური მიდგომებით გამოირჩეოდა. მაგალითად, მან პოლონეთს კონსტიტუცია მისცა. მაშინ პოლონეთი რუსეთის ნაწილი იყო და მსგავსი რამ არავის მოუვიდოდა თავში. ალექსანდრეს მიაჩნდა, რომ საქართველოს შეერთება რუსეთისთვის არ იყო უსაფრთხო, რადგან ესმოდა, რომ თუ მართლმადიდებლურ საქართველოს ასიმილირების პროცესში რუსეთი რაიმე ცუდს გაუკეთებდა, ეს მისთვისაც არ იქნებოდა კარგი. მაგრამ ის საბოლოოდ დაარწმუნეს, რომ საქართველო აუცილებლად უნდა მიეერთებინა და, სხვათა შორის, აქ დიდი როლი ქართველებმა ითამაშეს, მათ შორის, ერეკლე მეფის ოჯახის წევრებმაც.

როცა 1921 წელს საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი კიდევ ერთხელ გახდა, ქართველების დანაშაული ნაკლებად ჩანს, ვიდრე XIX საუკუნის მიჯნაზე, როცა ჩვენი ნებით ვიქეცით იმპერიის ნაწილად. კომისიის დასკვნაში ეს პერიოდიც ასახულია. ცალკე თავი ეძღვნება მართლმადიდებლური ეკლესიის შევიწროებას, ცალკე — კათოლიკური ეკლესიის დევნას, ცალკე თავი — ქართულ ენას. ბუნებრივია, საუბარია რეპრესიებზეც. თუმცა, ეს არ არის რუსეთის მიერ მხოლოდ ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული: იმპერიამ მაშინ, უპირველესად, რუს ხალხს დაუშავა. სამწუხარო ისაა, რომ რუსეთის მოსახლეობას ეს გაცნობიერებული არა აქვს. სანამ რუსეთში არ გაიაზრებენ ისტორიას, მანამდე ჩვენ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა ვერ გვექნება. როცა წლების წინ ნატოში გაწევრიანება დავისახეთ მიზნად, რამდენიმე ადამიანი ამბობდა, ეს შეუძლებელია, სანამ რუსეთი თვითონ არ მოინდომებს ნატოში შესვლასო. დაახლოებით მსგავსი რეალობა გვაქვს ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებითაც. სანამ რუსეთი თავის ისტორიას ობიექტურად არ გააზრებს, მანამდე ჩვენც გაგვიჭირდება საკუთარი ისტორიის გააზრება. რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და გვინდა თუ არა, ის თავის მეზობლებზე გავლენას ახდენს. რუსეთში დემოკრატია რომ ყოფილიყო, ჩვენთანაც უფრო დაჩქარდებოდა დემოკრატიული განვითარება. იქ დემოკრატია არ არის; შეიძლება, ამის გამოცაა ჩვენთან დემოკრატიული განვითარების პროცესი შენელებული. ფაქტია, ჩვენ რუსეთზე ვართ გადაბმული. ამაში არის რაღაც კარგი, რაღაც — ცუდი, კომისიის დასკვნაში წერია, რომ ეს ყველაფერი უფრო ცუდია.

კომისიის დასკვნა რუსეთს, ცხადია, არ მოეწონება; მაგრამ მოვა დრო და ისინიც გაიცნობიერებენ, რა დაუშავეს სხვებს და რა დაუშავეს საკუთარ თავს. ჩვენც, ასევე უნდა გავიაზროთ არა მარტო ის, რა დაგვიშავა რუსეთმა ან ირანმა, არამედ, ისიც, რა ვავნეთ საკუთარ თავს. მგონი, ეს უმთავრესი საკითხია, რომელსაც სულ დავუბრუნდები. რადგანაც ისტორიული სიმართლე ჯერ ჩვენ თავზე უნდა ვიცოდეთ და მერე — გარედან მოსულ ვიღაცებზე, სულ ერთია ვინ იქნება ეს — მტერი თუ მოყვარე.

შოთა ხინჩაგაშვილი — ჩემი მსჯელობა მსურს ორი კითხვის სახით ჩამოყალიბებული საკითხით შემოვსაზღვრო. პირველი აბსტრაქტულია და დღევანდელი დისკუსიისთვის შეიძლება ნაკლებად საინტერესო — რამდენად სწორად ვიქცევით ხოლმე, როცა ხშირად მივმართავთ ისტორიას და ვთხოვთ პასუხს იმ საკითხების შესახებ, რაც აწმყოში გვაწუხებს; და მეორე — რამდენად სწორად ვეკითხებით ხოლმე წარსულს. მეც შემეშალა და ერთმანეთში ამერია ორი ცნება — წარსული და ისტორია, რომლებიც ფუნდამენტურადაა ერთმანეთისგან გასამიჯნი. არადა, ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვა „წარსულს“ და ისტორიას ვგულისხმობთ. ისტორია წარსული არ არის. ისტორია — მოთხრობილი წარსულია, მოთხრობილი წარსული კი ყოველთვის სხვადასხვანაირია.

დღევანდელი ჩვენი დისკუსიის თემა შეიძლება იყოს ისიც, რამდენადაა შესაძლებელი არსებობდეს ერთი და ლეგიტიმური თხრობა წარსულის შესახებ. ერთი ოფიციალური ის-

ტორია, თავისთავად, პრობლემატურია და ამ საკითხზე მსჯელობისას მინდა, აუდიტორიამაც გამოიჩინოს აქტიურობა.

ციცერონის ნათქვამია, ისტორია ცხოვრების მასწავლებელიაო. რეალურად ციცერონისეული პათოსი აერთიანებს სახელმწიფო კომისიის ფუნქციას და ამ პროექტის პათოსს და ეთოსს. არ მინდა, ტოტალურად აისტორიული ვიყო დღეს, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ დავსვი შეკითხვა იმის შესახებ — რამდენად სწორია, როცა წარსულს მივმართავთ. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, რომ ჩვენ ისტორიული ბულიმიით ვართ დაავადებულები — ყოველთვის წარსულში ვიყურებით, რათა მომავალი ავხსნათ.

სადოქტორო კვლევის ფარგლებში ისტორიულ მეხსიერებას ვაკვირდები — რატომ გვახსოვს წარსული, როგორ გვახსოვს, რას ვიმახსოვრებთ, რას — არა და ამ ყველაფერში რა როლს თამაშობს აწმყო. მინდა განვიხილო სხვა თვალსაზრისი, რომელსაც საფუძველი მეხსიერების ინტერდისციპლინარული კვლევის ფარგლებში დაედო და რომელიც ისტორიოგრაფიული კვლევებისაგან პრინციპულად განსხვავდება, რადგან აწმყოში არსებულ სოციალურ ჯგუფებს აკვირდება, მათი ისტორიით დაინტერესების საფუძვლებს სწავლობს.

უპირობო მხოლოდ ერთი დათქმაა — თუ საუბარია კოლექტიურ ისტორიულ მეხსიერებაზე, ეს შედეგია უწყვეტი დამახსოვრების პროცესისა, მაგრამ დამახსოვრებაში დავიწყებაც უნდა ვიგულისხმოთ. ეს დამახსოვრებისა და დავიწყების დიალექტიკური პროცესია. როცა ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვა „ისტორიას", რატომღაც ვგულისხმობთ მეხსიერებას და ამავე დროს თითქოს იმას, რომ ყველაფერი უნდა გვახსოვდეს. ბუნებრივია, ისტორია წარსულის ფაქტების, მოვლენების და თარიღების შერჩევითი კოლექციაა. ყველაფერს არ ვიმახსოვრებთ და ეს არც არის აუცილებელი. საინტერესოა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რატომ ვიმახსოვრებთ წარსულის სპეციფიკურ მოვლენებს. ბუნებრივია, ამ დათქმის საფუძველზე სახელმწიფო კომისიის არსებობა იმთავითვე აბსურდია; იმიტომ, რომ სახელმწიფო ერთი მხრივ, გვკარნახობს, რა უნდა გახსოვდეს წარსულიდან და მეორე მხრივ — მოვლენების ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს.

მოდით, დღეს ვისაუბრობთ იმაზე, არის თუ არა შესაძლებელი, საზოგადოებას ობიექტურად მოვუთხროთ წარსულის შესახებ; ისე, რომ ეს არ იყოს დამოკიდებული დამკვირვებელზე/ისტორიკოსზე და არც იმაზე, რომ ეს დამკვირვებელი კონკრეტულ პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება და სუბიექტურია.

ისტორიის ობიექტური თხრობა დიდი ხნის მკვდარი ოცნებაა და უცნაურია, რომ დღეს ჩვენ გვამი უნდა ვაწვალოთ, რადგან რეალურად XIX საუკუნიდან იწყება პოზიტივისტური ოპტიმიზმი, რომ მითის, ლეგენდის სინამდვილისგან გამიჯვნა შეიძლება. სწორედ აქ იღებს სათავეს ისტორიკოსთა ხელობის აკადემიზაცია: დაიწყეს კოლექტიური მეხსიერების კვლევა, შემოიღეს მეთოდოლოგიური კრიტერიუმები — როგორ გაერჩიათ ტყუილმართალი. მაგრამ თუ დავაკვირდებით, XIX საუკუნიდან მოყოლებული, ისტორიკოსების პროფესიონალიზაციის პროცესი გაუმიჯნავია ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების

პროცესისაგან, რამაც ძალიან სამწუხარო რეალობა განაპირობა — ის აკადემიური ტექსტები, რომლებიც ისტორიკოსთა მიერ იქმნებოდა, ხშირად — ისტორიკოსების ნებით თუ მათი ნების საწინააღმდეგოდ — პოლიტიკური რეჟიმების ლეგიტიმაციისთვის გამოიყენებოდა ხოლმე.

საქართველოს ხელისუფლებას აქვს მეხსიერების მეტ-ნაკლებად ოფიციალური პოლიტიკა. შეიძლება ვისაუბროთ მუზეუმებზე, არქივებზე, ძეგლებზეც, რომლებიც აქეთ-იქით მოძრაობენ. ხელისუფლება ცდილობს, საზოგადოება, ახალგაზრდა თაობა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ისტორიული პროგრამით აღზარდოს — ისე, რომ სომეხს, რუსს, ბერძენს და სამომავლოდ, აფხაზს არ ჰქონდეთ სხვადასხვანაირი ცოდნა წარსულის შესახებ და იცოდნენ, საიდან მოდიან და მომავალში რა უნდა აკეთონ.

სახელმწიფო კომისიის შექმნა ისტორიკოსს და სოციოლოგს უხერხულ მიმართებაში აყენებს ხელისუფლებასთან. თუკი უკანასკნელი 200 წლის ისტორიის მხოლოდ ერთი ოფიციალური ვერსია არსებობს, რა ვქნა, თუ მე სხვა ვერსია მაქვს? ნაკლებად უნდა დამაფინანსონ? დისიდენტი ვხდები თუ უბრალოდ, აკადემიურ საზოგადოებაში ჩემი პოზიცია იმთავითვე არასახარბიელოა? რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან — ამაზე უნდა ვისაუბროთ და არა იმაზე, როგორ მოხსენებას დადებს ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია. შეიძლება საყვედური გვითხრან — ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და თქვენ უკვე განიხილავთო. ჯერ არდაბადებულ ბავშვზე კი არ ვსაუბრობ, არამედ იმაზე, რომ საჭიროა აბორტი — ასეთი კომისია საერთოდ არ უნდა ჩამოყალიბებულიყო.

ამგვარი კომისიის შექმნა სახელისუფლებო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უკიდურესი ფორმაა. ხშირად ვახსენებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ხომ არ ვაქციეთ ეს ქვეყნები იდეალად? ხომ არ ხდება არა მხოლოდ ბალტიისპირული, არამედ, დასავლური გამოცდილებით ყველაფრის გამართლება? ამა თუ იმ ინიციატივის აუცილებლობაში და სამართლიანობაში დასარწმუნებლად ჩემთვის არგუმენტი არ არის ის, რომ რაღაც საზღვარგარეთ მოხდა. მით უმეტეს, შეგვიძლია გავიხსენოთ ბალტიიპირეთის ქვეყნების არაერთი გამოცდილება, სადაც მიმზიდველს ვერაფერს აღმოვაჩენთ.

არსებობს ინტუიციური საფრთხის შეგრძნება — ხომ არ ხდება ინტელექტუალური სფეროს იდეოლოგიზაცია ხელისუფლების მიერ? არსებობს რაღაც, რაც აკადემიურმა საზოგადოებამ აკადემიურ ინსტიტუტებში უნდა აკეთოს და არა სახელმწიფოს მეთაურის დადგენილებით შექმნილ კომისიებში. აქ იშლება ზღვარი აკადემიურ საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის და ურთიერთობის პრობლემებიც ჩნდება. უფრო სწორად, უნდა გაჩენილიყო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ისტორიკოსთა შორის ამ კომისიის შექმნას პროტესტი არ გამოუწვევია.

რეალურად, თანამედროვე ქართული საისტორიო სკოლა, პროფესიული თვალსაზრისით, ვერ იქნება მზად ყველაზე ახლო და ყველაზე ემოციური წარსული იკვლიოს. არგუმენტად არ გამოდგება ის, რომ რაც უფრო ახლოა წარსული, მით უფრო ადვილია სი-

მართლის დადგენა; რადგან რაც უფრო ახლოა, მით უფრო ემოციური და მტკივნეულია. რაციონალისტური ოპტიმიზმი, რომ შევაგროვებ ფაქტებს, დავალაგებ და დასკვნას დავდებ — თანამედროვე სამყაროში იდეალისტურად და ცოტათი სასაცილოდაც კი მოჩანს.

საქართველოში ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია 2010 წლიდან მუშაობს. მანამდე ერთი წლით ადრე, 2009 წელს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამოსცა ბრძანება „რუსეთის ინტერესების საზიანოდ ისტორიის ფალსიფიკაციის მცდელობებთან წინააღმდეგობის კომისიის“ შექმნის შესახებ[2]. ამ კომისიაში კონსტანტინ ზატულინი და ჩვენთვის ნაცნობი სხვა ადამიანებიც შედიან. თუმცა, ძირითადად ეს აკადემიური ინსტიტუტების წარმომადგენლებით დახუნძლული კომისიაა, რომელიც განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს წარსულის ინტერპრეტაცია რუსეთის აკადემიური საზოგადოებისა და ზოგადად — საზოგადოების მიერ. მაგალითად, მე თუ გავბედე და რუსეთ-საქართველოს პირველ ურთიერთობას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია ვუწოდე, პრობლემები აუცილებლად შემექმნება.

მგონი, ჩემი სათქმელი ძალიან მარტივია — არ ღირს ისტორიული ნარატივის ოფიციალურ დონეზე დაყვანა. ცხადია, ვერ გავექცევით ისტორიის შესახებ მეინსტრიმულ, ჰეგემონურ თხრობას, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებში ყოველთვის იქნება, მაგრამ ამის იქით წასვლა და რეგულირება XXI საუკუნესთან შეუსაბამოა, თუ XXI საუკუნეში მაინცდამაინც რუსეთის ფედერაციას არ ვიგულისხმებთ.

კარგი იქნებოდა ქართველი ისტორიკოსების ყურადღების გაღიზიანება და იმაზე დაფიქრება, რამდენად პოზიტიური მოვლენაა ამ კომისიის შექმნა; ხომ არ არის ეს ხელისუფლების პირველი სერიოზული ანტიინტელექტუალური ნაბიჯი: რადგან სწორედ ანტიინტელექტულიზმია, როცა აცხადებ, რომ შეგიძლია თუნდაც უახლესი წარსულის ერთადერთ ჭეშმარიტ ვერსიას მისწვდე.

დაბოლოს, ჯერ ჩვენთან მეხსიერების ინტერდისციპლინარული კვლევები განვითარებული არ არის, არ არის შესწავლილი და გაანალიზებული ის შეცდომები, რომლებიც ქართულმა ისტორიოგრაფიამ ტოტალიტარიზმის ეპოქაში დაუშვა.

დავით ლოსაბერიძე — ისტორია, როგორც წარსული ერთია; ისტორია, როგორც მეცნიერება — მეორე. თუ ამ თეზისს გავიზიარებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ისტორია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, ინტუიციურ და ხელოვნების სფეროს უფრო განეკუთვნება, ვინაიდან მეცნიერება, რომელმაც ყველაფერი იცის და რომელიც ყველასათვის ცნობილი და აღიარებული ფაქტების კონგლომერატია, უკვე მეცნიერება აღარ არის. ისტორიას ვერაფრით ვერ განვასხვავებთ ფიზიკისგან, სადაც უამრავი რამ უცნობია. ყველაზე ცნობილი, მაგალითად, ნიუტონის ან აინშტაინის, თეორიები ამ ადამიანების ინტუიტური ხედვებიდან გამომდინარე შეიქმნა. მერე რამდენად მართლდება ან არ მართლდება თეორიები, ამას პრაქტიკა ადასტურებს ან უარყოფს ხოლმე. გამონაკლისი, ცხადია, ყველგანაა და საპირისპირო ფაქტებიც არსებობს.

ისტორიაშიც არის რაღაც კანონზომიერებები, მაგრამ რამდენად სწორად ვხედავთ და რამდენად სწორად ვაფასებთ მათ, სხვა საქმეა. საკითხი დგას არა ფაქტების ცოდნასთან, არამედ, მათ გააზრებასთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენთან არ არსებობს ინფორმაციაც: ბევრი რამ არ ვიცით. მაგალითად, ბოლო დრომდე არც მე ვიცოდი ისტორია გურულებისა და ბურგუნდიელების[3] ომის შესახებ. როცა გურულებს თავს ბურგუნდიელი რაინდები დაესხნენ, გურულებმა აქეთ ჩაიგდეს რამდენიმე მათგანი ტყვედ და გამოსასყიდი მოითხოვეს. სანამ ეს ფული ჩამოვიდოდა, გურულებმა ბურგუნდიელები აქეიფეს — ასვეს და აჭამეს. XV საუკუნის ქრონიკებში ერთ-ერთი მთავარი ბიძამისის ისტორიას ჰყვება — კოლხებმა ბიძაჩემი წყალგაურეველი ღვინის დიდი თასებით სმას მიაჩვიეს, ლოთობით გარდაიცვალა და მემკვიდრეობა მე დამრჩაო. გახსოვთ ალბათ, გაეროს დამკვირვებელი[4] რომ გაიტაცეს, აქეიფეს და როცა სპეცოპერაცია ტარდებოდა, მთვრალი იპოვეს სადღაც ზუგდიდთან. ბუნებრივია, ყველა ამბავს ასეთი კეთილი დასასრული არა აქვს, მაგრამ საჭიროა ასეთი ფაქტების გააზრებაც — ზოგს მიაჩნია, რომ ეს ჩვენთვის შეურაცხმყოფელია.

ასპინძის ბრძოლა[5] თურქულ სახელმძღვანელოებში აღწერილია, როგორც თურქი ხალხის დიდი გამარჯვება. ფაქტია, რუსეთის სატელიტი ერეკლე შეიჭრა ახალციხეში. ქართველები გამარჯვებად იმას თვლიან, რომ ერეკლემ, მიუხედავად დამარცხებისა, არმია შეინარჩუნა; თურქებს კი მიაჩნიათ, რომ გაიმარჯვეს და ახალციხე რუსებსა და გურჯებს არ დაუთმეს. ფაქტია, რომ იყო ბრძოლა, იყო სისხლისღვრა; პოლიტიკურად შეგვიძლია ავხსნათ, მაგრამ როგორ შეფასებას მივცემთ, სხვა საქმეა. სულ სხვანაირ შეფასებას მისცემდა ამ ამბავს ის 100 რუსი ჰუსარი, რომლებიც ერეკლე მეფის მხარეს გადავიდნენ და მირონცხებული მეფის ლეგიტიმაცია დაიცვეს. თუმცა, „რუსი ჰუსარები“ რუსეთის არმიაში მომსახურე ფრანგი მეომრები იყვნენ, რომლებიც უცხო ქვეყანაში ქრისტიანობის დასაცავად იბრძოდნენ.

ჩვენ რაღაც პერიოდს გავდივართ, როგორც ბევრი ჩვენი ტიპის ქვეყანა — ზოგზე ბევრად წინ წასული, ზოგ შემთხვევაში კი — ჩამორჩენილი. მნიშვნელოვანია, როგორ ვახდენთ წარსულის გააზრებას და რამდენად მრავალფეროვანია გააზრების მექანიზმები. თუ ვამბობთ, რომ ერთი შეხედულებაა სწორი, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ერთ მოსაზრებას ექნება მონოპოლია? რამდენად თანაბრადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ხედვები? ქართულმა საზოგადოებამ, თუ სურს, რაღაცებში გაერკვეს, ეს გამოწვევა უნდა დაძლიოს. ისტორიის სრულად გააზრებას, ცხადია, ვერ მოვახერხებთ; იმიტომ, რომ XXI საუკუნის ბოლოს შეიძლება, სულ სხვანაირად დაინახონ ის საკითხები, რომლებსაც ჩვენ ახლა ვაფასებთ.

ნუცა ბათიაშვილი, ანთროპოლოგი — ორი რამ მინდა ვთქვა. პირველი — ისტორია, რა თქმა უნდა, ჰიპოთეტურია, სრულად მეცნიერული ვერ იქნება; მაგრამ იგულისხმება, რომ ისტორია თავისი მიდგომით წარსულის მიმართ უფრო ანალიტიკურია, ვიდრე კოლექტიური მეხსიერების ნარატივი. ჯერ უნდა ვნახოთ სახელმწიფო კომისიის დასკვნა,

რომ ვთქვათ, ნარატივია თუ ანალიტიკური მიდგომა, რომელიც დეკონსტრუქციას ცდილობს და სხვადასხვა პერსპექტივებს გვთავაზობს. მეორე — თქვენ თქვით, რომ ამ კომისიის შექმნით სახელმწიფო ინტელექტუალური სფეროს იდეოლოგიზირებას ახდენს. ჩემი კვლევა კოლექტიურ მეხსიერებას ეხება და უნდა გითხრათ, რომ ინტელექტუალური სფეროს ნაწილი ნაციონალისტური ნარატივით უკვე ძალიან მძიმედაა იდეოლოგიზირებული. ვფიქრობ, სახელმწიფო დღეს ნაციონალისტური ნარატივის დეკონსტრუქციას ასეთი კომისიების საშუალებით ცდილობს. თუკი ისტორიის ბოლოდროინდელი სახელმძღვანელოების ანალიზს ჩავატარებთ, დავინახავთ, რომ ისინი ბევრად ნაკლებად შეიცავს მონოლითურ ნარატივს, ვიდრე ადრინდელი იდეოლოგიზირებული წიგნები. არ ვარ მომხრე, რომ სახელმწიფო კომისიები არსებობდეს, ეს სამოქალაქო საზოგადოების პრეროგატივაა; მაგრამ ჩვენ სახელმწიფოსაც უნდა შევხედოთ, როგორც მონოლითურ-აბსტრაქტულ რაღაცას, რომელიც ადამიანებისგან შედგება; მათ შორის არიან ისინიც, ვინც თვლის, რომ მათი დამოკიდებულება სადღაც უნდა აისახოს.

თორნიკე შარაშენიძე — კომისიის დასკვნა შემჭიდროვებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც შევეცადეთ, დეკონსტრუქცია და ანალიზი მაქსიმალურად ჩაგვედო. ზოგან უფრო მეტად გამოვიდა, ზოგან — ნაკლებად. თქვენ თქვით, რომ წარსულის გააზრება სამოქალაქო საზოგადოების საქმეა. მეც გეთანხმებით, მაგრამ საზოგადოებას არა აქვს იმის საშუალება, დაიქირავოს ისტორიკოსები. მინდა ვთქვა ისიც, რომ სახელმწიფო არ ჩარეულა კომისიის მუშაობაში, ყველა ისტორიკოსმა დაწერა თავისი თემა და საბოლოოდ ყველა ნაშრომი ერთ მოხსენებაში შეჯამდა. სახელმწიფოს როლი ის იყო, რომ მან ისტორიკოსებს ფული მისცა. შეიძლება, ეს ანტიინტელექტუალურია რაღაცით, შეიძლება — არც არის.

ნუცა ბათიაშვილი — ჩემი კომენტარი შოთას კრიტიკა უფრო იყო. ახალი დასკვნა შეიძლება ნარატივს ჰგავდეს, მაგრამ თუ ის კონტრნარატივია...

შოთა ხინჩაგაშვილი — კონკრეტულად რას გულისხმობთ ნარატივში?

ნუცა ბათიაშვილი — ნარატივი კოლექტიური მეხსიერების კვლევებში გამოიყენება, როგორც კონცეპტი, რომელიც გულისხმობს რაღაც სქემატიზებულ ამბავს, რომელიც წინააღმდეგობებს არ შეიცავს, არის ამბივალენტური და აქვს მორალი.

შოთა ხინჩაგაშვილი — 2000 წელს, როცა უნივერსიტეტში ჩავაბარე, მარიკა ლორთქიფანიძემ პირველსავე ლექციაზე ბრძანა — ისტორია ზუსტი მეცნიერებაა. ისტორია არ არის ზუსტი მეცნიერება, ის არ სარგებლობს პრივილეგიით და ფუფუნებით, ჰქონდეს ზუს-

ტი კრიტერიუმები იმის შესახებ — რა არის ისტორიული ჭეშმარიტება, რა მოხდა ჭეშმარიტად წარსულში. ისტორია წარსულის რეკონსტრუქცია, პირობითი აღდგენაა. ის ვერასდროს ვერ იქნება ჭეშმარიტი.

კოლექტიური მეხსიერების ნედლი მასალა ისტორიული თხრობაა, რასაც აკადემიური მეცნიერების წარმომადგენლები გვთავაზობენ, მათ შორის ისინიც, რომლებიც შეიძლება სახელმწიფო კომისიის წევრებიც არიან. კოლექტიურ მეხსიერებას არანაირ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ეს ჩვეულებრივი სამუშაო ცნებაა.

რაც შეეხება სახელმწიფო კომისიას — არსებობს აკადემიური საზოგადოება, კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, მეცნიერები ხელფასს იღებენ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოსგან; მაგრამ ეს ხალხის ფულია, რომელსაც სახელმწიფო ანაწილებს. ახლა ვიღებთ მეორე მოდელს, როცა სახელმწიფო ეძახის კონკრეტულ ისტორიკოსებს...

თორნიკე შარაშენიძე — მათ არ დაუძახიათ, მე და თავმჯდომარემ დავუძახეთ. არ უბრძანებიათ, ამას და ამას დაუძახეთო.

შოთა ხინჩაგაშვილი — თქვენ განაცხადეთ — კომისიის მუშაობაში სახელმწიფო არ ჩარეულაო. მე კიდევ ვამბობ, რომ რადგან კომისია სახელმწიფომ შექმნა, ეს უკვე ჩარევაა.

თორნიკე შარაშენიძე — აქ რომ ვსხედვართ, აქაც ერევა სახელმწიფო.

შოთა ხინჩაგაშვილი — აქ არ ერევა.

თორნიკე შარაშენიძე — როგორ არ ერევა? გზები დაგებულია სახელმწიფოს მიერ და ა. შ.

ლევან კუწაშვილი, ილიაუნის სტუდენტი — გასაგებია, რომ ისტორიის რეპროდუცირება სახელმწიფოს ნაციონალური ნარატივისთვის ხდება. შეგიძლიათ თუ არა მითხრათ სხვა მიზანი, რისთვისაც ისტორიის აღდგენაა საჭირო? სსრკ-ს დაშლის შემდეგ საბჭოთა წარსულის გააზრება ძალიან პოპულარულია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. მაინტერესებს, არის თუ არა რაიმე განსხვავება საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის?

თორნიკე შარაშენიძე — ნამდვილად არ ვიცი, რა მიზანი აქვს მსგავს რაღაცას, გარდა იმისა, რომ მოხდეს ისტორიის რეპროდუცირება. მიზანი მარტივი იყო — უნდა შეკრებილიყო ის ცოდნა, რაც ქართველ ისტორიკოსებს ჰქონდათ რუსეთ-საქართველოს

ურთიერთობების შესახებ და კომისიამ სწორედ ეს გააკეთა. ახალი არაფერი თქმულა, ისტორია არ გადაწერილა; რაც ვიცოდით, იმის თავმოყრა მოხდა. ეს ნაშრომი ინგლისურადაც გამოიცემა და უცხოელებსაც ექნებათ საშუალება, გაეცნონ. ჩემი მიზანი იყო მომხდარიყო ფაქტების ინტერპრეტაცია, გამოჩენილიყო ორივე მხარის მოტივაცია, მაგრამ ბოლომდე ამის გაკეთება ფორმატის გამო არ მოხერხდა. ვესაუბრე ბალტიისპირელებს. როგორც ჩანს, ისინი საკითხს უფრო ფართოდ მიუდგნენ, ტომეულები დაწერეს, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ეროვნული იდენტიფიკაციისთვის სჭირდებათ. პატარა ერებს ყოველთვის ეშინიათ, რომ მათი სახელმწიფოებრიობა გაქრება და უფრთხილდებიან. ამერიკაში არ შეიქმნება ამგვარი კომისია — ამერიკელებს ეს არ სჭირდებათ. ჩვენ, სამწუხაროდ, ამერიკაში არ ვართ. არც ავსტრიელებს სჭირდებათ, თუმცა ავსტრიელებმა და გერმანელებმა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, ჰიტლერის ფენომენი კარგად გაიაზრეს.

ოლივერ რაისნერი — ისტორიკოსები ამ დარბაზში უმცირესობაში ვართ. შოთამ თქვა, რომ ისტორია სხვა რამეა და წარსული — სხვა. ჩემი დეფინიცია ასეთი იქნება — ისტორია არის წარსულის მეცნიერული გააზრება მეცნიერული პარადიგმებითა და პრინციპებით. ისტორიკოსმა პარადიგმები და კონცეფციები იცის და ფაქტებს პარადიგმების მიხედვით ალაგებს. თუკი რეკონსტრუქციაზე ვსაუბრობთ, XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში დომინანტური მიდგომა იყო პოზიტივიზმი, რომლის მიხედვითაც არსებობს რაღაც სიმართლე, რომელიც შეიძლება ისტორიკოსმა წყაროებზე და ფაქტებზე დაყრდნობით იპოვოს. მეოცე საუკუნეში გაბატონდა კონსკრუქტივისტული მიდგომა. მაგალითად, საფრანგეთის ანალების (წყაროთმცოდნეობის) სკოლა ამბობდა, რომ ყველაფერი იმ შეკითხვებზეა დამოკიდებული, რაც ისტორიკოსს უჩნდება. აქცენტირებული იყო არა დიდი ადამიანები, მეფეები, პოლიტიკოსები, არამედ — სოციალური ფენომენები, გრძელი განვითარებები — ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორია ან ალპების მთიანეთის ერთი სოფლის ისტორია; აქ პერსპექტივა უფრო ჩანდა. მეოცე საუკუნის ბოლოს შეიქმნა დეკონსტრუქციული მიდგომა, რომელიც ჯერ გაბატონებული არ არის, მაგრამ მისი მიმდევრები ცდილობენ, მეტი ყურადღება მიიპყრონ პროფესიონალ ისტორიოგრაფთა შორის. ამ მიდგომის მიხედვით ცოდნა პერსპექტიული და დროებითია; განმსაზღვრელი დღევანდელი ინტერესების ან გაბატონებული წრეების მიერ შექმნილი პერსპექტივაა. მინდა, ბატონ თორნიკეს ვკითხო — კომისიაში იყვნენ თუ არა ჩართული უცხოელი ისტორიკოსები, მით უმეტეს, რუსი ისტორიკოსები?

მეორე — თუ წარსულზე ვსაუბრობთ, ეს „სოვლაბის“ აუდიტორიაა და ჩანს, რომ საჯარო მეხსიერების მიმართ ინტერესი არსებობს. საქართველოში თვითკრიტიული შეფასება ისტორიოგრაფიაში ჯერ არ მომხდარა, არ დასმულა შეკითხვა — ვარგა თუ არა საბჭოთა ისტორიოგრაფია?

საჯარო მეხსიერებას რაც შეეხება, გერმანიაში 10 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა დისკუსია იმის შესახებ, როგორ უნდა გაეხსენებინათ ჰოლოკოსტი. ათი წლის მსჯელობის

შემდეგ შეთანხმდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო რაიხსტაგის და ბრანდენბურგის კარიბ-ჭის გვერდით ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალი. მაშინ პროცესი შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. საქართველოში საზოგადოების ამგვარი ჩართულობა არ ჩანს. ძა-ლიან მნიშვნელოვანია „სოვლაბის“ საქმიანობა, მაგრამ საჭიროა უფრო მეტი აქტიურობა რეგიონებში, იქ შეიძლება სულ სხვა სურათი იყოს.

ქართველი ისტორიკოსები ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის ჩრდილქვეშ არიან, მათი ში-ნაგანი დამოუკიდებლობა არ ჩანს. საქართველოში ისტორიოგრაფია დამოუკიდებელი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიკოსები მზად არიან სახელმწიფოს მიერ შექმნილ კომისიაში მონაწილეობდნენ.

თორნიკე შარაშენიძე — ჩემი ინიციატივა იყო, რუსი ისტორიკოსებიც მოგვეწვია. თუმ-ცა, ეს ორი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. პირველი — რუს მეცნიერს, რომელსაც სააკაშ-ვილის ხელისუფლება გადაუხდიდა ფულს, რუსეთში პრობლემები შეექმნებოდა; მეორე — მოკლე ვადაში ვერ ვიპოვეთ ისეთი რუსი ისტორიკოსი, რომელიც საქართველოთი სე-რიოზულად იქნებოდა დაინტერესებული. საქართველო რუსეთის ისტორიისთვის ერთი პატარა დეტალია.

შოთა ხინჩაგაშვილი — დღეს აქ ჩემი გამოსვლის ექსკლუზიურად ნათელი და არაორ-ჭოფული პოზიცია ასეთია — სახელმწიფო კომისია არაა საჭირო იმისთვის, რომ ისტორია დაიწეროს. კონტრარგუმენტი იმის შესახებ, რატომ არის აუცილებელი და გადაუდებელი — არსებობდეს სახელმწიფო კომისიის მიერ სანქცირებული ისტორიული ნარატივი — ვერ მოვისმინე. ერთადერთი არგუმენტი ამგვარია: დიახ, დემოკრატია, თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია და ინტელექტუალური მრავალფეროვნება კარგია; მაგრამ ჩვენ მაინც კავკასიის პატარა ქვეყანა ვართ, ახლა ამის დრო არ არის და, მოდით, მარქსიზმ-ლე-ნინიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი სხვა ისტორიული მონოპოლიით ჩავანაცვლოთ. არადა, უბედურება ის კი არ იყო, მარქსიზმ-ლენინიზმი რომ არსებობდა, როგორც სამეც-ნიერო თეორია, უბედურება ის იყო, რომ მას სრული მონოპოლია ჰქონდა.

ვახსენეთ, რომ გვჭირდება საზოგადოება, რომელმაც საკუთარი ისტორია იცის. რატომ ვასკვნით, რომ ჩვენ ყველაზე ჭკვიანები ვართ, დანარჩენი საზოგადოება ნაკლებად გა-ნათლებულია და ჩვენ მას ერთი ტიპის ისტორია უნდა მივაწოდოთ? ნახსენები იყო სასკო-ლო სახელმძღვანელოები. იქ ისტორია წარმოდგენილია, როგორც პირობითი თხრობა: მოთხრობილია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების ისტორია, ახსნილია დროსა და სივრცეში როგორ უნდა ორიენტირდე. მაგალითად, როცა საქართველოში მონღოლთა ურდოს შემოსვლაზე საუბრობ, უნდა შეგეძლოს იმ იმპერიის ლოკალიზება. მახსოვს — მე არ შემეძლო. სახელმძღვანელოებში ისტორიის რაციონალური ფორმის შემოტანის მცდელობაა და ამ დროს იქმნება ერთი ნარატივი, რომელსაც სახელმწიფო

სტატუსი აქვს. ეს დიდი შიდა წინააღმდეგობაა სახელისუფლო საგანმანათლებლო პოლიტიკაში.

აქ ითქვა, რომ ისტორიას პრაქტიკული დანიშნულება აქვს: უნდა დაგვეხმაროს სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში; იმის გააზრებაში, ვინ ვართ და საით მივდივართ. თუკი მიზნები მრავალფეროვანი არ არის, მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმსა და დიდ ქართულ ნაციონალურ ნარატივს შორის სხვაობა იშლება.

ნინო ლომთაძე — ვფიქრობ, ამ კომისიის შექმნა ცუდი არ არის. ისტორიკოსები თუ მოინდომებენ, შეძლებენ დაწერონ თანამედროვეობის ობიექტური და სრული ისტორია. 2008 წლის ომის შესახებ პრეზიდენტიდან დაწყებული, თუ ყველა სიმართლეს იტყვის, მაშინ სწორი ისტორია დაიწერება და არა — შელამაზებული. კომისიის მიზანი უნდა იყოს, რომ სწორი ისტორია დაიწეროს.

შოთა ხინჩაგაშვილი — მაგალითად, ტალიავინის კომისიის დასკვნა რომ დაიდო, ფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტის ირგვლივ ინტერპრეტაციები შეთანხმებულია და საზოგადოებაში არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს?

ნინო ლომთაძე — არ ვიცნობ ამ დოკუმენტს, ამიტომ ვერ ვისაუბრებ. დამნაშავე ორივე მხარეა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, პირველი დამნაშავე ჩვენი პრეზიდენტია. ის რომ სწორად მოქცეულიყო, ეს ომი არ მოხდებოდა.

დავით ლოსაბერიძე — შემიძლია გითხრათ, რომ ეს ცხადი არ არის არა მარტო ჩვენთან, არამედ სტრასბურგშიც, ევროპის საბჭოშიც, სადაც ამ საკითხზე საუბრისას სრულიად მიუკერძოებელი ადამიანებიც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს. რა თქმა უნდა, გამოსავალი ერთია — დისკუსიის მრავალფეროვნება და თანაბარი პირობები ყველა იმ ხედვისთვის, რომელიც შეიძლება გაჩნდეს მიუხედავად იმისა, მივვაჩნია თუ არა სწორად ესა თუ ის ხედვა და რაკურსი.

შოთა ხინჩაგაშვილი — ჩვენ უკვე მივეჩვიეთ: ხელისუფლება რაღაცას გააკეთებს, შემდეგ ვიკრიბებით საჯარო სივრცეში და ვმსჯელობთ. ამ დროს მატარებელი მიდის და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება პოსტფაქტუმ ხდება. დღევანდელ შეხვედრას გაცილებით უფრო დიდი ღირებულება ექნებოდა, ის სახელმწიფო კომისიის ჩამოყალიბებამდე რომ მომხდარიყო.

სქოლიო

[1] 1783 წლის 4 აგვისტოს ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდ. კავკასია) დაიდო „სამეგობრო შეთანხმება“ რუსეთსა და გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა.

[2] *Комиссия по противодействию попыткам фальсификации истории в ущерб интересам России http://www.aif.ru/politic/article/26935*

[3] იხ. „ბურგუნდიელი რაინდები საქართველოში“ *http://azrebi.ge/index.php?m=2&newsid=30.*

[4] 1998 წელს გოჩა ესებუას მეთაურობით გაიტაცეს გაეროს 4 დამკვირვებელი.

[5] 1770 წლის 20 აპრილის ქართველთა ბრძოლა ოსმალეთის ლაშქართან ერეკლე II-ის სარდლობით რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774) დროს.

საბჭოთა არქიტექტურის მეტამორფოზები

25. 05. 2011

მომხსენებლები:

ლადო ვარდოსანიძე — არქიტექტორ-ურბანისტი

კოკა ამირეჯიბი — არქიტექტორი

სოფიო კილასონია — ხელოვნებათმცოდნე

მოდერატორი: ცირა ელისაშვილი — „ტფილისის ჰამქარი“

ცირა ელისაშვილი — არქიტექტურა ის სფეროა, რომლის მიმართაც მოქალაქეები იოლად გამოხატავენ ხოლმე საკუთარ დამოკიდებულებას. შეიძლება, არ იყო არქიტექტორი, მაგრამ მოგწონდეს ან არ მოგწონდეს რომელიმე შენობა; არ იყო მხატვარი და დადებითად ან უარყოფითად აფასებდე რომელიმე მხატვრის შემოქმედებას. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია პროფესიონალების შეფასებები. სწორედ ასეთი პროფესიონალი ექსპერტები გვყავს მოწვეული დღევანდელ დისკუსიაზე.

ლადო ვარდოსანიძე — ნახევარსაათიანი თხრობით შეუძლებელია საბჭოთა ეპოქის მშფოთვარე, დაძაბული, წინააღმდეგობრივი, დრამატული არქიტექტურული პროცესის მეტ-ნაკლები სისრულით აღწერა. ამიტომაც, მოხსენების ამოცანებიდან გამომდინარე, ყურადღებას რამდენიმე ისტორიულ ნიშანსვეტზე გავამახვილებ, რომლებიც საბჭოური არქიტექტურის მეტამორფოზებზე გვიქმნის წარმოდგენას.

კიდევ რამდენიმე დათქმა: არც არქიტექტურის ისტორიკოსი ვარ, არც ხელოვნებათმცოდნე. ჩემთვის გაცილებით ახლო და საინტერესოა საბჭოეთის ამა თუ იმ პერიოდის არქიტექტურული პროცესის მამოძრავებელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური თუ კულტურულოგიური მექანიზმები.

მხოლოდ ქართული რეალობით ვერ შევიზღუდები, რაც მაშინდელი ხისტად ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირობებიდან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს. მით უმეტეს, საქართველოში ნაკლებადაა წარმოდგენილი 1920-30-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა არქიტექტურული კულტურა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ — დავარღვევ საზოგადოდ აღიარებულ ტრადიციას და დასკვნებს მოხსენების თავში გადმოვიტან, რაც, ჩემი აზრით, ჩვენი შეხვედრის სცენარის პირობებში გააადვილებს აუდიტორიისთვის შეთავაზებული, შესაძლოა, საკამათო თეზისების აღქმას და დისკუსიის გამართვასაც შეუწყობს ხელს.

მაშ, ასე, დასკვნები:

საბჭოთა პერიოდის არქიტექტურული პროცესი, ისევე, როგორც ზოგადად, საბჭოთა ეპოქა, ერთგვაროვანი არ იყო. ამ თვალსაზრისით, საბჭოეთში მკაფიოდ იკვეთებოდა ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავებული, მეტიც — არსებითად დაპირისპირებული ეტაპები. სხვა, საბჭოეთის თანადროული ტოტალიტარული რეჟიმები ამგვარ რამეს მათი არსებობის შედარებითი ხანმოკლეობის გამო არ იცნობდა: სსრკ-მ საუკუნის სამი მეოთხედი, ანუ, ორ თაობაზე მეტი დრო იარსება; ფაშისტურმა იტალიამ — 22 წელი; ნაცისტურმა გერმანიამ — 12 წელი. თუ ამ პერიოდებს მეორე მსოფლიო ომის წლებს გამოვაკლებთ, რომელთა ათვლაც გერმანიისთვის და, ნაწილობრივ, იტალიისთვისაც 1939 წელს დაიწყო, დავრწმუნდებით, რომ ტოტალიტარიზმისა და არქიტექტურული პროცესის ურთიერთმიმართების კვლევისას, უწინარესად, სწორედ საბჭოთა გამოცდილებაა მნიშვნელოვანი.

კიდევ ერთი დასკვნა, რომელიც, ცხადზე ცხადია, მაგრამ მაინც ითხოვს ხაზგასმას — „ნორმალური“, მეტ-ნაკლებად დემოკრატიული საზოგადოებებისგან განსხვავებით, სადაც არქიტექტურული პროცესის ევოლუცია ბუნებრივად მომდინარეობდა ფართოდ გაგებული კულტურის წიაღიდან და შედარებით მდორე ხასიათისა იყო, საბჭოეთში ეს პროცესი რეგლამენტირებული ბრძანებებით იმართებოდა, რომელთაც სრულიად ცალსახა თარიღები ჰქონდათ. ამიტომაც, ცხადად ჩანს არქიტექტურული პროცესის გარდატეხის ქრონოლოგიური წერტილები, სადაც პროცესი ხდომილებად იქცეოდა ხოლმე.

დავუბრუნდეთ ჩვენი მსჯელობის არსებით მხარეს. ამოსავალ წერტილად 1921 წელს ავირჩევ — მხოლოდ იმიტომ არა, რომ ეს საქართველოს გასაბჭოების წელია, არამედ — იმიტომაც, რომ ამ მომენტისათვის საბჭოთა რუსეთში მთავრდება სამოქალაქო ომი, იწყება ტოტალური რეპრესიების პირველი ტალღა, იკვეთება ახალი ეკონომიკური პოლიტიკის *(НЭП)*[1] კონტურები, იწყება ახალი და ახლებური სახელმწიფოს მშენებლობა.

ამ პირობებში, ბუნებრივია, არქიტექტურული პროცესი, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა დარგები — დიზაინი, გრაფიკა, თეატრი, კინო, საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პლანზე გამოდის.

მაშ ასე, პირველი ეტაპი: 1920-30-იანი წლების შუა პერიოდი.

მსოფლიოში აღიარებულია, რომ ეს პერიოდი ახლის პათოსითაა განმსჭვალული: მისთვის დამახასიათებელია თავისუფალი ექსპერიმენტი, უკიდეგანო ფანტაზია, კონცეპტუალური იდეები, დემოკრატიული კოსმოპოლიტიზმი... დღეს ვიტყოდით — გლობალიზმი. საგულისხმოა, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ იყო წახალისებული და იმდროინდელი იდეოლოგიის ნაწილი იყო. საბჭოთა არქიტექტურული პროცესი მსოფლიოს ავანგარდში მოექცა და დასავლეთის ლიბერალებისთვის ერთგვარ ლაბორატორიად და ავანგარდად იქცა. ამ პერიოდმა ბუნებრივად შვა მასშტაბური პიროვნებები, რომლებიც მსოფლიო არქიტექტურის აღიარებულ, ქრესტომათიულ ფიგურებად დარჩნენ. ესენი არიან — ვ. ტატლინი[2], კ. მელნიკოვი[3], ი.ლეონიდოვი[4], ა. როდჩენკო[5], ძმები ვესნინები[6], სხვებიც. მათ დატოვეს ფასდაუდებელი მემკვიდრეობა, რომლის მცირედ ნაწილსაც წარმოგიდგენთ.

ტატლინი ცნობილია თავისი სუპრემატისტული კომპოზიციებით. ზოგიერთ მათგანს ის გამომწვევად ათავსებს ამერიკული ცათამბჯენების გარემოცვაში — ახალი სამყაროსა და ახლებური არქიტექტურული აზროვნების უპირატესობის დემონსტრირების მიზნით. სწორედ ტატლინი გახდა ამ პერიოდის საბჭოური არქიტექტურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმბოლოს — „III ინტერნაციონალის მემორიალური კოშკის“ ავტორი. ნიშანდობლივია, რომ ამ სიმბოლოს გამოფენა-განხილვას მიტინგის ფორმა ჰქონდა, რაც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

იმ ეპოქის კიდევ ერთი გამორჩეული ფიგურაა კონსტანტინე მელნიკოვი. ამ მრავალმხრივმა ხელოვანმა სახელი გაითქვა დეკორატიული და მხატვრული წარმოების მსოფ-

ლიო გამოფენისთვის დაპროექტებული საბჭოთა პავილიონით. გამოფენა 1925 წელს პარიზში ჩატარდა. გამოფენის სტატუტში ხაზგასმული იყო: *„должна была вскрыть новые тенденции, новые достижения XX века и прежде всего — обнаружить хотя бы первые уроки нового опыта – опыта технического и социального... строжайшим образом исключаются всякого рода копии, имитации и подделки под старые стили.“*[7] ამ პირობებს ყველა მონაწილემ ვერ უპასუხა. წარმატებულ პროექტებს შორის იყო ძმები პერრეს[8], ლე კორბუზიეს[9] (რომელსაც კიდევ დავუბრუნდებით) და კ. მელნიკოვის მიერ დაპროექტებული ობიექტები. კ. მელნიკოვის პავილიონმა სენსაცია მოახდინა. მან არქიტექტურულ-პლაკატური ფორმით დასმულ ამოცანას ბრწყინვალედ უპასუხა. იმ დროს პლაკატი ხელოვნების წამყვანი დარგი იყო, ისევე, როგორც მასობრივ-სანახაობრივი წარმოდგენები ქალაქის სივრცეში. ახლებური გადაწყვეტით გამოირჩეოდა აგრეთვე როდჩენკოს მიერ დაპროექტებული პავილიონის ინტერიერი. კ. მელნიკოვმა შეასრულა პარიზისთვის მიწისქვეშა საავტომობილო ავტოსადგომის პროექტი (1925), რომელიც ფუნქციური მოხერხებულობით და არქიტექტურული გადაწყვეტის სიახლით გამოირჩეოდა. მანვე დააპროექტა ერთ-ერთი მუშათა კლუბი მოსკოვისთვის — იმ დროისთვის აქტუალური, ტიპოლოგიურად ახალი ობიექტი.

1929 წელს კ. მელინიკოვი, სხვა საბჭოთა არქიტექტორებთან ერთად, მონაწილეობს სანტო დომინგოში გამართულ საერთაშორისო არქიტექტურულ კონკურსში, რომელიც ქრისტეფორე კოლუმბის ისტორიულ მისიას მიეძღვნა. აქაც, საბჭოთა არქიტექტორების პროექტები სითამამითა და ნოვატორობით გამოირჩეოდა.

1927 წელს თავისი სადიპლომო ნაშრომით — „ვ.ი. ლენინის ინსტიტუტი მოსკოვში“ — საბჭოთა არქიტექტურაში ელვისებურად შემოიჭრა ი. ლეონიდოვი.

კონკრეტული არქიტექტურული ობიექტების დაპროექტების პარალელურად იწყებოდა ახლებური სოციალისტური განსახლებების თეორიული ძიებები და „ახალი ქალაქის“ კონცეფციების შემოთავაზება. 1918-1923 წლებში არქიტექტორებმა ი. ჟოლტოვსკიმ[10] და ა. შჩუსევმა[11] წარმოადგინეს „ახალი მოსკოვის ურბანისტული კონცეფცია“, 1928 წელს გამოქვეყნდა ტ. ვარენცოვის „მომავლის ქალაქი“, მ. ჟიროვის „მომავლის ქალაქი“, კოჩარის „მომავალის ქალაქი“ და სხვა მსგავსი ქალაქმშენებლობითი წინადადებები. შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ ამ ურბანისტული ძიებების და მე-20 საუკუნის არქიტექტურული პროცესის აღიარებული ლიდერის - ლე კორბუზიეს პროექტების მსგავსება თუ არა, პარალელურობა მაინც.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნებმა მოაჯადოვა ლე კორბუზიე, ისევე, როგორც დასავლური კულტურის სხვა მოღვაწეები. ლე კორბუზიე ზედიზედ სამჯერ სტუმრობდა საბჭოთა კავშირს — 1928, 1929, 1930 წლებში, კითხულობდა ლექციებს, აპროექტებდა, აშენებდა კიდეც. ადვილად შესამჩნევი გადაკეთების მიუხედავად, დღემდე აღტაცებას იწვევს „ცეკავშირის“ შენობა მოსკოვში, ყოფილ კიროვის ქუჩაზე.

ინტენსიურად მუშავდებოდა კონკრეტული ქალაქების განვითარების წინადადებებიც. აღსანიშნავია ვ.სემიონოვის პროექტი სტალინგრადისთვის, ნ. მილიუტინის „ქალაქ მაგნიტოგორსკის კონცეფცია“ და „დიდი ზაპოროჟიეს“ პროექტი (1930), მ. კრუტკოვის პროექტი „მფრინავი ქალაქი“(1928). 1930-1935 წლებში ლე კორბუზიეს მიერ დიდი გულმოდგინებით მუშავდებოდა მოსკოვის განვითარების კონცეფცია. ამ პროექტში შემუშავებული ქალაქმშენებლობითი იდეები მან გამოიყენა თავის ცნობილ პროექტში *La Ville Radieuse* (გასხივოსნებული ქალაქი), რომელიც ურბანისტიკის საეტაპო ნააზრევადაა მიჩნეული.

და მაინც, ამ ფონზეც კი გამოირჩევა ნ. ლადოვსკის ურბანისტული შემოთავაზება — მოსკოვის გეგმარებითი სტრუქტურების რადიკალური გარღვევა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ამ რევოლუციურმა იდეამ დიდწილად განაპირობა ქალაქის დინამიკური გეგმარებითი სტრუქტურის ხედვისა და კონცეფციის ჩამოყალიბება და ქალაქმშენებელთა არსენალში განამტკიცა „ხაზოვანი ქალაქის“ ცნება, რასაც მოგვიანებით თბილისთან მიმართებაში დავუბრუნდებით.

ამ პერიოდის საბჭოთა არქიტექტურულ პროცესს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ახასიათებს — ესაა არქიტექტურული და ურბანისტული შემოქმედებითი კონკურსების ჩატარების თითქმის სავალდებულო პრაქტიკა.

ამგვარ კონკურსებს შორის თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა „საბჭოების სასახლის“ პროექტზე 1937 წელს დასრულებული კონკურსი. მრავალ პროექტს შორის მხოლოდ ორს დავასახელებ: გამარჯვებულს — (არქიტექტორები მ. იოფანი, ა. შჩუკი, გ. გელფრეიხი) და ი. ლეონიდოვის მიერ წარმოდგენილს. ამ კონკურსის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეზონანსზე მეტყველებს ის, რომ გამარჯვებული პროექტი აისახა საბჭოთა არქიტექტურის წარმატებებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების სერიის ერთ-ერთ მარკაზე და საბჭოთა არქიტექტორთა პირველი ყრილობისადმი (1937 წ.) მიძღვნილ საფოსტო ნიშნების ბლოკზე.

ამ პერიოდის ანალიზისას, დღევანდელი გადასახედიდან, არ შეიძლება, არ დაიბადოს კითხვა — შემოქმედის, ჩვენ შემთხვევაში, არქიტექტორისა და ურბანისტის შემოქმედებით კრედოსა და გაბატონებული რეჟიმის იდეოლოგიური პრინციპების თანხვედრისა ან გაზიარების შესახებ. გავიხსენოთ, რომ არქიტექტურა და ურბანისტიკა აშკარად სოციალური საქმიანობაა და თუ არ ჩავთვლით, ე.წ. „ქაღალდის არქიტექტურას“, ის კონკრეტულ თანადროულობას ემსახურება. არქიტექტურა სწორედ ამით განსხვავდება, მაგალითად, პოეზიისგან, რომლის ზედროითი შედევრებიც კი, შეიძლება უჯრაში დაგროვდეს და მოგვიანებით „ამოხეთქოს“.

დიდმა პოეტმა ბორის პასტერნაკმა ამგვარად გაამართლა იმ დროის შემოქმედთა ეგოისტური კომპრომისი: *„не разлучайте песен с веком, который их сложил и пел“.* ეს რეალობა, რომელიც რეჟიმის მომსახურე ხელოვანთა ორაზროვან მდგომარეობას ასახავს, ქართულ პირობებში ერთ პოეტურ სტრიქონშია ინდულგენციასავით

მოქცეული — „შენ დაიბადე აპრილის თვეში“. სწორედ „აპრილში დაბადებულთ“ მიუძღვნეს თავიანთი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ პერიოდის ხელოვანებმა. რა იყო ეს — ეგოისტური კომპრომისი, აუცილებელი კონფორმიზმი, ინდულგენციის შეძენა, გულწრფელი მაამებლობა თუ სხვა რამ — ამ კითხვებზე ერთიანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ყველა ხელოვანმა თავისი შემდგომი ცხოვრებით უპასუხა ეპოქის გამოწვევას — თუნდაც ისე, როგორც ეს ჩვენმა თანამემამულემ, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ გააკეთა.

კომპრომისისა და მაამებლობის მაგალითები მეტი იყო (ლისიცკი ლენინისთვის ტრიბუნას აპროექტებს). მალევიჩი, რომლის „შავი კვადრატი“ თუ სხვა სუპრემატისტული კომპოზიციები მსოფლიო ავანგარდის ნიშნებადაა ქცეული, ხატავს მაამებლურ ტილოს „წითელი ცხენების რბოლა“. კ. იუონი 1921 წელს ასრულებს ტილოს „ახალი პლანეტა“ (გასაგებია, რა პლანეტაზეცაა საუბარი).

კადრი ს. ეიზენშტეინის ფილმიდან „ოქტომბერი“ (1927) სრულიად იდეოლოგიზებულია. მაგრამ შეუძლებელია, ამ დროის ხელოვანს შინაგანი დრამა არ განეცადა. ყოველ შემთხვევაში, მეჩვენება, რომ ამგვარი კოლიზიაა ჩადებული ნ. ტერფსიქოროვის ფერწერულ ტილოში „პირველი ლოზუნგი“ (1921).

ბუნებრივია, ისმის კითხვა — რა ხდება ამ დროს საქართველოში, რა ფორმებს იღებს არქიტექტურული პროცესში ტფილისში?

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის თემატიკა საკავშირო დონეზეც ფიგურირებს, რასაც მოწმობს ი. ნოვინსკის გრაფიკული კოლაჟი „ზაჰესი“ (1927 წ.). ეს მშენებლობაც იდეოლოგიზებული იყო. ამ პერიოდში, 1922 წლიდან მოყოლებული, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის *(ЗСФСР)* წევრია სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად. ტფილისი კი — ფედერაციის დედაქალაქი. მაგრამ მაინც, არქიტექტურული პროცესის თვალსაზრისით ტფილისი პროვინციად რჩება. იმ პროცესებს, რომლებიც საქართველოში ვითარდებოდა, ვერ შევადარებთ რევოლუციური იდეების ელვარე სტიქიას, რასაც რუსეთში, და განსაკუთრებით, მოსკოვში ჰქონდა ადგილი. ამ დროს სამხრეთ კავკასიაში სრულიად ახალი პრინციპებით იწყება ქალაქების განაშენიანება. ამის მაგალითებია ბაქოში ს. შაუმიანის დასახლება „არმენიკენდი“ (1925-1928 წწ.), ერევანში მუშათა დასახლება (1930-იანი წლების დასაწყისი). ტფილისში ესაა, უწინარესად, ე.წ. ტრამვაელების მიკრორაიონი (1928) პლეხანოვის პროსპექტზე.

მიკრორაიონირება — ახალი ქალაქმშენებლობითი კონცეფციაა, რომელსაც საფუძვლად უდევს განაშენიანების კომპლექსურობა და მოსახლეობის მომსახურების საფეხურობრივი სისტემა. არქიტექტორმა დ. ჩისლიევმა[12] დააპროექტა 12 საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც ექვს პარალელურ რიგს ქმნის. კვარტლის ტერიტორიის ნახევარზე მეტი გათვალისწინებული იყო ეზოებისთვის, სპორტული და სათამაშო მოედნებისთვის; პრო-

ექტში ჩადებული იყო აბანო, სამრეცხაო, მაღაზიები, ბიბლიოთეკა, სასადილო, საბავშვო დაწესებულებები.

ფუნქციურ-გეგმარებითი სიახლის გარდა, ამ კომპლექსში ყურადღებას იქცევს ეროვნული არქიტექტურული ელემენტების ციტირების მცდელობა, რაც ამ ავტორის სხვა ნაწარმოებებშიც გამოვლინდა (მაგალითად, „ზარია ვოსტოკას“ შენობა რუსთაველზე). ამგვარ მცდელობათა რიგს მიეკუთვნება „გოსკინპრომის“ შენობა (ძველი კინოსტუდია) და რამდენიმე სხვა ობიექტი.

გაშლილმა მშენებლობამ არქიტექტურაში ეროვნული კადრების არარსებობის პრობლემა წარმოაჩინა. პირველი ქართველი დიპლომირებული არქიტექტორი, სიმონ კლდიაშვილი[13] 1920 წელს გარდაიცვალა. 1922 წელს, ფაქტობრივად, ერთდროულად ფუძნდება ორი არქიტექტურული სკოლა — სამხატვრო აკადემიასა და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იწყება პროფესიონალი არქიტექტორების მომზადება, რამაც შედეგი მალევე გამოიღო.

ამასობაში, მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც ქალაქების გენერალური გეგმების შემუშავება დაიწყო. 1933 წელს გამოდის სსრკ დირექტიული ორგანოების დადგენილება „სსრკ ქალაქებისა და სხვა დასახლებების დაგეგმარებისა და მშენებლობის შესახებ“. ერთ წელიწადში ტფილისმა მიიღო პირველი გენერალური გეგმა, რომლის შემუშავებაში ხარკოველ სპეციალისტებთან ერთად ახალგაზრდა ქართველი არქიტექტორები ზ. ქურდიანი და გ. გოგავა მონაწილეობდნენ.

1934 წელს გენერალური გეგმის კონცეფციაში მჟღავნდება და გეგმარებითი სტრუქტურის მატერიალურ ფორმას იძენს ტფილისის ბუნების იმანენტური თვისება - ხაზოვნება. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო მხოლოდ ქალაქის სივრცით-ტერიტორიული ტიპის განმტკიცება. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ტფილისის ხაზოვანმა ბუნებამ და განვითარების შესაბამისმა ვექტორმა გადაარჩინა დღეს უთუო ფასეულობად აღიარებული ურბანული მემკვიდრეობა — „ძველი თბილისი“. საქმე ისაა, რომ პირველ გენერალურ გეგმაში ჩადებული იდეის რეალიზებამ ზურგსუკან მოიტოვა დედაქალაქის ურბანული „ძველმანი“ — სწორედ ასე ფასდებოდა ქალაქის ისტორიული ბირთვი ამ გეგმაში. ტფილისი რომ ყოფილიყო რადიალურ-წრიული სტრუქტურის ქალაქი, ჩვენ დღეს მისი ისტორიული ნაწილი აღარ გვექნებოდა. მოსკოვს დაემართა ამგვარი რამ და, სხვათა შორის, პარიზსაც.

გენერალური გეგმის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ პროექტში სამი ძირითადი ამოცანაა დასმული:

„1. ჩვენი ქალაქების ორგანიზაციაში კაპიტალიზმის ნიშნების ლიკვიდაცია.

2. ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა.

3. მშრომელთათვის ჯანსაღი კულტურული გარემოს შექმნა“.

აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ „განვლილმა საუკუნეებმა ქალაქს ბლომად დაამჩნია არამც თუ კაპიტალისტური წარსულის, არამედ, ფეოდალური დროის კვალი, რომელიც

სოციალისტური მშენებლობის პირობებში საჭირო აღარ არის და ხელს უშლის ქალაქის გეგმიან სოციალისტურ განვითარებას.“

„ტფილისში შემონახულია მთელი რაიონები, რომელთაც საშუალო საუკუნეების ბეჭედი აზის — ავლაბარი, მაიდანი, ხარფუხი, სომხის ბაზარი. იქ შეიძლება შეხვდეთ ვიწრო ქუჩებს, რომლებზედაც ორ ურემს არ შეუძლია გვერდის ავლა, პაწაწკინტელა ეზო-ჭებს, რომელთა შიგნით ტფილისის მზეც კი ვერ იხედება, ფერდობზე მიკრულ პატარა სახლებს, რომელნიც მერცხლის ბუდეებს უფრო გვაგონებენ, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს. აქ წარმოუდგენელი სივიწროვეა — ერთ ჰექტარზე ათას კაცამდე ცხოვრობს. ასეთი რაიონები მთლიან რეკონსტრუქციას მოითხოვენ.“

„ქონდარა საცხოვრებელი სახლების ნაცვლად შენდება 4 და 5-სართულიანი შენობები, რიყის ქვის ფენილი გლუვი ასფალტით იცვლება.“

„ქალაქის ცენტრში აღებულია ქარვასლა და მოეწყობა დიდი მოედანი“.

„ძველი ქალაქის ქუჩები გაფართოვდება. ამ მხრით დიდი მუშაობის ჩატარება იქნება საჭირო ქალაქის სამხრეთ რაიონებში, სადაც კვარტლების გამსხვილება და ქუჩების მოსწორება ძველი საბინაო ფონდის აღებას მოითხოვს.“

ასეთი იყო ურბანული მემკვიდრეობის იმდროინდელი ხედვა. და ეს არ იყო მხოლოდ რადიკალი ქალაქმშენებლების მიდგომა. გავიხსენოთ, რომ ნიკო ნიკოლაძე თავის დროზე ქალაქს სთავაზობდა გოგირდის წყლის წყაროების ბაზაზე ბადენ-ბადენის მსგავსი კურორტის გაშენებას; რა თქმა უნდა, ძველი განაშენიანების პირწმინდად აღების ხარჯზე.

ამასთან ერთად, ქალაქის პირველ გენერალურ გეგმაში ჩადებული იყო რამდენიმე პრინციპული დებულება, რომლებმაც დედაქალაქის განვითარება რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრა.

ეს დებულებები იყო:

— ქალაქის უპირატესი განვითარება მდ. მტკვრის დინების აღმა. თუმცა, განიხილებოდა ე.წ. „ზემო ტფილისის“ ვარიანტიც — „თანამგზავრი“ ქალაქები. (სხვათა შორის ამ იდეამ სულ ახლახან — ხუთიოდე წლის წინ შეისხა ხორცი);

— განივი სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესება, ახალი ხიდების აგება;

— გრძივი საავტომობილო მაგისტრალების მდ. მტკვრის სანაპიროს გაყოლებით გაჭრა;

— სამი მლაშე ტბის ივრის წყლით შევსებით „თბილისის ზღვის“ შექმნა;

— გაფართოვდა ტფილისის შემოგარენის გატყიანების სამუშაოები და მწვანე მშენებლობა თვით ქალაქში.

ნიშანდობლივია, რომ ტფილისის პირველი გენერალური გეგმის მიღების თარიღი დაემთხვა საბჭოთა ისტორიის უმძიმესი, სისხლიანი ეტაპის დაწყების საბაბს — კიროვის მკვლელობას, რასაც რეპრესიების ტალღები მოჰყვა. ეს გარდატეხა აისახა არქიტექტურულ პროცესზეც — იწყებოდა ის დრო, რომელსაც მეტაფორულად „ბერიას ტფილისს/თბილისს“ ვუწოდებთ.

ზოგადი ფონი ასეთია: 1936 წელს იშლება ამიერკავკასიის ფედერაცია; ლავრენტი ბერია ცვლის დედაქალაქის სახელს — ამიერიდან ის თბილისად იწოდება და, რაც ჩვენი თემისთვის მთავარია, დედაქალაქში იშლება სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ახალი მშენებლობები. ამ პერიოდში აშენდა გმირთა მოედნის კომპლექსი — ცირკი, თერთმეტსართულიანი სახლი, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, ჩელუსკინელების ხიდი, სანაპიროები, მთავრობის სახლის პირველი რიგი, ფუნიკულიორის ზედა სადგური, „დინამოს“ სტადიონი, სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტები. ამ ყველაფერმა თბილისს დედაქალაქური მასშტაბი შესძინა.

შეგნებულად შემოვინახე ერთი ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე შენობა — მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტი, ე.წ. „იმელი“, რომლის მშენებლობა 1938 წელს დასრულდა. მშენებლობას, იმდროინდელი პრაქტიკის თანახმად, საკავშირო კონკურსი უძღოდა წინ. კონკურსში ლენინის მავზოლეუმის ავტორმა, არქიტექტორმა ა. შჩუსევმა გაიმარჯვა. 80-იან წლებში ამ შენობას ძეგლის სტატუსი მიენიჭა, ახლახან კი მოეხსნა, რითიც შესაძლებელი გახდა მისი პრივატიზება და სულაც — განადგურება.

აქ არ შევუდგები „იმელის“ შენობის არქიტექტურულ-მხატვრულ ანალიზს ან მისი ქალაქმაფორმირებელი როლის მტკიცებას. ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებაზე გავამახვილებ, რაც მის სრულიად განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. ამ შენობის პროექტირება-აგების პერიოდს დაემთხვა ტრაგიკული მეტამორფოზა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკმარისია, ერთმანეთს შევადაროთ „იმელის“ შენობის მთავარი, უკანა და გვერდითი ფასადები, რომ ამაში დავრწმუნდეთ. მთავარი ფასადი აქ „სტალინური ამპირია“, სხვა ფასადები კი — კონტრუქტივიზმის ბრწყინვალე ნიმუშებია. ამიტომაც, საბჭოთა არქიტექტურის მკვლევარს ამ შეუსაბამობის გასამართლებლად თავის დროზე სიტყვიერი ეკვილიბრისტიკის გამოყენება მოუწია: „კონკურსზე მიღებული პროექტი იცვლებოდა და იხვეწებოდა როგორც ტექნიკური პროექტის შემუშავების დროს, ასევე — მშენებლობისას. შემუშავდა რამდენიმე ვარიანტი, სადაც იცვლებოდა და კრისტალიზირდებოდა ფასადების პლასტიკა.“[14]

ამდენად, ეს შენობა არა მხოლოდ საბჭოური არქიტექტურის უნიკალური ძეგლია, არამედ, უფრო ფართო მასშტაბითაცაა საინტერესო. არქიტექტურული პროცესის განვითარების თვალსაზრისით, ეს არის არა შენობა „მოწმე“, არამედ შენობა — „აღიარებითი ჩვენება“. მისი სემანტიკური არსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არქიტექტურის მკვლევარებისთვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოების ახალგაზრდა თაობებისთვის — იმის საჩვენებლად, თუ როგორ მართავს ავტორიტარული რეჟიმი არქიტექტურულ პროცესს. ამიტომაცაა, რომ ბოლო დროის ქალაქმშენებლობის ისტორიკოსები დაკვირვებით იკვლევენ სტალინისა და ლუჟკოვის მოსკოვს, მუსოლინის რომს, ჰიტლერის არარეალიზებულ ბერლინს, ჩაუშესკუს ბუქარესტს, ნაზარბაევის ასტანას, ალიევების ბაქოს და ა. შ.

მაგრამ, დრონი მეფობენ და არა დიქტატორები. დრომ კი 1950-იანი წლების შუა ხა-

ნებში საბჭოთა კავშირში ლიბერალიზაციის სარკმელი შეაღო. ხრუშჩოვის პერიოდს ანა ახმატოვამ ბრწყინვალე მეტაფორა შეუფარდა — „ვეგეტარიანული ხანა“ უწოდა. ახალი ეპოქა არქიტექტურულ პროცესში ბრძანებებით აღინიშნა. 1955 წელს გამოდის ცნობილი დადგენილება არქიტექტურულ-საპროცესო საქმეში „ზედმეტობებთან“ ბრძოლის შესახებ. არქიტექტურა ტიპური, უსახური, მართი კუთხის დიქტატს დამორჩილებული გახდა, ეკონომიკა წყვეტდა ყველაფერს. რასაკვირველია, აქ ფოლკლორმა მყისვე მოახდინა რეაგირება: „კითხვა: რა ვერ მოასწრო ხრუშჩოვმა? პასუხი: ჭერის და იატაკის გაერთიანება, სამზარეულოსა და ტუალეტის შეერთება“.

გავიხსენებ ხრუშჩოვის ყველაზე ცნობილ გამოსვლას 1962 წლის პირველ დეკემბერს, მოსკოვში, მანეჟში, ავანგარდის პირველ გამოფენაზე, სადაც, აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშები იყო წარმოდგენილი; მათ შორის ერნსტ ნეიზვესტნის[15] ნამუშევრებიც. ნიკიტა ხრუშჩოვმა ამ გამოფენას „პედერასტების ხელოვნება“ უწოდა. ეს ფრაზა მის ლექსიკაში ყველზე დიდი შეცდომა იყო. თუმცა, იყო ერთი გარემოება, რომელსაც უმადურად ვივიწყებთ ხრუშჩოვის ეპოქის დახასიათებისას. მისმა საბინაო პოლიტიკამ მოსპო „კომუნალური ბინების კოშმარი“. თუ ადრე საბჭოთა ქალაქებში საცხოვრისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების როლს თამაშობდა, უპრეცედენტო მასშტაბით გაშლილმა მშენებლობამ, ცხად და ფარულ ხარვეზებთან ერთად, ისტორიული ამოცანა გადაწყვიტა: მიაღწია შიდასაქალაქო განსახლების ფორმულას — „ერთი ოჯახი — ცალკე ბინა“. სამაგიეროდ, ამ პერიოდში იზღუდებოდა საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა.

სხვათა შორის, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ეს ყველაფერი ხრუშჩოვს იმავე ერნსტ ნეიზვესტნიმ დაუფასა, როცა უსასყიდლოდ დააპროექტა მემორიალი მის საფლავზე. აღსანიშნავია საფლავის ზუსტი მხატვრული გადაწყვეტა შავ-თეთრ ფერებში.

ხრუშჩოვის ეპოქა მალე, 1964 წელს დასრულდა; დაიწყო ბრეჟნევის „უძრაობა“, საქართველოში 1972 წელს ხელისუფლებაში ვასილ მჟავანაძეს ედუარდ შევარდნაძე ცვლის. მის სახელს არქიტექტურული პროცესის ერთი დადებითი მეტამორფოზა უკავშირდება — ესაა ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობისადმი ხელისუფლების დამოკიდებულების რადიკალური შეცვლა.

მართალია, არქიტექტურული მემკვიდრეობის მიმართ ქართულ საზოგადოებას და პროფესიულ წრეებს ყოველთვის ახასიათებდათ პიეტეტი, მაგრამ თბილისთან მიმართებაში ეს მიდგომა 1958 წელს, დედაქალაქის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით განსაკუთრებით წარმოჩინდა. 1970-იანი წლების შუა პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ურბანული მემკვიდრეობის კომპლექსური დაცვის მიმართულებით. 1975 წელს დამტკიცდა ძველი თბილისის სახელმწიფო დაცვის ზონა, რომელიც იმხანად მხოლოდ შუა საუკუნეების ქალაქს ფარავდა. 1978 წელს „საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველო“ შეიქმნა. ამ უწყების,

ერთი შეხედვით, მოუქნელი დასახელების ყოველი სიტყვა პრაქტიკულ დატვირთვას ატარებდა. მაგ., სიტყვა „სამეცნიერო“, საშუალებას იძლეოდა ამ ორგანიზაციაში სამუშაოდ მიეწვიათ სამეცნიერო ხარისხის მქონე სპეციალისტები და ხელფასის დანამატი გადაეხადათ მათთვის.

მაგრამ იყო ერთი გარემოებაც, რომელმაც, ჩემი აზრით, განაპირობა ძეგლთა დაცვის საქმის დაწინაურება საქართველოში.

როგორც ცნობილია, 1970-იანი წლები ეროვნული მოძრაობის უპრეცედენტო გააქტიურებით აღინიშნა. ამ მოძრაობის დღის წესრიგში ძეგლთა დაცვის საკითხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მოქნილმა პოლიტიკოსმა ედუარდ შევარდნაძემ მოძებნა აშკარად ეფექტური და, როგორც აღმოჩნდა, ეფექტიანი სვლა — ახალგაზრდული ენერგია მეტწილად ძეგლთა დაცვისკენ გადაამისამართა. ამოქმედდა ლოზუნგი — „არც ერთი ძეგლი შეფის გარეშე!“ გამოცოცხლდა „ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ საქმიანობა, რაც გამოიხატა წევრთა რაოდენობის გაზრდაში, ლატარიის ბილეთების გამოშვებაში, სხვა შეღავათებსა თუ პრივილეგიებში; გრძელდებოდა საზოგადოების ჟურნალის, „ძეგლის მეგობრის“ გამოცემა.

ამავე პერიოდში დამკვიდრდა დედაქალაქის დღესასწაული „თბილისობა“, რომელსაც კომუნისტები, ტრადიციისამებრ, ამა თუ იმ უბნის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულებას უსადაგებდნენ.

საბჭოთა სამხედრო ნაწილებთან ურთიერთობებიც უფრო შემტევი გახდა — მაგალითად, გადაწყდა მცხეთის ჯვარის მიდამოებიდან სამხედრო ნაწილის გადაყვანა და მოგვიანებით — გარეჯის პოლიგონის გადატანა.

სათქმელია ისიც, რომ მაშინ, ძეგლთა დაცვის სისტემაში პირველად, ჩამოყალიბდა ქალაქის ჯგუფი, რომელმაც ურბანული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით აღრიცხა თბილისის სახლ-ძეგლები და საბაღე-საპარკო ხელოვნების ძეგლები.

კოკა ამირეჯიბი, არქიტექტორი — დღეს მოკრძალებული მიზანი მაქვს: მსურს წარმოგიდგინოთ ალბომი, რომელიც საბჭოთა თბილისის არქიტექტურის ისტორიის პირველ ათწლეულს ასახავს[16]. ნებისმიერი სურათი, გადაღებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაკურსით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა თბილისზე. ამ ალბომში ასახულია ქალაქის ისტორია 1921 წლიდან 1931 წლამდე. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა არქიტექტურა ფეხს იდგამს; მას ჯერ არა აქვს მყარი კლიშეები, ჯერ არ არის შემოსული სტალინური ამპირი, რომელიც, მოგვიანებით 30-იანი წლების შემდგომ ჩნდება. ამ პერიოდის ქართულ არქიტექტურაში კონსტრუქტივიზმის დიდი გავლენაა, ამის დასტურია ალბომის ყდაც.

ალბომში წარმოდგენილ ათწლეულს ბევრი საერთო აქვს დღევანდელობასთან — ეს გარდატეხის პერიოდია. ყალიბდება ახალი საზოგადოება. დამთავრდა მეფის რუსეთი:

დამთავრდა ჯერ რევოლუციით, შემდეგ — სამოქალაქო ომით; მანამდე პირველი მსოფლიო ომი იყო, მერე საქართველომ უზარმაზარი კატაკლიზმები გადაიტანა და სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი გასაბჭოებით დამთავრდა. ტერმინი „გასაბჭოება“ ამ ალბომშიც ფიგურირებს, ის გარკვეულწილად საბჭოთა კავშირში არანებაყოფლობით შესვლას გულისხმობს.

დღეს ჩვენ გამოვედით საბჭოთა წიაღიდან, ვაშენებთ ახალ, დამოუკიდებელ ქვეყანას და გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით — მოგეხსენებათ, ჯერ ყველაფერი დალაგებული არა გვაქვს.

კიდევ ერთი პატარა შენიშვნა იმის შესახებ, თუ პირადად ჩემზე რა შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს ისტორიის ამ ორი პერიოდის შედარებამ. როგორც ჩანს, მოსახლეობას მოკლე ისტორიული მეხსიერება აქვს. 20-იან წლებში ქართველებმა საკმაოდ იოლად დაივიწყეს ის ძველი თბილისი, რომელიც რევოლუციამდე არსებობდა. თბილისი მაშინ ძალიან საინტერესო ქალაქი იყო, საინტერესო სოციალური და კულტურული ფენებით და მოკლე პერიოდში ეს ყველაფერი გაქრა — გაქრა ძველი წყობა, ცხოვრება, რესტორნები, დუქნები, სასტუმროები, ამქრები, ყარაჩოღელები, კინტოები, ჩოხიანი მამაკაცები, ჩიხტი-კოპიანი ქალები... ისე გაქრა, თითქოს არც ყოფილა, ხალხს თითქოს აღარც ახსოვდა. დადიოდნენ ახალი დროის ადამიანები, ქართულ ენაში გაჩნდა სიტყვა „მუშაკები“, რომელიც მანამდე არ არსებობდა, და ისინი სრულიად სხვა ქალაქს აშენებდნენ. თუკი ადრე თბილისს ძირითადად კერძო კაპიტალის მფლობელები აშენებდნენ — იქმნებოდა სააქციო საზოგადოებები, ამხანაგობები, 1921 წლის შემდეგ ქალაქს და ქვეყანასაც სოციალიზმის პრინციპებით მხოლოდ სახელმწიფო აშენებდა.

დაახლოებით იგივე რამ მოხდა 1990-იან წლებშიც. ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირთან იყო დაკავშირებული, მალევე გაქრა — გაზეთები, ფილმები, ტელეგადაცემები, პროპაგანდა, ბელადების პორტრეტები, ლოზუნგები, აღარაფერი არ იყო. ეს ყველაფერი ხალხს არაფერში სჭირდებოდა — არც პოლიტინფორმაცია, არც ყრილობების გადაწყვეტილებები...

1921 წლის შემდეგ ხალხმა ადვილად დაივიწყა ძველი თბილისი — ის ქალაქი, რომელიც ბრწყინვალედ აღწერა გრიშაშვილმა თავის „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“.

სოფიო კილასონია — ქალაქი და ზოგადად — გარემო საზოგადოების მოდელია. როგორ გარემოს ვქმნით დღეს ჩვენ? მე გარემოს არა არქიტექტურის და ურბანიზმის, არამედ, მონუმენტალიზმის და ქანდაკების თვალსაზრისით ვიკვლევ. აქ ითქვა, რომ საბჭოური ტოტალიტარული კულტურა იტალიური და გერმანული პარალელებით უნდა დავინახოთ. სწორედ ამ თემას მიეძღვნა მოსკოვში 2010 წელს გამართული კონფერენცია, სადაც ერთი საინტერესო კითხვა დაისვა საბჭოთა არქიტექტურისა და კულტურის მკვლე-

ვართა მიერ: რა იყო ის საერთო, რაც ამ სამ მოვლენას — კომუნიზმს, იტალიურ და გერმანულ ფაშიზმს აერთიანებდა. პასუხები მრავალგვარი იყო, მაგრამ საბაზისო კრიტერიუმი ერთია — ამ კულტურებს მთლიანად პარტია, ბელადი, ხელისუფლება განაგებდა. როცა კონფერენციის მასალებს ვკითხულობდი, პირდაპირი პარალელი და ალუზიები გამიჩნდა ჩვენს თანამედროვეობასთან.

რამდენიმე წლის წინ არა მხოლოდ მე, არამედ ბევრი სხვა მკვლევარიც ასაბუთებდა, რომ კულტურის პოლიტიკა საქართველოში არ არსებობდა. თუმცა, თუკი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განვითარებულ პროცესებს მივადევნებთ თვალს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურის პოლიტიკა არსებობს. არის ბიუჯეტი, რომელიც ქალაქის განაშენიანებაში, ქანდაკებების დადგმაში და სხვადასხვა ღონისძიებებში იხარჯება. უბრალოდ, კულტურის პოლიტიკა დასავლური გაგებით სულ სხვა რამაა — ესაა პროცესი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა, დამოუკიდებელი ინსტიტუციები და მთლიანად, საზოგადოება. დღეს ჩვენთან კულტურის პოლიტიკა პროცესია, რომელსაც მხოლოდ ხელისუფლება განსაზღვრავს — სახელმწიფო გარკვეულ გარემოს აშენებს, ამ ურბანულ გარემოში გარკვეულ მონუმენტებს ათავსებს და ა. შ.; გავიხსენოთ, მაგალითად, დღევანდელი ბათუმი... ალბათ, ახალი მოვლენა არ არის, როცა სახელმწიფოსთვის კულტურა და კულტურული პროცესები მხოლოდ დეკორაციაა.

ტოტალიტარიზმის ცნობილი მკვლევარი ჰანა არენდტი ამბობს, რომ ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელია რამდენიმე ნიშანი — მათ შორის, დროსთან დამოკიდებულება. დრო ტოტალიტარული რეჟიმებისთვის მხოლოდ მომავალია. წარსულს აქრობენ და აწმყო განიხილება, როგორც კიდევ ერთი ნაბიჯი მომავლისაკენ. მოგეხსენებათ, როგორი იყო საბჭოთა პროპაგანდა — ჩვენ მომავალს ვაშენებთ და ყველაფერი, რაც წარსულში იყო, უნდა დამთავრდეს; ახალ საქართველოში ახალი მონუმენტები იქნება, უნდა წაიშალოს გუშინდელი დღე.

როცა წარსულზე ვსაუბრობთ, ეს ჩვენთვის დავით აღმაშენებლის წარსულია. ამას ისიც ადასტურებს, რომ თბილისში აქტიურად ანგრევენ საბჭოთა არქიტექტურის ძეგლებს და იმდროინდელ მონუმენტებს.

ტოტალიტარიზმის კიდევ ერთი ნიშანი წარსულის მკვლელობაა. დღეს საქართველოს დიდ ქალაქებში ცოტაა შემორჩენილი შუა საუკუნეების შრეები, მაგრამ სადაც კი გვაქვს, მაგალითად, ბაგრატის ტაძარში, იმასაც კი არ ვუფრთხილდებით. დამოკიდებულება ბაგრატის ტაძრის მიმართ ასეთია — კი, ვინარჩუნებთ წარსულს და გვინდა მისი გადარჩენა, მაგრამ, პარალელურად, გაჩნდა პროექტი, რომლის მიხედვითაც ბაგრატის ტაძარი თავიდან უნდა აგვეშენებინა.

მეცნიერები შეთანხმებულები არიან კიდევ ერთ საკითხზე — ეს საბჭოთა სივრცეში, კულტურაში ახალი ტრადიციების გამოგონების ტენდენციაა. საბჭოურ ფერწერაში ხშირად გვხვდება არარსებული გარემოს შექმნის მცდელობები, სადაც რამდენიმე სივრცე

გადაკვეთს ერთმანეთს — მითოლოგიური სცენები, პროლეტარიატის ცხოვრების სცენები და ა. შ. თანამედროვე ქართული მონუმენტალიზმიც სავსეა პერსონებით, რომლებიც წარსულიდან „ვისესხეთ“ და რომლებთან ერთად თანაარსებობაც რთულია, თუ შეუძლებელი არა — მაგალითად, პრომეთე. მართალია, მისი ძეგლი გაიტანეს ქალაქიდან, მაგრამ ის თბილისისთვის შეიქმნა, ხოლო მედეა და პოსეიდონი — ბათუმისთვის...

გარემო, სადაც ვცხოვრობთ, ერთი მხრივ, გავლენას ახდენს, მაგრამ ამავე დროს, კარგად „მეტყველებს“ ჩვენზე. თუკი ამ გარემოსთან გარკვეული კონფლიქტი არსებობს, ეს უკვე ძალიან საინტერესოა.

შეიძლება, ჩემგან ძალიან თამამი სვლაა, როცა ვცდილობ ტოტალიტარიზმის რამდენიმე ნიშნის დანახვას თანამედროვეობაში, მაგრამ სწორედ ამ პარადიგმაში თავსდება დამოკიდებულება „იმელითან“, როცა მის დანგრევას ცდილობენ.

ფაქტია, რომ წარსულის ამოშლის პროცესი მიმდინარეობს და აშკარად ჩანს წარსულის მკვლელობის მცდელობები. ასევე, ხდება ახალი მითების შექმნაც: სხვას რას უნდა მივაწეროთ ქალაქის მთავარ მოედანზე წმინდა გიორგის ოქროს ქანდაკების დადგმა ვარდების რევოლუციის პათოსის ფონზე, თუ არა განახლებული, რეანიმირებული რელიგიური ტრადიციის შემოჩეჩებას?

როცა ყველა მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა ხელისუფლების და არა ინსტიტუციონალური გადაწყვეტილების შედეგია, ეს კულტურის პოლიტიკაში არსებულ ინერციულ და, ხშირად, გაუაზრებელ ქმედებებზე მიუთითებს.

გიორგი გაბაშვილი, ხელოვნებათმცოდნე — დღეს ძალიან მწვავედ დგას საბჭოთა სიმბოლიკის საკითხი.[17] ესეც, გარკვეულწილად, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა. ითქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში კომისიას შექმნიან, სადაც ხელოვნებათმცოდნეებიც შევლენ, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ, რა უნდა მოიშალოს და რა დარჩეს. რატომ ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობა?

მეორე საკითხი — ეს ტურიზმის სფეროსაც ძალიან მტკივნეულად შეეხება. რითი უნდა შეცვალონ ქალაქში შემორჩენილი საბჭოთა სიმბოლოები? ჯვრითა და ვარდებით? არც რელიგიის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მაღელვებს ეს საკითხი. ყველა ჭიშკარზე, სადაც საბჭოთა პერიოდის ვარსკვლავია შემორჩენილი, მათ ააძრობენ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელოვანსაც აღარ ექნება უფლება გამოიყენოს საბჭოთა სიმბოლოები. ვთვლი, რომ სიმბოლოებთან ბრძოლა სისულელეა, სიმბოლიკის აკრძალვა არაფერს იძლევა. რატომ ვიღებთ მაინცდამაინც გერმანიის მაგალითს?

სოფიო კილასონია — ვარშავის მაგალითს მოვიყვან. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომიწია ვარშავაში ყოფნა და მუშაობა. ვარშავაში, ქალაქის ცენტრში სტალინის „საჩუქარი“ დგას — უზარმაზარი შენობა. დღეს ამ შენობაში სამი თეატრი, ორი კინოთეატ-

რი და დამოუკიდებელი არასამთავრობო და სამთავრობო სახელოვნებო ინსტიტუციებია განთავსებული.

საბჭოთა არქიტექტურა დღეს ძალიან საინტერესოა, მით უმეტეს, ტურისტებისთვის. ჩვენთან მხოლოდ ის ტურისტები ხომ არ ჩამოვლენ, ვისაც მარტო მთა და კარავში ცხოვრება აინტერესებთ? ამაზე დღეს საქართველოში ნაკლებად ფიქრობენ. ვარშავაში ბევრი ადამიანი მხვდებოდა, რომლებსაც ეს ქალაქი სწორედ ამ კუთხით აინტერესებდათ.

ასევე, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ისტორიული არქიტექტურული ნაგებობის თანამედროვე ტრანსფორმაცია. საინტერესოა, მომავალში რა ბედი ელის დღევანდელი პარლამენტის შენობას, სადაც მალე აღარ იქნება პარლამენტი. თუ ასე გაგრძელდა, დაუსრულებელ პროცესთან გვექნება საქმე, ისტორიის წაშლა დიდ შრომას, დროს და თანხებს მოითხოვს.

ისაუბრა ბატონმა ლადომ მალევიჩის „ცხენების რბოლაზე“ . რუსული საბჭოთა კულტურა 1934 წლამდე ორგანულად სარგებლობდა რუსული ავანგარდით. რუსული ავანგარდი რუსული კულტურის ნიადაგზე სრულუფლებიანად აღმოცენდა, რასაც ჩვენთან ადგილი არ ჰქონია. ჩვენთან ავანგარდი ერთმა პატარა ჯგუფმა შემოიტანა, და მერე, მარტივად უარყვეს; ისევე, როგორც დღეს — საბჭოთა კულტურა. ამიტომაც, 1934 წლამდე დიდი სხვაობაა ქართულ და რუსულ მხატვრობას შორის. ეს საშიშროება დღესაცაა — შეიძლება ძალიან მარტივად დაინგრეს და წაიშალოს გუშინდელი დღე. ფუტურისტული, ისტერიული წინსვლის სურვილი წარსულის ხსოვნის გარეშე, იმავეს გამეორებაა, რაც 20-იან წლებში მოხდა.

ლევან ლომინაშვილი, არქიტექტორი — კარგი იქნება, თუ არ გაგვიკვირდება, როგორაა შესაძლებელი ხელოვნებათმცოდნეებისა და შსს-ს ურთიერთობა. ძალიან კარგად შეიძლება ეს. ასევე შესაძლებელია ისტორიასთან ბრძოლა, ისტორიის გადაწერა, ისტორია ამის ბევრ მაგალითს იცნობს. წარმართული კულტურა ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ სწორედ ასე გადაიწერა. მე ის უფრო მაინტერესებს, ამ არტეფაქტებს რას უპირებენ, სად შეინახავენ, რომელ მუზეუმში შეიტანენ და ა. შ.

ცირა ელისაშვილი — ამ კანონპროექტის ინიციატორმა, ბატონმა გია თორთლაძემ განაცხადა, რომ ის დეტალები, რომლებიც დღეს ურბანულ გარემოშია განთავსებული, შსს-ს კომისიის დასკვნის შემდეგ სამუზეუმო სივრცეში გადაინაცვლებს. მაგრამ ჩნდება კითხვა: რადგანაც სამუზეუმო სივრცეში გადაგვაქვს, ე.ი. ამ დეტალებს რაღაც მხატვრული ღირებულება გააჩნია. მაშინ რატომ არ შეიძლება ისინი ურბანულ გარემოში დარჩეს? ეს ძალიან სახიფათო ტენდენციაა. ასე ჩვენ ძალიან ბევრ ძეგლს ავთენტურობას დავუკარგავთ, ანუ იმას, რითიც ეს ძეგლები ძალიან მნიშვნელოვანია.

ბატონი ლევანი „ზარია ვოსტოკას“ შენობის პროექტს ამზადებს. იქნებ გვითხრათ, რა მოელის ამ შენობას?

ლევან ლომინაშვილი — რამდენიმე დღეში მერიაში „ზარია ვოსტოკას“ შენობის რეკონსტრუქციის ახალი პროექტი შევა განსახილველად და საზოგადოებასაც ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს მას. შემიძლია გითხრათ, რომ ის ნაწილები, რომლებიც დღეს დგას, გარკვეულწილად შენარჩუნდება. ერთადერთი, მარცხენა ფლიგელში მხოლოდ ფასადი დარჩება, შიგნიდან მთლიანად მოიხსნება დანარჩენი ნაწილები. შენარჩუნებული იქნება ძირითადი არქიტექტურული სტრუქტურა, ანუ ფასადები. პირველ სართულზე ღიობები ავთენტური არ გახლავთ და ისინი შეიცვლება. ვერ გეტყვით, შევძლებთ თუ არა დავარწმუნოთ დამკვეთები, შევინარჩუნოთ მეორე და ზედა სართულების ღიობები და ფანჯრები, ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ალექსანდრე სარალიძე, „ტფილისის ჰამქარი“ — შეგიძლიათ გვითხრათ, როგორია რეკონსტრუქციის პროცენტული მაჩვენებელი? იმ პროექტში, რომელიც გამოქვეყნებული იყო, ჩანს, რომ მიწის ქვეშ სამი-ოთხი სართულის სიღრმეზე ჩავდივართ. დავუშვათ, შენობის ნაწილი გვიანდელია, არ არის ჩისლიევის მიერ დაპროექტებული, მაგრამ ეს ხომ მაინც მთლიანი კომპლექსია; როგორია პროცენტული შეფარდება? რა რჩება ძველი და რა იქნება ახალი?

ლევან ლომინაშვილი — თუ არ ჩავთვლით უკანა ნაწილს, რომელიც ავთენტური არ არის, მე ასე შევაფასებდი — 50/50. თუ ამ ნაწილებს ჩავთვლით, მაშინ 30/70.

ალექსანდრე სარალიძე — თქვენ თვლით, რომ შენობის მიმართ, რომელიც კულტურის ძეგლია, მისაღებია მსგავსი მიდგომა?

ლევან ლომინაშვილი — ეს არ არის რესტავრაცია, ეს რეკონსტრუქციაა და რეკონსტრუქცია ყოველთვის გულისხმობს გარკვეულ ცვლილებებს.

დარბაზიდან — გავრცელდა ინფორმაცია, რომ შენობის უკან, სკვერის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ავტოსადგომი.

ლევან ლომინაშვილი — სკვერი დარჩება, მის ქვეშ მოეწყობა ავტოსადგომი. მაგრამ ეს იქნება არა ექვსი ან ოთხი დონე, როგორც ძველ პროექტში იყო, არამედ, მხოლოდ ერთი. დანარჩენი, აუცილებელი რაოდენობა ავტოსადგომებისა შენობაში განთავსდება.

ირაკლი ხვადაგიანი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია — აქ აღინიშნა, რომ საბჭოეთის პირველი ათწლეული წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაციით ხასიათდებოდა. კაპიტალიზმის ხატს შლიდნენ. ჰქონდათ თუ არა მაშინ ერთიანი პოლიტიკა იმის შესახებ, რა შეიძლებოდა ჩათვლილიყო კაპიტალიზმის გადმონაშთად? ისევე, როგორც დღეს შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, რა არის საბჭოთა მემკვიდრეობა...

ლადო ვარდოსანიძე — თუ არ ვისაუბრებთ საზოგადოების ორგანიზებაზე და მხოლოდ არქიტექტურით შემოვიფარგლებით, მაშინ უარყოფილი იყო ყველა სტილი, რომელმაც იმ პერიოდამდე მოაღწია. მაგალითად, სადღაც 60-იან წლებამდე თუნდაც, კვლევისთვისაც მიუღებელი და აკრძალული იყო მოდერნი. მოდერნის ცნობილი მკვლევარი კირიჩენკო დაკავებული იყო ლათინური ამერიკის ხელოვნების კვლევით, ვინაიდან მას პუბლიკაციის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

ციტატაც მოვიყვანე — პარიზის 1925 წლის გამოფენაში მონაწილეობის პირობა იყო, რომ წარსულთან კავშირი უნდა გაწყვეტილიყო. ეს მხოლოდ საბჭოეთის მოთხოვნა არ ყოფილა, ამგვარი მიდგომა ზოგადად დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისთვის. ეს ის იმპერატივი იყო, რომელმაც კორბუზიეს ათქმევინა — „არქიტექტურა ან რევოლუცია!“ ის სრულიად ახლებურ ხედვებს გულისხმობდა: ქალაქთმშენებლობაში დღემდე მოაღწია კორბუზიანელობამ, რაც საბედნიეროდ, მხოლოდ თეორიაა; ვინაიდან პარიზის განაშენიანების კორბუზიეს გეგმა რომ განხორციელებულიყო, დღეს პარიზში გვექნებოდა ცათამბჯენები და რამდენიმე ძველი შენობა. საბედნიეროდ, დასავლეთმა ეს სახადი ძალიან მალე მოიხადა, საბჭოეთში კი დიდხანს გაგრძელდა.

ცირა ელისაშვილი — სოფიომ თქვა, რომ ხდება წარსულის მკვლელობა და ისტორიას თავიდან, ნულიდან ვიწყებთ. ამ თეზაში და ჩვენს დღევანდელ მოქმედებებში ლოგიკა არ ჩანს; იმიტომ, რომ 21-ე საუკუნეში ისეთ სტილიზაციებს ვაკეთებთ და ისეთ სტილს მივმართავთ, რაც გასული საუკუნის 20-იან წლებში დამთავრდა. მაგალითად, მოდერნის სტილს აღმაშენებელზე, ანდა გალაკტიონის 2 ნომერში, გვიანი საბჭოური პერიოდის შენობას ფასადზე ლომებსა და სატირებს ვამაგრებთ. ამდენად, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, თეზა, რომ წარსულს ვკლავთ, არასწორია. მაგრამ ჩვენ წარსულის გამოყენებით ისე ვაკეთებთ დღევანდელ არქიტექტურას, რომ მას არასოდეს, 100 წლის შემდეგაც კი არ ექნება კულტურული ღირებულება.

რაც შეეხება იმას, არსებობს თუ არა კულტურის პოლიტიკა: პოლიტიკის არარსებობაც პოლიტიკაა. როდესაც ხელისუფლებას არ აქვს გაწერილი სტრატეგია და მიზანი, რას აკეთებს, ესეც პოლიტიკაა. ეს ის საკითხებია, რომლებზედაც პასუხები აუცილებლად უნდა გაიცეს.

სქოლიო

[1] *НЭП* — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც რუსეთში დაიწყო 1921 წელს, რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის შემდეგ და 1930-იან წლებში დამთავრდა.

[2] ვლადიმერ ტატლინი (1885-1953) — მხატვარი, გრაფიკოსი, დიზაინერი და სცენოგრაფი; ფუტურისტი და კონსტრუქტივისტი.

[3] კონსტანტინე მელნიკოვი (1890-1974) — დიდი რუსი არქიტექტორი, მხატვარი და პედაგოგი. საბჭოთა ავანგარდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. 1990 წელი იუნესკომ კონსტანტინე მელნიკოვის წლად გამოაცხადა.

[4] ივან ლეონიდოვი (1902-1959) — საბჭოთა არქიტექტორი, რუსული ავანგარდის და კონსტრუქტივიზმის წარმომადგენელი; „ქაღალდის არქიტექტურის“ დიდოსტატი.

[5] ალექსანდრე როდჩენკო (1891-1956) — საბჭოთა მხატვარი, სკულპტორი, ფოტოგრაფი, თეატრის და კინოს მხატვარი.

[6] ძმები ალექსანდრე, ვიქტორ და ლეონიდ ვესნინები — საბჭოთა არქიტექტორები, საბჭოთა კონსტრუქტივიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები.

[7] „უნდა წარმოაჩინოს ახალი ტენდენციები, XX საუკუნის ახალი მიღწევები და უპირველესად, ახალი გამოცდილების პირველი გაკვეთილები აჩვენოს, ტექნიკური და სოციალური გამოცდილებისა... გამორიცხულია ყველანაირი ასლის და ძველი სტილის მიხედვით შექმნილი ნამუშევრების წარმოდგენა...“

[8] ოგიუსტ, გუსტავ და კოლდ პერეები — მე-20 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორები, რომელთა სახელთანაცაა დაკავშირებული ლითონის კონსტრუქციების აქტიური გამოყენება არქიტექტურაში.

[9] ლე კორბუზიე (1887-1965) — შვეიცარული წარმოშობის ფრანგი არქიტექტორი; მოდერნიზმისა და ინტერნაციონალური არქიტექტურის პიონერი; ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა გასული საუკუნის არქიტექტურაში. მის მიერ დაპროექტებულ შენობებს შეხვდებით საფრანგეთში, აშშ-ში, არგენტინაში, იაპონიაში, რუსეთში.

[10] ივან ჟოლტოვსკი (1867-1959) — არქიტექტორი, რომელმაც მუშაობა მოდერნის სტილში დაიწყო, ხოლო მოგვიანებით, სტალინური არქიტექტურის ერთ-ერთ ფუძემდებლად იქცა.

[11] ალექსეი შჩუსევი (1873-1949) — არქიტექტორი, საბჭოთა არიტექტურის კორიფე. რევოლუციამდე აპროექტებდა და აშენებდა მართლმადიდებლურ ეკლესიებს, არა მხოლოდ რუსეთში, არამედ იტალიაში — ქალაქებში სან-რემოსა და ბარიში. შჩუსევი ითვლება ახალი რუსული სტილის ფუძემდებლად. საბჭოთა პერიოდში ააშენა არაერთი ცნობილი შენობა მოსკოვში, მათ შორის — ლენინის მავზოლეუმი. მუშაობდა საქართველოშიც — მისი დაპროექტებულია თბილისში „იმელის“ შენობა და ბათუმის „ინტურისტი“.

[12] დავიდ ჩისლიევი (1878-1969) — საბჭოთა არქიტექტორი. გარდა ტრამვაელების უბნისა, მისი დაპროექტებულია ოფიცერთა სახლი, „ზარია ვოსტოკას“ შენობა, გალაკტიონის 17 — მოდერნის სტილის სახლი და სხვ.

[13] სიმონ კლდიაშვილი (1865-1920) — ქართველი არქიტექტორი, 1895 წელს დაამთავრა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში, მუშაობდა სოხუმში. მისი დაპროექტებული და აშენებულია ქართული გიმნაზიის (თსუ) შენობა, რესტავრაცია გაუკეთა ქობულაძეების სახლს (სამხატვრო აკადემია). 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და აზომა უამრავი ძეგლი. შეადგინა ბანას ტაძრის რეკონსტრუქციის პროექტი.

[14] *Квирквелия Т., , Архитектура Тбилиси. Тбилиси, Сабчота Сакартвело, 1982, стр. 100.*

[15] ერნსტ ნეიზვესტნი (1925) — ცნობილი საბჭოთა და ამერიკელი სკულპტორი. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი; 1976 წელს საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წავიდა და მას შემდეგ აშშ-ში მოღვაწეობს; 2001 წელს თბილისში დადგა მერაბ მამარდაშვილის ძეგლი.

[16] ათი წელი საბჭოთა ტფილისისა : ძღვნად ტფილისის მშენებლობას. 1921-1931. ფოტო-სურათების ალბომი. - მოსკოვი, 1931. *http://www.sovlab.ge/ka/news/10-years-of-soviet-tbilisi*

[17] საუბარია საქართველოს პარლამენტში გია თორთლაძის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე „თავისუფლების ქარტია“, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლასთან და ლუსტრაციასთან ერთად, საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვასაც გულისხმობს.

თავისუფლების ქარტია

30.05.2011

მომხსენებლები:

გია თორთლაძე – პარლამენტის წევრი

თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

თათული თოდუა – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საპარლამენტო მდივანი

გიორგი გვახარია – ხელოვნებათმცოდნე

სერგო რატიანი – ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

მოდერატორი: ნინო ლეჟავა

ნინო ლეჟავა — დღეს შევიკრიბეთ, რათა „თავისუფლების ქარტიის“ კანონპროექტი განვიხილოთ. გადავწყვიტეთ, სანამ პარლამენტი ამ კანონპროექტს საბოლოოდ მიიღებს, საზოგადოებას, რომელსაც ეს საკითხი აინტერესებს, მივცეთ საშუალება, უფრო ახლოს გაეცნოს მას და იმ არგუმენტებს, თუ რატომ გახდა ამ კანონის მიღება აუცილებელი დღეს.

ალბათ, გახსოვთ, რომ 2005 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტში მომზადდა კანონი ლუსტრაციის შესახებ. კარგი იქნება, თუ ვისაუბრებთ იმ დინამიკაზე, რაც ამ კანონის მიღებას ახლდა.

დღევანდელი კანონპროექტი მოიცავს არა მხოლოდ ლუსტრაციის საკითხს, არამედ სხვა საკითხებსაც. ხშირად პარალელებს ავლებენ ამერიკულ „პატრიოტის აქტთან“, რომელიც, მოგეხსენებათ, ამერიკაში 2001 წლის 9 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მიიღეს, და საინტერესოა, რამდენად დასაბუთებულია ეს პარალელი.

მოგეხსნებათ, ერთი წლის წინ, სანამ ეს კანონპროექტი დაიწერებოდა, პარლამენტის წევრები, დავით დარჩიაშვილი და პავლე კუბლაშვილი საუბრობდნენ ლუსტრაციის კანონის აღმზრდელობით ფუნქციაზე და იმ აუცილებლობაზე, რომ მომავალ თაობებს სცოდნოდათ, რა იყო კომუნიზმი და საბჭოთა წარსული.

გია თორთლაძე — ჯობდა, კანონპროექტის მეორედ მოსმენის წინ შევხვედროდით, რადგან მაშინ ბევრი კონკრეტული საკითხის გათვალისწინება გახდებოდა შესაძლებელი. დღევანდელ შეხვედრას მაინც აქვს აზრი, რადგან თუკი დღეს რომელიმე საკითხის შესახებ შევთანხმდებით, სექტემბერში ამ კანონში ცვლილებებს შევიტანთ.

სამწუხაროდ, სადაც კი ეს კანონი განიხილეს, ტელეგადაცემებს ვგულისხმობ, არაპროფესიონალებს იწვევდნენ. საბოლოოდ, ისინი ამბობდნენ, კანონი არ წამიკითხავს, მაგრამ პატრიოტის აქტის მსგავსიაო. სანამ ამერიკაში „პატრიოტის აქტს“ მიიღებდნენ, ამგვარი კანონები მიიღეს გერმანიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთში, ესპანეთში. ყველა ქვეყანაში კანონი გულისხმობდა სატელეფონო მოსმენებს, ელექტრონული ფოსტის დათვალიერებას და ბინის ჩხრეკას მეპატრონეების გაუფრთხილებლად. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ეს მაშინვე შეაფასეს, როგორც არადემოკრატიული ქმედება და მთავრობებს ბევრი კრიტიკის მოსმენა მოუწიათ. მსგავსი არაფერი ჩვენს კანონპროექტში არ წერია, მაგრამ მთელი მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა ის, რომ ვითომ მოსმენებს ვაკანონებთ.

ნინო ლეჟავა — ქართული მედიის დასაცავად მინდა გითხრათ, რომ რადიო „თავისუფლების“ საიტზე ამ კანონის საკმაოდ კვალიფიციური განხილვა შეგიძლიათ იხილოთ.

გია თორთლაძე — „თავისუფლების“ სიუჟეტი არ მომისმენია. დავუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს. ზოგიერთ ქვეყანაში ტერაქტი ამ კანონის მიღების დროისთვის საერთოდ არ

მომხდარა. ჩვენ კი საქართველოში ტერაქტების მთელი თაიგული გვაქვს. ესაა მაღალი ძაბვის გადამცემების აფეთქება, რკინიგზის აფეთქება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დამიზნებით მოკლული ქართველი პოლიციელები, ადამიანების გატაცება. გორის ტერაქტი 2005 წელს მოხდა. ამ ტერაქტის შემდგომ პერიოდს ვგულისხმობ. თავად ვმონაწილეობდი გატაცებული ადამიანების დასაბრუნებლად გამართულ მოლაპარაკებებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების უამრავი რეკომენდაცია არსებობს იმის შესახებ, რომ მთავრობებმა უნდა მიიღონ ზომები ტერორიზმთან საბრძოლველად. აღსანიშნავია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 13/73, სადაც წერია, რომ „აუცილებელია სახელმწიფოებმა მიიღონ დამატებითი ზომები, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ აღკვეთოს ტერორიზმის ყოველგვარი გამოვლინება თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით, ტერორიზმის ფინანსირების აღმოფხვრა“ და ა.შ.

ნინო ლეჟავა — ეს რეკომენდაციები აისახა ამ კანონში?

გია თორთლაძე — ყველა რეკომენდაცია არ ასახულა. ჩვენი კანონპროექტი არ ითვალისწინებს მოსმენებს. გათვალისწინებულია ე.წ. ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთთან არსებული პირობითი საზღვრის აღჭურვა სპეციალური დანადგარებითა და დეტექტორებით, სადაც დაფიქსირდება მოძრაობა და ტვირთების გადატანა. მეორე დეტალია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (კანონში განსაზღვრულია მათი სია: აეროპორტები, რკინიგზა, ელექტროგადამცემი ხაზები და ა.შ.) დაცვა, საქართველოს გამშვებ პუნქტებში დეტექტორების დადგმა. კანონი ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ თბილისის აეროპორტში ახალი დეტექტორები დააყენეს რადიოაქტიურ ნივთიერებებზე. ეს შსს-ს გადაწყვეტილებაა. დეტექტორები აჩვენებს, არის თუ არა ტვირთში ასაფეთქებელი ან რადიოაქტიური ნივთიერება. და კიდევ ერთი, რაც უკვე მიღებული აქვს ჩვენს საბანკო სისტემას, თუკი 30 000 ლარზე მეტია გადარიცხული თანხის რაოდენობა, ატყობინებენ შსს-ს. უამრავი შემთხვევაა, როცა ადამიანები ვერ ამბობენ, საიდან მიიღეს ეს თანხები. ყველგან, აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, თუკი არა გაქვს წარმომავლობის შესახებ დეკლარაცია, ფულს ბანკში ვერ შეიტან. ეს ბანკების შეთანხმებაა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, სადაც ტარდება მიტინგები, ვიდეო კამერები უკვე კარგა ხანია, იქ დგას. ამას უჩვენოდაც აკეთებდნენ.

2004 წელს, როცა შევედი პარლამენტში უმრავლესობასთან ერთად, პირველივე სხდომაზე ვთქვი, სად არის დაპირებული ლუსტრაციის კანონი-მეთქი. მაშინ 30 კაცი წამოდგა და პირდაპირ გაიქცა დარბაზიდან.

ლუსტრაციის ნაწილს არ ჰქვია ლუსტრაციის კანონი, მაგრამ პირობითად დავარქვათ ლუსტრაცია. ესაა თანამდებობრივი შეზღუდვების დაწესება კომუნისტური პარტიის და ლენინური კომკავშირის მაღალჩინოსნების და უშიშროების აგენტებისთვის. ვრცელდება პარ-

ტიის ბიუროს წევრებზე, რაიკომის მდივნებზე და ზემოთ. 1954 წელს, როცა „ენკავედეს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა „კგბ“, მის წესდებაში პირდაპირ ჩაწერეს, რომ ეს არის პოლიტიკური ორგანიზაცია და მას ხელმძღვანელობს კომპარტია და კომკავშირი. არ ვეხებით ჩვეულებრივ, რიგით პარტიის წევრებსა და კომკავშირელებს, საუბარია მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე. არის ჩამონათვალი, თუ ვის ეხება ეს შეზღუდვა. საუბარი იყო იმაზე, რომ ეს არ ეხება დეპუტატებს და პრეზიდენტს. რადგან გვინდა დემოკრატიული ქვეყანა ვიყოთ, არჩევითობის პრინციპს არ ვზღუდავთ, აგენტსაც კი ვერ ვეტყვით, რომ არ შეგიძლია, კენჭი იყაროო. მაგრამ თუ ეს ადამიანები მონაწილეობენ არჩევნებში, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, ამის შესახებ ამომრჩეველი გააფრთხილოს. საზოგადებისთვის ცნობილი უნდა იყოს, ვინ არის ეს ადამიანი, მერე უკვე მისი ნებაა, აირჩევს თუ არა მას.

რაც შეეხება მესამე ნაწილს — ბოლშევიკური სიმბოლიკის აკრძალვას — ამან, ჩემდა გასაკვირად, ყველაზე მეტი ხმაური გამოიწვია. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რამდენი ადამიანი შეიწირა ზუსტად ამ რეჟიმმა. მაგრამ „კამსამოლსკაია პრავდამ“ 1991 წელს გამოაქვეყნა სოლჟენიცინის ინტერვიუ, სადაც ის წერს, რომ 1917-1959 წლებში საბჭოთა გულაგებში 110 მილიონი ადამიანია რეპრესირებული და მოკლული. 1917 წლიდან კომუნისტურ ტერორს ემსხვერპლა 300 000 სასულიერო პირი. ამ იდეოლოგიის ნაწილია სიმბოლიკაც. გაიხსენეთ 90-იანი წლები, ბოლშევიკური სიმბოლოები პირდაპირ იხსნებოდა. არც ერთ კანონში არ იყო გაწერილი მათი თანამიმდევრულად მოხსნა. გორში ახლაც კი, ავტოსადგურთან დგას სტალინის ძეგლი. თუ დიდი ძეგლი მოხსნეს, ეს, პატარა რატომ დატოვეს? ეს ყველაფერი გავწერეთ კანონში. არსებობს ევროპის საბჭოს ქვეყნები, სადაც ბოლშევიზმი და ფაშიზმი გათანაბრებულია და ამის მოხსნას ჩვენ მაინც მოგვთხოვდნენ.

არ არის საუბარი არც ერთი ვეტერანის ჯილდოზე ან რაიმე კერძო საკუთრებაზე. კანონი ეხება მხოლოდ სახელმწიფო შენობებზე განთავსებულ საბჭოთა სიმბოლიკის ნიმუშებს.

კანონის ეს ნაწილი ემსახურება დეკომუნიზაციას და საბჭოთა იდეოლოგიასთან სამუდამოდ დამშვიდობებას.

რაც შეხება ხელოვნების ნიმუშებს, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კომისია, რომელიც მოხსნის ერთ ბარელიეფს ან ქანდაკებას, მოხსნის მოწვეული სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე და როცა კომისია დაადგენს, რომ ხელოვნების ნიმუშია, არ გავანადგურებთ. რაღაცები დარჩება, მაგალითად, ხიდი, საიდანაც ვერ მოანგრევ ამ სიმბოლიკას. მაგრამ სადღაც სოფლებში ჯერ კიდევ დგას ლენინის ქანდაკებები, რომლებიც ნამდვილად ასაღებია.

სიმბოლიკას რაც შეეხება, აქ გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიიღებს. მაგალითად, ის გერბი, რომელიც პარლამენტზეა, მაღალი ღირებულებისაა, მისი განადგურება არ შეიძლება; ამიტომ მხოლოდ მოხსნიან. მაგრამ პარლამენტი ახლა ქუთაისში გადადის, თბილისში დღევანდელი პარლამენტის შენობას კერძო მფლობელი ეყოლება და მისი ნებაა, მოხსნის თუ არა ბარელიეფს. აქ სახელმწიფო არ ჩაერევა.

პოლონეთში, როდესაც აიკრძალა კომუნისტური სიმბოლიკა, მისი გავრცელებისთვის ხალხს 2 წლით ციხეში სვამენ. ჩვენ ასეთი არაფერი გაგვიკეთებია. მაგრამ არ მინდა, რომ თბილისთან ახლოს არსებობდეს სოფელი ლენინოვკა და არა მგონია, ეს ვინმეს უნდოდეს.

თამარ ჩუგოშვილი — ჩვენი ორგანიზაცია კანონპროექტზე მუშაობაში თავიდანვე ჩართული იყო. ჩვენ მხოლოდ სამართლებრივი კუთხით ვაფასებდით ამ დოკუმენტს. ჩვენთვის უცნობია, არქივის რა ნაწილია ხელმისაწვდომი, არავის უჩვენებია თანამდებობების ჩამონათვალი, ვის ეზღუდება თანამდებობაზე დანიშვნა და ვის — არა.

კანონის ის ვერსია, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, განსხვავდება დღევანდელი კანონპროექტისგან. იმიტომ, რომ პირველი ვერსია სამართლებრივად ძალიან გაუმართავი იყო და მისი გაგება ჭირდა, არ იყო ცხადი — კონკრეტულად რას გულისხმობდნენ, ტერმინების მნიშვნელობაც ბუნდოვანი იყო და ა. შ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დღესაც აქვს შენიშვნები. მაგალითად, კომისიასთან დაკავშირდებით. კომისია, წესით, დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამ დროს კანონპროექტის მიხედვით ის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება; თუმცა, არსებობს ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელიც ამბობს, რომ ასეთი ტიპის კომისიები უნდა მაქსიმალური დამოუკიდებლობის ხარისხით აღიჭურვონ. ასევე, ფრაქციების წარმომდგენლებსაც აქვთ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა კომისიის მუშაობაში, მაგრამ გაურკვეველია, როგორ ფორმირდება კომისია, რა წონა აქვს კომისიის წევრების ხმებს; ცხადია, რომ ორი ან სამი საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი გავლენას ვერ მოახდენს კომისიის გადაწყვეტილებებზე. ასევე, არ არის განსაზღვრული კომისიის მუშაობის წესი, ვინ ადგენს, როგორ ფორმირდება და ა. შ.

შსს-ს არა აქვს ვალდებულება, ინფორმაცია მიაწოდოს კომისიას; არქივის საკითხიც ბუნდოვანია. ამიტომ, არსებობს საშიშროება, რომ ვიღაცასთან დაკავშირებით ინფორმაცია სრული იყოს, ვიღაცასთან — ნაკლული.

კანონი შეზღუდვას აწესებს არა მხოლოდ 1991 წლამდე პერიოდზე, არამედ ამ დროის შემდეგაც ყველასთვის, ვისაც ფარული კავშირი ჰქონდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან. კანონი არ განმარტავს, რას ნიშნავს „ფარული კავშირი“. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ჩანაწერი „უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურში შესვლა“, რაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გასაგებია, რას ნიშნავს. კანონმდებლობა ამას ცხადად აყალიბებს. რა არის „ფარული კავშირი“ — ამას არც სხვა რომელიმე კანონი განმარტავდა, არც კონკრეტულად, შემოთავაზებული კანონპროექტის განმარტებითი ბარათი.

ვფიქრობ, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონი უნდა ეხებოდეს მხოლოდ საბჭოთა პერიოდს; მას შემდეგ სხვა რეჟიმია, მოქმედებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და

თუკი ვინმე ჯაშუშობს, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. გაუგებარია, ამ კანონით გათვალისწინებული სანქციები რატომ ვრცელდება შემდგომ პერიოდზე.

ლუსტრაციის ნაწილი ზღუდავს თანამდებობის დაკავებას. ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ამგვარი კანონმდებლობა არსებობს, რაღაც ვადებია დადგენილი. ვთქვათ, 10 წელი, რაც ნიშნავს იმას, რომ პირს ეკრძალება თანამდებობის დაკავება კანონის ამოქმედებიდან 10 წლის ვადაში. რაც უფრო გვიან იღებდნენ ამ კანონს, ეს ვადა უფრო ნაკლები იყო. ჩვენი კანონის მიხედვით ეს შეზღუდვა უვადოა, რაზედაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შენიშვნებში ნათქვამია.

გიორგი თორთლაძე — 20 წლის ვადაში ეს ხალხი აღარ იქნება ცოცხალი, ამიტომაც არაფერია ნათქვამი ვადებზე.

თამარ ჩუგოშვილი — კანონის მიხედვით, მოქალაქეს აქვს გასაჩივრების უფლება, მაგრამ არა აქვს საიდუმლო დოკუმენტებთან წვდომის უფლება. ვფიქრობთ, ადამიანს რეალურად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს; უნდა იყოს რაიმე გარანტია.

მეთოთხმეტე მუხლში წერია, რომ პირი, რომელიც სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, უნდა გადადგეს კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში. გამორჩენილია სიტყვები, „ვისაც ეს კანონი ეხება“.

ვიდეოთვალთვალის შემთხვევაში, ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება უნდა იყოს დაცული და რაც არის სართაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული — აქაც უნდა იყოს გათვალისწინებული, ანუ სადაც თვალთვალი ხორციელდება, უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნები ამის შესახებ.

ეს არის ის ძირითადი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კანონი გამართული იყოს და არასწორი ინტერპრეტაციები არ გამოიწვიოს.

თათული თოდუა — კანონის მიხედვით პირებს ეზღუდებათ გარკვეული თანამდებობების დაკავება; მაგრამ ვფიქრობთ, რომ კანონმდებელს უფრო მეტი დეტალი უნდა დაეზუსტებინა და გაეწერა, რომ ისჯება უშიშროების სამსახურებთან შეგნებულად, განზრახი თანამშრომლობა. გადავხედეთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობასაც და ვნახეთ, რომ ხშირად არსებობს ბევრი საგამონაკლისო ნორმა და კანონმდებელი ძირითად ჯგუფს ასე ერთი ხელმოსმით არ განსაზღვრავს. საქმეები კოლექტიურად არ უნდა განიხილონ და, მხოლოდ იმის გამო, რომ პირს რაღაც თანამდებობა ჰქონდა, არ უნდა შეეზღუდოს საჯარო სამსახური. მაგალითად, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ასეთ საგამონაკლისო ნორმებს, როცა პირი, მუქარით და იძულებით თანამშრომლობდა სპეცსამსახურებთან. საქმეების ინდივიდუალურად განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს

მნიშვნელოვანი კომპონენტია, პოლიციამ უნდა გამოიკვლიოს, რაში გამოიხატებოდა თანამშრომლობა, რა გარემოებები არსებობდა. შეზღუდვა პროპორციული უნდა იყოს იმ მიზნისა, რომელსაც კანონი ისახავს.

ვფიქრობთ, კანონით უნდა იყოს დადგენილი, ვინ არის ის სუბიექტი, ვისაც სისხლის სამართლის კოდექსით ვსჯით. ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, თუკი პირი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და ნებაყოფლობით განაცხადებს ამის შესახებ, მაშინ მისი საქმე არ უნდა გახმაურდეს. არსებობს საფრთხე, რომ ეს ინფორმაცია ვინმემ შანტაჟის მიზნით გამოიყენოს. კანონმდებელს ჰქონდა ვალდებულება, განესაზღვრა, რომ მარტო კომისიის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ასეთი საქმეების დროს საიდუმლოს დაცვის ვალდებულება; არამედ ნებისმიერი სხვა პირიც, რომელიც ინფორმაციას გაამჟღავნებს, სისხლის სამართლის კანონმდებლობით უნდა დაისაჯოს.

სერგო რატიანი — ვფიქრობ, კანონის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია; იმიტომ, რომ წარსული გაცნობიერებული და მოშინაურებული არა გვაქვს და ჯერ-ჯერობით ის ისტორიად არ ქცეულა. სანამ არ მივიღებთ ლუსტრაციის კანონს, მანამ საბჭოთა ტრადიციაში ვცხოვრობთ და არანაირი ისტორია არ გვექნება. ჩვენ ჯერ არც ის განგვისაზღვრავს, როგორ უნდა მოვექცეთ საბჭოთა ისტორიას და მის ძეგლებს.

ეს კანონპროექტი სამ კანონს აერთიანებს. სამივე ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ერთია საბჭოთა წარსულის შეფასება, კანონმდებლობის ფარგლებში ამ ისტორიასთან ჩვენი დამოკიდებულებების განსაზღვრა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მეორე — ის საგანგებო სიტუაცია, რომელშიც ვიმყოფებით, ანუ, კანონის ერთი ნაწილი ისტორიულია, ხოლო მეორე — ამწუთიერი. ამ ორის დაკავშირება, არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილია. შეიძლება, ეს ვნებდეს ლუსტრაციის ნაწილს; იმიტომ, რომ რაღაცები, რაც აუცილებლად უნდა ჩაწერილიყო ამ კანონში, არ შევიდა და კანონი მხოლოდ თანამდებობრივ შეზღუდვებს აწესებს. შესაძლოა, ასეთივე პრობლემები დაინახონ ექსპერტებმა უსაფრთხოების საკითხებში და თქვან, რომ ამ კანონს რაღაც ამ კუთხითაც აკლია.

როდესაც ძეგლებზეა საუბარი, უფრო მეტი სიცხადით უნდა ყოფილიყო განმარტებული — რა მოსდის ამ ძეგლს. ნახმარია სიტყვა „აღკვეთა“, მაგრამ რას გულისხმობს — გაუგებარია. არ ვიცით, როგორ წავა ეს პროცესები. აღკვეთა შეიძლება გულისხმობდეს განსაზღვრას, რომ ეს დამნაშავე რეჟიმის ძეგლია და კიდევ — ამ ძეგლის განადგურებასაც.

ჩემთვის, როგორც მკვლევრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია არქივების საკითხი. დღეს არქივები ღიაა, რაც ძალიან კარგია. უკეთესი იქნებოდა, რომ კანონი რაიმეს ამბობდეს არქივების შესახებ.

გია თორთლაძე — დღეს შეგიძლიათ შეხვიდეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ნებისმიერი დოკუმენტი მოითხოვოთ და არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსე-

ბობს, უარი გითხრან. ამის მიღების უფლება დღეს გაქვთ. ამ კანონის მიღების შემდეგ ასე მარტივად აღარ იქნება.

ირაკლი ხვადაგიანი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია — საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც საარქივო სივრცეს დაარეგულირებდა.

სერგო რატიანი — ეს უხერხულობა დღესაც გვექმნება. არქივებში დღესაც ბევრი რამ პირად გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. კარგი იქნებოდა, ამ თემებზეც იყოს მსჯელობა. ვფიქრობ, კანონში არქივების შესახებ ჩანაწერი ნათელი უნდა იყოს.

თქვენ სწორად ახსენეთ ტერმინი „გადაწყვეტილების მიმღები პირი". საბჭოთა კავშირში, როცა საუბარია იმაზე, ვინაა დამნაშავე, მაშინვე „კგბ"-ს აგენტები გვახსენდება; მაგრამ გადაწყვეტილებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურა იღებდა, რომელშიც, შედიოდნენ როგორც პარტიული ხელმძღვანელები და რაიკომის მდივნები, ისე — უნივერსიტეტების რექტორები, თეატრის დირექტორები და ა. შ. ჩემი აზრით, ესენიც პარტიულ ნომენკლატურას მიეკუთვნებიან, თუმცა, შეიძლება ვიღაც შემომედავოს.

გარდა ამისა, არ მესმის, რა საჭიროა ამ კანონში ფაშისტური სიმბოლიკის ხსენება.

გიორგი გვახარია — თქვენ ახსენეთ, რომ კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება. იქნებ არ მინდა ვიმუშაო შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილ კომისიაში?

რომ არა ეს კანონპროექტი, საქართველოში არ დაიწყებოდა ლაპარაკი პარალელებზე ფაშიზმსა და სტალინიზმს შორის. პარალელი „ფაშისტურსა" და „საბჭოთას" შორის არ გაივლება, რადგან ფაშიზმი - ეს იდეოლოგიაა, „საბჭოთა" კი, ქვეყანას, საბჭოთა კავშირს აღნიშნავს, რომელსაც ჰქონდა საკუთარი განვითარების ეტაპები: იყო 20-იანი წლები, იყო 30-იანი წლები და იდეოლოგიაც მუდმივად იცვლებოდა. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ „საბჭოთა" იდეოლოგიაზე, ვგულისხმობთ თუ არა ვლადიმერ მაიაკოვსკის, რომელიც თავს საბჭოთა ბოლშევიკად თვლიდა? ტელევიზიით მაიაკოვსკის ლექსების წაკითხვა აღიქმება, როგორც ბოლშევიზმის პროპაგანდა?

ამ კანონპროექტით შეიძლებოდა სერიოზული დისკუსიის დაწყება სტალინიზმის შესახებ, რაც ჯერჯერობით არ მომხდარა, და არა მხოლოდ საქართველოში. როცა გერმანიის კანცლერმა ვლადიმერ პუტინს მანქანის კარი გაუღო და შებრძანდითო — უთხრა; მერკელს სრულიად ლეგიტიმური კითხვა დაუსვეს — გაუღებდა თუ არა ის კარს ნაცისტური პარტიის რომელიმე ყოფილ წევრს? პუტინი „კგბ"-ს ჩვეულებრივი ჩინოვნიკი იყო და დღეს მას გერმანიის კანცლერი კარისკაცივით უღებს კარს. ეს ძალიან საინტერესო ფაქტია და საშუალებას გვაძლევს, პარალელი გავავლოთ ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმების აღქმას შორის.

„ვარდების რევოლუციის" წინ ახალი ხელისუფლება დოკუმენტით — „10 ნაბიჯი თავისუფლებისკენ" გვპირდებოდა, რომ როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, ლუსტ-

რაციის კანონს მიიღებდნენ. ძალიან ბევრმა ადამიანმა, მათ შორის მეც, სწორედ ამ დაპირების გამო დავუჭირეთ მხარი ნაციონალურ მოძრაობას. ბატონმა გიამ თქვა, რომ 2004 წელს დეპუტატებმა უარი თქვეს ამ კანონის მიღებაზე — „ერთი ამბავი ატყდებაო“.

ბოლო ხუთი წელია, ტელევიზიიდან გვესმის, რომ ვიღაც რუსეთის აგენტია; მოვისმინეთ ძალიან პატივსაცემი ადამიანების სატელეფონო საუბრები რუს დიპლომატებთან, და გვითხრეს, რომ ეს ადამიანები აგენტები არიან; ახლა ამბობენ, რომ 7 ნოემბრის მერე „ეროვნული შერიგება“ მოხდა და ამ ხალხს, მაგალითად, ლევან ბერძენიშვილს, ეს ვაპატიეთო. მუდმივად მიდის მითოლოგიზაცია, რომ ვიღაც უცხო ქვეყნის აგენტია. ჩვენ რომ გვქონდეს საშუალება — დოკუმენტები გაიხსნას, მაშინ ეს მანიპულაციები არ მოხდება.

ისე, სიმბოლიკის საკითხი უფრო მაწუხებს — სულ ვკითხულობ და ვერ მპასუხობენ, ხელისუფლებამ რა უნდა უყოს 30-იანი წლების არქივს და მაგალითად, ჭიაურელის ფილმებს. ამაზე მიპასუხეს, რომ ამ ფილმებს მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ; ამიტომ, კერძო ბიზნესმენი თუ გამოჩნდება, არავინ არ უშლის ხელს, აიღოს და მიხედოს ამ ფილმებსო. კინოცენტრი ვალდებულია საკუთარ არქივს მოუაროს, რამდენიმე წელიწადში ერთხელ დახარჯოს ფული, აღადგინოს ფირები და ა. შ. ახლა ამბობენ, რომ ეს საბჭოთა პროპაგანდაა და სახელმწიფო არ არის ვალდებული დახარჯოს ფული ვიღაც ჭიაურელის ცუდ, სტალინურ ფილმებზე.

თუკი ეს ყველაფერი გავანადგურეთ, აღმოჩნდება, რომ ისტორია აღარ გვექნება.

თუკი დეკომუნიზაცია ასეთი ფორმით მოხდება, ისტორია მართლა აღარ გვექნება.

კანონში ძალიან მკაცრად უნდა იყოს გაწერილი, რა არის საბჭოთა სიმბოლიკა და რა უნდა ვუყოთ ამ ძეგლებს. მაგალითად, პიონერის სრულიად უხარისხო ქანდაკება, რომელიც ბათუმის ბოტანიკურ ბაღში დგას, უნდა მოიხსნას და ოკუპაციის მუზეუმში დაიდგას?

ხელოვნებათმცოდნე ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს ფონი და ორნამენტი. შეიძლება, ეს ქანდაკება უხარისხო იყოს, მაგრამ რაღაც ეპოქის სურათს ქმნიდეს. იმ ბაღში რომ შეხვალთ, მიხვდებით, როდისაა გაშენებული. ეს ქანდაკება ბევრს ამბობს ეპოქაზე.

ბათუმში დღეს აღარ არსებობს სასტუმრო „ინტურისტი“ იმ ფორმით, როგორც თავიდან იყო. როცა ინტერვიუ ავიღე ბათუმის მაშინდელი მერისგან, მითხრა - ბატონო გოგი, თქვენ ალბათ არ იცით, რომ ეს შენობა იმავე ადამიანის დაპროექტებულია, ვინც ლენინის მავზოლეუმი ააგოო? გვაქვს რაიმე გარანტია, რომ შსს-ში შექმნილ კომისიაში იქნებიან ის ადამიანები, ვისაც ეცოდინებათ ბათუმის „ინტურისტის“ კულტურული მნიშვნელობა?

დავით ჯიშკარიანი, ისტორიკოსი — დავიწყებ ციფრებით. ბატონმა გიამ საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლი — 60-100 მილიონი დაასახელა. სოვეტოლოგები დღეს საზოგადოება „მემორიალის“ საიტზე გამოქვეყნებულ ციფრებს ენდობიან. აქაცაა რაღაც ცდომილება,

მაგრამ ისინი ყველაზე უფრო მიახლოებულია; მაგალითად, საქართველოდან არ არის შესული ციფრები, გარდა იმისა, რასაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი აგზავნიდა.

ჩვენ რეესტრში აგენტების ბაზის გაკეთებაზე ვსაუბრობთ. როდესაც სტალინმა ხუთწლედის გეგმა მიიღო, შინსახკომის თანამშრომლებს დაუწესეს ლიმიტები, რამდენი ადამიანი უნდა მოექციათ აგენტურული ზეგავლენის ქვეშ. მოხვდება თუ არა რეესტრის სიაში ის ადამიანი, რომელიც ვიღაც შინსახკომელმა ჩაწერა და შემდეგ მას არავინ დაუსმენია?

კიდევ ერთი შენიშვნა - მეც ვთვლი, რომ ფაშისტური სიმბოლიკა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ რატომ არ ჩანს ფაშიზმთან ერთად ნაციზმი?

ბატონო გია, თქვენ ახსენეთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც ლუსტრაციის კანონი მიიღეს. მაინტერესებს, რომელიმე ქვეყანაში თუ შეიქმნა მსგავსი კომისიები შინაგან საქმეთა სამინისტროებში?

ცირა ელისაშვილი, ხელოვნებათმცოდნე — კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროდან ვინ იყო ჩართული კანონის მომზადებაში?

ხომ არ მოდის თქვენი კანონის ის ნაწილი, რომელიც სიმბოლიკას ეხება, წინააღმდეგობაში კანონთან „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, სადაც ცალსახად წერია, რა არის ძეგლი? თუკი კომისია ჩათვლის, რომ რაღაც ქანდაკება მნიშვნელოვანია და ამიტომ მუზეუმში უნდა შევინახოთ, რა დაშავდება, თუ მას ისევ ურბანულ გარემოში დავტოვებთ?

დაბოლოს, ეს ალბათ უფრო რიტორიკული შეკითხვაა — ჩვენ ამ კანონის მიღებით ხომ არ ვაზიანებთ არა მხოლოდ ურბანულ გარემოს, არამედ, ტურიზმსაც? ძალიან საინტერესო შეიძლება იყოს კომუნისტური თუ საბჭოური ტურისტული მარშრუტები.

გია თორთლაძე — კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ დღეს იურიდიულ კომიტეტს კანონპროექტის შეცლა აღარ შეუძლია, მაგრამ შემოდგომაზე შესაძლებელია ცვლილებების შეტანა.

არქივის შესახებ დავაზუსტებ, რომ არსებობს სპეციალური დოკუმენტი საიდუმლოების დაცვის შესახებ და ამ დოკუმენტის გაფორმების შემდეგ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია არქივში შესვლა.

კომისიამ შეიმუშავა დებულება, რომელის მიხედვითაც ძეგლის კულტურულ ღირებულებას მოწვეული ექსპერტები, ხელოვნებათმცოდნეები განსაზღვრავენ. კომისია სწორედ არქივში, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა შეიკრიბოს და იქ უნდა იმუშაოს.

„ლუსტრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა: აღმოსავლეთ ევროპა და საქართველო“

29. 06.2011

მომხსენებლები:

პიტერ როჟიჩი — ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარი

სოფო ვერძეული — იურისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

მოდერატორი: ოთარ ყარალაშვილი

ნინო ლეჟავა, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია — დღევანდელი ჩვენი საუბრის თემაა ლუსტრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოში. ზოგიერთ თქვენგანს შეიძლება ახსოვს კიდეც, რომ გოეთეს ინსტიტუტის დარბაზში დისკუსია ლუსტრაციის შესახებ პირველად არ ტარდება. 2007 წლის გაზაფხულზე გოეთეს ინსტიტუტის და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სპეციალური პროგრამა მიეძღვნა საბჭოთა წარსულის გააზრებას და ლუსტრაციას. უჩვენეს ფლორიან ჰენკელ ფონ დონერსმარკის ფილმი „სხვების ცხოვრება“ და გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლაშა ბაქრაძემ, გიგა ზედანიამ, ნიკა რურუამ, ივლიანე ხაინდრავამ და იოახიმ გაუკმა.

იოახიმ გაუკი ის ადამიანია, ვისი სახელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შტაზის[1] არქივების სამმართველოს უწოდეს. მოქალაქეებისთვის სწორედ ამ ადამიანმა გახსნა შტაზის არქივები და ააწყო ეს ინსტიტუტი. სამმართველოს დღეს სხვა, უკვე მესამე ხელმძღვანელი ყავს, მაგრამ მაინც იაოხიმ გაუკის სამმართველოდ მოიხსენიებენ.

იოახიმ გაუკმა საქართველოში ყოფნის დროს მოინახულა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივები და, მიუხედავად ხანმოკლე ვიზიტისა, შეექმნა შთაბეჭდილება, თუ რა მდგომარეობაშია ეს არქივი და როგორ მუშაობენ იქ. მაშინდელი დისკუსიიდან მისი ერთი ძალიან საინტერესო ფრაზა დამამახსოვრდა. გაუკმა ისაუბრა იმაზე, რომ 90-იან წლებში მთელ აღმოსავლეთ ევროპაში მიდიოდა მსჯელობა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ლუსტრაცია. ამ პროცესის მოწინააღმდეგეებს ზუსტად ისეთივე არგუმენტები ჰქონდათ, როგორიც მაშინ გაუკმა ამ დარბაზში მოისმინა. მან თქვა: შეაფასეთ წარსული მას შემდეგ, როცა შეეცდებით შეისწავლოთ ეს მასალები და დასკვნები მხოლოდ ისე გააკეთეთო.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2003 წელს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ოპოზიციის მაშინდელი ნაწილის თანხმობით შეიმუშავა „ათი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ“, რომლის პირველი პუნქტი საბჭოთა წარსულის გადალახვას და ლუსტრაციის პროცესის დაწყებას გულისხმობდა. სამწუხაროდ, აქამდე ამ პროცესის დაწყება ვერ მოხერხდა.

ოთარ ყარალაშვილი — ლუსტრაცია რთული თემაა და მასზე საუბრისას ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი. უპირველესად, მოტივაცია — რატომაა საჭირო ლუსტრაცია. ამის გარდა, არის სამართლებრივი, იდეოლოგიური, პოლიტიკური საკითხები და სხვა. ჩვენთან ლუსტრაციის შესახებ დისკუსია დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, რადგან ახლახან პარლამენტმა „თავისუფლების ქარტია“ მიიღო, რომლის ერთ-ერთი ნაწილია კანონი ლუსტრაციის შესახებ. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ კანონის მიღება 26 მაისის ცნობილ მოვლენებს დაემთხვა; ამიტომ, საზოგადოების ყურადღება ამ საკითხის მიმართ ნაკლები იყო.

პიტერ როჟიჩი — ძირითადად ჩემი კვლევის შესახებ ვისაუბრებ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში მუშაობის შედეგად შეიქმნა. ლუსტრაციის შესახებ საქართველოში, რუსეთში

და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში ვიმუშავე. მინდა გითხრათ, კვლევა ჯერ დასრულებული არ არის და ამიტომ, მადლიერებით მოვისმენ ყველა შენიშვნასა და კომენტარს.

რადგან გოეთეს ინსტიტუტში ვართ, გერმანიის მაგალითით დავიწყოთ. გერმანიაში ლუსტრაციის პროცესს თან სდევდა ასეთი სლოგანი: „უმჯობესია თქვენ მოგვაკითხოთ, ვიდრე ჩვენ მოვიდეთ თქვენთან!“ ორმა გერმანელმა, რომლებიც ლუსტრაციის შემდეგ სამსახურიდან გაათავისუფლეს, ბარი გახსნა. მათ განაცხადეს, რომ არასდროს უმუშავიათ შტაზიში, არასდროს მიუწოდებიათ რაიმე ინფორმაცია, თუმცა, ამ განცხადებამ ვერანაირი ზეგავლენა ვერ მოახდიან მათ ბედზე — ისინი სამსახურიდან მაინც გაათავისუფლეს. მათ ბარში არა მხოლოდ ლუდს დალევთ, არამედ სერვისად შემოგთავაზებენ „დაკითხვას მკვეთრი განათების ქვეშ“.

როგორც კი სისტემა შეიცვალა, გერმანიამ ლუსტრაციის შესახებ ძალიან მკაცრი კანონი მიიღო და ის მოკლე დროში გაატარა. გერმანიაში მართლაც დიდი რაოდენობით იყვნენ შტაზის ინფორმატორები. ჩეხეთშიც საკმაოდ მკაცრი კანონი მიიღეს და პირველი ხუთი წლის განმავლობაში ის უამრავ ადამიანს შეეხო. პოლონეთში ორჯერ მიიღეს ეს კანონი — პირველად 1996-ში, მეორედ — 2007 წელს, რომლის განხორციელებაც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. როცა ახალ სამსახურში გიღებენ, გადიხართ გასაუბრებას, რომლის ერთ-ერთი შეკითხვაა — იყავით თუ არა რეჟიმის ნაწილი. თუკი ადამიანი ამ დროს მოიტყუება და ეს ტყუილი გამოაშკარავდება, მას აუცილებლად გაათავისუფლებენ სამსახურიდან.

იმ 30 ქვეყნიდან, სადაც საბჭოთა რეჟიმი არსებობდა, 12-მა უკვე მიიღო და გაატარა კანონი ლუსტრაციის შესახებ. მაგალითად, სლოვენიაში, სადაც ასევე იყო კომუნისტური რეჟიმი, ლუსტრაცია არ გაუტარებიათ. რუსეთში 1992 წელს იყო პირველი მცდელობა ამ კანონის მიღებისა. გალინა სტაროვოიტოვა[2] აქტიურად მუშაობდა კანონპროექტზე, მაგრამ ლუსტრაცია არ გატარებულა. 30-იდან 18 ქვეყანას დღემდე არ მიუღია ლუსტრაციის კანონი.

დღეს ჩვენ ვსაუბრობთ ლუსტრაციაზე, როგორც პოლიტიკურ მოვლენაზე. ძველ დროში ლუსტრაციის რამდენიმე სხვადასხვა ფორმა არსებობდა. მაგალითად, იესო ქრისტემ ვაჭრები ტაძრიდან რომ გამოაძევა, ესეც თავისებური ლუსტრაცია იყო. დღესაც არსებობს ლუსტრაციის სხვადასხვა ფორმები, როცა მაგალითად, სხვადასხვა ჯგუფები ბრძოლის წინ ან ბრძოლის შემდეგ ატარებენ რიტუალებს, რომლებსაც ასევე შეგვიძლია ლუსტრაცია ვუწოდოთ. ეს ძველ რომში, იმპერატორ ტრაიანეს[3] პერიოდში გვაბრუნებს.

ახლა სხვადასხვა ტიპის ლუსტრაციებზე საუბარს არ ვაპირებ; იმასაც კი არ ვიტყვი, კარგია ლუსტრაცია თუ ცუდი; მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ის მორალური და ეთიკური საკითხები, რომლებიც ლუსტრაციას უკავშირდება.

საინტერესოა, რატომ მოხდა ისე, რომ ზოგიერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოში ყოფილი ავტორიტარული ელიტისა და საიდუმლო სამსახურების თანამშრომლების პოლიტიკაში მონაწილეობა შეზღუდულია, ხოლო ზოგიერთში — არა.

თავისთავად ლუსტრაციის განმარტება რთულია. სხვადასხვა ქვეყნაში გატარებული ლუსტრაციები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. მარტივად რომ განვმარტოთ, ლუსტრაცია ზღუდავს ყოფილი საიდუმლო ორგანიზაციების და პოლიტიკური ელიტის მონაწილეობას ახალი რეჟიმების დროს. ასევე მოითხოვს, რომ ადამიანებმა საკუთარ წარსულს გადახედონ.

არსებობს ქვეყნები, რომელთა პარლამენტშიც ლუსტრაციის კანონი არ შესულა; არის ქვეყნები, სადაც პარლამენტმა იმსჯელა ლუსტრაციის შესახებ, მაგრამ კანონი არ მიუღიათ; ზოგან კანონი მიიღეს, მაგრამ ლუსტრაცია არ გაატარეს; დაბოლოს, არის ქვეყნები, სადაც ლუსტრაცია მიიღეს და გაატარეს კიდეც. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული ლუსტრაციის კანონი შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც მკაცრი, საშუალო და რბილი — ამასაც თავისი მიზეზები აქვს. აქ გარკვეულ როლს თამაშობს კონკრეტული ქვეყნის წარსული — თუკი ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი ძალიან მკაცრი იყო, ეს გარკვეულწილად ნიშნავს იმას, რომ ლუსტრაციაც მკაცრად გატარდება; მაგრამ ეს ქვეყნის აწმყოზეცაა დამოკიდებული — თუკი ქვეყანა დემოკრატიულია, უფრო მეტი შანსი არსებობს, რომ ლუსტრაციის კანონი მიიღოს და ამ თემაზე ღია დისკუსიები გამართოს.

ლუსტრაციის პოლიტიკის გატარებაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს კონკრეტული პოლიტიკოსები თამაშობენ. მაგალითად, პოლიტიკოსი, რომელსაც ეშინია, რომ ლუსტრაციის შედეგად მისი ან მისი ნათესავების წარსული გასაჯაროვდება, როგორც წესი, ამ კანონის წინააღმდეგია. ასევე, არსებობს ასეთი სამუშაო ჰიპოთეზა — ლუსტრაცია უფრო ღრმა და ხანგრძლივია, როცა დემოკრატიული პრაქტიკა უფრო კონკურენტუნარიანია.

კავშირი ლუსტრაციის კანონის მიღებასა, გატარებასა და დემოკრატიას შორის საკმაოდ მჭიდროა. აქ შეიძლება პატარა წინააღმდეგობასაც წავაწყდეთ — ლუსტრაცია, გარკვეული თვალსაზრისით, ანტიდემოკრატიულია და შეიძლება, ცოტა დაგვაბნიოს იმან, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ის უფრო მკაცრად გაატარეს. თუმცა, ფაქტია — ლუსტრაციისთვის დემოკრატია აუცილებელი პირობაა.

რუსეთის მაგალითს თუ ავიღებთ, სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1991 წელს რუსეთი უფრო დემოკრატიული ქვეყანა იყო, ვიდრე დღევანდელი საქართველოა. მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ მაშინ რუსეთმა არ მიიღო ლუსტრაციის კანონი, ხოლო დღევანდელმა საქართველომ მიიღო? 1991-1993 წლებში რუსეთში ბევრს საუბრობდნენ ლუსტრაციის შესახებ, მას ბევრი მომხრე ჰყავდა; დაიწერა კანონპროექტი, მაგრამ რუსეთის მაშინდელმა პარლამენტმა არ მიიღო. ამ პერიოდში რუსეთში ნამდვილად დიდი შესაძლებლობები არსებობდა, რომლებიც არ გამოიყენეს. ადამიანებმა, რომლებმაც გადააწყვეტინეს ელცინს, რომ რუსეთის ეკონომიკა ეგორ გაიდარს[4] უნდა განესაზღვრა, ვერ შეძლეს მისი დარწმუნება ლუსტრაციის აუცილებლობაში.

საქართველოს პირველ პრეზიდენტს გამსახურდიას კომუნისტები არ უყვარდა, ციხეშიც იჯდა, მაგრამ მას ლუსტრაციაზე საუბარი არ დაუწყია. შეიძლება, თვითონ იყო დაკავში-

რებული „სუკ-თან“, შეიძლება — მამამისი. ძალიან რთული დრო იყო და პრეზიდენტი უამრავი პრობლემის და სირთულის წინაშე იდგა; მაგრამ ფაქტია, რომ გამსახურდიამ ლუსტრაციის კანონი არ მიიღო.

შევარდნაძისგან ლუსტრაციის კანონის მიღებას არც არავინ მოელოდა. უპირველესად იმიტომ, რომ თვითონ იყო კომუნისტი, კომპარტიის მაღალჩინოსანი და მისი გარემოცვის ბევრი წევრიც დაკავშირებული იყო რეჟიმთან. მაგრამ აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: შევარდნაძის პერიოდში, როგორც კი ვალერი ხაბურძანია[5] უშიშროების მინისტრად დაინიშნა, მან პირველივე დღეს განაცხადა, რომ მიიღებდა კანონს ლუსტრაციის შესახებ.

საინტერესოა, მიხეილ სააკაშვილმა ამდენი წლის განმავლობაში რატომ არ მიიღო ეს კანონი? ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე, 2003 წელს მან ხელი მოაწერა დოკუმენტს „ათი ნაბიჯი თავისუფლებისკენ“, სადაც ის მოსახლეობას ლუსტრაციის გატარებას შეჰპირდა. მაგრამ კანონი მხოლოდ 2011 წელს მიიღეს. თანაც, წინა წლებში ოპოზიციამ ეს საკითხი რამდენჯერმე წამოჭრა, საპარლამენტო კომისიებიც განიხილავდნენ; ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენელი ამბობდა, რომ მხარს დაუჭერდა კანონს, მაგრამ როცა საქმე კენჭისყრამდე მივიდა, პარლამენტმა კანონი არ მიიღო.

რა შეიცვალა 2011 წელს, როცა ლუსტრაციის კანონს ყველა დეპუტატმა მისცა ხმა? ეს ფაქტი შეგვიძლია სხვადასხვაგვარად ავხსნათ: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთთან ომის შემდეგ აუცილებელი გახდა პოლიტიკური პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ექნებოდა შესაძლებლობა ანტირუსული ქმედებები განეხორციელებინა. შეიძლება, ეს კანონი იმიტომაც გავიდა, რომ ის პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენელმა[6] წარადგინა და ნაციონალურმა მოძრაობამ სწორედ ამიტომ დაუჭირა მხარი. შეიძლება, იმანაც ითამაშა გარკვეული როლი, რომ რამდენიმე ადამიანს ბრალი დაედო რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირში. შეიძლება, იყო ზეწოლა შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ 2011 წლის მაისში ვერავინ გაბედა, ამ კანონის წინააღმდეგ მიეცა ხმა. დისკუსია ამ თემაზე პარლამენტში 26 მაისის შემდეგ გაიმართა და ვინც წინააღმდეგი იყო, თავი შეიკავა ხმის მიცემისგან.

შესაძლოა, ლუსტრაციის კანონმა სამართლიანობა აღადგინოს, მაგრამ დემოკრატიული კონკურენციის პირობებში ლუსტრაციას ყოველთვის ძლიერი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ლუსტრაციას სწორედ დემოკრატია იყენებს.

სოფო ვერძეული — როცა სახელმწიფო ლუსტრაციის კანონს იღებს, ის დემოკრატიულობაზე აცხადებს პრეტენზიას და ცდილობს, სწრაფად დაძლიოს ტოტალიტარული წარსული. გავაგრძელებ იმ არგუმენტების ჩამოთვლას, რომლებიც დაგვეხმარება ავხსნათ, რატომ ცდილობს სხვადასხვა სახელმწიფო ლუსტრაციის პოლიტიკის გატარებას. მნიშვნელოვანია, ვინაა კანონის ინიციატორი და რითია ინსპირირებული ეს პროცესი. შეიძლება, ეს იყოს საზოგადოება, რომელიც ცდილობს, წარსულის უსამართლობებს დააღწიოს

თავი, გამოვიდეს იმ უუფლებო მდგომარეობიდან, რაც თავს მოახვიეს, ანუ იდეა საზოგადოებიდან მოდიოდეს და ის ხელისუფლებამ გაიზიაროს. არის მეორე ვარიანტი — იდეა მოდიოდეს ხელისუფლებისგან და მას ორი მიზანი ჰქონდეს: პირველი — გაავლოს ზღვარი საკუთარ თავსა და წინამორბედ ხელისუფლებას შორის, რომელიც საზოგადოების თვალში ძალადობასთან და ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევასთან ასოცირდება; და მეორე — ხელისუფლებაში მოსულ ძალას სურს, დასავლეთის ქვეყნების თვალში დემოკრატიული იმიჯი მოირგოს.

ლუსტრაციის პროცესს, ძირითადად, ორი რამ უშლის ხელს: პირველი — საზოგადოება არ მოითხოვს ლუსტრაციის გატარებას და მეორე — ხელისუფლებას არ აქვს პოლიტიკური ნება. იდეალურ შემთხვევაში საზოგადოებისა და ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეოდა, პროცედურებიც შეთანხმებული იქნებოდა და ლუსტრაციის ფორმაც.

საქართველოში ლუსტრაციის შემაფერხებელ პირობად ისიც შეგვიძლია დავასახელოთ, რომ აქ პოლიტიკური ელიტის სწრაფი ცვლა ვერ მოხდა. როცა ლუსტრაციაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ფართო პროცესს, სადაც საზოგადოების დიდი სპექტრია ჩართული, მათ შორიც ელიტაც, რომელიც სწრაფად ვერ ტრანსფორმირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა გარიგებაში შედის ელიტასთან და მას ლუსტრაციის გზით ვეღარ უპირისპირდება.

2011 წელს კანონის მიღება შეიძლება ერთგვარი გარიგების შედეგიც იყოს რევოლუციური გზით მოსულ ხელისუფლებასა და ძველ პოლიტიკურ ელიტას შორის, რომელიც ჩვენნაირ საზოგადოებაში სწრაფად ვერ იცვლება.

რაც შეეხება ლუსტრაციის მოდელებს, ძირითადი განსხვავება რეპრესიულ და ლიბერალურ (ინკლუზიურ) მოდელებს შორის ასეთია: რეპრესიული მეთოდი მოიაზრებს რამდენიმე კომპონენტს — სიმართლის დამდგენი კომისიების შექმნას, სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრებას მათთვის, ვინც ადამიანის უფლებებს მასშტაბურად არღვევდა და თანამდებობრივ შეზღუდვას სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლებისთვის. რაც შეეხება ინკლუზიურ მეთოდს, ის ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ ითვლება, რომ გაცილებით უფრო ხანგრძლივი და უკეთესი შედეგის მომტანია, ვიდრე რეპრესიული. ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით შეიძლება, სწრაფად გადაჭრა პრობლემა, მაგრამ ამას ნამდვილად არ ექნება ხანგრძლივი ეფექტი და ცვლილებები ადამიანების გონებაში და შესაბამისად — საზოგადოებაში არ მოხდება. ინკლუზიური მეთოდის განხორციელება გაცილებით უფრო რთულია და დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ სახელმწიფოების უმეტესობა რეპრესიულ გზას ირჩევს. რომელ გზას აირჩევს, რეპრესიულს თუ ინკლუზიურს, ეს დამოკიდებულია სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე და იმ საფუძველზე, რაც ლუსტრაციის კანონის მიღებისას სახელმწიფოში არსებობს.

იმ თორმეტ ქვეყანაში, სადაც ლუსტრაციის კანონი მიიღეს, ეს პროცესი, ძირითადად, რეპრესიული მეთოდით წარიმართა. ერთადერთი, პოლონეთმა მოახერხა მეტ-ნაკლებად

ლიბერალური პოლიტიკის გატარება. იქ არჩევით თანამდებობებზე შეზღუდვები არ დაუწესებიათ. როდესაც თანამდებობრივ შეზღუდვებზეა საუბარი, უნდა გავარჩიოთ არჩევითი და დანიშვნადი თანამდებობები. პოლონეთში გადაწყვიტეს, ამომრჩევლისთვის ეთქვათ, რომ კონკრეტული ადამიანი სპეცსამსახურების აგენტი იყო და ამომრჩევლისთვის მიენდოთ — თუკი საჭიროდ ჩათვლიდა და აირჩევდა, მაშინ ამ ადამიანს ჰქონდა უფლება დაეკავებინა თანამდებობა. რაც შეეხება ჩეხეთსა და ალბანეთს, ამ სახელმწიფოებმა რეპრესიული გზა აირჩიეს და საფუძველშივე მოუსპეს სპესამსახურებთან დაკავშირებულ ადამიანებს რაიმე თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა.

არც ერთ იმ ქვეყანაში, სადაც ლუსტრაციის პოლიტიკა გატარდა, თანამდებობრივი შეზღუდვები უვადო არ ყოფილა. ამ ჭრილში საინტერესოა საქართველოს განხილვა. 2011 წლის 31 მაისს პარლამენტმა კანონი მესამე მოსმენით მიიღო. „თავისუფლების ქარტია“ მოიცავს ლუსტრაციას და ე.წ. „პატრიოტის აქტს“. ჩვენი კანონის თანახმად — მართალია, შეზღუდვები არჩევით თანამდებობებზე არ ვრცელდება, მაგრამ ვრცელდება უვადოდ.

ძნელია ისაუბრო ლუსტრაციაზე და ადამიანის უფლებებს არ შეეხო, რადგან ლუსტრაციის პროცესის გატარება შეუძლებელია ადამიანის უფლებების შეზღუდვის გარეშე. საქართველომ ეს კანონი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის შემდეგ მიიღო და ამიტომ, აუცილებლად უნდა არსებობდეს ძლიერი არგუმენტი, რომლითაც კანონის ინიციატორები ადამიანის უფლებების ასეთი მასშტაბური შეზღუდვის გამართლებას შეძლებენ.

ჩემთვის უცნობია, თუ რა არგუმენტი შეიძლება არსებობდეს იმისთვის, რომ კონკრეტულ ადამიანებს უვადოდ ჩამოერთვათ თანამდებობებზე მოსვლის უფლება. სწორედ ესაა ქართული კანონის ყველაზე დიდი ხარვეზი. ამიტომაც, ჩვენი კანონი უფრო მეტად რეპრესიულია, ვიდრე ლიბერალური, რაც ძალიან სამწუხაროა. სახელმწიფოს ჰქონდა შესაძლებლობა, ამ კანონზე მუშაობისას გაეთვალისწინებინა სხვა ქვეყნებში 20 წლის მანძილზე დაგროვილი პრაქტიკა. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ლუსტრაცია გატარდა, ამ ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხზე და გადაწყვეტილებები გამოიტანეს; ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ჩარევა არაპროპორციული იყო, ანუ ადამიანის უფლებების შეზღუდვას არ ჰქონდა გამართლება. ჩვენ შეგვეძლო ეს ყველაფერი გაგვეთვალისწინებინა და ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა ამ კანონით კიდევ უფრო მეტად არ დაგვემძიმებინა.

კანონი ჯერჯერობით სრულად არ ამოქმედებულა, მაგრამ გარკვეულ საფრთხეებს უკვე ვხედავთ. ჯერჯერობით ვერავინ იტყვის, რომ ის იმოქმედებს, როგორც წმინდა სამართლებრივი დოკუმენტი და არ იქცევა პოლიტიკური შურისძიების იარაღად.

ლუსტრაციის მიზანი გარკვეული საფრთხეების განეიტრალებაცაა. სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებების რისკი გაცილებით დიდი იყო დამოუკიდებლობის მიღების პირველ წლებში, ვიდრე დღეს. როცა ეს საფრთხეები და რისკები

ბუნებრივად ნეიტრალდება, როცა სახელმწიფო სტრუქტურა უფრო აწყობილი და გამართული ხდება, უფრო მეტად ჭირს იმის დასაბუთება, რა საჭიროა კონკრეტული ადამიანების გარიყვა პოლიტიკური ცხოვრებიდან. რაც უფრო მეტი დრო გავა, კანონის ავტორებს უფრო მეტი არგუმენტის წარმოდგენა მოუწევთ იმის შესახებ, რომ ლუსტრაციის ამოქმედება საჭიროა. პირადად მე დღევანდელ საქართველოში ვერ ვხედავ იმ საფრთხეს, რომელიც ადამიანის უფლებებში ასეთ ჩარევას გაამართლებდა.

ამ თემაზე აქამდეც გამართულა დისკუსიები. ვიცოდით, პროცესი იმ მიმართულებით წარიმართებოდა, როგორც სახელმწიფო გადაწყვეტდა, მაგრამ მიღებულმა კანონმა ადამიანის უფლებების დარღვევის ძლიერი საფრთხეები შექმნა.

უპირველესად, ის, რომ კომისია, რომელიც უფლებამოსილია პროცესი განსაზღვროს, შინაგან საქმეთა სამინისტროში იქმნება. ორგანო, რომელიც ლუსტრაციის საკითხებს განიხილავს, დამოუკიდებელი უნდა იყოს; არადა, 2011 წელს ვიღებთ კანონს, სადაც პირდაპირ წერია, რომ კომისია შინაგან საქმეთა სამინიტროში შეიქმნება. პირს კი, რომლის საქმესაც ეს კომისია განიხილავს, თავის დასაცავად არანაირი სამართლებრივი ბერკეტი არ გააჩნია. თანაც, კანონის მიღების შემდეგაც კი არ ვიცით, რა პრინციპით იმუშავებს ეს კომისია, რამდენი კაცი იქნება წარმოდგენილი, როგორი იქნება გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. ეს ყველაფერი ბევრ ეჭვს აჩენს.

დაბოლოს, როცა ლუსტრაციაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია ადამიანის უფლებათა პოზიციიდან ამოვიდეთ, რადგან ლუსტრაცია არ არსებობს ადამიანის უფლებების შეზღუდვის გარეშე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამართლებულია უფლებების შეზღუდვა. როცა ადამიანის უფლებები ასე მასშტაბურად იზღუდება, სახელმწიფოს და პარლამენტს უფრო მეტი არგუმენტები უნდა ჰქონდეს.

შოთა ხინჩაგაშვილი, ბლოგერი — როცა კანონპროექტის ინიციატორი სამოქალაქო საზოგადოებას საბოლოო მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე წარუდგენს კანონს, ერთგვარი სიმულაცია იქმნება და ჩვენთან სწორედ ასე მოხდა. ახლა შეკითხვა: ლუსტრაციის პროცესის დროს ხდება თანამდებობრივი შეზღუდვა. საინტერესოა, რა არის ამ დროს განმსაზღვრელი: ის, რომ ადამიანმა საფრთხე არ შეუქმნას სახელმწიფოს თუ ეს მორალური სასჯელია?

პიტერ როჟიჩი — ჩეხეთის მაგალითს მოვიყვან: ჩეხეთში ხავერდოვანი რევოლუციიდან 10 დღის შემდეგ საიდუმლო სამსახურმა საკუთარ თანამშრომლებს შორის გაავრცელა ჩამონათვალი, სადაც პირველ პუნქტად ეწერა, რომ ძალაუფლება უნდა დაებრუნებინათ და ქვეყნის სათავეში მოსულიყვნენ. მაშინ დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა ხელი შეეშალათ მათთვის. ამისთვის კი ყველაზე კარგი საშუალება ლუსტრაციის კანონი იყო. ჩეხეთის რესპუბლიკაში კომუნისტებს არ ეკრძალებათ ქვეყნის

მართვაში მონაწილეობის მიღება, პარლამენტში მათ თავიანთი ფრაქციაც აქვთ. მაგრამ ეს არჩევითი თანამდებობებია.

გერმანიაში დეკომუნიზაცია უნდა განხორციელებულიყო მაღალ დონეზე, რადგან დენაციფიკაცია არ ყოფილა ძალიან წარმატებული; იქ მთავრობა მონდომებული იყო. რა თქმა უნდა, ლუსტრაცია სამართლიანობის აღდგენასაც გულისხმობს. ეს აუცილებელია. ვფიქრობ, დღევანდელ საქართველოშიც სწორედ პოლიტიკური მოტივაცია გახდა განმსაზღვრელი.

სოფო ვერძეული — ის უფლებრივი შეზღუდვა, რაც ლუსტრაციის პროცესის დროს ხდება, არ არის დაუშვებელი, მაგრამ შეზღუდვას საფუძველი უნდა ჰქონდეს. აქ მნიშვნელოვანი პირობა — აუცილებლობა და პროპორციულობაა. ანუ, შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი, ზომა კი — პროპორციული. თუკი საფრთხე ექმნება სახელმწიფოებრიობას, ანუ ამ ადამიანების ხელისუფლებაში დაბრუნება საფრთხეს უქმნის მას, მაშინ, ცხადია, საფრთხე განეიტრალებული უნდა იყოს.

ოთარ ყარალაშვილი — სოფო, თქვენ ახლა საქართველოს გულისხმობთ?

სოფო ვერძეული — ზოგადად, ლუსტრაციის პროცესს. მას რამდენიმე მხარე აქვს. სამართლებრივის გარდა, არის მორალური, ისტორიული და ა. შ. მხარეები. როცა მორალურ მხარეზე ვსაუბრობთ, უფრო მეტად სამართლიანობის აღდგენას ვგულისხმობთ. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სამართლიანობის აღდგენა ის არგუმენტია, რომელსაც ადამიანის უფლებების შეზღუდვის გამართლება შეუძლია. მორალური მიზეზებით ადამიანის უფლებების შეზღუდვა ნებისმიერ სახელმწიფოში გაუმართლებელია.

კობა ბენდელიანი, ჟურნალისტი — აღფრთოვანებული ვარ თავის დროზე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ლუსტრაციის კანონის მიღებით. მახსოვს ერთი საქმე, როცა სპეცსამსახურის ყოფილ თანამშრომელს 10 წლით აეკრძალა ნებისმიერ არჩევით თანამდებობაზე მოსვლა. იქ შედეგი სახეზეა. დღეს ეს ქვეყნები ევროკავშირის და ნატოს წევრები არიან.

კარგია, რომ ეს კანონი დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიღეთ. პრობლემა ისაა, რომ საზოგადოებაში ფართო მსჯელობის საგნად არ ქცეულა ლუსტრაციის თემა. ვფიქრობ, ადამიანის უფლებების შეზღუდვა დღეს არც ისე მიუღებელი უნდა იყოს, რადგან ქართულ სახელმწიფოებრიობას საფრთხეები მართლაც ემუქრება.

სოფო ვერძეული — პირადად ჩემთვის ადამიანის უფლებების დაცვა ის მიზანია, რომელსაც სახელმწიფოს არსებობის გამართლება შეუძლია. როცა ადამიანის უფლებები

დაცული არ არის, დემოკრატია საფუძველშივე აღარ არსებობს. თუკი ამ პრინციპზე ვთანხმდებით, მაშინ რომელ საფრთხეზეა საუბარი? სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა ამართლებს მძლავრი სახელმწიფოს არსებობას. როცა სახელმწიფო ამ უფლებებს ზღუდავს, უნდა დაასაბუთოს, რომ სახელმწიფოებრიობის საფრთხე დადგა 2011 წელს უფრო მეტად, ვიდრე 1991 წელს იდგა. მგონია, რომ სტრუქტურების შექმნასთან ერთად, სახელმწიფო უფრო და უფრო ძლიერი ხდება. თუმცა, ალბათ, ვიღაცას შეუძლია ამტკიცოს, რომ სახელმწიფო დღეს უფრო სუსტია, ვიდრე 1991 წელს იყო.

პიტერ როჟიჩი — პრობლემაა ის, რომ სამოქალაქო საზოგადოება არ იყო ჩართული დისკუსიაში. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ძალიან სუსტია. ადამიანმა, რომელიც 2005 წელს მუშაობდა კანონზე, მითხრა, რომ თორთლაძემ მისი კანონი მთლიანად გადაწერა. სად იყო ამდენი წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოება? ცხადია, დიდი პრობლემაა, როცა კანონპროექტი კენჭისყრამდე რამდენიმე საათით ადრე ქვეყნდება. ეს ყველანაირ წესს ეწინააღმდეგება. სამოქალაქო საზოგადოება, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა სახელმწიფო მის მოთვინიერებას ცდილობს, აუცილებლად უნდა გააქტიურდეს და გაძლიერდეს.

პაატა საბელაშვილი, ლბგტ აქტივისტი — მართალია, „კავკასიურ სახლში“ მოეწყო შეხვედრა კანონპროექტის ავტორთან, მაგრამ მოხდა ისე, რომ კანონი სერიოზული დარღვევებით მიიღეს. ამ კანონში ლუსტრაციის გარდა, საუბარია იმაზეც, თუ როგორ უნდა მოხდეს ტერორისტული ოპერაციების შეზღუდვა, საუბარია საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის აკრძალვაზე; მაგრამ გაურკვეველია, რა ბერკეტები არსებობს იმისთვის, რომ კანონმა იმუშაოს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ქართული აგენტურული ქსელის არქივი განადგურებულია და მისი ასლები მოსკოვში ინახება. იმ არქივზე წვდომა საქართველოს შსს-ს არა აქვს, ის რუსეთის ხელშია. ბატონ პიტერს მინდა ვუთხრა, რუსები დღემდე სსრკ-ს საკუთარ სახელმწიფოდ აღიქვამენ, ქართველებსაც გვაქვს გარკვეული საკუთრების შეგრძნება სტალინისა და ბერიას ეთნიკურობის გამო და ამაზე, გარკვეული სიამაყითაც ვმსჯელობთ. აქ არ არის ის გამწარებული ხალხი, რომელმაც ლუსტრაცია ბალტიის ქვეყნებში განახორციელა.

ოთარ ყარალაშვილი — მგონია, რომ ამ კანონის მთავარი ნაწილი ტერორიზმის საფრთხეს და სახელმწიფო უშიშროებას შეეხება. მეორე შეკითხვას, თუ რა საშუალებებით აპირებენ ლუსტრაციის განხორციელებას, სხვა შეუსაბამობებსაც დავამატებდი. მაგალითად, რატომაა საუბარი თავიდან საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობაზე და შემდეგ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტებზე?

პიტერს მინდა ვკითხო, არსებობს თუ არა ასეთი აღრევის პრეცედენტი სხვა ქვეყნებში, სადაც ლუსტრაციის კანონი მიიღეს; არსებობს თუ არა ლუსტრაციის ანტიტერორისტულ კონტექსტში მოქცევის გამოცდილება?

პიტერ როჟიჩი — თუკი კანონი არის ლუსტრაციის შესახებ და ის ასეთად იყო ჩაფიქრებული, უცნაურია, რატომ მოხდა ანტიტერორისტული და ანტისაბჭოთა ცნებების გაერთიანება. ვფიქრობ, ის ადამიანები, ვინც ეს კანონპროექტი მოამზადა, უბრალოდ შიშობდნენ — მარტო ლუსტრაცია არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ კანონი გასულიყო და ორი მნიშვნელოვანი პუნქტი ამიტომ დაამატეს.

ოთარ ყარალაშვილი — მე პირიქით მეჩვენება — ლუსტრაცია შაქრის ფხვნილივითაა მოყრილი ამ კანონზე. მეორე შეკითხვა — როცა არქივები არ არის ღია, რა შეიძლება გახდეს საფუძველი ვინმეს აგენტობაში დასადანაშაულებლად?

სოფო ვერძეული — როცა ლუსტრაციაზეა საუბარი, სულ ისმის არქივების თემაც. არ ვარ კომპეტენტური გიპასუხოთ, თუ რა მდგომარეობაშია არქივები. უფრო ის მადარდებს, რამდენად ექნება წვდომა მათზე იმ ადამიანს, ვისაც კანონი შეეხება.

დარბაზიდან — ჩემი აზრით, იმ კანონში, რომელიც მივიღეთ, უფრო დიდი აქცენტები გარე საფრთხეებზე კეთდება და აშკარაა, რომ უფრო მეტად რუსეთის დღევანდელი აგენტების გამოვლენა სურთ, ვიდრე საბჭოთა სპეცსამსახურების თანამშრომლებისა.

პიტერ როჟიჩი — არსებობს შიდა და გარე საფრთხეები. საქართველოში ლუსტრაციის კანონი, ალბათ, უფრო მეტად გარეშე საფრთხით იყო მოტივირებული. ვხედავ, რომ რუსეთის მხრიდან მომავალი საფრთხეებით აქ ყველა შეშფოთებულია, ზედმეტადაც კი. ასე თუ შევხედავთ, გამოდის, რომ ქვეყნის შიგნით ვებრძვით იმათ, ვინც შესაძლოა, რუსეთთან იყოს დაკავშირებული.

ოთარ ყარალაშვილი — აქ არ იგულისხმება ის ხალხი, ვინც საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობდა.

პიტერ როჟიჩი — ორივე შეიძლება იყოს. დღეს აგენტების დიდი უმრავლესობა გასულია საქმიდან, ისინი არასდროს დაუბრუნდებიან ამ საქმიანობას. თუმცა, ალბათ, რამდენიმე მათგანი აგრძელებს მუშაობას, მაგრამ რატომ უნდა მიღებულიყო კანონი მათ წინააღმდეგ? მეც ვფიქრობ, რომ საუბარია იმათზე, ვინც გარე ძალებთან დღეს არიან დაკავშირებული, მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

სოფო ვერძეული — კანონში წერია, რომ გარდა იმ პირებისა, ვინც საბჭოთა კავშირის დროს თანამშრომლობდა, სხვებზეც — რომელთა მიმართაც რაღაც მონაცემები არსებობს, რომ ისინი 1991 წლის შემდეგ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მუშაობდნენ — შეზღუდ-

ვები გავრცელდება. საინტერესოა, თუ რატომ მოხვდა ეს ჩანაწერი კანონში, რომელიც ლუსტრაციას ეხება; მეორე — თუკი ვინმე თანამშრომლობს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან, რატომ არ ისჯება სისხლის სამართლის პასუხიმგებლობით და რატომ წესდება მხოლოდ თანამდებობრივი შეზღუდვა? კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რა მტკიცებულებები უნდა დაედოს საფუძვლად ამ შეზღუდვებს. ეს საკითხები ბუნდოვანია, მაგრამ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროტესტის მიუხედავად, ისინი მაინც დარჩა კანონში.

ირაკლი ხვადაგიანი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია — ორი შეკითხვა მაქვს: რადგანაც საბჭოთა რეჟიმი დანაშაულებრივი იყო, ამ რეჟიმთან ნებისმიერი თანამშრომლობა საკმარისია შეზღუდვის დასაწესებლად? რა ბერკეტები აქვს ადამიანს იმისთვის, რომ თავი დაიცვას?

სოფო ვერძეული — ჩვენ თავიდანვე ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ კანონი არანაირ საგამონაკლისო ფორმას არ გულისხმობდა. არ იყო ინდივიდუალიზებული მიდგომა. როდესაც სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოები და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ამგვარ საკითხებზე მსჯელობდა, ყოველთვის დარღვევად იყო მიჩნეული ის, რომ გარკვეულ ჯგუფს, კოლექტიურად, ყოველგვარი ინდივიდუალური განხილვის გარეშე შეეზღუდა უფლებები. შეიძლება კონკრეტული ადამიანი თანამშრომლობდა, მაგრამ იმის იქით რას აკეთებდა, რა კონკრეტულ დანაშაულებებში მიუძღვის ბრალი, ამის გამოკვლევა არ ხდება. ეს ძალიან დიდი ხარვეზია. როცა ინდივიდუალური მიდგომა არ არსებობს, ადამიანის უფლებები ყოველთვის ირღვევა. სამწუხაროდ, ჩვენს კანონში ასეა.

პიტერ როჟიჩი — მინდა გითხათ, ზოგადად, ლუსტრაციის შემთხვევაში ასე ხდება. ლუსტრაცია სწორედ პოლიტიკური და არა იურიდიული გასამართლებაა და ადამიანების ჯგუფი ამიტომაც აგებს პასუხს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლუსტრაციის მორალური პრობლემაა.

სქოლიო

[1] შტაზი *(Ministerium für Staatssicherheit)* — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახური (1950-1989), რომლის არქივებიც გერმანიის გაერთიანების შედეგად, 1990 წელს გაიხსნა.

[2] გალინა სტაროვოიტოვა (1946-1998) — რუსი პოლიტიკოსი და ადამიანის უფლებების დამცველი; მუშაობდა საკანონმდებლო საკითხებზე. მის სახელს უკავშირდება კანონები „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა შესახებ", „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ". ის აქტიურად ლობირებდა ლუსტრაციის კანონს რუსეთის სახელმწიფო დუმაში; 1998 წელს მოკლეს და მკვლელობის საქმე დღემდე გახსნილი არ არის.

[3] იმპერატორი ტრაიანე მარკუს ულპიუს (53-117) — რომის იმპერატორი 98 წლიდან; ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იმპერატორი; გააფართოვა იმპერიის საზღვრები, დაიპყრო მესოპოტამია და სომხეთი; იმპერიას სენატორებთან თანხმობით მართავდა, რომში ააშენა ახალი წყალსადენები, ხიდები, გზები, ქარვასლები; ააგო ახალი ფორუმი და დადგა ე.წ. ტრაიანეს სვეტი. რომში ასეთი დალოცვა არსებობდა: „იყავი ავგუსტუსზე ბედნიერი და ტრაიანეზე უკეთესი!" *(Felicior Augusto, melior Trajano)*

[4] ეგორ გაიდარი (1956-2009) — რუსი ეკონომისტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე; 1990-იანი წლების ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთი ავტორი. 1991-1994 წლებში რუსეთის მთავრობის წევრი, ერთხანს — მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე; ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ანტისაომარი მიტინგების ორგანიზატორი.

[5] ვალერი ხაბურძანია — საქართველოს უშიშროების მინისტრი (2001-2003).

[6] „თავისუფლების ქარტია" პარლამენტში ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარემ გია თორთლაძემ წარადგინა.

აკრძალული ლიტერატურა

25.07.2011

მომხსენებლები:

ლაშა ბაქრაძე — ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი

დავით ბარბაქაძე — მწერალი

ნანა შენგელაია — ფილოლოგი

მოდერატორი: შოთა გაგარინი

შოთა გაგარინი — ჩვენი საუბრის თემა აკრძალული ლიტერატურაა. დღეს უფრო მეტად საბჭოთა კავშირზე ვისაუბრებთ, თუმცა, ცენზურა და ლიტერატურის აკრძალვა, საბჭოთა კავშირში არ მოუგონიათ. მეტიც, ამგვარი აკრძალვები მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმებს არ ახასიათებთ. ლიტერატურას ისეთ ქვეყნებშიც კრძალავენ, რომელთაც დღეს წარმოგვიდგენენ, როგორც დემოკრატიის წალკოტს. მაგალითად, სამხრეთ კორეაში ან სინგაპურში. ნოამ ჩომსკი[1] დღემდე აკრძალულია სამხრეთ კორეაში.

წიგნების აკრძალვა ძირითადად სამი მიზეზის გამო ხდება: პირველი — პოლიტიკური, მეორე — მორალური, როცა საზოგადოება თავად მოითხოვს რაიმე ტიპის აკრძალვას და მესამე — რელიგიური. სამივეს თვალსაჩინო მაგალითები ძალიან ბევრია. ჩვენთან მორალური და რელიგიური აკრძალვა ერთგვარ სიმბიოზს ქმნის.

ევროპაში 1559 წლიდან 1966 წლამდე ე.წ. რომის ინდექსი მოქმედებდა — *Index Librorum Prohibitorum*[2]. ეს იყო წიგნების ჩამონათვალი, რომელთა წაკითხვაც ერესად ითვლებოდა. ამ სიაში ბევრი მწერალი და თეოლოგი მოხვდა; აკრძალული იყო ყველა ფრანგი განმანათლებელი.

რაც შეეხება მორალურ აკრძალვას, ამის ნათელი მაგალითი შეიძლება ჯოისის „ულისე“[3] იყოს. ამერიკაში ორი წლის განმავლობაში აკრძალული იყო „შიშველი საუზმე“[4], ალენ გინზბერგს[5] სასამართლოს გზით მოუწია თავისი პოემის, „ჰოულის“ დაცვა.

თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლა ყველა ეპოქაში და ყველგან მიმდინარეობს; ეს პროცესია, სადაც არ შეიძლება სტატუს კვოს მივაღწიოთ, როცა ვიტყვით, რომ თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლა საჭირო აღარ არის.

საბჭოთა კავშირში სიტყვა „დისიდენტი“ სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. დისიდენტებს უწოდებდნენ ნაღდ კომუნისტებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირმა მარქსის გზიდან გადაუხვია, იყვნენ ე.წ. „ზაპადნიკები“ — ლიბერალები და იყვნენ ნაციონალისტები. მაგალითად, კავკასიელი და უკრაინელი დისიდენტების უმეტესობა ნაციონალისტი იყო.

ლაშა ბაქრაძე — რაც კაცობრიობამ წერა-კითხვა ისწავლა, ცენზურა არსებობს; მაგრამ ლიტერატურის ისეთი ყოვლისმომცველი კონტროლი, როგორიც საბჭოთა კავშირში შემოიღეს, კაცობრიობას არ ახსოვს. საბჭოთა ცენზურა ყველაფერს აკონტროლებდა — მწერლობას, მეცნიერებას, კინოს, თეატრს, ტელევიზიას.

„მთავლიტს“[6] — ნებისმიერი დაბეჭდილი სიტყვის ცენზურა ევალებოდა. მაგალითად, ასანთის კოლოფზე ან მარკაზე მოთავსებული წარწერებიც კი გადიოდა ცენზურას. საბჭოთა კავშირში ძირითად პარაგრაფს, რომელთა ლამის ყველაფერს კრძალავდნენ, „ანტისაბჭოთა პროპაგანდა“ ერქვა. აკრძალული იყო საუბარი ბუნებრივი კატასტროფების, ეთნიკური დაპირისპირებების, ეკონომიკური პრობლემების შესახებ და სხვ. ნაწილობრივ აკრძალული იყო ლიტერატურა, რომელიც ეხებოდა ბირთვულ ფიზიკას, ფსი-

ქოლოგიას — განსაკუთრებით, ფსიქოანალიზს, გენეტიკას, კიბერნეტიკას და ა.შ.. ერთ ამბავს გავიხსენებ: ქართველმა ფიზიკოსმა, რომელიც აშშ-ში სამეცნიერო კონფერენ-ციაში მონაწილეობდა, იყიდა წიგნი ატომური ელექტროსადგურების შესახებ სსრკ-ში. საზღვარზე წიგნი ჩამოართვეს; შემდეგ მისი დაბრუნება შეძლო, მაგრამ წიგნიდან ყველა ფოტო ამოჭრილი იყო. ამერიკელებს ჰქონდათ საბჭოთა ატომური ელექტროსადგურების სურათები, რატომ არ უნდა ჰქონოდა ისინი საბჭოთა მეცნიერს?

ცენზურა ეხებოდა ისტორიასაც, თუკი ის პარტიის გენერალური ხაზის მოთხოვნებს არ ემთხვეოდა. მაგალითად, სსრკ-ში აკრძალული იყო ანა ახმატოვას ვაჟის, ლევ გუმილი-ოვის[7] სადავო თეორია ეთნოგენეზის შესახებ. აკადემიის ბიბლიოთეკაში იდო ნაბეჭდი ტექსტი, შეიძლებოდა აკადემიის წევრებს ენახათ, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეები ამ წიგნს ვერ წაიკითხავდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ცენზურა, ემყარება რუსულ ტრადიციასაც, რომლის-თვისაც იზოლაციონიზმი უცხო არასდროს ყოფილა და რომელიც უცხოსადმი ოდითგან-ვე უნდობლობით იყო აღსავსე. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში ტოტალური კონტროლი დაწესდა ბეჭდვაზე და შეუძლებელი იყო დაბეჭდილიყო რაიმე, რაც სახელმ-წიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. საზღვარგარეთ დაბეჭდილ წიგნებს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ნიკოლოზ პირველის ბოლო წლებს, რადგან ეს ცენზურის დიდი ზეწოლის დრო იყო, „ბნელ პერიოდს“ უწოდებდნენ.

1917 წელს, როგორც კი ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მა-შინვე დაიწყო ბეჭდური სიტყვის კონტროლი; ის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთ-ში მართლაც თავისუფალი იყო. ლენინმა თქვა — „ადრეც ვამბობდით, რომ ბურჟუაზიულ გაზეთებს დავხურავდით, როგორც კი ძალაუფლებას ხელში ავიღებდით. რადგან აიტანო მათი არსებობა, ნიშნავს, აღარ იყო სოციალისტი.“[8] 1917 წლის 9 ნოემბერს, რევოლუცი-იდან ორი დღის შემდეგ სახკომსაბჭომ მიიღო დეკრეტი პრესის შესახებ, სადაც ეწერა, რომ პრესა თავისუფალი იყო; მაგრამ რეალურად ეს შეზღუდვას ნიშნავდა, რადგან ით-ვალისწინებდა იმ გაზეთების დახურვას, რომლებიც ხელს უწყობდა „უწესრიგობას ყალბი ინფორმაციის გავრცელებით“. უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკებს შორისაც იყვნენ ამ დეკ-რეტის მოწინააღმდეგეები; ისინი ამბობდნენ, რომ ეს დეკრეტი მათ 1890 წლის „პრესის კანონს“ აგონებდათ, რომლითაც თავისუფალ სიტყვას ზღუდავდნენ. 19 ნოემბერს იყო მცდელობა სტამბის მუშაკების გაფიცვისა, მაგრამ ვერც ამ და ვერც სხვა პროტესტებმა დიდი გავლენა ვერ იქონია ცენზურაზე.

1918 წელს ტროცკის[9] მოთხოვნით შემოიღეს სამხედრო ტრიბუნალები, რომლებსაც „პრესის ტრიბუნალები“ ერქვათ და რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებების გათქმას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ტრიბუნალებმა 1918 წლის იანვრიდან მაისამდე იმუშავა.

1918 წლიდან კინოწარმოების კონტროლი დაწესდა და 1919 წლისათვის ყველა კინო და ფოტოსტუდია სახელმწიფოს ხელში გადავიდა.

1918-1919 წლებში მოხდა ყველა საბჭდი მანქანის კონფისკაცია და ქაღალდის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია.

1921 წლამდე ცენზურა ექვემდებარებოდა „ფოსტისა და ტელეგრაფის კომისარიატს“, 1921 წელს გადაეცა „ჩეკას“, რომელსაც იმ დროს *ОГПУ*[10] ერქვა. 1921 წლის 21 დეკემბერს იქ შეიქმნა პოლიტიკური კონტროლის განყოფილება, რომელსაც უპირველესად, მთელი მიმოწერის კონტროლი ევალებოდა; ასევე, უნდა გაეკონტროლებინა უცხოეთიდან შემომავალი წიგნები, გაზეთები და ფილმები. ცენზურის მიერ დაშვებულ ლიტერატურას ზოგჯერ *ОГПУ*-ს განყოფილება მაინც იღებდა გაყიდვიდან. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ბორის პილნიაკის[11] „მომაკვდინებელი გვიხმობს“ *(«Смертельное манит»),* რომელიც დაუშვა ცენზურამ, მაგრამ სწორედ პოლიტიკური კონტროლის განყოფილებამ ამოიღო გაყიდვიდან.

მაგ., 1925 წლის აგვისტოში შეამოწმეს 135 000 პაკეტი 300 000-დან და ყველა 285 000 წერილი, რომელიც საბჭოეთიდან უცხოეთში გაიგზავნა.

НЭП-მა[12], ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც 1921 წელს შემოიღეს, „დიდი დარტყმა“ მიაყენა ცენზურას, რადგანაც შედარებითი თავისუფლება დაუშვეს და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი გამომცემლობები შეიქმნა. მაგრამ *НЭП*-ს დიდხანს არ უარესებია, 1928-1929 წლისათვის ცენზურა ისევ გაძლიერდა.

ლენინი ამბობდა, რომ ცენზურა საჭიროა, რათა „კონტრრევოლუციურ და ამორალურ ფილმებს ადგილი არ ჰქონდეთო“. ეს სიტყვები ლენინმა ლუნაჩარსკის მისწერა. ესაა ციტატა იმ ცნობილი წერილიდან, სადაც ლენინი კინოს მნიშვნელობაზე საუბრობს.

1922 წლის 6 ივლისს შეიქმნა მთავლიტი. ეს იყო ყველაზე კომპლექსური ორგანიზაცია, რომელიც იმდენად მოსახერხებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რომ შემდეგ აღარ შეუცვლიათ. ჯერ იყო განათლების კომისარიატის დაქვემდებარებაში, რომელსაც შედარებით ლიბერალი ლუნაჩარსკი ხელმძღვანელობდა. შეიძლება ამიტომაც, 20-იან წლებში ბევრად უფრო მეტი საინტერესო ლიტერატურა იბეჭდებოდა, ვიდრე შემდგომ. ცენზურა განსაკუთრებით 1932 წლიდან გაძლიერდა.

მთავლიტს ჰქონდა ქვეგანყოფილებებიც; მაგალითად, გლავრეპერტკომი, რომელიც თეატრებისა და კლუბების რეპერტუარებს ამოწმებდა. მოწმდებოდა იმ სიმღერების ტექსტებიც, რომლებსაც კლუბებში მღეროდნენ.

თუ 1927 წელს მთავლიტის ცენტრალურ აპარატში 86 თანამშრომელი მუშაობდა, 1947 წელს მათი რიცხვი 6453 იყო. 1925 წელს მთავლიტმა პირველი, 16 გვერდიანი საიდუმლოებების სია გამოაქვეყნა, სადაც 95 საიდუმლო დოკუმენტი იყო აღრიცხული. 1937 წლისთვის საიდუმლოებათა რიცხვი 672-მდე გაიზარდა.

საბჭოთა ცენზურის ისტორია მშვენივრადაა შესწავლილი რუსეთში. არაფერი მსგავსი საქართველოში დღემდე არ გაკეთებულა. როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდი, გავიგე, რომ 1937 წელს საქართველოს მთავლიტის ხელმძღვანელი დახვრიტეს, მაგრამ ამ ადამიანის სახელი ვერსად ვიპოვე.

1957-1986 წლებში სსრკ-ს მთავლიტის შეფი იყო პაველ რომანოვი. 1958 წელს მთავლიტმა ბიბლიოთეკებში მილიონ ექვსასი ათასი ეგზემპლარი შეამოწმა, რომელთა საერთო ტირაჟი 24 მილიონი იყო. 6 მილიონი გადაგზავნეს სპეციალურ საცავებში. 250 000 უცხოური გამოცემა, როგორც განსაკუთრებულად მტრული, განადგურდა.

უნდა ითქვას, რომ ეს ფსიქოლოგია დღესაც ცოცხალია. უკანასკნელ წლებში საქართველოში უამრავი წიგნი განადგურდა („იმელის" ბიბლიოთეკის ფაქტიური გაცამტვერება). როდესაც ამჟამად ჩემდამი რწმუნებულ ლიტერატურის მუზეუმში ამ მოხსენებისთვის ლენინის ტომებს ვეძებდი, აღმოჩნდა, რომ ლენინის, სტალინის, მარქსის წიგნები 90-იან წლებში გადაუყრიათ. ასე მოხდა საქართველოს უმრავლეს ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, დღეს სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკას, ალბათ ყველაზე საუკეთესო ბიბლიოთეკის შენობას საქართველოში, დიდი საფრთხე ემუქრება: ის თსუ-ს შეუერთეს და წიგნებს ალბათ თსუ-ს ბიბლიოთეკაში გადაიტანენ. აკადემიის ბიბლიოთეკის შენობის დანგრევა ან გადაკეთება დიდი დანაშაული იქნება ქართული საბიბლიოთეკო საქმის წინაშე.

1988 წლისთვის მოსკოვში ლენინის ბიბლიოთეკაში სპეციალურ საცავებში ინახებოდა 300 000 წიგნი, მილიონამდე დასახელების გაზეთი და 560 000 ჟურნალი.

საბჭოთა კავშირში ლიტერატურის გასაიდუმლოების რამდენიმე საფეხური არსებობდა. მეოთხე ხარისხისა ის წიგნები იყო, რომელთა წაკითხვის უფლება მხოლოდ ცეკას წევრებსა და კგბ-ს მაღალჩინოსნებს ჰქონდათ. „სპეცხრანების" დიდი პროპაგანდისტი და წიგნების გამანადგურებელი ლენინის ქვრივი ნადეჟდა კრუპსკაია იყო. ასეთ საცავებში ინახებოდა ახმატოვა, მანდელშტამი, სოლოგუბი. უცხოელებიდან არ უყვარდათ მარსელ პრუსტი, ჯონ დოს პასოსი და ა. შ.; ნაწილობრივ აკრძალული იყო ევროპელი ფილოსოფოსები, ასევე სემიოტიკოსები და სტრუქტურალისტები — მაგ., ლოტმანი და ბახტინი, ფსიქოანალიზსა და ფროიდზე აღარაფერს ვამბობ.

სსრკ-ში ყოველთვის წუხდნენ, რომ ცენზორთა განათლების დონე ძალიან დაბალი იყო. 1940 წელს 5000 ცენზორიდან მხოლოდ 506 კაცს ჰქონდა საშუალო განათლება. ცენზორებს უპირველესად პარტია უნდა ნდობოდა, ამიტომაც პროლეტარების წრიდან უნდა ყოფილიყვნენ. ხშირად ისინი გლეხები იყვნენ, რომლებიც კოლექტივიზაციას ქალაქებში გამოექცნენ.

მთავლიტის უფროსმა სერგეი ინგულოვმა[13] 1928 წელს თქვა ცნობილი სიტყვები: „კრიტიკამ შედეგი უნდა მოიტანოს: დაპატიმრება, სასამართლო განაჩენი, მძიმე სასჯელები, ფიზიკური და მორალური დახვრეტა"[14]. საგულისხმოა, რომ ის 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს.

საბჭოთა იდეოლოგი სუსლოვი[15] ამბობდა — „წარმოიდგინეთ, დილით ვშლი „იზვესტიას" და არ ვიცი, შიგ რას წავიკითხავ!" — მისთვის ყველაზე დიდი საშინელება იყო, რომ არ სცოდნოდა, რას წაიკითხავდა ქვეყნის მთავარ გაზეთში. მასვე მიაწერენ ასეთი სიტყვებ-

საც (1968 წელს, როცა ჩეხეთში საბჭოთა ტანკები შევიდნენ) — „ჩეხეთში ცენზურა გააუქმეს და იქ ჩვენი ტანკები შევიდნენ. ჩვენთან ცენზურა რომ გააუქმონ, ნეტავ, ვისი ტანკები შემოვლენ?“

ნანა შენგელაია — მწერლები, მხატვრები, კინოსა და თეატრის რეჟისორები, რომლებსაც საბჭოთა კავშირი სჯიდა, ყველა დისიდენტი არ ყოფილა. ხშირად ისინი თავიანთი საქმის მცოდნე, ნიჭიერი ადამიანები იყვნენ. დისიდენტობა ბრძოლა იყო არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ისინი, ვისზეც მინდა გიამბოთ, საბჭოთა რეჟიმს პირდაპირ არ ებრძოდნენ და, ამიტომაც, დისიდენტები არ ყოფილან.

ჩემი აზრით, ცენზურა არის ბრძოლა თავისუფალი, ნიჭიერი ადამიანის წინააღმდეგ. საწყის ეტაპზე მხოლოდ ნაწარმოებს ებრძოდნენ, შემდეგ უკვე — თავად ადამიანს. ეს იდეოლოგიური ბრძოლა იყო. ამასთან დაკავშირებით მინდა ეზოპეს[16] მაგალითი მოგიყვანოთ, რომლის იგავებიც შემდგომ ბევრმა გადაამღერა. ეზოპეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს — კლდეზე უნდა ასულიყო და გადამხტარიყო. ეზოპე დაუმორჩილებელი, არაჩვეულებრივად ნიჭიერი და თავისუფალი კაცი იყო. რასაც გრძნობდა, იმას წერდა.

ასევე გადაასახლეს პლუბიუს ოვიდიუს ნაზონი[17]. ეს მისთვის მძიმე სასჯელი იყო. ოვიდიუსი იმითია ცნობილი, რომ სიყვარულზე წერდა, მაგრამ მოუხელთებელი და უმართავი კაცი იყო. გამოდის, რომ ყველაფერი, რაც სულს აშფოთებს და მშვენიერია, ხელს უშლის სახელმწიფოს შენებას. ცენზურა ამასაც ებრძოდა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნიჭიერი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა ასე იწყებოდა — ჯერ ხდებოდა ტოტალური უგულვებელყოფა. მგონი, ეს ყველასთვის ნაცნობი რამაა. რაღაც ხდება შესანიშნავი, მაგრამ საზოგადოება ჩუმადაა, არავითარი რეაქცია არა აქვს. ეს ყველაზე მცირე სასჯელი იყო. რუსეთში საბჭოთა დროს იყვნენ დიდი მწერლები, მაგრამ ჩვენ მათი არსებობის შესახებ გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგ გავიგეთ. მე რუსულ ლიტერატურაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ეს დიდი ქვეყანა იყო, სადაც დიდი ლიტერატურა შეიქმნა. კარგად მახსოვს — ცვეტაევა, ახმატოვა, პასტერნაკი 50-იან წლებში გამოჩნდნენ. მაგალითად, ახმატოვას „რეკვიემის“ დედაჩემის მამის მიერ გადაწერილი ორი ეგზემპლარი მაქვს. მე ეს პოემა სხვანაირად არც წამიკითხავს.

უგულვებელყოფას კრიტიკა მოჰყვებოდა ხოლმე, როგორც ეს პასტერნაკის შემთხვევაში მოხდა. გაზეთებში იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები, რაც მწერალთა კავშირიდან გარიცხვით მთავრდებოდა ხოლმე.

საქართველოში ასეთი პრაქტიკაც არსებობდა: ვრცელდებოდა ხმები, რომ ადამიანი გიჟია. მაგალითად, პავლე ინგოროყვაზე[18] ამბობდნენ — აფრენსო. ასეთი ბევრი ვიცი. ესეც პროცედურის ნაწილი იყო.

არასასურველ ნაწარმოებს სასკოლო პროგრამებიდან იღებდნენ. შემდეგ ეტაპზე უკვე კრძალავდნენ დაბეჭდვას, ხურავდნენ სპექტაკლებს.

თუკი ვინმე პარტიის წევრი იყო, პარტიიდან რიცხავდნენ; მწერალთა კავშირის წევრებს იქიდანაც აგდებდნენ და ადამიანი სრულიად დაუცველი რჩებოდა; იმიტომ, რომ პარტიისა და მწერალთა კავშირის წევრობა რაღაც გარანტიებს ნიშნავდა. ამის გარეშე ღია რჩებოდი სხვა ეტაპებისთვის, ანუ, მოხვდებოდი სასამართლოში, როგორც ბროდსკი, სინიავსკი[19], დანიელი[20], სხვებიც. ბოლოს ადამიანები ან თვითმკვლელობამდე მიდიოდნენ, ან მათ კლავდნენ. მაგალითად, რუსეთში მოკლეს უნიჭიერესი მთარგმნელი კოსტია ბაგატირიოვი[21].

ცენზურა პირველი ეტაპი იყო. სინამდვილეში ამ ადამიანების მოსპობა სურდათ.

მიხეილ ბულგაკოვი 1940 წელს გარდაიცვალა. მაგრამ მისი ნაწარმოებები სრულად 80-იან წლებში გამოქვეყნდა. 1926 წლიდან მოყოლებული, რასაც წერდა, არაფერი არ იბეჭდებოდა. მხოლოდ მისი პიესები იდგმებოდა, რომლებიც შემდეგ ასევე აკრძალეს. 1926 წლიდან, მას შემდეგ, რაც დაწერა „წარწერები მანჟეტებზე“, დაკითხვებზე დაჰყავდათ. ბულგაკოვი ღიად ამბობდა, რომ არ მოსწონდა ეს ქვეყანა, მისი სტრუქტურა. მაგრამ დისიდენტი მაინც არ ყოფილა, იმიტომ, რომ არ იბრძოდა. ამბობდა — ერთი მწვანეაბაჟურიანი ნათურა მინდა, დავჯდები და ვწერო. 1930 წელს, როცა რუსეთის სამხატვრო თეატრში[22] მისი სპექტაკლები დახურეს, ბულგაკოვმა წერილი მისწერა სტალინს; სტალინმა მას დაურეკა და ისაუბრეს. მაშინ თვლიდნენ, რომ ეს ფაქტი რაღაცნაირად შეამსუბუქებდა ბულგაკოვის ყოფას. მართლაც, მაშინ გორკიმ დააარსა სერია „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ და ბულგაკოვს მოლიერის ბიოგრაფია შეუკვეთა. ეს არაჩვეულებრივად, მსუბუქად დაწერილი რომანი მოლიერის შესახებ მაშინ არ დაბეჭდეს.

მაშინ ყველა ცენზორი, როგორც ჩანს, გაუნათლებელი არ იყო; ერთ-ერთმა — კერჟენცევმა[23] თქვა, რომ ამ ნაწარმოებში პარალელებია მოძებნილი მოლიერის ცხოვრებასა და ბულგაკოვის ბიოგრაფიას შორის; ოღონდ ის ლუი XIV-ის დროს ცხოვრობდა, ბულგაკოვი კი — სტალინის დროსო. როგორც მოლიერს დაუხურეს თეატრი და არ აძლევდნენ სპექტაკლების დადგმის საშუალებას, იგივე ემართებოდა ბულგაკოვს. პოლიტბიუროს კერჟენცევმა ასეთი დასკვნა წარუდგინა: „დაიხუროს სპექტაკლი არა ფორმალურად, არამედ თეატრმა შეგნებულად, გააზრებულად თქვას უარი სპექტაკლზე, როგორც მცდარსა და სოციალისტური რეალიზმის რელსებიდან ამოვარდნილზე. ამისთვის „პრავდაში“ დაიბეჭდოს მკაცრი სარედაქციო წერილი „მოლიერზე“, ჩემი შენიშვნების გათვალისწინებით და სპექტაკლი სხვა ორგანოების მიერაც დაიგმოს.“ ეს რეზოლუცია წაიკითხა სტალინმა, რომლის იმედიც ბულგაკოვს ჰქონდა და მოიწონა. შეკრიბეს *МХАТ*-ის დასი, სადაც ბულგაკოვი წლების განმავლობაში მუშაობდა და თავად მსახიობებმაც დაგმეს ეს პიესა. შედეგად სპექტაკლი დაიხურა. ეს 1936 წელს მოხდა. ნაბრძანები იყო მარტო „მოლიერის“ დახურვა, მაგრამ თეატრმა კიდევ ორი მისი სპექტაკლი დახურა — „პუშკინი“ და „ივან ვასილევიჩი“. ამის შემდეგ ბულგაკოვი თეატრიდან წავიდა და 1937 წელს დაწერა „თეატრალური რომანი“, რომელიც სრულად 1989 წელს გამოქვეყნდა.

ახლა მინდა, ბროდსკის მაგალითი მოგიყვანოთ. ესაა გენიალური პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ბროდსკი 23 წლისა იყო, ლენინგრადში მის ლექსებს მაშინ ძალიან ვიწრო წრე თუ იცნობდა. პატარა ბიჭი წერდა ლექსებს და ის დაიჭირეს. ახმატოვა ამბობდა: მისი ლექსები არაჩვეულებრივია, მას ბევრისთვის მიუწვდომელი სულიერი დონე აქვს და ამიტომ დაიჭირესო. ბროდსკი სახელმწიფოს საწინააღმდეგოს არაფერს აკეთებდა. ის დაიჭირეს, წელიწადნახევრის შემდეგ გაასამართლეს და წელიწადნახევრით არხანგელსკის მხარეში გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ ბანაკში არ ყოფილა, სოფელში ცხოვრობდა. აქ უნდა ვახსენო ერთი მოსკოველი ქალბატონი — ფრიდა ვიგდოროვა[24], რომელიც წავიდა ლენინგრადში, შევიდა პროცესზე, ჩაწერა ბროდსკის სასამართლო პროცესი და ხელნაწერის სახით გაავრცელა. საქართველოში არ შემხვედრია ამ ტიპის ხელით გადაწერილი ტექსტები, მაგრამ რუსეთში ამ გზით ვრცელდებოდა ლიტერატურა. ამ ჩანაწერის შესახებ ლიდია ჩუკოვსკაია[25] ამბობდა — ისეთი სიძლიერის ჩანაწერია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზეო.

მინდა, პატარა ნაწყვეტი წავიკითხო ამ ჩანაწერიდან:

„მოსამართლე: რა არის თქვენი პროფესია?

ბროდსკი: პოეტი და მთარგმნელი.

მოსამართლე: ვინ დაადგინა ეს? ვინ მიგაკუთვნათ პოეტებს?

ბროდსკი: არავინ. ვინ მიმაკუთვნა მე ადამიანებს?

მოსამართლე: თქვენ ეს ისწავლეთ?

ბროდსკი: რა?

მოსამართლე: არ გიცდიათ უმაღლესის დამთავრება, სადაც ამას ასწავლიან?

ბროდსკი: არ მგონია, რომ ეს განათლების მიღების შემდეგ მოდის.

მოსამართლე: აბა, საიდან?

ბროდსკი: მე ვფიქრობ, ეს ღმერთისგანაა.“

მოგვიანებით, ბროდსკიმ თავის სანობელე სიტყვაში ასე ახსნა, ვინ არის პოეტი: „ლექსის მთხზველი იმიტომ წერს, რომ ლექსთწყობა გონების, აზროვნების, მსოფლშეგრძნების კოლოსალური დამაჩქარებელია. ამის ერთხელ განმცდელ ადამიანს არ შეუძლია, ხელმეორედ არ სცადოს. ის ემონება ამ პროცესს. ისევე, როგორც ემორჩილებიან ნარკოტიკს ან ალკოჰოლს. ვისაც ენასთან ასეთი დამოკიდებულება აქვს, ვფიქრობ, მას ეწოდება პოეტი“.

ბროდსკი არ ებრძოდა საბჭოთა წყობილებას. მას სურდა თავისუფლება თავისი ნიჭისთვის; იმისთვის, რომ ბოლომდე განხორციელებულიყო. ის საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს[26], მერე მთელი ცხოვრება სამშობლო ენატრებოდა და უბედური იყო, რომ აღმოჩნდა უცხოეთში, როგორც ოვიდიუს ნაზონი.

ქართველების შესახებაც ვისაუბრებ: პარიზიდან საქართველოში დაბრუნებული დავით კაკაბაძე სამხატვრო აკადემიაში ფერწერას ასწავლიდა. მოსკოვიდან გრაბარის[27] ხელმ-

ძღვანელობით ჩამოვიდა კომისია, რომელმაც გააკრიტიკა დავით კაკაბაძე, რომელსაც არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ ჰქონდა, მხოლოდ ხატვა უნდოდა. ის აკადემიიდან გაათავისუფლეს. იხვეწებოდა — ფერწერას თუ არა, თეატრის მხატვრობას მაინც ვასწავლიო, მაგრამ არ დაუშვეს. მან, თითქმის სრულიად უარყოფილმა, სიღატაკეში დალია სული. ასევე, სრულიად ახალგაზრდა მხატვარი პეტრე ოცხელი დახვრიტეს. დახვრიტეს ევგენი მიქელაძე, ასევე, სანდრო ახმეტელი... იჭერდნენ ექიმებს, მეცნიერებს... 1937 წელს გამოვიდა მშვენიერი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელის ავტორებიც რეპრესიებს შეეწირნენ და ამ წიგნზე, ჯერ ფორზაცებს ხევდნენ, მერე კი სრულიად გააქრეს.

რუსეთში ცენზურისა და ტექსტების განადგურების საწინააღმდეგოდ ხდებოდა იმგვარი რამ, რის შესახებაც საქართველოში არ მსმენია. შეიკრიბებოდნენ ვინმესთან სახლში და რომელიმე მწერალი ან პოეტი კითხულობდა თავის ლექსებს ან პროზას. შემდეგ მეორე ოჯახში შეიკრიბებოდნენ, შემდეგ — მესამეში და ასე შემდეგ. შემდეგ ეს მსმენელები საკუთარ მეგობრებს აგებინებდნენ ახალი ნაწარმოებების შესახებ; ტექსტებს ხელით წერდნენ, იმიტომ კი არა, რომ საქმე არ ჰქონდათ, ეს ამ ადამიანების ცხოვრების მიზანი იყო. ცნობილია, როგორ გადაწერა სოლჟენიცინმა სოფელ ჟუკოვკაში ახმატოვას „პოემა უგმიროდ“, შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ახმატოვამ მას „რეკვიემი“ წაუკითხა და სოლჟენიცინმა უთხრა, „მილიონები იღუპებოდა მაშინ და რა გახდა ერთი დედა და ერთი შვილიო!“[28]

60-იან წლებში „ნოვი მირის“ რედაქტორი იყო ტვარდოვსკი[29]. სწორედ მან დაბეჭდა ახმატოვა, სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩი“, ბროდსკის რამდენიმე ლექსი. ტვარდოვსკიმ მაშინ დიდი როლი ითამაშა, რადგან როცა ეს ტექსტები გამოქვეყნდა, ბევრს გული მიეცა.

რუსეთში ეს ადამიანები, რომლებიც არ იბეჭდებოდნენ, გარკვეულ წრეებში მაინც ცნობილები იყვნენ. ჩვენ კი ამ დროს რატომღაც ჩუმად ვიყავით.

დავით ბარბაქაძე — აქ ისეთ დრამატულ ამბებზე იყო საუბარი, რომ ძალაუნებურად გიჩნდება სურვილი, წინ წამოწიო ის რაღაც დადებითიც, რაც ცენზურასა და აკრძალვას ჰქონდა. ერთს ნამდვილად ვერ დავუკარგავთ საბჭოთა კავშირს: რამდენად ადეკვატურები და საკუთარი თავის ერთგულები უნდა ყოფილიყვნენ, რამდენად ძლიერები, რომ ის ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ, ასე ღიად ეკეთებინათ, ასე კარგად მოეწესრიგებინათ და აეგოთ ის სამყარო, რომელსაც დანარჩენი მსოფლიო გაოგნებული უყურებდა.

80-იანი წლები ჩემთვის, რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთი იყო, მაგრამ იმ დროიდან ყველაზე კარგად ჟურნალ „ამერიკის“ ნომრები მახსოვს — ეს იყო ინტელექტის ზეიმი. 90-იანებში საბჭოთა ცენზურა აღარ არსებობდა, მაგრამ ყველგან პრიმიტივიზმი იყო გამეფებული. სახელმწიფოსა და ხელოვანებს შორის ბრძოლა ახალ პლატფორმაზე იყო გადასული, თითქოს ყველა ახალ სიტუაციას ელოდებოდა, უცდიდნენ, რა იქნებოდა, რომ ახალ ყოფას რაც შეიძლება უკეთ მორგებოდნენ. ასე იყო გამსახურდიას, შევარდნაძის დროს, ალბათ, ასეა

ახლაც. მაშინ ყველა ემზადებოდა ახალი კონიუნქტურის დასახვედრად და მზად იყო ძველისათვის კიდევ ერთხელ ჩაეზილა წიხლი.

ჩემი აზრით, ამ თემას მეორე კუთხეც აქვს — სად ხდება ლიტერატურის აკრძალვა თანამედროვე კონტექსტში და ვინ ამზადებს ამ ტიპის აკრძალვებს. ამას წინათ წავიკითხე, რომ თურქეთში ერთ-ერთ ენციკლოპედიაში დარვინიზმის შესახებ სურდათ დაწერა, მაგრამ სტატია აკრძალეს. თურქეთში დღეს დარვინზე წერა არ შეიძლება, მაგრამ უამრავი რამაა დაშვებული. თუ საბჭოთა კავშირში იდეოლოგიის გამო მარტივად კრძალავდნენ წიგნებს, დღეს ფრონტი ბევრი მიმართულებითაა გაშლილი. თავისუფლებისთვის ბრძოლა ფარავს მეორე საკითხს — რას ნიშნავს თავისუფლება? ჯერ კიდევ ძველ შუმერებთან თავისუფლებას არ დაესმოდა კითხვა — რა? დაესმოდა ორმაგი კითხვა — რა, საით? ამ თვალსაზრისით ჩემთვის საინტერესოა სახელმწიფოს და იმ ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელის ფუნქციებს ატარებენ, რა პოზიცია უკავიათ აკრძალული ლიტერატურის მიმართ და საერთოდ, რატომ კრძალავენ. აქ ოვიდიუს ნაზონი და ეზოპე ახსენეს; მაგრამ არ შეიძლება, არ გაგახსენდეს პლატონი, ბევრი სხვა ფილოსოფოსიც, რომლებიც მშვენივრად გრძნობდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ მათაც ჰქონდათ პრობლემები. არისტოტელემ დატოვა ათენი და თქვა: არ მინდა ათენს კიდევ ერთხელ მოუვიდეს ისეთი რამ, რაც სოკრატეს დამართესო. როცა სოკრატეზეა საუბარი, სულ ავიწყდებათ, რომ სოკრატე მთელ ათენს არ დაუსჯია, მხოლოდ სამი ხმის უპირატესობით დასაჯეს.

გერმანიაში ლიტერატურის აკრძალვას „ინდექსზე დასმა“ ჰქვია. ის რამდენიმე ხასიათის შეიძლება იყოს. ინდექსირება გულისხმობს იმას, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ შეიძლება წიგნს ან ფილმს აკრძალვა მოეხსნას. არის ლიტერატურა, რომელსაც 18 წლამდე ბავშვები ვერ წაიკითხავენ, შეზღუდულია გაყიდვები. შეიძლება გამოვიდეს წიგნი და გაყიდვების შემდეგ აიკრძალოს, რადგან იქ თვალს ადევნებენ, რა გავლენა აქვს ამა თუ იმ წიგნს საზოგადოებაზე. მილერი რომ თარგმნეს გერმანულად, წაკითხვა შეიძლებოდა, მაგრამ დახლზე დადება და გაყიდვა — არა. პორნოგრაფიული ლიტერატურაც დახარისხებულია. არის ერთი პრობლემა, რომელსაც გერმანული კანონმდებლობა ვერ უმკლავდება. იქაცაა ჩამონათვალი, რომელიც არანაირად არ განსხვავდება რომის ინდექსისგან. 14 ათასამდე მხოლოდ ფილმია გერმანიაში ინდექსირებული. გერმანიაში არსებობს ე.წ. თვითშეზღუდვის საზოგადოება, რომელიც წიგნებსა და ფილმებს შეზღუდვას უწესებს. საინტერესოა, რომ ინდექსირებული წიგნის გამომცემელიც და გამყიდველიც ისჯება ჯარიმებით. თუ შეიძინეთ, თქვენც იხდით ჯარიმას, მაგრამ ინდექსირებული წიგნების გამოქვეყნებული სია არ არსებობს. თუმცა, გერმანიაში ამ თემაზე ბევრს კამათობენ, რადგანაც ეშინიათ, რომ აკრძალვა კიდევ უფრო მეტ ინტერესს გააჩენს.

ჩვენთან საბჭოთა ტრადიცია მაინც გრძელდება. საქართველოში ჯერაც არ გამოქვეყნებულა იმ ადამიანების სია, რომელებიც საბჭოთა რეჟიმთან თანამშრომლობდნენ. მე ვიცი

რამდენიმე უფროსი თაობის ადამიანი, რომელიც წერს იმ თემებზე, რომლებზედაც წერის უფლება ნამდვილად არა აქვს.

ცოტათი მეუხერხულება ისიც, რომ დღეს ამ აუდიტორიაში აკრძალული ლიტერატურის თემაზე ამხელა აუდიტორია შეიკრიბა, მაშინ როცა გერმანიაში ძალიან ცნობილი ავტორების მოსასმენად შეიძლება 10-14 ადამიანი მოვიდეს.

შოთა გაგარინი — ყველა ქვეყნაში, სადაც ცენზურის მარყუჟი მოქმედებდა, ლიტერატურული პროცესი მაინც მიმდინარეობდა. აქ ვგულისხმობ იმ კანონგარეშე პროცესს, რომელიც ხელდასხმული არ იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ადამიანები წერდნენ, უჯრებში ინახავდნენ რომანებს და ელოდებოდნენ, როდის დაიშლებოდა საბჭოთა კავშირი. ამგვარი ფაქტი ქართულ ლიტერატურაში მე არ მახსენდება. ეს შეიძლება ორი მიზეზით ავხსნათ. პირველი — ჩვენთან ასეთი წიგნები უბრალოდ, არ იწერებოდა. მეორე — რახან საქართველო საბჭოთა კავშირის პერიფერიაში მდებარეობდა, ჩვენთან კონტროლი ისეთი მკაცრი არ იყო, როგორიც ცენტრში, ანუ მოსკოვში. ყველამ ვიცით, რომ თბილისში 1986 წლამდე, კიროვის ბაღში იმართებოდა წიგნის ბაზრობა, სადაც ვაჭრობდნენ იმ წიგნებით, რომელთა გაყიდვაც არ შეიძლებოდა.

ლაშა ბაქრაძე — ამ თვალსაზრისით, გრიგოლ რობაქიძის გარდა, ქართულად არაფერი მახსენდება, რუსებმა კი თაროებიდან დიდი ლიტერატურა ჩამოიღეს. საბჭოთა კავშირის ბოლო წლები და მისი ნგრევის პერიოდი ლიტერატურის თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იყო. დღეს აქ წამოვიღე მამაჩემის[30] 1978-79 წლებში დაწერილი სტატიები, რომლებსაც საბჭოთა კავშირში დაბეჭდვის შანსი არ ჰქონდათ. „მწერლობის მოთვინიერებაც“ 1983 წელს დაწერა და ის მოგვიანებით გამოვიდა. აკრძალულ ლიტერატურას ბავშვობიდან ვკითხულობდი, რადგანაც ჩვენთან სახლში მოჰქონდათ. ასე წავიკითხე, მაგალითად, უცხოეთში რუსულად გამოცემული ორუელი[31], რომელიც სსრკ-ში აკრძალული იყო.

საბჭოთა დროს ასეთი ანეგდოტიც არსებობდა: ანდროპოვმა[32], რომელიც მაშინ *КГБ*-ს უფროსი იყო, ქსეროქსზე გადასაღებად მიიტანა ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“. როდესაც ჰკითხეს, რად გინდათ, მილიონობით ეგზემპლარიაო, უპასუხა — ჩემი შვილი სხვანაირად ლიტერატურას არ კითხულობსო. ასევე უცხოეთიდან ჩამოჰქონდათ ძალიან საინტერსო რუსული ჟურნალი „კონტინენტი“. იყო ქართული ჟურნალებიც, სადაც ძირითადად ქართველი ემიგრანტების კინკლაობა და უნიჭო ლექსები იბეჭდებოდა. მაგრამ იყო საინტერესო რაღაცეებიც — მაგალითად, გაბაშვილის[33] მოგონებები. ასევე, საბჭოთა დროს მაქვს წაკითხული ამალრიკის[34] წიგნი, რომელსაც სწორედ „1984“ ჰქვია. ის წინასწარმეტყველებდა, რომ საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე ვერ მიაღწევდა. ამალრიკი სულ რამდენიმე წლით შეცდა. ასეთი ლიტერატურა ერთი ღამით მოჰქონდათ ხოლმე, უმეტესად რუსები ჩამოდიოდნენ და იმათ ჩამოჰქონდათ. საქართველოში ამგვარი ლიტერატურა ძალიან მცირე რაოდენობით იყო. ჩემი აზრით, ეს იმას

უკავშირდება, რომ ძველი ლიტერატურა, რომელიც 37-ში რეპრესირებულებს, ალბათ, ჰქონდათ, შიშით გადაყარეს. მეორე და მთავარი მიზეზი კი ქართველების კონფორმიზმია. საბჭოთა საქართველოში ლიტერატორებსა და ხელისუფლებას შორის შეხმატკბილებული ურთიერთობა იყო. სტალინის სიკვდილის შემდეგ კომუნისტური იდეოლოგია საქართველოში მთლიანად მოიშალა, იდეოლოგიური რწმენა აღარ არსებობდა და პარტიაში ძირითადად კარიერის გამო მიდიოდნენ. მწერალმა იცოდა, სადამდე ჰქონდა უფლება — დაეწერა ხელისუფლებამ იცოდა — სადამდე უნდა დაეხუჭა თვალი. ამიტომაც, ქართულად 60-70-იან წლებში შექმნილი დიდი არაფერი იყო გამოსაქვეყნებელი სსრკ-ს დანგრევის შემდეგ.

თუმცა, თუ კარგად მოვჩხრეკთ, შეიძლება ვიპოვოთ ძალიან საინტერესო ავტორებიც, იმიტომ, რომ ბოლო 20 წელია, ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ გაკეთდა. შეიძლება, რომელიმე ავტორი აკრძალული არ იყო, მაგრამ მიივიწყეს იმის გამო, რომ როგორც ჩვენთან ამბობდნენ, „პატრონი არ ჰყავდა“, უბრალოდ, არ შევინახეთ და არ მოვუარეთ.

ნანა ყიფიანი, ხელოვნებათმცოდნე — კაპანელის[35] შესახებ რას იტყვით? ის ხომ აკრძალული იყო?

დავით ბარბაქაძე — კაპანელი აკრძალული და რეპრესირებული არ ყოფილა. მას ავიწროვებდნენ; იგნორირებული იყო. ის ძალიან მკაცრი იყო ქართული რეალობის მიმართ და მკაცრად აკრიტიკებდა მას. ასევე, საინტერესოა ისიც, რომ კაპანელი ქალებს არ უყვარდათ, რადგან ქალებზე დაწერა ფილოსოფიური ოპუსი, რომლის გამოც მას პირდაპირ სადარბაზოებში ხვდებოდნენ. მისთვის იგნორირება რომ არ გაეკეთებინათ, ნამდვილად უკეთესი იქნებოდა; იმიტომ, რომ თემები, რომლებსაც კაპანელი 50-60-იან წლებში ამუშავებდა, დღესაც კი არ არის ბოლომდე გახსნილი ჩვენთან. ის გვარად ჭანტურია იყო და შალვა ნუცუბიძე მას „ჭანტურფილოსოფოსს“ ეძახდა. ფაქტია, რომ მან თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გახსნა.

ტექსტები შეიძლება კიდევ გამოჩნდეს; ასეთი რამ მართლაც დასაშვებია. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შვიდი საუკუნის განმავლობაში დაფარული იყო და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოიძებნა.

ნანა შენგელაია — ასევე, ჩვენ ვიცით, რომ ვიქტორ ნოზაძეს[36] არაჩვეულებრივი, ღრმა გამოკვლევები აქვს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, მაგრამ ისინი საქართველოში სრულად არ გამოქვეყნებულა. ასევე ძალიან სამწუხაროა, რომ მივივიწყეთ გრიგოლ წერეთლის[37] — აღიარებული ფილოლოგის შრომები.

დარბაზიდან — უნდა არსებობდეს თუ არა ლიტერატურა, რომელიც აკრძალული იქნება ხალხისთვის?

ნანა შენგელაია — რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. არ შეიძლება ვინმეს უთხრა, ეს არ წაიკითხოო.

ლაშა ბაქრაძე — მეც ვფიქრობ, რომ არაფერი არ უნდა იყოს აკრძალული. დღეს ბავშვების პორნოგრაფიაა აკრძალული, მაგრამ როგორი უნდა იყოს ან უნდა იყოს თუ არა კონტროლი ამაზე ინტერნეტში — სერიოზული დისკუსიის საგანია. ვთქვათ გერმანიაში, სადაც ბავშვების პორნოგრაფიის წარმოება დასჯადია, ორი წლის წინ კიდევ უნდოდათ ინტერნეტში დამატებითი ზომების გატარება და ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა ამის წინააღმდეგ. ცხადია, მათთვის ბავშვების პორნოგრაფია მიუღებელია; მაგრამ თქვეს, რომ სადაც ამ აკრძალვას დაუშვებენ, სახელმწიფო კიდევ შეეცდება სხვა აკრძალვების დაწესებას. მერე კი ძალიან რთული იქნება ამ შეზღუდვებთან ბრძოლა. ინტერნეტში ფილტრების დადება და რაღაც საიტების აკრძალვა უაზრობაა. მაგალითად, ჩინეთში ფეისბუქიც კი აკრძალულია, მაგრამ ეს არ იძლევა იმ შედეგს, რაც სახელწიფოს სურს, რომ მიიღოს.

გიორგი ცხადაია, ჟურნალ „ლიბერალის“ მესვეტე — ახლახან გამოქვეყნდა საინტერესო სტატია ერთ ამერიკულ ჟურნალში, სადაც ავტორი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა არა ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ, არამედ იმან, რომ ინფორმაცია იყო შეზღუდული. ძალიან საინტერესოა, პროპორციულად რა როლი შეასრულა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვამ საბჭოთა კავშირის დაშლაში?

გიორგი გვახარია, კინომცოდნე — საინტერესოა, როგორ დაიწყო ცენზურის მოხსნა საბჭოთა კავშირში, რა დაუშვეს პირველ ეტაპზე, რა შემდეგ და როგორია ისტორიული კონტექსტი. ალბათ, ყველაზე დიდი კულტურული შოკი 1987 წელს მოსკოვში, კინემატოგრაფისტთა ყრილობაზე მივიღე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ყრილობით დაიწყო სსრკ-ს ნგრევა. ეს ცნობილი ისტორიაა. საქართველოს დელეგაცია საერთოდ არ ვესწრებოდით ამ სხდომას: კრემლში ძალიან კარგი წიგნების მაღაზია იყო და იქ ვიყავით, როცა ჩვენი ერთი კოლეგა მოვიდა და გვითხრა, — მოდით დარბაზში, იქ საბჭოთა კავშირი ინგრევაო. დარბაზში რომ მივედით, სულ სხვა სიტუაცია დაგვხვდა. ისინი, ვინც, როგორც წესი, პრეზიდიუმში ისხდნენ, დარბაზში იყვნენ; ისინი, ვინც დარბაზში უნდა ყოფილიყო, ანუ ახალგაზრდები — პრეზიდიუმში. მათი პირველი მოთხოვნა იყო აკრძალული ფილმების ჩამოღება თაროებიდან და ამას მიაღწიეს. ამის შემდეგ მხატვართა კავშირის ყრილობა ჩატარდა იმავე სცენარით, მერე კომპოზიტორთა კავშირის ყრილობა, სადაც აკრძალული მუსიკა დაუშვეს. გაიმართა მწერალთა კავშირის ყრილობაც, სადაც პრეზიდიუმი დარჩა ისეთივე, როგორიც მანამდე იყო.

რატომ მოხდა ასე? რატომ იყო მწერლობა ასეთი რეაქციული? გამოსახულება ხომ უფრო საშიშია, ვიდრე სიტყვა? რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი? საქართველოშიც მწერალთა კავშირი იყო ყველაზე მეტად რეაქციული სივრცე.

დავით ბარბაქაძე — საქართველოს მწერალთა კავშირი ბოლომდე საბჭოეთს იცავდა. ამას ერთი მიზეზი აქვს — უწიგნურობა. მეორე მიზეზი ისიც იყო, რომ თაროებიდან გადმოსაღები დიდიც არაფერი ყოფილა. სხვათა შორის, როცა რუს და ქართველ მწერლებს ადარებ, ქართველები ინტელექტით ნამდვილად ვერ დაიტრაბახებდნენ. ეს ჩანს კიდეც: მათი მწერლობის დონე თანდათან საბავშვო და სოფლურ პროზამდე ჩამოვიდა. ეს ჩანს ანალიზის ხარისხში, იმ თემებში, რომლებსაც ამუშავებდნენ, მეტყველების დიალექტიზაციაში და ა.შ.

იყო კიდევ ერთი მიზეზიც — იმის შემდეგ, რაც პარადიგმა შეიცვალა, მწერლები ახალ პარადიგმას ებღაუჭებოდნენ. როგორც წესი, ეროვნული მოძრაობის დროს მათი რეაქცია ნეგატიური იყო, პოზიტიურს არასდროს არაფერს არ ამბობდნენ. ძალიან კარგი მაგალითია ის, რომ ქართული ენის სიწმინდის კულტი იყო მათ მთავარ ორგანოში — „ლიტერატურულ საქართველოში“. ვერსად ვერ ნახავდი ზედმეტ წერტილ-მძიმეს, ყველაფერი აკაკი შანიძის გრამატიკის მიხედვით იყო გამართული. დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ჩანს, რომ ეს მემკვიდრეობის დაცვის სურვილი იყო. საინტერესოა ის გავლენაც, რომელსაც ახალი თაობა ახდენდა ძველ თაობაზე. ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ახალ თაობას, მაგალითად, ბესიკ ხარანაულზე და ოთარ ჭილაძეზე.

ზოგადად, ქართველ მწერლებს წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაზე. ქართული ლიტერატურა დიალოგური ლიტერატურა არ არის, ის მონოლოგურია და საკუთარ თავშია ჩაკეტილი.

გიორგი გვახარია — მწერლობის სპეციფიკა ძალიან მნიშვნელოვანია, ის სიტყვაზეა დამოკიდებული და ძალიან მონოლითურია. კინოც და მუსიკაც უსაზღვროა, იქნებ ესეც იყოს მიზეზი?

ლაშა ბაქრაძე — საბჭოთა კავშირში უამრავი რამ ითარგმნებოდა რუსულად. რუსული მწერლობაც ითარგმნებოდა უცხო ენებზე, რუსი მწერლები საზღვარგარეთაც დადიოდნენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიტერატურას ემყარება კინოცა და თეატრიც. ამას სსრკ-ში კარგად ხედავდნენ. ცეკას ყველა დადგენილება ჯერ მწერალთა კავშირს ეხებოდა, შემდეგ ვრცელდებოდა სხვა შემოქმედებით კავშირებზე. რაც ლიტერატურაში ხდებოდა, მერე გადადიოდა კინოში. ამიტომაც, ტერორის პირველი ტალღა ყოველთვის ეხებოდა ლიტერატურას. არც ერთი შემოქმედებითი კავშირი არ ყოფილა ცეკას ისეთი მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც მწერალთა და არც ერთ დარგში იმდენი ადამიანი არ

მოუკლავთ, რამდენიც მწერლობაში. ჩვენ მხოლოდ ცნობილ მწერლებს ვიცნობთ. 1985 წელს, გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ უპირველესად მხატვრული ლიტერატურის გამოქვეყნება დაიწყეს. ასეთივე რამ მოხდა 50-იანებში ხრუშჩოვის დროს, მაგრამ როგორც კი ხრუშჩოვი მიხვდა, რომ ზედმეტად მიუშვა სადავეები, მაშივე გაამკაცრა ცენზურა. პირველად მაშინ მოხდა მანამდე აკრძალული ლიტერატურის გამოქვეყნება.

დავით ბარბაქაძე — მწერლების რეაქციონერობას ვერაფრით ვერ გავამართლებთ იმ ზეწოლით, რაც მათზე მოდიოდა. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ — ამ ანდაზის საპირისპიროდ იქცეოდა ნებისმიერი ქართველი მწერალი. უკვე დაფასებული ავტორები მრავალათასიანი ტირაჟებით გამოსცემდნენ კრებულებს. მაგალითად, შოთა ნიშნიანიძე ყოველ წელს გამოსცემდა ერთი და იმავე ლექსების უზარმაზარ ტომს, რამდენიმე ახალ ლექსს უმატებდა, მაგრამ ტირაჟს ახალგაზრდა მწერლებს არ უნაწილებდა. ქართველი მწერლები ახალგაზრდებზე არ ზრუნავდნენ.

ნანა ყიფიანი — მაინტერესებს, თუ გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა ბალტიისპირელებს, სომხებს, უკრაინელებს ლიტერატურა, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ დაიბეჭდა? იყო თუ არა ეს ცენტრისა და პერიფერიის პრობლემა?

ლაშა ბაქრაძე — სხვა რესპუბლიკებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ბალტიისპირეთშიც და უკრაინაშიც იყო ლიტერატურა, რომელიც „თაროებიდან ჩამოიღეს“. არც შუა აზიაში, არც აზერბაიჯანში და საქართველოშიც ამგვარი რამ ფართო მასშტაბით არ მომხდარა. ეს პერიფერიისა და ცენტრის პრობლემა არ ყოფილა.

ნანა შენგელაია — ვფიქრობ, რომ პირველი დაბრკოლება იყო ის, რომ ქართული ლიტერატურა არ ითარგმნებოდა. რუსეთში მაინც მოძრაობა იყო, უცხოურ ლიტერატურასაც თარგმნიდნენ და თვითონ, რუსი მწერლებიც ითარგმნებოდნენ, დადიოდნენ საზღვარგარეთ, ჩამოჰქონდათ წიგნები და ა. შ. მეც და ჩემი შვილებიც ევროპულ ლიტერატურას რუსულად ვკითხულობდით, ქართულად სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ იყო წასაკითხი. ეს ფაქტორი ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონეა. მე ისიც მახსოვს, რომ საზღვარგარეთ რუსული ფილმები უფრო ადვილად გადიოდა, ვიდრე ქართული. არ მგონია, რომ ჩვენ სხვებზე უარესები ვართ.

სქოლიო

[1] ნოამ ჩომსკი (1928) — ამერიკელი ენათმეცნიერი, თეორეტიკოსი და მემარცხენე პუბლიცისტი.

[2] *Index Librorum Prohibitorum* — კათოლიკური ეკლესიისის მიერ აკრძალული წიგნების სია, ე.წ. რომაული ინდექსი; შემოიღო რომის პაპმა პავლე IV-მ, იარსება 1966 წლამდე, გააუქმა რომის პაპმა პავლე VI-მ.

[3] ჯეიმს ჯოისის „ულისე“ მწერლის სამშობლოში 1939 წელს, დაწერიდან 20 წლის შემდეგ გამოქვეყნდა.

[4] „შიშველი საუზმე“ — ამერიკელი მწერლის, ბიტნიკის, ულიამ ბეროუზის რომანი.

[5] ალენ გინზბერგი (1926-1997) ამერიკელი პოეტი და ბიტნიკი. „ჰოული“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო პოემაა (1956).

[6] *Главлит (Главное управление по делам литературы и издательств)* — ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარი სამმართველო, ქართულად — მთავლიტი; შეიქმნა 1922 წელს. 1946 წლიდან მინისტრთა საბჭოსთან არსებული დამოუკიდებელი სამმართველოა; რესპუბლიკებში არსებობდა ცალკე სამმართველოები; იარსება საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

[7] ლევ გუმილიოვი (1912-1992) — ცნობილი რუსი მეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პოეტი და მთარგმნელი; ანა ახმატოვას და ნიკოლაი გუმილიოვის შვილი.

[8] *«Мы и раньше заявляли, что закроем буржуазные газеты, если возьмём власть в руки. Терпеть существование этих газет, значит перестать быть социалистом.» Ленин В. И. Сочинения. изд-е 4-е. Т. 26 стр. 253.*

[9] ლევ ტროცკი (1879-1940) — რუსი რევოლუციონერი, ლენინთან ერთად „ისკრის“ დამაარსებელი, 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამხედრო კომისარი; დაუპირისპირდა ლენინს და სტალინს, რისთვისაც გარიცხეს პარტიიდან და 1932 წელს საბჭოთა კავშირიდან გააძევეს; მოკლეს მექსიკაში 1940 წელს; არის ტროცკიზმის მთავარი იდეოლოგი

[10] *ОГПУ (Государственное политическое управление (ГПУ))* — გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. დაარსდა ლენინის მიერ საბჭოების მე-6 ყრილობაზე 1922 წელს; იარსება *НКВД*-ს *(Народный комиссариат внутренних дел СССР)* ჩამოყალიბებამდე — 1934 წლამდე.

[11] ბორის პილნიაკი (1894-1938) ცნობილი რუსი მწერალი. 1937 წელს დააპატიმრეს, 1938 წლის 21 აპრილს სამხედრო კომისარიატმა მიუსაჯა დახვრეტა; დახვრიტეს იმავე დღეს. 1938 წლის შემდეგ მისი ნაწარმოებები სსრკ-ში აკრძალული იყო.

[12] *НЭП — Новая Экономическая Политика* — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა საბჭოთა რუსეთში, გაგრძელდა დაახლოებით 30-იან წლებამდე.

[13] სერგეი ინგულოვი (1893-1937) — საბჭოთა ჩინოვნიკი; 1935-1938 წლებში მთავლიტის მმართველი; უწოდებდნენ ლიტერატურის ჯალათს.

[14] *Критика должна иметь последствия! Аресты, судебную расправу, суровые приговоры, физические и моральные расстрелы…*

[15] მიხაილ სუსლოვი (1902-1982) — საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, პოლიტბიუროს წევრი, 1947-1982 წლებში — ცეკას მდივანი.

[16] ეზოპე — ძველი ბერძენი მეიგავე (ძვ. წ-აღ. მე-4 საუკუნე), იგავის ჟანრის ფუძემდებელი. მის შესახებ ცნობები გვხვდება ჰეროდოტესთან და არისტოფანესთან.

[17] პლუბიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ.აღ - 43 - ახ.წ-აღ 18) — რომაელი პოეტი, „მეტამორფოზების“ ავტორი; ახ. წ.-აღ. 8 წელს იმპერატორმა ავგუსტუსმა ქალაქ რომიდან გაასახლა და უკანასკნელი 10 წელი გადასახლებაში, შავიზღვისპირეთში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. გადასახლებაში დაწერა „გლოვის ელეგიები“(Tristia) და წერილები პონტოდან (Ex Ponto).

[18] პავლე ინგოროყვა (1893-1983) — ქართველი მეცნიერი და მწერალი, რუსთველოლოგი; 1924 წელს დააფუძნა ჟურნალი „კავკასიონი“, 1928 წელს გამომცემლობა — „ქართული წიგნი“; არის უამრავი კვლევის ავტორი.

[19] ანდრეი სინიავსკი (1925-1997) — რუსი მწერალი, კრიტიკოსი, დისიდენტი; მუშაობდა ჟურნალ „ნოვი მირში“. 1973 წლიდან წავიდა ემიგრაციაში და სიცოცხლის ბოლომდე პარიზში ცხოვრობდა.

[20] იული დანიელი (1925-1988) — რუსი მწერალი და დისიდენტი. სინიავსკი და დანიელი 1965 წელს დააპატიმრეს, ანტისაბჭოთა პროპაგანდის მუხლით გაასამართლეს და 7 და 5 წლით გადაასახლეს. სინიავსკისა და დანიელის პროცესით იწყება საბჭოთა დისიდენტური მოძრაობის მეორე პერიოდი. ამ პროცესს დიდი რეზონანასი ჰქონდა რუსეთშიც და უცხოეთშიც. სინიავსკისა და დანიელის მხარდასაჭერად მოსკოვში 1965 წლის 5 დეკემბერს გაიმართა მიტინგი. ლიდია ჩუკოვსკაიამ მწერლების მხარდასაჭერად ღია წერილით მიმართა მიხაილ შოლოხოვს, რომელიც მაშინ დაპატიმრებული მწერლების მთავარ ბრალმდებლად გამოდიოდა პრესაში.

[21] კონსტანტინ ბაგატირიოვი (1925-1975) — რუსი მთარგმნელი, გერმანისტი; რილკეს, გოეთეს, თომას მანის მთარგმნელი. 1951 წელს დაუპატიმრეს ბრალდებით, თითქოს კრემლის აფეთქება სურდა და გადაასახლეს. მოკლეს 1975 წელს საკუთარ სადარბაზოში. ბაგატირიოვის თარგმანები ხელმეორედ 80-იანი წლების ბოლოს დაიბეჭდა.

[22] სამხატვრო თეატრი (მხატ-ი) — მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი, 1898 წელს დააარსეს კონსტანტინ სტანისლავსკიმ და ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკომ; იარსება 1987 წლამდე. ამ წელს ორად გაიყო. ერთს დარჩა გორკის სახელი, რომელიც 1932 წელს ეწოდა, მეორეს — ჩეხოვის მხატ-ი ჰქვია.

[23] პლატონ კერჟენცევი (1881-1940) — რევოლუციონერი, პარტიული მოღვაწე, ჟურნალისტი. 30-იან წლებში ხელმძღვანელობდა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას. 1938 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა მცირე საბჭოთა ენციკლოპედია.

[24] ფრიდა ვიგდოროვა (1915-1965) — რუსი მწერალი და ჟურნალისტი; 1963 წელს ჩაიწერა იოსიფ ბროდსკის სასამართლო პროცესი. „თეთრი წიგნით“, სადაც ეს ჩანაწერიც შევიდა, იწყება საბჭოთა კავშირში „სამიზდატის“ ისტორია.

[25] ლიდია ჩუკოვსკაია (1907-1996) — პუბლიცისტი, პოეტი, დისიდენტი; არაჩვეულებრივი მემუარების ავტორი; კორნეი ჩუკოვსკის ქალიშვილი.

[26] იოსიფ ბროდსკი (1940-1996) — 1972 წელს გაასახლეს საბჭოთა კავშირიდან. გასახლების წინა ღამეს მან წერილი მისწერა ბრეჟნევს, სადაც სთხოვდა, უფლება მიეცათ, დარჩენილიყო და ემუშავა რუსეთში. *http://a88.narod.ru/0002br.htm*

[27] იგორ გრაბარი (1871-1960) — რუსი მხატვარი, იმპრესიონისტი, ხელოვნებათმცოდნე, სსრკ სახალხო მხატვარი, სტალინის პრემიის ლაურეატი.

[28] ანა ახმატოვას პოემა „რეკვიემი“ ეძღვნება მის შვილს, ლევ გუმილოვს, რომელიც პირველად 1935 წელს დააპატიმრეს, 1937 წელს გაათავისუფლეს; 1938 წელს მეორედ დააპატიმრეს და გადაასახლეს 5 წლით.

[29] ალექსანდრ ტვარდოვსკი (1910-1971) — საბჭოთა პოეტი და მწერალი, ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქტორი.

[30] აკაკი ბაქრაძე (1928-1999) — ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე.

[31] ჯორჯ ორუელი (1903-1950) — ინგლისელი მწერალი, ავტორი ცნობილი რომანებისა „1984“ და „ცხოველთა ფერმა“.

[32] იური ანდროპოვი (1914-1984) — საბჭოთა პარტიული მოღვაწე. 1967-1982 წლებში უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე; 1983-1984 წლებში პარტიის გენერალური მდივანი. მისი მმართველობა დისიდენტების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.

[33] რევაზ გაბაშვილი (1883-1969) — ეროვნულ-დემოკრატი ემიგრანტი. ავტორი ცნობილი მოგონებებისა — „რაც მახსოვს“ .

[34] ანდრეი ამალრიკი (1938-1980) — საბჭოთა დისიდენტი, ავტორი ცნობილი წიგნისა — „გაძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984-მდე?“

[35] კონსტანტინე კაპანელი (1889-1952) — ქართველი ფილოსოფოსი. კონსტანტინე კაპანელი ავტორია თეორიისა, რომელსაც თვითონ ორგანოტროპიზმი უწოდა; გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, იყო პოლიგლოტი, კარგად ფლობდა რუსულს, ფრანგულს და ლათინურს; აგრეთვე, იცოდა ინგლისური, იტალიური, გერმანული, უკრაინული, ბულგარული და პოლონური ენები.

[36] ვიქტორ ნოზაძე (1893-1975) — ქართველი ჟურნალისტი, რუსთველოლოგი; 1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში წავიდა სასწავლებლად და მთელი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა. პარიზში 1928 წლიდან გამოსცემდა ჟურნალ „კავკასიონს“. არის ძალიან საინტერესო რუსთველოლოგიური კვლევების ავტორი.

[37] გრიგოლ წერეთელი (1870-1938) — ქართული კლასიკური ფილოლოგიის სკოლის ფუძემდებელი, პაპიროლოგი; მოღვაწეობდა ბერლინის, ტარტუს, პეტერბურგის უნივერსიტეტებში; პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; 1920-1937 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე და პროფესორი. 1937 წ. იგი დააპატიმრეს და *ГПУ*-ს ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა 1938 წ.

ქართული დისიდენტობის მემკვიდრეობა

27.09.2011

მომხსენებლები:

ემილ ადელხანოვი — მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD)

ლევან ბერძენიშვილი — ფილოლოგი, რესპუბლიკური პარტია

მოდერატორი: ზურაბ ქარუმიძე — მწერალი

ზურაბ ქარუმიძე — როცა საბჭოთა ცენზურამ ნგრევა დაიწყო და საზღვრები გაიხსნა, რუსული პრესა გაივსო ტექსტებით, რომლებიც მანამდე აკრძალული იყო და არ იბეჭდებოდა. ავტორებს სხვადასხვა მიზეზებით კრძალავდნენ — ზოგს იმიტომ, რომ რეპრესირებული იყო, ზოგს იმიტომ, რომ ემიგრაციაში წავიდა, ზოგსაც იმიტომ, რომ ღიად უპირისპირდებოდა საბჭოთა სისტემას. მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვსაუბრობდით და ვცდილობდით საქართველოში მიმდინარე პროცესები რუსეთთან შეგვედარებინა. აღმოჩნდა, რომ ჩვენ უჯრაში გადანახული ტექსტები თითქმის არ გვქონდა. სულ თითზე ჩამოსათვლელია ამგვარი ტექსტები, ერთადერთი, მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“ მახსენდება. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ქართული დისიდენტობა ცოტა სხვანაირი იყო და აქაური პროცესები განსხვავდებოდა იმისგან, რაც რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში ხდებოდა.

ქართული დისიდენტური მოძრაობა და დისიდენტური მენტალიტეტი მკვეთრად ნაციონალისტური შეფერილობისა იყო. ეს არ იყო პოლიტიკური მოძრაობა და ბრძოლა ადამიანის უნივერსალური უფლებების და ლიბერალური ღირებულებების დასამკვიდრებლად. ჩვენთვის უპირველესი ამოცანა მაინც ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება გახლდათ. დარწმუნებული ვარ, ეს არ ყოფილა უნიკალური მოვლენა. იგივე ხდებოდა სომხეთში, აზერბაიჯანში, ბალტიისპირეთში, მაგრამ ბალტიის ქვეყნებში და აღმოსავლეთ ევროპაში ნაციონალიზმი დაბალანსებული იყო ლიბერალური ღირებულებებისათვის ბრძოლით. ჩვენთვის დისიდენტური მოძრაობა ერთი მხრივ, კეთილშობილ პატრიოტიზმს გულისხმობდა, მეორე მხრივ კი მისტიციზმთან იყო შეზავებული. მაშინდელ ქართველ დისიდენტებში ძალიან პოპულარული იყო შტაინერის ფილოსოფია; ორიოდ ციტატა შტაინერიდან, რამდენიმე ციტატა სახარებიდან და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა — ეს იყო ძირითადი კონცეპტუალური და იდეოლოგიური ბაზა, რომელსაც ქართველი დისიდენტები ეყრდნობოდნენ.

ამის გარდა, საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანების კასტა, რომლებსაც მე ესთეტიკური დისიდენტები დავარქვი. ეს იყო ხალხი, რომელიც უარს ამბობდა საბჭოთა ესთეტიკაზე, საბჭოთა სამყაროს სურათზე და სულიერ ემიგრაციაში იყო წასული; ანუ ცხოვრობდა ამერიკული ფილმებით, ლიტერატურით, ტანსაცმელსაც კი სხვანაირს ატარებდა, უსმენდა ჯაზს, როკს... მათ „შტატსკები“ დაარქვეს (ამერიკული სიტყვიდან states). ეს ყველაფერი შეიძლება შეფასდეს, როგორც ესთეტიკური დისიდენტობა. მაშინ ქალებს ინტერიერში ორი პორტრეტი ეკიდათ — ჰემინგუეისა და ჯონ კენედისა. ჰემინგუეი — როგორც მამა და კენედი — როგორც საქმრო.

საქართველოში დისიდენტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საკმაოდ მძიმე შედეგები მივიღეთ. გადავხედე სერგეი კოვალიოვის[1] მოგონებებს და, სიმართლე გითხრათ, ცოტათი დამზაფრა. მაინც ძალიან დიდი დოზა იყო ინფანტილიზმისა იმ ხალხში, ვინც მაშინ ეროვნულ მოძრაობას მიუძღვოდა. სწორედ ამ ინფანტილიზმმა მიგვიყვანა მძიმე შედეგებამდე.

ემილ ადალხანოვი — ზურამ აღნიშნა, რომ ესთეტების და იმათ გარდა, ვინც ცხოვრების სტილით განსხვავდებოდა, ქართული დისიდენტური მოძრაობა დიდწილად ნაციონალისტური იყო. ძირითადად, შეიძლება მართლაც ასე იყო, მაგრამ ბოლომდე ასე არ ყოფილა. მაგალითად, მახსენდება, რომ ნანა კაკაბაძე და გელა ნიკოლაიშვილი თითქმის ცრემლებით იგონებდნენ, როგორ აკრავდნენ პოლონელების მხარდასაჭერ პროკლამაციებს.

დღეს სამ თემაზე ვისაუბრებ — „სამიზდატის“ გავრცელებაზე, „მიმდინარე ამბების ქრონიკაზე“ და ფულის შეგროვებაზე პოლიტიკური პატიმრებისთვის.

მაშინ „სამიზდატს“[2] ბევრი კითხულობდა და ბევრსაც იტაცებდა. რუსი დისიდენტებისთვის „სამიზდატის“ გმირი ზვიად გამსახურდია იყო, რომელმაც, როცა გაიგო, რომ რუსებს ძალიან უჭირდათ „არქიპელაგ გულაგის“ ბეჭდვა, დაიტრაბახა, რომ ამ წიგნის ასობით ეგზემპლარს დაბეჭდავდა. რაც მთავარია, დაბეჭდა და ჩაიტანა კიდეც. ქალაქში ვრცელდებოდა „არქიპელაგ გულაგის“ ფოტოასლებიც, იყო „ტამიზდატის“[3] გამოცემებიც. ამ წიგნის ფოტოასლების გადაღება კი წარმოუდგენელი რამეა, იმიტომ, რომ თითოეული ტომი 600-გვერდიანია. ის პირი, რომელიც მე ჩამივარდა ხელში, როგორც ჩანს, გამსახურდიას საახლობლოს გადაბეჭდილი იყო. მახსოვს, გვერდებზე ზვიადს შენიშვნებიც გაეკეთებინა. იქ, სადაც სოლჟენიცინი ამბობდა, რომ ბანაკში ქართველები ღირსეულად იქცეოდნენ, მიეწერა — „ვაშა!“

მინდა ვთქვა, რომ რუსულენოვანი „სამიზდატი“ სულაც არ უარყოფდა ისეთ პატრიოტულად განწყობილ ხალხს, როგორიც გამსახურდია იყო.

ვისაც „სამიზდატის“ ან „ტამიზდატის“ გამოცემები ჩაუვარდებოდა ხელში, როგორც წესი, არ კითხულობდა, საიდან იყო ეს წიგნები, ამგვარი შეკითხვის დასმა უხერხული გახლდათ. ვინც ამ წიგნებით ახლობლებს ამარაგებდა, ბევრი თავის მტვრევა უხდებოდათ მათ საშოვნელად. ერთხელ, მახსოვს, მოსკოვში ვინმე მენშოვთან მოვხვდი. ის კარგ წიგნებს ამზადებდა, ისეთ ყდებში სვამდა, რომ საუკეთესო გამომცემლობის წიგნებს არ ჩამოუვარდებოდა და კარგ ფულსაც იღებდა. ვფიქრობ, ეს მისთვის, უპირველესად, შემოსავლის წყარო იყო. თბილისში რომ დავბრუნდი, გაირკვა, რომ მარტო მე არ დავდიოდი მასთან, არამედ სხვა ჩემი ნაცნობებიც.

დისიდენტებს შორის ცხოვრების წესის მიხედვით ორი ტიპის ადამიანები გვხვდებოდნენ — მკაცრი პურიტანი ასკეტები და თითქმის ჰედონისტებიც. იყვნენ ისეთებიც, რომელებიც მაგალითად, ალკოჰოლს ეტანებოდნენ. მე ეს სულ მიკვირდა.

იმ წლებში ვმუშაობდი ჟურნალისთვის „მიმდინარე ამბების ქრონიკა“. ქრონიკაში გამოქვეყნებულ მასალებს შემდეგ „რადიო თავისუფლება“ ავრცელებდა, და არა მხოლოდ ის. მაგალითად, მახსოვს, რომ ჩემ მიერ გადაცემული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „კაგებეშნიკმა“ ადგილობრივ ქსენძს მრევლის რეგისტრაციის წიგნაკი წაართვა, ვატიკანის რადიოში წაიკითხეს, რამაც ძალიან გამახარა.

ისინი, ვინც „ქრონიკისთვის“ მუშაობდნენ, საჯარო დისიდენტებისგან განსხავებით ცდილობდნენ, ჩუმად ემოქმედათ. ეს გასაგებიც იყო, რადგან ერთი კორესპონდენტი რომ დაეპატიმრებინათ, მერე მისი შემცვლელის მოძებნა ნამდვილად გაჭირდებოდა. შეიძლება, შემცვლელი ვერც ეპოვათ.

„მიმდინარე ამბების ქრონიკა“ თანდათან იცვლებოდა: რაც მეტ ადამიანს აპატიმრებდნენ, ჟურნალს ფურცლები ემატებოდა.

„ქრონიკას“ ბახმინის[4] საშუალებით ვუკავშირდებოდი. მაშინ ის მუშაობდა ჯგუფში, რომელსაც ასე ერქვა „ფსიქიატრიული რეპრესიების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული ჯგუფი“. ამ ჯგუფს მაშინ პოდრაბინეკი[5] ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფის წევრებმა თავიდანვე გამოაცხადეს საკუთარი სახელები. პირველი საქმე იყო, როცა ვინმე ივანოვი დააპატიმრეს. პოდრაბინეკმა ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორს მუქარის წერილი გაუგზავნა; უხეშად სწერდა, ემუქრებოდა, რომ ფსიქიატრთა მსოფლიო კონფერენციაზე დააბეზღებდა და მართლაც, საბჭოთა ფსიქიატრია გარიცხეს ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციიდან. მაშინ პოდრაბინეკი და ბახმინიც დააპატიმრეს. ბახმინის დაპატიმრების შემდეგ, ცოტა ხანი ვეღარ გადავცემდი ინფორმაციებს. მაგრამ იმ ადამიანმა, რომელმაც თავის დროზე ბახმინი გამაცნო, კოლია იაცენკოსთან დამაკავშირა. მახსოვს იაცენკოსთან ბოლო სტუმრობა: ზარი დავრეკე და კარი რომ გამიღეს, აღმოვჩნდი სახლში, რომელიც მოგაგონებდათ რეპინის ნახატს „პროპაგანდისტის დაპატიმრება“. ბავშვი ბებიასთან მიჰყავდათ და ყველაფერი ამოეყარათ ჩემოდნებიდან და კარადებიდან; დაჭერის მოლოდინში იყვნენ. საწყალ იაცენკოს საშინლად ეშინოდა. ვფიქრობ, ის ნამდვილი გმირი იყო: თან ასე საშინლად ეშინოდა და მაინც ამ საქმეს აკეთებდა. მე რომ ასეთი შიში მქონოდა, ნამდვილად ვერ შევძლებდი. ასეთ საქმეს გარკვეულწილად სიმსუბუქე და იუმორიც სჭირდება. მახსოვს, იაცენკო ძალიან მოწყენილი იჯდა: რადიოში საშინელ ამბებს გადმოცემდნენ — საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის შესახებ, ანდრეი სახაროვის გადასახლების შესახებ. ის იჯდა და ისე გამოიყურებოდა, როგორც ქრისტე გეთსიმანიის ბაღში. მაშინ მიღებული იყო, თუ ადამიანი დაპატიმრებას ელოდა, მასთან მიდიოდნენ და ამხნევებდნენ. მახსოვს, მას ინდური ჩაის რამდენიმე კოლოფი მივუტანეთ, რაც მაშინ ძნელი საშოვნელი იყო. ამას წინათ ერთმა ქალმა მითხრა, საბჭოთა კავშირში ყველაფერი იყოო. ამ დროს საბჭოთა დროს არაფერიც არ იშოვნებოდა. საბჭოთა კავშირში დეფიციტი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება, საბჭოთა კავშირს აქამდეც ეარსება, რადგან ადამიანების უმეტესობას, ბახმინისა და პოდრაბინეკისგან განსხვავებით, დემოკრატია სულაც არ აინტერესებდა. მე ასე ვიტყოდი, საბჭოთა ადამიანებს ფინური იდეალები ჰქონდათ — ფინური ძეხვი, ფინური ფეხსაცმელი, ფინური კარადა...

ვცდილობდი კონსპირაციულად მემოქმედა და ეს გამომდიოდა კიდეც. არანაირი გმირობა არ ჩამიდენია, არც საშინელი წამება გადამიტანია „კგბ“-ს ჯურღმულებში, მაგრამ შემიძლია ვიამაყო, რომ ჩემი არც ერთი ნაცნობი არ გამიცია. მოხდა ისე, რომ ერთი ჩემი

ნაცნობი ჩემი ვიზიტის შედეგ დააპატიმრეს, მაგრამ უშიშროება ჩემგან ნამდვილად არ გასულა მასზე.

ლევან ბერძენიშვილი — მინდა გითხრათ, რომ ეს ტერმინი — „დისიდენტი“ კარგად გარკვეული არ არის. როგორც წესი, დისიდენტებად უფლებადამცველები მიიჩნევიან. იმ ზონაში, რომელშიც მე ვიჯექი, 150 კაცი იჯდა და მათგან კლასიკური გაგებით უფლებადამცველი არც ერთი არ იყო. იქ იყვნენ ქართველი ნაციონალისტები, სომეხი ნაციონალისტები, უკრაინელი ნაციონალისტები, ბალტიისპირელი ნაციონალისტები, რამდენიმე „ატკაზნიკი“ და რამდენიმე, როგორც მაშინ მთავრობა ეძახდა, რელიგიური ექსტრემისტი. თვითონ ტერმინის განმარტებისას გამოდის, რომ საქართველო ვერ ეწერებოდა ამ კონტექსტში, რადგან მხოლოდ ნაციონალისტებით ამარაგებდა საბჭოთა ციხეებს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. დისიდენტების უმრავლესობა იყო მთავარი უფლების, ადამიანების და სახელმწიფოების თვითგამორკვევის მომხრე და ასე იცავდა ნაციათა უფლებებს.

სიტყვა დისიდენტი თავდაპირველად მხოლოდ რელიგიური მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მაგალითად XVI-XVII სს. ინგლისში იგი „დისენტერ“ (ინგლ. dissenter) სიტყვის პარალელურად ანგლიკანურ ეკლესიასთან დაპირისპირებული პროტესტანტული ჯგუფების — პურიტანების, კვაკერების და ა.შ. დასახასიათებლად გამოიყენებოდა (ხანდახან მათ ნონკონფორმისტებსაც უწოდებდნენ). რეჩ პოსპოლიტაში რეფორმაციის დაწყების შემდეგ დისიდენტებად ჯერ ყველა ქრისტიანს მოიხსენიებდნენ, შემდგომში კი ყველა არაკათოლიკეს. დასავლეთის ვიწრო სამეცნიერო წრეებში პოლიტიკური დატვირთვა სიტყვა „დისიდენტმა“ მიიღო 1940-იანი წლებიდან, ხოლო საერთო-სახალხო პოპულარობა ამ სიტყვამ მეოცე საუკუნის სამოციანი და, განსაკუთრებით, სამოცდაათიანი წლებიდან მიიღო. საერთოდ, დისიდენტობამ სწორედ 70-იანი წლებიდან გამოაცხადა საკუთარი იდეების შესახებ.

დისიდენტობა სამი ვეშაპზე იდგა: კანონმორჩილება, არაძალადობა, საჯაროობა. ეს იყო თავდაპირველი მოთხოვნები. დისიდენტების წრეებში კანონმორჩილების შესახებ მუდმივად კამათობდნენ. მაგალითად, როდესაც ზონაში ვიღაც გადაწყვეტდა, რომ მეზობელ ზონაში ქალები შეურაცხყვეს და ჩვენ ვაპროტესტებთ, არ გავდივართ სამუშაოდ, არ ვკერავთ ხელთათმანებს (მაგ. მე ხელთათმანებს ვკერავდი), ერთი ნაწილი ამბობდა, რომ საკმარისია სამუშაოზე არგასვლა, ხოლო მეორე ნაწილი წერილს სწერდა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. ეს ყოველთვის კამათის საგანი იყო.

მაშინვე ჩამოყალიბდა დისიდენტთან დაკავშირებული „ენათმეცნიერული“ ანეკდოტი შავი იუმორის სფეროდან — „იური ანდროპოვი: *У нас нет диссидентов, есть только до-сиденты, просто сиденты и от-сиденты.*“ ამ ანეგდოტს დისიდენტები არ ჰყვებოდნენ, ჰყვებოდნენ ჩეკისტები. მაგალითად, ჩემმა გამომძიებელმა ხუთჯერ მაინც მიამბო. ძალიან უხაროდა, რომ *до-сиденты*-დან *сидент*-ად მაქცევდა.

სიტყვა დისიდენტი მომდინარეობს ლათინური ზმნიდან *dis-sideo, sēdī, (sessum), ēre* [საწყისი ზმნაა *sedeo,* „ვზივარ“], რომლის მნიშვნელობებია:

შორს ვარ

არ ვეთანხმები

განვსხვავდები

ავჯანყდები

არათანაბრად ვზივარ (ტანსაცმელზე).

თქვენის ნებართვით, ამ მნიშვნელობებზე — „დისიდენტ“ სიტყვის ამ სემანტიკურ თავგადასავალზე ავაგებ ჩემს გამოსვლას.

1. შორს ვარ

დისიდენტები, გარკვეული გაგებით, მართლაც შორს იყვნენ მათი თანამედროვე საზოგადოებიდან. მაგალითად, ბატონ ემილს აუცილებლად ემახსოვრება, როგორ განსხვავდებოდა სხვებისგან. როცა ჯინსის ჩაცმა ანტისაბჭოთა გამოხდომად ფასდებოდა, ანტისაბჭოთა იდეოლოგიურ ელემენტად იყო გამოყენებული საღეჭი რეზინი (გრძელ თმებზე და ტყავის ქურთუკებზე არ ვლაპარაკობ), გიტარაზე დაკვრა პირდაპირ ნიშნავდა ანტისაბჭოთა აგიტაციას. ამ პერიოდში დისიდენტი მართლაც შორს იდგა დანარჩენი საზოგადოებისგან. როცა საბჭოთა კავშირზე ვფიქრობ, სულ მახსენდება ცხელი მზიანი დღე თბილისში: ფეხბურთი არ არის, თეატრი არ არის, ფული არ არის, რომ დალიო და თოფიც არ არის, რომ თავი მოიკლა. ესაა საბჭოთა კავშირი. ხოლო დისიდენტობა არის მოძრაობა, შიში, გმირობა, ვაჟკაცობა; ლაპარაკი იმაზე, რომ მივეცი ჟურნალი „კონტინენტი“ უშანგ გაბიტაშვილს, გაბიტაშვილმა მისცა მაისურაძეს და ა. შ.; ან დაიჭირეს აბაშიძე, აბაშიძემ დაასახელა მაისურაძე, მაისურაძემ გაბიტაშვილი და მეც ველოდები, როდის დამიჭერენ; მაგრამ გაბიტაშვილმა მე არ დამასახელა. ყოველთვის ასე ჩერდებოდა ხოლმე ვიღაცაზე და ეს ჩვეულებრივი რამ იყო.

დისიდენტებს რომ გავუგოთ, უნდა გვესმოდეს, რომ ეს იყვნენ არა აუცილებლად ანტიკომუნისტები ან ანტისაბჭოთა ადამიანები; ეს იყო ხალხი, რომელიც, როგორც წესი, აღიარებდა არსებულ კანონმდებლობას და მოქმედებდა სწორედ არსებული კანონმდებლობისა და საბჭოთა კავშირის მიერ აღიარებული საერთაშორისო შეთანხმებების ფარგლებში. ფიგურალურად რომ ვთქვათ, დისიდენტობა იყო კომპრომისი ანტიკომუნისტურსა და კომუნისტურს, საბჭოთასა და ანტისაბჭოთას შორის. დისიდენტები უპირისპირდებოდნენ არა კომუნიზმს და საბჭოთა კავშირს, არამედ, უპირველეს ყოვლისა — ტყუილს და სიყალბეს.

კაცმა რომ თქვას, დისიდენტები იყვნენ დანაშაულის მოწმეები, რომლებიც უარს არ ამბობდნენ ჩვენების მიცემაზე. მეტიც, ისინი იძლეოდნენ ჩვენებას იმ ვითარებაში, როდესაც მათგან დუმილს მოითხოვდნენ. დისიდენტებს სწორედ ჩვენების მიცემას უკრძალავდნენ. დისიდენტები იყვნენ მოწმეები, რომლებიც ხაზგასმით არ სარგებლობდნენ დუმილის უფლებით. დანაშაული ხდებოდა საჯაროდ, დაუფარავად. არა მხოლოდ ცალკეული დისიდენტები, მთელი ქვეყანა იყო დანაშაულის მოწმე, მაგრამ ესენი პირველები იყვნენ, რომლებიც ჩვენებას იძლეოდნენ. საბჭოთა კავშირში არ მოიძებნებოდა მეტნაკლებად ნორმალური ადამიანი, რომელიც ვერ ხვდებოდა, რომ დანაშაულის მოწმე იყო. საბჭოთა საზოგადოება იყო არა კომუნისტური იდეოლოგიით გამსჭვალული, არამედ ფარისევლური, საკუთარ სინდისთან კომპრომისზე შორს წასული საზოგადოება. დანაშაულის დანახვას არ სჭირდებოდა ლინკეევსის მზერა, გამორჩეული გამჭრიახობა და განსაკუთრებული გონიერება; დანაშაულს ხედავდა ყველა, სკოლის მოსწავლიდან დაწყებული „ცეკას“ გენერალური მდივნით დამთავრებული. დისიდენტები გენიოსები არ იყვნენ, ისინი იყვნენ სოციალური სინდისის მქონე ადამიანები (პიროვნულად, შესაძლოა, არც ისე წმინდანებიც).

ტერმინი „სინდისის პატიმარი“ (ინგლ. *prisoner of conscience*) საზოგადოებრივ შემეცნებაში 1960-იანი წლების დასაწყისში შემოიტანა ორგანიზაცია *Amnesty Insternational*-ის დამფუძნებელმა, ბრიტანელმა იურისტმა და უფლებადამცველმა პიტერ ბენენსონმა იმ ადამიანების დასახასიათებლად, რომლებიც დაპატიმრებული ან სასჯელმისჯილი იყვნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მშვიდობიანად გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ, რელიგიურ ან სამეცნიერო მოსაზრებებს. დისიდენტების დახასიათებისას სახაროვი ხმარობდა სწორედ ამ ტერმინს (შემდგომში ცდილობდნენ ამ ტერმინისთვის სპეციალური მნიშვნელობა მიენიჭებინათ), რომელიც, რა თქმა უნდა, აღძრავდა ასოციაციას ლერმონტოვისეულ ტერმინთან — *невольник чести*. ესაა პუშკინის ლერმონტოვისეული შეფასება ქრესტომათიული ლექსიდან „პოეტის სიკვდილი“:

Погиб Поэт! – невольник чести –
Пал, оклеветанный молвой,
С свинцом в груди и жаждой мести,
Поникнув гордой головой!..

პირადად ვიცნობდი ერთ-ერთ ყველაზე დიდ დისიდენტს, ანდრეი ამალრიკს, რომელიც მეუღლესთან ერთად იყო ჩამოსული თბილისში ზვიად გამსახურდიასთან და ზვიადს გაფორმებული ჰყავდა მებაღედ. ისინი საბჭოთა კავშირიდან წასვლას აპირებდნენ. ანდრეი ამალრიკი იმის გამო, რომ დაწერა წიგნი — „გაძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე“, გამოსცა უცხოეთში და გამოქვეყნებისთანავე არ დააპატიმრეს, მეგობრებმა „კგბ“-ს აგენტად გამოაცხადეს. „კგბ“ ცბიერად იქცეოდა, არ აპატიმრებდა, აცალეს, რომ წახდენოდა სახელი და როცა ყველამ დაიჯერა, რომ ის „კგბ“-ს აგენტი იყო, სწორედ მაშინ დააპატიმრეს. ამის გამო თვითონ ძალიან გულმოკლული იყო. საზოგადოება არა მხოლოდ ფრთხილად, არამედ ძალიან ხშირად, უსამართლოდ ექცეოდა დისიდენტებს.

რაც შეეხება შიშს: ჩემთან ერთი კაცი იჯდა, რომელიც ისეთი მშიშარა იყო, რომ ლექსს რომ დაწერდა, დაიზეპირებდა, ხელნაწერს დაწვავდა, დამიბარებდა და ისე ჩუმად მეუბნებოდა, ძლივს მესმოდა. ამ ლექსში საბჭოთა წყობის კრიტიკა იყო გადმოცემული. ის ისეთი მშიშარა იყო, დღემდე არ მესმის, როგორ აღმოჩნდა იქ, როგორ გაუძლო. მეც გამიჩნდა გრძნობა, რომ ის გმირი იყო. როცა იატაკქვეშეთში პარტია შევქმენით, ვთქვი, ჩვენ ახლა აქ შევიკრიბეთ, მალე ისინი სხვაგან შეგვკრებენ-მეთქი. მაგრამ არ გვეშინოდა. ჩვენ ამას ვაკეთებდით იმიტომ, რომ ეს იყო ხსნა იმ სიცხიანი დღეებისგან, რომელიც იყო საბჭოთა კავშირი.

2. არ ვეთანხმები

1966 წლის თებერვალი, სასამართლო პროცესი ანდრეი სინიავსკისა (ფსევდონიმი: აბრამ ტერცი) და იულიი დანიელის (ფსევდონიმი: ნიკოლაი არჟაკი) წინააღმდეგ. სასჯელმისჯილი მწერლების დასაცავ პეტიციებში დაიბადა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა. პოლიტიკური პროცესი გრძელდებოდა (გინზბურგისა და გალასკოვის პროცესი, იგივე „ოთხთა პროცესი“, 1968 წ. იანვარი). ეს იყო დისიდენტური მოძრაობის მეორე ტალღა. სხვაგვარად მოაზროვნეთა აქტივობა იღებს საზოგადოებრივი მოძრაობის სახეს. „სამიზდატში“ მხატვრული ლიტერატურის გვერდით ჩნდება ახალი სოციალურ-პოლიტიკური ესეისტიკა; მაგალითად, სახაროვის *„Размышления о прогрессе, мирном сосуществовании и интеллектуальной свободе“,* ქვეყნდება მრავალრიცხოვანი „ღია წერილი“. 1968 წ. გაზაფხულიდან გამოდის საბეჭდ მანქანაზე მომზადებული საინფორმაციო ბიულეტენი „მიმდინარე ამბების ქრონიკა“ (*„Хроника текущих событий“* გამოდიოდა 1968-1983 წლებში, პირველი შემდგენელი იყო ნატალია გორბანევსკაია; შემდგომში „ქრონიკას“ გამოსცემდნენ სერგეი კოვალიოვი, ანატოლი იაკობსონი, იული კიმი, იური შიხანოვიჩი, ტატიანა ხოდოროვიჩი და სხვ.). „ქრონიკის“ ნომრები დისიდენტური მოძრაობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. „ქრონიკა“ ლეგალური გამოცემა იყო, არც ერთი საბჭოთა კანონი არ კრძალავდა ჟურნალის გამოცემას.

რუსეთში დისიდენტური მოძრაობა არ მიელტვოდა პოლიტიკურ ოპოზიციად ან, მით უმეტეს, პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას. ყველა ასეთი მცდელობა (მაგალითად, ტერმინ „დემოკრატიული მოძრაობის“ დამკვიდრების ცდა) წარუმატებელი აღმოჩნდა. დისიდენტებს არასოდეს ჰქონიათ საერთო პროგრამა და ვისაც პოლიტიკური პლატფორმა ჰქონდა, მარქსისტულიდან (რ. და ჟ. მედვედევი, პ. გრიგორენკო) მართლმადიდებლურ-ნაციონალისტურამდე (ვ. ოსიპოვი), ამას თავიანთ პირად საქმედ მიიჩნევდნენ, რომელსაც დისიდენტურ მოძრაობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. საერთო იყო სამოქალაქო და ზნეობრივი

პოზიცია, რისი შედეგიც იყო საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც უპირისპირდებოდა გაბატონებულ კონფორმიზმს. დისიდენტობა პრინციპულად უარყოფდა პოლიტიკურობას, პარტიულობას: იგი იყო ზეპარტიული, ზეპოლიტიკური ფენომენი.

სამოქალაქო საზოგადოების არარსებობის პირობებში დისიდენტობა იქცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში პიროვნების რეალიზაციის ერთადერთ ფორმად. შესაბამისად, დისიდენტი თავის თავში ატარებდა პრინციპულ პარადოქსს: საზოგადოების წევრად თავის შეგრძნება ავტომატურად ნიშნავდა საზოგადოებისგან გარიყვას. ამ შემთხვევაში სოციალურად ნიშანდობლივი მოქმედების იმპულსი ატარებდა შინაგან და ეგზისტენციალურ ხასიათს: ტიპური მოქმედება იყო შვიდი დისიდენტის გამოსვლა მოსკოვში წითელ მოედანზე 1968 წლის 25 აგვისტოს (ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა ოკუპაციის პროტესტის ნიშნად).

ერთადერთი სახელი, რომელიც დისიდენტებმა თვითონ დაირქვეს და გარედან არ შემოსულა, იყო „უფლებადამცველი“. უფლებადაცვითი საქმიანობა იყო დისიდენტური მოძრაობის ძირითადი ბირთვი, ანუ ყველა სხვა მიმდინარეობის (პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული, ნაციონალური, რელიგიური და სხვ.) გადაკვეთის ველი. უფლებადამცველების ყურადღების ცენტრში იყო ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საბჭოთა კავშირში და მისი შეუსაბამობა გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან. სწორედ ეს უკანასკნელი იყო დისიდენტების ბიბლია. უფლებადაცვით სფეროში ჩამოყალიბდა თითქმის ყველა დისიდენტური (უფრო გვიანდელი ტერმინოლოგიით — „არაფორმალური“) ორგანიზაცია: ადამიანის უფლებათა კომიტეტი (1970 წ.), ჰელსინკის კომიტეტები (1976 წლიდან), მორწმუნეთა უფლებების დაცვის კომიტეტი, ფსიქიატრიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების საგამომძიებლო კომისია და სხვ.

გაჩნდნენ ლიტერატორი დისიდენტები (ალექსანდრ გალიჩი, გიორგი ვლადიმოვი, ალექსანდრ სოლჟენიცინი, ვლადიმირ ვოინოვიჩი), ფისოლოფოსი-დისიდენტები (გრიგორი პომერანეცი, ბორის შრაგინი, ალექსანდრ ზინოვიევი) და სხვ.

დისიდენტობის ამოცანები 70-იან წლებში:

— იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც არ აისახებოდა ან შეგნებულად მახინჯდებოდა ოფიციალურ საბჭოთა პრესაში;

— სასამართლო და არასასამართლო რეპრესიები პოლიტიკური მოტივებით;

— პოლიტპატიმრების მდგომარეობა;

— ნაციონალურ-კულტურული და რელიგიური მოძრაობა უკრაინაში, ლიტვაში, ამიერკავკასიაში;

— ყირიმელი თათრებისა და მესხების მოძრაობა სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნით;

— სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა დევნა;

— ემიგრაციის პრობლემების ასახვა;

— ლიტერატურაში ცენზურასთან ბრძოლა.

დაიბადა რეპრესირებულთა და მათი ოჯახების დახმარების ფართომასშტაბიანი სისტემა, რომელიც 1974 წელს ჩამოყალიბდა, როგორც „დახმარების ფონდი“. იქმნებოდა ცალკეული პირების დახმარების კომიტეტები. თავად ამ კომიტეტებში მონაწილეობაც დისიდენტურ დანაშაულად მიიჩნეოდა.

საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი და გავრცელებული ლიტერატურული და საზოგადოებრივი ჟურნალები იყო: *«Вече», «Поиски», «Память»* (ისტორიული მასალების პერიოდული კრებული) — მოსკოვში; *«Сигма»,* «37», *«Часы», «Женщина и Россия»* — ლენინგრადში; „აუშრა“, „პასტოგე“, „რუპინტიალისი“, „პერსპექტივოსი“ — ლიტვაში; *«Украинский вестник»* — უკრაინაში; „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“, „სამრეკლო“ — საქართველოში და სხვ.; ავტორები და გამომცემლები დისიდენტებად ითვლებოდნენ.

3. განვსხვავდები

მილშტეინის მიხედვით, დისიდენტობა „თავისუფალი არსებობის გამოცდილებაა არათავისუფალ ქვეყანაში“. ეს არა მხოლოდ „სინდისის ბუნტია“, არამედ ინდივიდუალიზმის ბუნტიც.

არათავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი ინდივიდუალისტი ადამიანები წარმოადგენდნენ მჟავას, რომელიც სპობდა არა კომუნისტურ რეჟიმს, არამედ საზოგადოებრივად შეთანხმებულ ტყუილს.

4. ავჯანყდები

დისიდენტები და პოლიტიკა სსრკ-ს დაშლის შემდეგ: დისიდენტების ნაწილი პოლიტიკაში მოვიდა — ანდრეი სახაროვი, სერგეი კოვალიოვი, ვიაჩესლავ ჩერნოვილი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გენრიხ ალტუნიანი, რაფაელ პაპაიანი, ნატან შარანსკი და სხვ.

5. არათანაბრად ვზივარ

დისიდენტები არ უყვართ. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დისიდენტი თავისი უბრალო არსებობითაც კი გახსენებს, რომ შენ კონფორმისტი იყავი.

ზურაბ ქარუმიძე — მოხდა ისე, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დისიდენტები მოვიდნენ ხელისუფლებაში აქაც და აღმოსავლეთ ევროპაშიც. იმოქმედეს მათ, როგორც კონსტრუქციულმა პოლიტიკოსებმა? ჩემთვის ეტალონად რჩება ვაცლავ ჰაველი, რომელმაც მოახერხა საკუთარი თავის ტრანსფორმირება მოქნილ და დიალოგურ პოლიტიკოსად. თუმცა, გვაქვს სხვა მაგალითებიც, როცა ყოფილ დისიდენტებში დესტრუქციული მომენტი ბოლომდე მუშაობდა და ამან სავალალო შედეგებამდეც მიგვიყვანა.

ლევან ბერძენიშვილი — რა თქმა უნდა, ჰაველი განსაკუთრებული გამონაკლისია. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მას სხვა გარემოში უხდებოდა მუშაობდა. საინტერესოა, როგორ მოხდა ჩეხოსლოვაკიაში ხელისუფლების გადაცემა. შეიკრიბნენ კომუნისტები და დისიდენტები, ოთხი საათი ილაპარაკეს და თქვეს, პარლამენტს ვტოვებთ კომუნისტურს ახალ არჩევნებამდე, დისიდენტებს შემოგაქვთ კანონები და ჩვენ ყველაფერს ვამტკიცებთო. ასეთ ვითარებაში მოვიდა ჰაველი პრეზიდენტად. პარლამენტი მორჩილი კომუნისტებისგან შედგებოდა. ლუსტრაციის კანონი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის დაშლა უმტკივნეულოდ მოხდა. კომუნისტებიც წესიერი ხალხი აღმოჩნდა: მათ სიტყვა შეასრულეს და პოლიტიკიდან ყველა წავიდა. მიუხედავად ამისა, თავის სამშობლოში არც ჰაველი არ უყვართ. იქაც ბევრს ახსოვს, რომ მანამდე თვითონ კომპრომისებით ცხოვრობდნენ.

სხვაგან დისიდენტებმა ვერ გაამართლეს. უკრაინაში პოლიტიკაში წავიდა ჩერნოვილი, რომელსაც არ დასცალდა — მალევე გარდაიცვალა. „სოლიდარობიდან“ პოლიტიკაში წავიდა ლეხ ვალენსა, რომელმაც ერთი პრეზიდენტობის შემდეგ სამარცხვინოდ წაგო არჩევნები. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ დისიდენტებს პოლიტიკოსებად ევარგოთ; იმიტომ, რომ მათ პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონიათ, ვითარებამ დააკისრა პოლიტიკური ამბიცია. დაკისრებული ამბიცია და დაბადებული ამბიცია სხვადასხვა რამე რომ არის, ეს ნათელია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის მაგალითზეც. ის შეიძლება ცუდად იქცევა, მაგრამ ის ცუდად იქცევა, როგორც პოლიტიკოსი. ის დაბადებულია პოლიტიკოსად.

პოლიტიკაში ვერაფერი გააკეთა სერგეი კოვალიოვმაც. მან სახელმწიფო სამსახურში თავი ვერ გამოიჩინა და ეს ჩვეულებრივი ამბავია. არა მგონია, სწორი იყოს, დისიდენტების დამსახურება გავზომოთ იმის მიხედვით, რამდენად წარმატებული პოლიტიკოსები იყვნენ. დისიდენტებმა შექმნეს ველი, რომელშიც შეიძლებოდა ტყუილის გარეშე ცხოვრება. რა თქმა უნდა, ეს რომანტიკული ველია, დისიდენტები ამაყობენ თავიანთი წარსულით; ვერ ამაყობენ იმით, პოლიტიკაში რომ ვერაფერი შეძლეს, მაგრამ რამდენიც უნდა აგინონ ზვიად გამსახურდიას, რუსეთის „მემორიალი“ გეტყვით — ეს ხომ ის კაცია, რომელმაც 100-ობით ჩამოიტანა მოსკოვში „გულაგის არქიპელაგიო“. გამსახურდიას არც ერთი ღვაწლი არაა დავიწყებული, მიუხედავად იმისა, რომ 1978 წლის

მისი მონანიება სერიოზული დარტყმა იყო მთელი მოძრაობისთვის. ესეც მათ პატიოსნებაზე მიუთითებს. მე, პირადად, უკეთეს ადამიანებს არ ვიცნობ, ვიდრე სერგეი კოვალიოვი და იული დანიელი არიან.

ივლიანე ხაინდრავა, რესპუბლიკური პარტია — ორივე მომხსენებელთან მაქვს შეკითხვა: საინტერესო მოხსენებებში არც ერთმა არ ახსენეთ 1975 წლის ჰელსინკის აქტი[6]. იყო თუ არა ეს საძირკველი დისიდენტური მოძრაობის გზაზე თუ შეგნებულად აუარეთ ამას გვერდი?

ემილ ადელხანოვი — ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ თუნდაც იმიტომ, რომ მალევე გაჩნდა მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფი და შემდეგ — საქართველოში, სომხეთსა და ლიტვაშიც შეიქმნა ამგვარი ორგანიზაციები. დისიდენტებმა ძალიან სერიოზულად მიიღეს ჰელსინკის კონფერენცია; მეჩვენება, რომ იმაზე მეტ იმედს ამყარებდნენ ამ კონფერენციაზე, ვიდრე საღად მოაზროვნე ადამიანებს შეეფერებოდათ. ჩვენთან საკმაოდ ცნობილ *„Human rights watch“*-ს თავის დროზე *„Helsinki watch“* ერქვა.

ლევან ბერძენიშვილი — მაშინ ჰელსინკის პროცესი დამატებით სტიმულად იქცა. ჩვენი დისიდენტების დიდ ნაწილს უნდოდა, კანონმორჩილი ყოფილიყო. ამიტომ, „ქრონიკას“ პრეამბულის სახით გამოტანილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ინფორმაცია თავისუფალია და შეიძლება გადაადგილდეს სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ანუ, დისიდენტები აპელირებდნენ იმ დოკუმენტზე, რომელიც მიღებული იყო საბჭოთა კავშირის მიერ. ამის შემდეგ ბრეჟნევმა ხელი მოაწერა ჰელსინკის ხელშეკრულებას და, ბუნებრივია, დისიდენტების თვალში გაიზარდა უფლებების სფერო. ბატონ ემილს ვეთანხმები, რომ ეს დისიდენტებისთვის მახე იყო: მათ დაიჯერეს, რადგან საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, შეასრულებდა კიდეც. ამის მერე ასეულ ათასობით ხელმოწერა შევიდა ემიგრაციაზე და ადამიანები დაიჩაგრნენ იმის გამო, რომ ჰელსინკის პროცესისა დაიჯერეს. ევროპამ, როგორც ხდება ხოლმე, ხელი დაიბანა და ბრეჟნევს არავინ არ მოსთხოვა ხელმოწერილი ხელშეკრულების შესრულება. თუმცა, ევროპამ თითოეული დისიდენტისთვის გაიბრძოლა. მახსენდება, რომ როცა ოლიმპიადა ბრეჟნევამ მე-14 საუკუნის ფაიფურის ლარნაკი გატეხა, საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, ამაში ერთი ბუკოვსკი გვეკუთვნისო და ბუკოვსკი გაუშვეს.

ილამაზ მიწიშვილი, საზოგადოება „მემორიალი“ — პროფესიით გეოლოგი ვარ. 70-იან წლებში სირიაში მომიწია მუშაობა კონტრაქტით. რომ ჩამოვედი, ერთმა ჩემმა კოლეგამ მისაყვედურა, საქართველოს საუკუნოვან მტრებთან, არაბებთან რატომ მუშაობდიო? მაშინ ვერაფერი ვუპასუხე. უბედურება ის არის, რომ მსგავსი სიტუაცია ახლაც მეორდება.

ხშირად ისმის, რომ საბჭოთა პერიოდში ყველაფერი ცუდი იყო და ყველაფერში ამ დროს მცხოვრები ადამიანები ვართ დამნაშავე. იმ დროს რაც ხდებოდა, ჩემზე უკეთ არავინ იცის. მამა დახვრეტილი მყავს, დედამ თითქმის 10 წელი გაატარა გადასახლებაში. მაგრამ მე ვიყავი რიგითი ადამიანი და ვმუშაობდი. არ შემეძლო პირდაპირი ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. თქვენ, დისიდენტებმა ეს შესძელით, მაგრამ თქვენნაირი ხალხი ცოტა იყო. 90 პროცენტი უბრალოდ შრომობდა. გაიხსენეთ თქვენი მშობლები, ბებია-ბაბუები. იყო თუ არა დანაშაული მათი პატიოსანი შრომა? ვინ უნდა დაინახონ ამ ახალგაზრდებმა ჩემში? ვინ ვარ მე? კოლაბორაციონისტი თუ რიგითი ადამიანი, ვინც იძულებულია შეეგუოს არსებულ პირობებს?

ლევან ბერძენიშვილი — ბატონო ილამაზ, თქვენ შესანიშნავად იცით ამ კითხვაზე პასუხი. დისიდენტები ცოტანი იყვნენ. დისიდენტების პოლონურ ლექსიკონში სტატიები დავწერე ქართველი დისიდენტების შესახებ და სულ 17 კაცი მყავს იქ სიაში. არა მგონია, რომ ვინმეს, ზვიად გამსახურდიას ან მერაბ კოსტავას ჰქონდათ გრძნობა, რომ ჩვენ ვართ მარილი სოფლისა, დანარჩენები კი დამნაშავეები არიან. საქართველოსთვის ნამდვილად შეუსაბამოა ტერმინი კოლაბორაციონისტი, საქართველოში კოლაბორაციონისტები მოქალაქეებს შორის არ ყოფილან, კომუნისტურ ელიტაში იყვნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. სინამდვილეში საქართველო იყო თქვენი ქვეყანა. უნივერსიტეტის პროფესორებს შორის ყველა არ ყოფილა საბჭოთა სისტემასთან დაპირისპირებული. არასდროს მიფიქრია, რომ აკაკი შანიძე ენას ვერ მასწავლიდა ამის გამო. ჩვენ უღრმესი პატივისცემა გვაქვს თქვენ მიმართ. რაც დღეს ხელისუფლების წრეებიდან და ახალგაზრდობის უცნაური ნაწილიდან გაისმის — მე რომ ვყოფილიყავი, არ ვითანამშრომლებდიო, ტყუილია. რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ასეთ კომპრომისებზე საბჭოთა დროს ადამიანები არ მიდიოდნენ. დედაჩემი ქართულის მასწავლებელი იყო. საბჭოთა დროში ქართულის მასწავლებლები პატრიოტიზმს ასწავლიდნენ. აქ საყვედური ვთქვი, რომ აკადემიურ წრეებს ჩვენ არ ვუყვარდით, მაგრამ ისინი მაღალი დონის სამუშაოს ასრულებდნენ. საქართველო მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყანა იყო საბჭოთა დროში. ნეტავ, კი ის დონე, რომელიც მაშინ შეიმჩნეოდა, ოდესმე დაბრუნდეს ამ ქვეყანაში. ორენოვნება კოლონიის აუცილებელი ნიშანია. საბჭოთა დროში ჩვენ სხვა პრობლემები გვქონდა. კომპრომისი იყო, მაგრამ ამ კომპრომისს გამართლება ჰქონდა. დისიდენტებს შევაქებდი — კარგი ხალხი იყო, მაგრამ ისინი რაიმეთი არ გამოირჩეოდნენ. ემილმა ახსენა დახმარების ფონდები. საქართველო ყველაზე კარგი ქვეყანა იყო პატიმრების დახმარების მიმართულებით. საქართველოდან რომ ჩამოდიოდა ხალხი — ცოლები, ბიძები, ბიძაშვილები — ასეთი რამ იქ, ბანაკებში არავის ღირსებია. ბოლოს და ბოლოს საქართველოდან გაყრილი ცოლი ჩავიდა ქმართან, რათა სოლიდარობა გამოეცხადებინა. საბჭოთა „კგბ“ გაოგნებული იყო მისი საქციელით.

ავთო იმნაძე, საბჭოთა დისიდენტი — ლევანმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ დისიდენტები არ იყვნენ პოლიტიკოსები. ამას მერაბ კოსტავა მაშინვე ამბობდა. ციხიდან ახალი გამოსული იყო, როცა ვკითხე, დამოუკიდებლობას რომ მოვიპოვებთ, ამაში ეჭვი არ მეპარება; ამის შემდეგ ჩვენი როლი რა იქნება — მინისტრები, დეპუტატები, პრეზიდენტები უნდა ვიყოთ-მეთქი? მერაბმა მითხრა — სახელმწიფო იმან უნდა მართოს, ვინც მართვა იცის, კომუნისტებშივე აირჩევა ასეთი ხალხი; ჩვენ კი უნდა შევქმნათ უხუცესთა საბჭო, საზოგადოებიდან მოვიწვიოთ ცნობილი ადამიანები. მან დაასახელა აკაკი ბაქრაძე, რეზო ჯაფარიძე, ლევან სანიკიძე... უხუცესები არ მართავენ ქვეყანას, მაგრამ ყველაფერს დააკვირდებიან, მათი შიშით მმართველები ვერ გაბედავენ ვერაფერს ცუდსო. ზვიადს ეს აზრი მაშინვე არ მოეწონა.

ქართული დისიდენტური მოძრაობა მართლაც ეროვნული იყო. ამის მიზეზი შეიძლება ზვიადის 1978 წლის გამოსვლა გახდა, რის გამოც დასავლეთს მისი სახელის ხსენება აღარ უნდოდა. სწორედ აქედან გამომდინარე ჩავიკეტეთ ნაციონალიზმში.

ზურაბ ქელბაქიანი, უმუშევარი — რამდენადაც ცნობილია, დისიდენტების მთავარი მიზანი საბჭოთა რეჟიმთან ბრძოლა იყო. თუ გქონდათ იმ დროს გაცნობიერებული, რომ თქვენი მიზანი ემთხვეოდა მსოფლიო სიონისტური და მასონური წრეების მიზანს, დაესუსტებინათ და დაეშალათ საბჭოთა კავშირი? დღევანდელი გადმოსახედიდან თავს გამოყენებულად თუ გრძნობთ?

ლევან ბერძენიშვილი — მინდა გითხრათ, რომ იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე საბჭოთა კავშირის დაშლა იყო, არც პირად და არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ მქონია. საქართველოს დამოუკიდებლობა ისე მოვიდა, წესიერად ვერ გავიგეთ და ვერ ვიზეიმეთ. თავიდან ჯერ კიდევ რუბლის ზონაში ვიყავით და „გკჩპ“-ს[7] ბრძანებებს ვემორჩილებოდით, მერე კიდევ — ერთმანეთში ომი გვქონდა.

საბჭოთა კავშირის დასუსტება რამდენიმე ჯგუფის ინტერესებში იყო. რაც შეეხება იმ ჯგუფს, რომელიც თქვენ ახსენეთ, მათ პირიქით, სსრკ-ს შენარჩუნება სურდათ. როგორც დღეს ირკვევა, ამერიკას არ უნდოდა საბჭოთა კავშირის დაშლა. არსებობდა ის საფრთხეები, რომელთაგან ერთი, ეთნოკონფლიქტები, მალევე დაიწყო. მაგრამ ამერიკას ყველაზე მეტად ბირთვული სახელწიფოების გამრავლებისა ეშინოდა. ამერიკელებისთვის საბჭოთა კავშირი კარგი იმიტომაც იყო, რომ საკუთარ საზოგადოებას თითით აჩვენებდნენ, აი, იქ რა ხდებაო და შესანიშნავად გრძნობდნენ თავს.

არ მჯერა, რომ საბჭოთა კავშირი დისიდენტებმა დავანგრიეთ. საბჭოთა კავშირი დაანგრია რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ, რომელმაც უბრძანა თავის ხალხს, გაეწიათ წინააღმდეგობა ღმერთის სახელით და პოლონელებმა ეს გააკეთეს. საბჭოთა კავშირი დაანგრია „სოლიდარობამ“, რონალდ რეიგანმა, მარგარეტ ტეტჩერმა. ჩვენი — დისი-

დენტების როლი ერთი პროცენტი თუ იქნება. საბჭოთა კავშირი ტალონებმა დაანგრია, ეკონომიკურმა კრიზისმა და რეიგანის ტყუილმა — ელექტრომაგნიტური იარაღი გვაქვსო, რაც რუსებმა მართლა დაიჯერეს.

ემილ ადელხანოვი — სინამდვილეში ჩვენთვის იმ დროის გახსენება ძალიან ბევრი სახალისო და სევდიანი ისტორიის გახსენებას ნიშნავს. მაგრამ ეს ყველაფერი მალე დავიწყებას მიეცემა და ბევრი რამ კიდევ უფრო გაუგებარი გახდება. ლევანი არა მხოლოდ კარგად საუბრობს, კარგადაც წერს. მაგრამ წიგნებს ბევრი არ დაწერს. თქვენი, ლაბორატორიის საქმეა, შეაგროვოთ ეს ყველაფერი, სანამ არსებობს.

ზურაბ ქარუმიძე — წარსულს იმისათვის იაზრებ, რომ შეცდომები არ დაუშვა აწმყოში და მომავალში. წარსულის ინტერპრეტაცია არ არის თავისთავადი რამ: მე არ ვიცი, რამდენად შეიძლება დაგვჭირდეს თანამედროვე საქართველოში დისიდენტური გამოცდილება ან დისიდენტობა. შეიძლება, მისი ნიშნები ჩანს, შეიძლება — არც გამოჩენილა და არც არასდროს გამოჩნდეს. საინტერესო იქნებოდა, ქართული ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე შეგვეხედა დისიდენტური პათოსისათვის, რამდენად დისიდენტური ერია ქართველები. ქართული ეკლესიის ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არც ერთი მწვალებლური მიმდინარეობა არ ჩამოყალიბებულა მთელი 17 საუკუნის განმავლობაში. მაშინ, როდესაც ჩვენ გვერდით სომხეთში ამგვარი რამ ხდებოდა. ძალიან მაინტერესებს ისიც, რა ურთიერობა იყო ქართულ ეკლესიასა და დისიდენტებს შორის. რა ხდებოდა ქართულ ეკლესიაში?

ლევან ბერძენიშვილი — ერთი სახელი აუცილებლად უნდა ვახსენოთ — ვალენტინა ფაილოძე — ის რელიგიური უფლებებისთვის იბრძოდა და ებრძოდა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ, ეკლესიასაც. ის ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. რაც შეეხება ერესს — ეკლესია, როგორც წესი, თვითონ პოულობდა ხოლმე ერეტიკულ ნაწარმოებებს.

სქოლიო

[1] სერგეი კოვალიოვის მოგონება ქართველ დისიდენტებზე იხ. *http://sovlab.ge/ka/blog/sergey_kovaliov*

[2] „სამიზდატი“ — თვითგამოცემა, არალეგალურად დაბეჭდილი წიგნები.

[3] „ტამიზდატი“ — უცხოეთში დაბეჭდილი და არალეგალურად შემოტანილი ლიტერატურა.

[4] ვიაჩესლავ ბახმინი (დაიბ. 1947წ.) — რუსი დისიდენტი და უფლებადამცველი; მუშაობდა ფსიქიატრიის სადამსჯელო მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ. 1980 წელს დაპატიმრეს და სამი წლით გადაასახლეს; 1985 წელს ისევ დააპატიმრეს; 90-იან წლებში მუშაობდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში; 1995 წლიდან ხელმძღვანელობდა რუსეთის „ღია საზოგადოებას — სოროსის ფონდს. “

[5] ალექსანდრ პოდრაბინეკი (დაიბ. 1953წ.) რუსი ჟურნალისტი, დისიდენტი, ადამიანის უფლებათა დამცველი; 1987-2000 წლებში „ექსპრეს ქრონიკის“ რედაქტორი; სოლიდარობის წევრი; 80-იან წლებში რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს.

[6] ჰელსინკის აქტი, ხელშეკრულება. ჰელსინკის კონფერენციის საბოლოო აქტი ევროპაში უსაფრთოხოებისა და თანამშრომლობის შესახებ *(Final Act of the Conference on Security and Cooperation in Europe)* — გაფორმდა 1975 წელს ჰელსინკიში. ხელშეკრულებას 35 სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მათ შორის, საბჭოთა კავშირმაც.

[7] „გკჩპ“ *(Государственный комитет по чрезвычайному положению)* — ორგანო, რომელმაც 1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვში მოაწყო პუტჩი, გადააყენა გორბაჩოვი სსრკ-ს პრეზიდენტობიდან, სცადა საბჭოთა კავშირის აღდგენა. 21 აგვისტოს პუტჩის წევრები დააპატიმრეს.

საბჭოთა იმპერია და პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი

14.10.2011

მომხსენებელი: გიორგი მაისურაძე — ფილოსოფოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოდერატორი: ლელა გაფრინდაშვილი — ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელა გაფრინდაშვილი — „საბჭოთა იმპერია და პოსტსაბჭოთა ნაციონალიზმი“— ასე ჰქვია ჩვენი დღევანდელი დისკუსიის თემას. რა იყო საბჭოთა იმპერია და რა პროცესები დაიწყო მისი დაშლის შემდეგ საქართველოში — ეს ის საკითხებია, რომლებზეც დღეს უნდა ვისაუბროთ.

გიორგი მაისურაძე — ძირითად აქცენტს ტერმინ „იმპერიაზე“ გავაკეთებ. ამ ტერმინს სხვადასხვა კონტექსტში ვხმარობთ, მაგრამ ძირითადად მაინც უარყოფით კონტექსტში — იმპერია, როგორც წესი, ბოროტების განსახიერებაა, დამთრგუნველი, დამპყრობელი ძალაა. დღეს მინდა ყურადღება გავამახვილო სხვა კონტექსტზე, რომელიც ტერმინ „იმპერიის“ არა იმდენად ეტიმოლოგიას და სემანტიკას უკავშირდება, რამდენადაც იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ამ ტერმინში თავიდანვე იყო ჩადებული და რომლებიც დროთა განმავლობაში თანდათანობით შეიცვალა.

ამოსავალი წერტილი ჩემთვის იქნება ცნობილი საბჭოთა დისიდენტის, ფიზიკოსის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ანდრეი სახაროვის ერთ-ერთი ინტერვიუ. ანდრეი სახაროვისთვის თავისუფლად შეიძლებოდა ნობელის პრემია ფიზიკაშიც მიეცათ, მაგრამ წყალბადის იარაღი შემქმნელის ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. ის, რაც სახაროვმა შექმნა, იმდენად შემზარავი აღმოჩნდა თავად შემქმნელისათვის, რომ გავლენა იქონია მის პოლიტიკურ ცნობიერებაზე და დიდი მეცნიერი დისიდენტად იქცა.

პერესტროიკის ეპოქაში ანდრეი სახაროვი შინაპატიმრობიდან გამოუშვეს. 9 აპრილის მოვლენების გამომზეურება და საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობა მისი დიდი დამსახურებაა. სახაროვი მაშინ ქართველი ხალხის დიდ მეგობრად ითვლებოდა და თბილისს რამდენჯერმე ესტუმრა. მაგრამ 1989 წლის ზაფხულში, როცა ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ „თავისუფლების ხარისხი“, ქართველი ხალხის დამოკიდებულება მის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. სახაროვი ამბობდა, რომ „ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ სტალინიზმისაგან იმპერიული სისტემა, იმპერიული იდეოლოგიით, იმპერიული პოლიტიკით — „გათიშე და იბატონე“. ვიმემკვიდრევეთ პატარა რესპუბლიკებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური წარმონაქმნების ჩაგვრის სისტემა. ამგვარად, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკები თავადვე იქცნენ მცირე მასშტაბის იმპერიებად“. აქედან გამოსავალს სახაროვი იმპერიული სისტემების სრულ დემონტაჟში ხედავდა, რომლის შედეგადაც ყველა მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქს თანაბარი სუვერენული უფლებები უნდა მისცემოდათ, იმჟამინდელ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ასეთ საფუძველზე უნდა შექმნილიყო ახალი კონფედერაცია, რომლის თითოეულ სუბიექტს არჩევანისა და თვითგამორკვევის სრული თავისუფლება ექნებოდა. ამგვარად, ყველას შეეძლებოდა თავადვე გადაეწყვიტა ვისთან სურდა თანაარსებობის გაგრძელება და ვისთან — არა. ეთნიკურ-ნაციონალური პრობლემების მოგვარების წინაპირობადაც სახაროვს იმპერიული ჩაგვრის სისტემის

სრული და არა ნაწილობრივი დემონტაჟი მიაჩნდა და სწორედ ამ თემაზე საუბრისას იგი მიადგა საქართველოს: „ვიმეორებ, რომ დაიწყება საჭიროა იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მოგვარდეს ეროვნული პრობლემა მცირე იმპერიებში, რომლებიც, თავისი არსით, მოკავშირე რესპუბლიკებია; მაგალითად, საქართველო, რომელსაც საკუთარ შემადგენლობაში აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეთნიკური წარმონაქმნები აქვს“ — შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რამხელა სკანდალი მოჰყვა ამ ინტერვიუს მაშინ საქართველოში, განსაკუთრებით, 9 აპრილის ფონზე.

9 აპრილის მნიშვნელობა შეიძლება იმითაც განისაზღვროს, რომ ამ დროს გაფორმდა იდენტობის ერთგვარი ახალი ფორმა — საქართველო, როგორც მსხვერპლი იმპერიასთან ბრძოლაში. შემდგომში შეიქმნა მთელი რიგი ნარატივები და იკონოგრაფიული სახეები, რომელიც ამ იდენტობაში ჯდებოდა. მნიშვნელოვანი ამ 22 წლის წინანდელი ამბების გახსენება იმითაცაა, რომ ჩვენ დღესაც იმავე ნარატივში და სააზროვნო სტერეოტიპებში ვიმყოფებით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს, როგორც მსხვერპლის ბრძოლა დიდ იმპერიასთან კიდევ უფრო მნიშვნელოვან თემად იქცა.

რაზე საუბრობდა სახაროვი? ვერ ვიტყვით, რომ ის განსაკუთრებით ორიგინალური იყო. თუ გადავხედავთ სოვეტოლოგიურ ლიტერატურას, პერესტროიკამდელი ხანისასაც კი, როდესაც საბჭოთა კავშირის სტრუქტურასა და ადმინისტრაციულ დაყოფას აღწერდნენ, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ხდებოდა საერთო მოდელის გადატანა ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში; უპირველესად, მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისგან და ავტონომიური ოლქებისაგან შედგებოდა. ეს იყო ცენტრალიზაციის პირამიდა. სახაროვი გულისხმობდა არა იმას, რომ ქართველები მჩაგვრელი ხალხია, არამედ, იმას, რომ ეს მოდელი უნდა დაშლილიყო, რათა თავიდან აგვეცილებინა ის დიდი კატასტროფა, რომლის ნიშნებიც 1989 წელსვე ცხადზე ცხადი იყო. უნდა ითქვას ისიც, რომ პირველი კონფლიქტები სსრ კავშირის ტერიტორიაზე 9 აპრილამდე დაიწყო, მაგალითად, ყარაბაღში, რომელიც იმპერიული სქემით ადმინისტრაციულ-პოლიტიკურმა დაყოფამ მოიტანა.

რა არის იმპერია? რეიგანის ცნობილი სიტყვების შემდეგ — „საბჭოთა კავშირი ბოროტების იმპერიაა“ — იმპერიამ ერთგვარი მეტაფორული მნიშვნელობაც შეიძინა. თუმცა, იმავე დროს დასავლურ კრიტიკაში უკვე არსებობდა ამერიკის იმპერიად გაგების თეორიაც, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ცივი ომი — ესაა ორ დიდ იმპერიულ ძალას შორის შეტაკება. ერთი მხრივ, არსებობს სოციალისტური ბანაკი — ვარშავის პაქტის ქვეყნები და მისი მოწინააღმდეგე დასავლური იმპერია ნატოს სამხედრო ალიანსის სახით. ამერიკაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმპერიად, ეს ახალი კი არა, ძველი ისტორიაა.

1968 წელს ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა — საბჭოთა ჯარები პრაღაში შევიდნენ და დაიწყო 1968 წლის გამოსვლები საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, რომლებიც სწორედ ამერიკული იმპერიალიზმის, ვიეტნამის ომის წინააღმდეგ იყო მიმართული.

სამეცნიერო ტერმინებით ამას შეიძლება ნეოკოლონიალიზმი დავარქვათ. ამ დროს გერმანიაში მემარცხენე არაფორმალური ორგანიზაციები ტერორზე გადავიდნენ. ასეთივე ტიპის ორგანიზაცია იყო იტალიაშიც. მთელ დასავლეთ ევროპაში გაჩნდა ანტიიმპერიალისტური, ან ანტიკოლონიალური განწყობის მემარცხენე ორგანიზაციები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ დასავლეთი აზიასა და აფრიკაში მესამე მსოფლიოს ქვეყნებს ჩაგრავს.

ტერმინ „იმპერიის" ეტიმოლოგიას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. იმპერია მომდინარეობს რომის იმპერატორის ტიტულიდან: იმპერატორი თავიდან იყო გამარჯვებული სარდალი, რომელიც სამშობლოში ბრუნდება და მას იმპერატორის, ანუ მბრძანებლის სტატუსი ეძლევა. ეს ტერმინი პოლიტიკურ ინსტიტუციად და სახელმწიფოს უმაღლესი რეპრეზენტანტის აღმნიშვნელად მოგვიანებით გადაიქცა. აქედან იღებს სათავეს რომის იმპერია, რომლის იდეალიზაცია ქრისტიანობის შემოტანის შემდეგ იწყება. იმპერია — ეს ერთგვარი მოდელია: თუ მსოფლიოს ორ ანტაგონისტურ ერთეულად შევხედავთ, ერთი მხრივ — არსებობს პარტიკულარული ელემენტი, რომელიც, ვფიქრობ, რომ ბუნებრივი საწყისია, რადგან ადამიანები, როგორც ცალკეული კოლექტიური ერთეული, რაღაც ნიშნით ერთიანდებიან. გაერთინების პირველადი ფორმები სისხლით ნათესაობა, ერთი წარმომავლობა, საგვარეულო კლანური იდეოლოგიაა, რაც, შეიძლება ვთქვათ, გარკვეულწილად, ბუნებრივი ფორმაა, რომელიც უნივერსალიზმის იდეას უპირისპირდება. უნივერსალიზმის იდეა პირველად სტოაში, სტოიკოსთა სახელით ცნობილ ფილოსოფიურ სკოლაში ჩნდება და მის შემქმნელს, ძენონს ეკუთვნის. ძენონი ამბობდა, რომ არსებობს ერთი ჰორიზონტი და ყველა თანაბარია, ღმერთებიც, გმირებიც და ადამიანებიც. პარტიკულარიზმი მასთან მთლიანად უარყოფილია.

იმპერია არსებობს იმდენად, რამდენადაც უარყოფს პარტიკულარიზმს. რომის იმპერია არსებობს იმდენად, რამდენადაც ის ზენაციონალურია — აქ გადამწყვეტი ფაქტორი მოქალაქეობაა. თუკი რომის იმპერიის მოქალაქე ვარ, სწორედ ესაა მთავარი და არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, ბერძენი ვარ თუ ებრაელი. თავად პავლე მოციქული ამაყობს იმით, რომ რომის მოქალაქეა. რომის იმპერიამ უდიდესი როლი ითამაშა იმ რელიგიის შექმნაში, რომელსაც შემდეგ ქრისტიანობა დაერქვა.

იმპერია, ესაა ღვთის სამეფო მიწაზე და ქრისტიანული იდეოლოგია წარმოსახავდა რომს, როგორც მიწაზე დამყარებულ ღვთაებრივ წესრიგს, რომის იმპერატორს კი (შემდგომში — ბიზანტიის იმპერატორს), როგორც ღმერთის ანალოგს და მისი ნების აღმსრულებელს დედამიწაზე.

საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესი სწორედ პარტიკულარიზმის გამარჯვებაა უნივერსალიზმზე, იმპერიულ მსოფლმხედველობაზე. ფორმა, რომლითაც უნივერსალიზმი მყარდება მიწაზე, იმპერიაა. თუკი უნივერსალიზმი არსებობს პოლიტიკურ რეალობაში, ის სწორედ იმპერიაში ხორციელდება. იმპერია იმ პირველად პარტიკულარიზმზე ძალადობს, რომელიც ნებისმიერ ადამიანში, ყოველ კოლექტიურ ერთეულში დევს. შეუძლე-

ბელია ბუნებრივი კოლექტიური იდენტობის ფორმად ავიღოთ უნივერსალისტური ნიშანი. გადამწყვეტი აქ ყოველთვის გვაროვნული, სქესობრივი ან სხვა ნიშნით გაერთიანებაა. ამ ყველაფრის ზევით კი უნივერსალიზმი დგას და ცდილობს შესაბამისი ძალაუფლების გამოყენების მეშვეობით დაფუძნდეს, ისევე, როგორც თავის დროზე ქრისტიანობა გავრცელდა ცეცხლითა და მახვილით.

რომის იმპერიის გაქრისტიანებისთანავე იწყება იდეალიზაცია იმ პოლიტიკური წესრიგისა, რომელსაც იმპერიული წესრიგი ჰქვია. პოლიტიკურ რეალობაში ოქტავიანე ავგუსტუსი, რომელმაც თავისი თავი ღვთის შვილად გამოაცხადა, ლამის ქრისტეს დონეზეა აყვანილი. ცნობილი ქრისტიანი თეოლოგი, ეფრემ სირიელი ამბობს: როგორც ავგუსტუსმა აღკვეთა მრავალმეფიანობა და პარტიკულარიზმი, ისე ქრისტემ აღკვეთა მრავალღმერთიანობაო. ამომავალი მზეც — როგორც ქრისტეს, ისე რომის იმპერატორის ატრიბუტია.

ადრექრისტიანი ავტორი ორიგენე ამბობს, რომ ქრისტე არის კოსმოკრატორი, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ნაციისგან. ნაცია საპყრობილეა, ქრისტე კი ნაციისგან გამათავისუფლებლად მოგვევლინა. ეს უნივერსალისტური იდეა კრიზისს განიცდის მაშინ, როცა ბიზანტია ეცემა. აღმოსავლეთში ბიზანტიის მემკვიდრედ თავს აცხადებს რუსეთი. ჩემთვის გასაკვირი არანაირად არ არის, თუ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია პრორუსული ორიენტაციისა იქნება; იმიტომ, რომ მართლმადიდებლური პოლიტიკური თეოლოგიიდან გამომდინარე, მართლმადიდებლობა არსებობს იმდენად, რამდენადაც მას არა რომელიმე პატრიარქი, არამედ, იმპერატორი მართავს. მართლმადიდებლობა წარმოიშვა, როგორც იმპერიული იდეოლოგია, ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია.

დასავლეთში 1806 წელს ნაპოლეონი აუქმებს საღვთო რომის იმპერიას და ნაციონალისტური იმპერიების ეპოქაში შევდივართ — იქმნება ავსტრო-უნგრეთის იმპერია, საფრანგეთის იმპერია, რომელიც ნაპოლეონის ეპოქაში ჯერ კიდევ არის უნივერსალისტური იდეოლოგიის მატარებელი, ისევე, როგორც ბრიტანული იმპერია. ბრიტანული იმპერია საკუთარ თავს აღიქვამს არა როგორც კოლონიზატორს, არამედ, როგორც ცივილიზაციის შემტანს. მათი მიზანი ამართლებს ძალადობას, ისევე, როგორც ქრისტიანობა ამართლებდა ძალადობას, მაშინ, როცა ის სახელმწიფო რელიგიად იქცა. გვაქვს კიდევ ერთი — რუსეთის იმპერია. იმპერია არ ნიშნავს დიდ ქვეყანას, რომელიც იპყრობს, ჩაგრავს, ძარცვავს პატარა ქვეყნებს. ამას თავისი არსით იმპერიულობასთან არაფერი აქვს საერთო. თუ არ არსებობს უნივერსალისტური იდეა, რომლის ირგვლივაც ერთიანდება იმპერია, მაშინ ის არ არსებობს. რუსეთისთვის ეს იდეაა ახალი ბიზანტია, მოსკოვი კი — მესამე რომი.

ადოლფ ჰარნაკს[1], უდიდეს თეოლოგს აქვს ასეთი ფრაზა: „სამყარო უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ქრისტე“. ანუ ქრისტეს სიტყვა ითარგმნა იმ ენაზე, რომელსაც ქრისტესთან არაფერი ჰქონია საერთო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ წესრიგს არაფერი აქვს საერთო იმ მოძღვრებასთან, რასაც ქრისტე ქადაგებდა.

რუსეთის მაგალითი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ პეტრე პირველმა, როცა რუსეთი იმპერიად გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი იყო მესამე რომი, წმინდა პეტრეს ქალაქი — სანკტ-პეტერბურგი, ანუ მესამე რომი დააარსა. ის ამით ცდილობდა უნივერსალისტურ მოდელს დაკავშირებოდა, მაგრამ მის სიცოცხლეშივე, რუსულმა ნაციონალიზმმა თარგმნა ის, არა როგორც პეტრე მოციქულის, არამედ, როგორ პეტრე პირველის ქალაქი. პეტრე პირველი კი ეროვნულ გმირად იქცა. აქაც, როგორც ყოველთვის, პარტიკულარიზმსა და უნივერსალიზმს შორის დაპირისპირებაა.

მეცხრამეტე საუკუნეში, ალექსანდრე მესამის დროს რუსიფიკაციის პოლიტიკა დაიწყო. მოგვიანებით ლენინი ახასიათებს რუსეთის იმპერიას, როგორც ხალხთა საპყრობილეს. ოქტომბრის რევოლუციის მიზანი ხალხების გათავისუფლებაა ამ საპყრობილისგან. 20-იანი წლებში, საბჭოთა კავშირის დასაწყისში, რევოლუციის წამყვანი ფიგურებისთვის — ლენინისა და, განსაკუთრებით, ტროცკისთვის, არ არსებობს ნაციონალიზმის იდეა. ლენინი უფრო ცდილობდა ახალი მოდელები მოეძებნა და ახალ პოლიტიკურ წესრიგში გადასულიყო.

დღევანდელი რუსეთი არ არის იმპერია, ეს ნაციონალისტური სახელმწიფოა. თანამედროვე რუსეთს იმპერიულობისგან მხოლოდ ძალადობის სისტემა შემორჩა და დღეს, გარდა ძალადობისა, არაფრის შემოთავაზება არ შეუძლია.

მახსოვს, ჩვენი თაობისთვის ძალიან მტკივნეული იყო ის, რომ ეროვნულობას გვიკრძალავდნენ, ქართველობას გვართმევდნენ. თუმცა, რეალურად, მთელი ქართული ნაციონალიზმი სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა.

გავიხსენოთ ცნობილი ტექსტი — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ — ჩვენ გვეგონა, რომ ეს იდეოლოგია საუკუნეების განმავლობაში მოგვდგამდა და ქართველები ოდითგანვე ფიქრობდნენ, რომ მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ქართულად განიკითხავდა. მაგრამ სინამდვილეში ამ ტექსტის არსებობა 1924 წელს გავიგეთ, როცა ნიკო მარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გაგზავნა პალესტინაში: მან იქ ეს ხელნაწერი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა. ის ფუნდამენტი, რომელსაც ქართული ნაციონალიზმი ახლაც ეფუძნება, სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა, განსაკუთრებით, სტალინის ეპოქაში. გავიხსენოთ სტალინის შეხვედრა ქართველ ისტორიკოსებთან სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილთან, რომელთაც სტალინმა პირდაპირ დაავალა, შეექმნათ ახალი ქართული ისტორია, რომლის მიხედვითაც საქართველო პროტოქართული, ევრაზიული ცივილიზაციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, სტალინმა შექმნა დავით აღმაშენებლის კულტიც. მანამდე საქართველოში ორი მეფის — თამარისა და ერეკლეს იდეალი არსებობდა. დავით აღმაშენებლის აღზევება იწყება 30-40-იან წლებში. ქართული ნაციონალური ნარატივიც ფაქტობრივად ამ დროს იქმნება.

სტალინმა იმპერიული სტრუქტურა შეცვალა. ადრესაბჭოური უნივერსალისტური წყობა, რომელიც ტრანსნაციონალურ, მთელ სამყაროში პროლეტარიატის პერმანენტული

რევოლუციის იდეას ეფუძნებოდა, ტროცკის განდევნასთან ერთად გაქრა. პერმანენტული რევოლუციის იდეის მიხედვით, რომლის ავტორია მარქსი, ემხრობოდა და განავითარა ტროცკემ, ერთ ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. სტალინმა კი თქვა, რომ რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელია ცალკეულ, ერთ ქვეყანაშიც, ანუ პარტიკულარიზმმა აქაც გაიმარჯვა უნივერსალიზმზე. პარტიკულარიზმს ვხედავთ სტალინის მოდელში, რომელიც 20-იანი წლებისგან განსხვავებით სტალინის ეპოქაში შეიქმნა და ცოცხალი ბელადის კულტს დაეფუძნა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზანტიური მოდელი, განსხვავებით რომის საღვთო იმპერიისგან, სადაც ერთი — ლათინური ენა იყო, ნაციონალური ენების განვითარებას გულისხმობდა. სწორედ ამან მოგვცა საშუალება, რომ ქართველებს საღვთო წერილი უკვე მეცხრე საუკუნეში გვქონოდა. შეიძლება უფრო ადრეც იყო ნათარგმნი, მაგრამ ბიბლიის უძველესი შემორჩენილი ქართული ხელნაწერი სწორედ მეცხრე საუკუნისაა.

მარტინ ლუთერის მიერ მე-18 საუკუნეში ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნამ კათოლიკურ წიაღში პროტესტანტული რელიგიის გაჩენა განაპირობა. პროტესტანტიზმი არა მხოლოდ კაპიტალიზმის იდეოლოგიური ბაზაა, არამედ, ნაციონალისტური იდეოლოგიის საფუძველიც.

რა პროცესი იწყება საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდში? აქ სტუმრის კულტი უნდა განვიხილოთ. ქართველი არის ის, ვინც სტუმართმოყვარეა, ანუ არსებობს სტუმრის კულტი. საბჭოთა კავშირის ნგრევა და დამოუკიდებელი საქართველოს შენება ამ ერთი ტერმინის ცვლილებით დაიწყო: სტუმარი, რომელიც ქართველისთვის წმიდათაწმიდა ცნება იყო, ნეგატიურ ხასიათს იძენს. მთავარი ლოზუნგი, რომელიც ეროვნულ მოძრაობას გამოაქვს, ასეთია — სტუმრები უნდა წაბრძანდნენ საკუთარ სახლებში. ვინ არიან სტუმრები? სტუმარია ყველა ის, ვინც ეთნიკურად, სისხლით ქართველი არ არის.

ტყუილია ის, რომ საბჭოთა კავშირში ეროვნებას, ისტორიას ან ენას ვინმეს ართმევდნენ. რა თქმა უნდა, იდეოლოგიური წნეხი იყო, მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში 20-იან წლებში გამოიგონეს 44 დამწერლობა და 40 ენა. სსრკ-ში 1938 წელს გაზეთები 66 ენაზე გამოდიოდა. იგონებდნენ და წერდნენ იმ ხალხების ისტორიებს, რომელთა არსებობაც ეთნოგრაფების ვიწრო წრისთვის თუ იყო ცნობილი. შესაბამისად, იქმნებოდა ნახევრად ფანტასტიკური ისტორიები იმის შესახებ, როგორი იყო საბჭოთა კავშირი ქვის ხანაში, ბრინჯაოს ხანაში და ა. შ. ცდილობდნენ, რაღაც უწყვეტობის და მთლიანობის განცდა შეექმნათ: ურარტუ, როგორც მრავალეთნიკური სახელმწიფო სსრკ-ს ტერიტორიაზე, დიაოხისა და კოლხას გაიგივება საქართველოსთან და ა. შ. ხშირად გაიგონებთ კითხვას, რა კავშირი აქვს დღევანდელ ეგვიპტელს ეგვიპტის პირამიდებთან? მაგრამ არ ვკითხულობთ, რა კავშირი აქვს დღევანდელ ქართველს კოლხასა და დიაოხთან.

ჩემი თეზისი ასეთია — საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მოხდა იმპერიის იმიტაციების შექმნა ანუ იმპერიის თარგმნა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ან რომე-

ლიმე რესპუბლიკამ თავი გამოაცხადა ახალ იმპერიად, მაგრამ ელემენტები იმპერიული ქმედებისა აშკარად დავინახეთ. გადავხედოთ 90-იანი წლების „ლიტერატურულ საქართველოს“, რომლის რედაქტორიც ელიზბარ ჯაველიძე იყო. იბეჭდებოდა სტატიები, სადაც ამბობდნენ, რომ ოსებს უნდა ავუკრძალოთ ორ შვილზე მეტის ყოლა; უნდა გავდევნოთ „აფსუა სეპარატისტები“, „ჩამოთრეულები“ და ა.შ . საქართველომ იმ პერიოდში ეთნიკურად არაქართველები საკუთარი თავისგან გააუცხოვა.

ჩვენ ვამბობთ ფრაზებს „სეპარატისტული აფხაზეთი“, „სეპარატისტული ოსეთი“. გამოდის, რომ ჩვენ სუვერენიტეტის უფლება გვაქვს, ხოლო ოსსა და აფხაზს — არა. მე შემიძლია ვიამაყო ჩემი ეროვნების გამო, აფხაზს და ოსს კი — არა. გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას სიტყვები, ჩვენი არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ აფხაზებმა შექმნან საკუთარი სახელმწიფო, მაგრამ კავკასიის ქედს გადაღმაო. სწორედ ამ იდეოლოგიის გამო დატრიალდა საქართველოში კატასტროფები და ეს დღესაც გრძელდება — ჩვენ არ ვიაზრებთ იმას, რაც მოხდა, ხშირად ვხმარობთ ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობასაც არ ვუფიქრდებით. ეს პროცესი ამიტომაც არ მთავრდება.

ლელა გაფრინდაშვილი — ვფიქრობ, 1988 წელს საინტერესო პროცესები დაიწყო. სწორედ ამ დროს დაიწყო მასობრივი გამოსვლები, აქციები, შიმშილობები. მახსოვს, 1988 წლის სექტემბერში თბილისში, ფილარმონიაში ჩატარდა ამერიკისა და სსრკ-ს საზოგადოებების ერთობლივი კონფერენცია. მაშინ ჟურნალმა „დროშამ“ რეიგანის შესახებ სტატია დაბეჭდა და ამით აღნიშნა ეს კონფერენცია. „დროშის“ ამავე ნომერში გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის დითირამბი სტალინზე, ნოველა — „მთავარი დანაშაული, ანუ სტალინი საიქიოში“. სტალინი საიქიოში თოხნის პამიდორს და ვინც ჩადის, უყვება ამბებს, სააქაოს ამბებს. დიდი ნაწილი სტალინის ლანძღვაა, სტალინი კი ამბობს, რომ წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ანუ საქართველოში დაინახავენ, რაც გავაკეთეო. მოგვიანებით, 7 ნოემბერის აღლუმი ჩვეულებრივად ჩატარდა და გაიხსნა გიორგი სააკაძის ძეგლი.

რევაზ მიშველაძის ნოველამ დიდი დისკუსია გამოიწვია. მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ გაჩნდა სტალინის შესახებ, არა ჰიმნოგრაფიული, არამედ, ანალიტიკური სტატიები. გამოქვეყნდა შოთა ნადირაშვილის სტატია „სტალინის ფენომენის ფსიქოლოგიური აქცენტები“. ეს გრძელი სტატია იყო და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა. 1989 წლის 15 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია სტალინის სიმპათიური ფოტო და ქვემოთ — „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ ტექსტი. 1 მაისის დღესასწაულიც, მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის ტრაგედია უკვე მომხარი იყო, ჩვეულებრივად ჩატარდა. „ლიტერატურული საქართველო“ მოწინავე სტატიას უძღვნის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

9 აპრილის შემდეგ მალევე გაიმართა მერაბ მამარდაშვილის ლექცია, სადაც მან თქვა, რომ 9 აპრილი იყო ეგზალტაცია და არანაირი ეროვნული სულის აღზევება და გამარჯვება

ამ დღეს არ ყოფილა. ცნობილია დარბაზის რეაქციაც — იქ კატასტროფა ხდებოდა. ფსიქოლოგი დავით ამირეჯიბი მაშინ მთავარი დამრტყმელი ძალა იყო: მახსოვს, ლამის ისტერიკაში ჩავარდა. ჩემთვის გამბედაობა იყო მერაბ მამარდაშვილის სიტყვები, ამის თქმას მაშინ მე ნამდვილად ვერ გავბედავდი.

გიორგი მაისურაძე — გავიხსენოთ, როგორ დაწყო ეს გამოსვლები. ეს იყო ანტიაფხაზური კამპანია, რომელსაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა. რაციონალურად რომ შევხედოთ, არსებობდა რაღაც იმპერატივი, რომ იქ, აქციაზე აუცილებლად უნდა წასულიყავი და დამდგარიყავი. ყველამ იცოდა, რომ ტანკებით მოდიოდნენ და ნათელი იყო, რომ ეს ტანკები გადასავლელად მოვიდნენ და არა მოსაფერებლად.

ლელა გაფრინდაშვილი — რამდენად ცნობიერი იყო იქ დგომა? გვესმოდა კი, რატომ ვიდექით? მე წარმოდგენაც არ მქონდა, რაში ვმონაწილეობდი. იმპულსურად ვმოქმედებდით, ეს არ იყო გაცნობიერებული არჩევანი.

გია ავალიანი — რამდენად ჰქონდათ გააზრებული 80-იანი წლების ლიდერებს ეროვნული მოძრაობა და ის შედეგები, რაც მას მოჰყვებოდა? სამწუხაროდ, ასაკი არ მიწყობს ხელს, რომ ამ მოვლენების თანამონაწილე ვყოფილიყავი, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხი იმ ტოტს ჭრიდა, რომელზედაც თავად ისხდნენ. ანუ საბჭოთა კავშირში შეიქმნა ის საქართველო, რომელსაც ეს ხალხი იცავდა. ზესახელმწიფოსთვის აუცილებელი იყო, რომ მის მოქალაქეებს განსაკუთრებულობის შეგრძნება ჰქონოდათ. ეროვნულმა მოძრაობამ ეს ვერ გაიაზრა.

რაც შეეხება სტალინს, დღეს დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სტალინზე კარგის თქმა ცუდ ტონად ითვლება; მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ თავისუფალ საქართველოში შიმშილითაა მკვდარი სამჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე სტალინის 30-იანი წლების რეპრესიების დროს. თუმცა, საქართველოში ამას არავინ განიხილავს ადამიანის უფლებების დარღვევად. გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში წერია, რომ ნებისმიერი ადამიანის უფლებაა — იყოს უზრუნველყოფილი საკვებითა და სამედიცინო მომსახურებით, იყოს დაცული უმუშევრობისგან და უმუშევრობის შემთხვევაში — სახელმწიფოსგან მიიღოს ის გარანტიები, რაც უზრუნველყოფს მის ღირსეულ ცხოვრებას. ადამიანის უფლებები მარტო პოლიტიკური თავისუფლებები არ არის. ადამიანის უფლებები ფართო სპექტრს მოიცავს.

სტალინური სისტემა იყო კომპრომისი ინტერნაციონალურ და ნაციონალისტურ იდეოლოგიებს შორის. მან ნაციონალურ სახელმწიფოებსაც მისცა გარკვეული თავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა დაინგრეოდა. თუ ჩვენ უარვყოფთ ინტერნაციონალიზმს, რაც ახასიათებდა საბჭოთა კავშირს და გადავალთ ნაციონალიზმზე, კავკასიაში მშვიდობა არც ერთი დღით არ შენარჩუნდება.

გიორგი მაისურაძე — საუბრის დასაწყისში ჰარნაკის სიტყვები ვახსენე ქრისტიანობასთან დაკავშირებით; პარტიკულარული იმდენად ძლიერია სამყაროში, რომ ხშირად პოლიტიკურ რეალობას განსაზღვრავს. სტალინის მოდელი უფრო ახლოს იყო ამ თავდაპირველ მოდელთან, ვიდრე ლენინის ან ტროცკისა, რომელიც ზენაციონალურ პრინციპზე იყო დაფუძნებული. საბჭოეთში 20-იანი წლების დასაწყისში იმდენად თამამი ექსპერიმენტები ტარდებოდა, რომ დღეს გიჟობადაც კი მოჩანს. სტალინი დაუბრუნდა ტრადიციულ მოდელს, რომელიც ახლოს იყო თემურობის პრინციპთან. ჩვენ დღესაც ვეჭიდებით იმას, რომ ჩვენნაირი განათლებული და კულტურული ერი არ არსებობს.

ლელა გაფრინდაშვილი — თქვენ თქვით, რომ საბჭოთა კავშირის დროს არ კრძალავდნენ ეროვნულობას. მაშინ რას უკავშირდებოდა 20-30-იანი წლების რეპრესიები?

გიორგი მაისურაძე — რეპრესიები ეროვნულობას არ უკავშირდებოდა. მაგალითად, 20-იან წლებში ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს[2] ჰქონდათ იდეა, რომ ქართველს არ შეიძლებოდა ექორწინა არაქართველზე. კიდევ კარგი, ეს ბნელი ხალხი ლენინმა გააჩერა.

ლელა გაფრინდაშვილი — 20-იან წლებში ძალიან ბევრი სამარცხვინო ფაქტი ხდებოდა. მაგალითად, ცნობილია, რომ მაშინ მწერალთა კავშირში დახმარების სათხოვნელად მივიდა ერთი, წარმოშობით სომეხი, დრამატურგი ქალი, რომელსაც ტიციან ტაბიძემ უთხრა, როგორ ბედავ აქ მოსვლას, როცა სომხურ გაზეთებში ანტიქართული სტატიები ქვეყნდებაო?! მაშინ, როდესაც ამ ქალმა სომხური საერთოდ არ იცოდა.

გიორგი მაისურაძე — საბჭოთა კავშირში არა თუ აკრძალული არ იყო ეროვნულობა, არამედ, საბჭოთა სახელმწიფოს დაფინანსებითაა გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, ძველი ქართული მწერლობა, ფინანსდებოდა ისტორიის, ხელნაწერთა ინსტიტუტები, არქეოლოგია და ა. შ. მილიონობით თანხები იდებოდა საბჭოთა ხანაში ეროვნულ კულტურებში. ამგვარი რამ რუსეთის იმპერიაში არ ხდებოდა. სწორედ სტალინის დროს შემოიტანა ისტორიაში კრიტიკული ანალიზი ივანე ჯავახიშვილმა. დღეს რომ ჯავახიშვილი მისივე დაარსებული უნივერსიტეტის რექტორი ყოფილიყო, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი მას ტერაქტს მოუწყობდა. სადოქტორო დისერტაციაში ანდრია პირველწოდებულის და წმინდა ნინოს შესახებ, ჯავახიშვილი აანალიზებს ისტორიულ წყაროებს და ამბობს, რომ ბევრი რამ იქ ზღაპარია. დღეს ბევრ რამეს ტაბუ ადევს, ანუ რეგრესია. დღევანდელ მდგომარეობას მაშინდელს ვერ შევადარებთ, თუნდაც ფინანსური კუთხით. გასაგებია, რომ საქართველოს ფული არა აქვს, მაგრამ საუბარია სტრატეგიაზე. დღეს საქართველოში ფული არის სასტუმროებისთვის, კონცერტებისთვის, მაგრამ არ არის გა-

ნათლებისთვის. საბჭოთა კავშირისგან გათავისუფლება გავიგეთ, როგორც გათავისუფლება განათლებისა და კულტურისგან, რომელიც თავს საბჭოთა კავშირმა მოგვახვია. მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და მას შემდეგ ვანგრევთ განათლებას, მეცნიერებას, კულტურას და ხელოვნებას.

დარბაზიდან — გიორგიმ დასაწყისში ისაუბრა იმის შესახებ, რომ პარტიკულარიზმი ბუნებრივია, უნივერსალიზმი კი — მისი გაგრძელება. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სოციალიზმი არაბუნებრივია, მაგრამ მისი დამყარების ყველა მცდელობას მივყავართ ტერორამდე და ვიღებთ სრულიად საპირისპიროს. პარტიკულარიზმი არის ბუნებრივი, ხოლო უნივერსალიზმი მხოლოდ ტერორის შედეგად მყარდება და საბოლოოდ ვიღებთ იმ პარადოქსს, რომ უნივერსალურ იმპერიაში, საბჭოთა კავშირში უამრავი პარტიკულარიზმი წარმოიქნა.

გიორგი მაისურაძე — ამ შემთხვევაში „ბუნებრივი“ პირობითი სიტყვაა. ოჯახი არ არის ბუნებრივი, ბუნება არ გვაძლევს ოჯახს, როგორც წარმონაქმნს. მაგრამ არსებობს საზოგადოების პირველადი ფორმები, რომლებიც გარკვეულწილად ბუნებასთან ახლოა, იმიტომ ვუწოდებ ბუნებრივს. მაგალითად, ბევრად უფრო მარტივია, გავერთიანდეთ იმ ნიშნით, რომ საერთო ბებია გვყავდა, ვიდრე საერთო ინტერესები ვეძებოთ. საქართველოში ამ „ბუნებრიობას“ ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველა უპირისპირდება. ქართული ტრადიციული სამართლის შესახებ ამბობს: „ვაი, ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდო-ბრალითა.“

რაც შეეხება სოციალიზმს, ის არ გულისხმობს ტერორს. ვერ ვიტყვით, რომ ობამა და მაო ძე დუნი ერთი და იგივეა. არსებობს რეგლამენტაციის ფორმები. მაგალითად, დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა რეგლამენტს უწესებს დიდ კორპორაციებს და ბანკებს, რომლებიც ცდილობენ, მონოპოლისტები იყვნენ. ეს იმიტომ ხდება, რომ პროცესი შეიძლება უმართავი გახდეს, რაც ორი-სამი წლის წინ ეკონომიკური კრიზისის სახით ვიხილეთ. შეუზღუდავმა ძალაუფლებამ, რომელიც დიდ კორპორაციებს ჰქონდათ, კოლაფსამდე მიიყვანა ეკონომიკა. სახელმწიფოს ფუნქციაა შექმნას ისეთი გარემო, რომ მოქალაქეები დაცულები იყვნენ ამგვარი მოულოდნელობებისგან.

დარბაზიდან — ძალიან საინტერესო იყო იმპერიის, როგორც უნივერსალურსა და პარტიკულარიზმს შორის ხაზი. მაგრამ თქმა იმისა, რომ ზუსტად ასეა, გამიჭირდება. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იმპერია კარგი რამ ყოფილა. არადა, ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში 80-ზე მეტი მცირე ეთნოსი გაქრა. ის, რომ შექმნეს დამწერლობები და ისტორიები, აუცილებლობამ მოიტანა. სტალინი ნაციონალიზმისკენ იმიტომ შემობრუნდა, რომ მარქსიზმით ვერ მართავდა ქვეყანას და გადაწყვიტა, ცოტა ისტორიით, ცოტა ლექსითა და სიმღერით გაერთო ეს ხალხი. ეს იყო სისტემა, რომელიც უნდა დანგრეულიყო.

გიორგი მაისურაძე — იმპერია არ არის ისეთი ერთმნიშვნელოვნად მჩაგვრელი, როგორც ნაციონალისტური სახელმწიფო. შუა საუკუნეებში იმპერია განიხილებოდა როგორც ანტიქრისტეს შემაჩერებელი ძალა. ერთმნიშვნელოვნად თქმა იმისა, რომ იმპერია ცუდია ან კარგი, მე არ შემიძლია. რაც შეეხება ჩაგვრას. აფხაზეთში დისკუსია 1950-იანი წლებიდან დაიწყო. 1950-იან წლებში პავლე ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე" გამოქვეყნდა, რომელიც ცენზურამ შეაჩერა იმის გამო, რომ აფხაზები ძალიან აღშფოთდნენ. ამ წიგნში არის გამიჯვნის მცდელობა — შუა საუკუნეების აფხაზებს არაფერი აქვთ საერთო შემდეგ, მოგვიანებით ჩამოსახლებულ აფსუებთან. ამან აფხაზების ნაციონალური გრძნობები შეურაცხყო, რაც გასაგებია. ხომ არ შეიძლებაა ვთქვათ, რომ იბერები სხვები არიან, და მერე ჩვენ მოვედით?

ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია სტალინიზმის მთავარი ინსტრუმენტია. ჯანაშია და ბერძენიშვილი სტალინმა დაიბარა ერთი მიზნით, რომ დაეწერათ ცნობილი სტატია, რომელიც მერე ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა — „პრავდამ", „კომუნისტმა" და ა. შ., სადაც აღწერილი იყო ჩვენი ისტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ. თუ ვაცხადებთ, რომ ეს ყველაფერი ჩვენია, მაშინ ვამზადებთ საფუძველს პოლიტიკური ინტერვენციისთვის თურქეთში. ეს აბსურდია; მაგალითად, სირია გარკვეულ დროს სომხეთის მფლობელობის ქვეშ იყო, მაშინ სომხეთსაც უნდა ჰქონდეს პრეტენზიები? ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას განუწყვეტელ კონფლიქტებამდე მივყავართ, საიდანაც ვერასდროს გამოვალთ.

მახსოვს, როგორ იწყებოდა აფხაზეთის კონფლიქტი. სოხუმის უნივერსიტეტის ქართულმა სექტორმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აფხაზურ უნივერსიტეტს გამოეყო. აფხაზეთის ქართული ნაწილი უკმაყოფილო იყო იმიტომ, რომ უმრავლესობას წარმოადგენდა და ეს არ აისახებოდა პოლიტიკურ თანამდებობებში. ქართველები არ იყვნენ პირველი პირები. სახაროვი ამბობდა, ჩაატარეთ რეფერენდუმი და ხალხმა თვითონ გადაწყვიტოსო. ჩვენ კი დავიწყეთ ლანძღვა-გინება, მუშტი-კრივი და ბრძოლა. მათაც გვიპასუხეს, ეს ბუნებრივია. ესკალაცია იზრდება და იზრდება. ჩვენ დღემდე ვერ გაგვიცნობიერებია, რომ აუცილებელია, საერთო ენა მოვძებნოთ აფხაზებთან და ყველაფერს მესამე ძალას ვაბრალებთ. რა თქმა უნდა, ამ პირობებში სულ იარსებებს ეს მესამე ძალა.

დარბაზიდან — მინდოდა ყურადღება გამემახვილებინა უფრო სოციალურ-კულტურულ ასპექტებზე, მაგალითად, ქართულ სუფრაზე. ცნობილია, რომ ეს იყო პლატფორმა, სადაც მუშავდებოდა სეპარატისტული ქართული იდეები. ქართული სუფრა დღესაც ასევე არსებობს. როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ ეს ფენომენი, რომელიც ისტორიულად კონკრეტული მისიით ჩამოყალიბდა, მაგრამ თავისი თავი ამოწურა, დღესაც განაგრძობს არსებობას?

გიორგი მაისურაძე — რაც შეეხება ქართულ სუფრას, სულ მქონდა განცდა, რომ ჩემზე ძალადობა ხორციელდებოდა და ახლაც იგივე განცდა მაქვს, როცა ქართულ სუფრაზე

აღმოვჩნდები ხოლმე. არ შეიძლება ყველა ერთსა და იმავეს ფიქრობდეს, ამბობდეს და ერთმანეთს შესცქეროდეს სუფრაზე. არ მგონია, რომ ამას ბუნებრიობასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. სხვათა შორის, ეს ნარატივი, რომ სუფრაზე იკრიბებოდნენ ადამიანები, და იქ პოლიტიკურ თემაზე საუბრობდნენ, პირველად მეცხრამეტე საუკუნეში ჩნდება აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავში“.

ნაციონალიზმმა, რომელიც საბჭოთა იმპერიაში არსებობდა, ტრანსფორმაცია განიცადა. ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში არავის სწამდა კომუნისტების. ჩემი სკოლის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც წითელი ყელსახვევების ტარებას გვაიძულებდა, დღეს მებრძოლი მართლმადიდებელია.

საბჭოთა მასა ნაციონალისტურ ან მართლმადიდებლურ მასად გადაიქცა. ნუ გვეგონება, რომ მაშინდელ კომუნისტებს მარქსი ჰქონდათ შესწავლილი. ისევე იყვნენ, როგორც დღევანდელი მართლმადიდებლების ძირითადი ნაწილია, ანუ ყურმოკრულის დონეზე იცოდნენ რაღაც. ეს საკმაოდ კრიტიკული მასაა. ის, რაც საბჭოთა დროს მარგინალური იყო, დღეს მეინსტრიმად იქცა.

ლელა გაფრინდაშვილი — ქართულ სუფრაზე ნაციონალისტური იდეები მართლაც იხარშებოდა. ვთვლი, რომ ამას თერაპიული ეფექტიც ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ ჩემმა მეგობარმა ამერიკელი სტუმარი მოიყვანა, რომელმაც თქვა — მე რომ ვინმემ ამდენი ტკბილი სიტყვას მითხრას, რასაც ქართველები ერთმანეთს სუფრაზე ეუბნებით, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდიო. ეს ფსიქოთერაპიის პროცესია. ჩემი შეხედულებით ქართული სუფრა ძალიან საინტერესო რიტუალია, რომელიც თავიდან, ალბათ, წინაპართა და მიცვალებულის კულტს უკავშირდებოდა და არა ნაციონალისტურ იდეას.

დარბაზიდან — ილია ჭავჭავაძის ფაქტორი რამდენად მნიშვნელოვანი იყო სტალინის ეპოქაში და სტალინისთვის?

გიორგი მაისურაძე — ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლეშივე უწოდებდნენ „უგვირგვინო მეფეს“ და „ერის მამას“, მაგრამ ილია ოფიციალურად ყველაზე დიდ ქართველად 1937 წელს გამოაცხადეს, როცა საკავშირო მასშტაბით გადაიხადეს მისი იუბილე. ჩემი აზრით, ნარატივი, რომელიც ბაზალეთის ტბის ძირას მდგარ აკვანს უკავშირდება, სწორედ სტალინის დროს გაჩნდა.

1934 წლის საკავშირო მწერალთა კავშირის ყრილობაზე საქართველოდან ძირითადი მომხსენებელი იყო მალაქია ტოროშელიძე,რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ დახვრიტეს. როდესაც მან მოხსენების პირველი ვერსია წარადგინა, აღმოჩნდა, რომ ის თხრობას ეგნატე ნინოშვილიდან — სოცრეალიზმის პირველი ქართველი წარმომადგენლიდან იწყებდა. სტალინმა ეს ტექსტი დაიწუნა და თავზე გადაახია. როგორც ამბობენ, მისი გა-

მოსვლის ტექსტი პავლე ინგოროყვამ და გერონტი ქიქოძემ დაწერეს. საინტერესოა: ამ ყრილობაზე როდესაც უკრაინის წარმომადგენელი გამოვიდა, მან საკუთარი მოხსენების სამი მეოთხედი ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა. აქედანვე მოდის ის თვალსაზრისიც, რომ ქართული ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველია.

დარბაზიდან — მაინტერესებს, ევროპაში დღეს არის თუ არა იმპერია?

გიორგი მაისურაძე — ვერ ვიტყოდი, რომ ევროპაში დღეს არის იმპერია; იმიტომ, რომ არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება. ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისის გამო ამბობენ, რომ ევროპას არ გააჩნია მართვის ეფექტური მექანიზმები. რაღაც მექანიზმები არსებობს, მაგრამ ისინი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსალიზმის იდეა ძალიან მნიშვნელოვანია ამ პოლიტიკური გაერთიანებისთვის, ევროკავშირს გაუჭირდება — იმიტომ, რომ ის ორიენტირებულია ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ სივრცეზე და არ ექვემდებარება ექსპანსიას. ამის კარგი მაგალითია ის, რაც თურქეთთან დაკავშირებით ხდება. იმპერია ყოველთვის გულისხმობს მთელ მსოფლიოში ექსპანსიას.

სქოლიო

[1] ადოლფ ფონ ჰარნაკი (1851-1930) — გემანელი ფილოსოფოსი და თეოლოგი, 1801 წლიდან — ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი. ავტორი წიგნებისა „დოგმების ისტორია“ (1885-1890), „ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ისტორია ევსებიოსმდე“ (1893-1904), „ქრისტიანობის არსი“ (1900), „მონაზვნობა, მისი იდეალები და ისტორია“ (1903).

[2] ქართველი ნაციონალ-უკლონისტები — ასე ეძახდნენ ქართველ კომუნისტთა ნაწილს, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სსრ-ს სუვერენიტეტის უზრუნველყოფას და ცენტრის (მოსკოვის) კონტროლის და ჩარევის შემცირებას; ეწინააღმდეგებოდნენ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას.

სტალინური დეპორტაციები და პოლიტიკა რეპრესირებულთა მიმართ

14, 11. 2011

მომხსენებლები:

თემურ ლომსაძე — რეპატრიაციის ხელშეწყობის საერთაშორისო ფონდის თავმჯდომარე

გარი აუგსტი — საქართველოს გერმანელთა ასოციაცია „აინუნგის“ პრეზიდენტი

ნათია კაციტაძე — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მოდერატორი: ლაშა ბაქრაძე — საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი

ლაშა ბაქრაძე — გერმანელების დეპორტაციიდან 70 წელი გავიდა, ეს საბჭოთა კავშირში მთელი ეთნიკური ჯგუფის გადასახლების პირველი მასშტაბური აქცია იყო, რომელსაც მოჰყვა სხვა მსგავსი აქციები ომის დროს და ომის შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოდან გადასახლებულები რეპრესირებულები იყვნენ პრევენციულად, მათ არანაირი დანაშაული არ მიუძღოდათ. დღეს ასევე ვისაუბრებთ მაჰმადიანი მესხების დეპორტაციის შესახებაც.

გარი აუგსტი — „დეპორტაციიდან 70 წლის შემდეგ“ — ასე ჰქვია ჩემს მოხსენებას. გერმანელების დეპორტაცია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან ციმბირსა და ყაზახეთში 1941 წელს, გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე დაიწყო და ეტაპობრივად ხორციელდებოდა, გერმანელები ჯერ დასვლეთის რეგიონებიდან გაასახლეს.

1941 წლის 8 ოქტომბერს გამოვიდა ბრძანება სტალინის ხელმოწერით. მანამდე 28 აგვისტოს უმაღლესი საბჭოს დადგენილება იყო, სადაც ეწერა, რომ საქართველოდან 23 500 გერმანელი, აზერბაიჯანიდან — 22 700 და სომხეთიდან 212 გერმანელი უნდა გაესახლებინათ. გადასახლებას გადაურჩენენ მხოლოდ ის ქალები, რომელთაც არაგერმანელი ქმრები ჰყავდათ.

საქართველოში 40 000 გერმანელი ცხოვრობდა. ამას გარდა, არსებობს ბერიას წერილი სტალინისადმი, სადაც ის წერს, რომ 1000 ადამიანი განსაკუთრებით საშიში იყო საქართველოსთვის. მამაჩემი სწორედ იმ ათას კაცში მოყვა. ზოგადად, რეპრესირებულთა საერთო რიცხვი ცნობილი არ არის, იმიტომ, რომ კოლექტივიზაციის და გოლოდომორის დროს არავინ არაფერს ითვლიდა. დეპორტირებულების რიცხვი არსებობს, მაგრამ არ ვიცით, რამდენი ადამიანი დაიღუპა.

საბჭოთა კავშირიდან სულ დეპორტირებული იყო 2 753 000 ადამიანი, აქედან გერმანელები 1 224 000. საქართველოდან გერმანელების გარდა გადაასახლეს მაჰმადიანი მესხები, ასირიელები, ნაწილობრივ — ბერძნებიც.

ჯერ კიდევ ომამდე, 1940 წლის 23 ივნისს გამოვიდა განკარგულება მურმანსკიდან და მურმანსკის ოლქიდან უცხოელების გადასახლების შესახებ. ამ ბრძანების მიხედვით გადასახლებას ექვემდებარებოდნენ ფინელები, ესტონელები, ლატვიელები, ლიტველები, ნორვეგიელები, შვედები, გერმანელები და სხვები. ომის დაწყების შემდეგ დეპორტირებულები იყვნენ გერმანელები, პოლონელები, ფინელები, ყირიმის თათრები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები. დეპორტირებულების 44% შეადგენდნენ გერმანელები.

1929 წლის აღწერით საბჭოთა კავშირში 1 400 000 გერმანელი ცხოვრობდა; ზუსტად ვიცით, რომ აქედან 1 224 000 გაასახლეს. დანარჩენი, ალბათ, ქალები იყვნენ.

ბრძანება 1941 წლის 8 ოქტომბერს გამოვიდა და გერმანულ ოჯახებს მიეცათ 48 საათი მოსამზადებლად. თითოეულ ოჯახს მხოლოდ 1 ტონა ბარგის წაღების უფლება ჰქონდა. ისინი ჯერ საქონლის ვაგონებით მიიყვანეს ბაქოში, შემდეგ იქ გემის ტრიუმში ჩასვეს და

კრასნოვოდსკში გადაიყვანეს; ყაზახეთამდე, სემიპალატინსკამდე ისევ მატარებლით ამგზავრეს და ირკუტსკის გავლით სერიავსკში გადაასახლეს. ეს გრძელი და მძიმე გზა იყო. დეპორტირებულებმა დანიშნულების ადგილამდე დეკემბერში მიაღწიეს. ისინი კი ჩამოყარეს ტრიალ მინდორზე და უთხრეს, როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთო. ვისაც რაღაც პროფესია ჰქონდა, ან ექიმი იყო და ან ბუღალტერი, ყაზახებმა სამუშაო ადგილები მისცეს, სხვებს ძალიან გაუჭირდათ და ბევრი დაიხოცა კიდევაც.

საინტერესოა, რომ იქვე იყო გადასახლებული პოლონელების — ინტელიგენციის და არისტოკრატიის დიდი ჯგუფი. ეს დაახლოებით იგივე პროცესია, რაც კატინში[1] მოხდა. ოღონდ კატინში სამხედროები იყვნენ, აქ — სამოქალაქო პირები. გადასახლებაში მყოფ პოლონელებს აიძულებდნენ მიეღოთ სსრკ-ს მოქალაქეობა, რაზეც ისინი დაბრუნების იმედით უარს ამბობდნენ. პოლონელებს ამერიკიდან ამანათებს უგზავნიდნენ, ისინი კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ გერმანელებთან და ეხმარებოდნენ მათ მედიკამენტებითა და პროდუქტებით.

1942 წელს 15-დან 55 წლამდე გერმანელი მამაკაცები შრომით არმიაში გაიწვიეს; ამ არმიაში ქალებიც მოხვდნენ. იქ ძალიან ცუდი პირობები იყო და ბევრი დაიღუპა. 1955 წელს მათ სპეცდასახლების სტატუსი მოუხსნეს, დაბრუნების უფლება არ ჰქონდათ, ოღონდ ცოტა უფრო თავისუფლად ცხოვრობდნენ.

გერმანელებს მხოლოდ 1972 წელს მისცეს საქართველოში დაბრუნების უფლება, მაგრამ თბილისში არ უშვებდნენ, ძირითადად, რუსთავში დაასახლეს. პატარა დასახლება იყო ბოტანიკა, რომელიც მერე სრულიად დაიცალა, მათი უმეტესობა გერმანიაში წავიდა.

დიანა კესნერი, რომელმაც გერმანელების დეპორტაციის შესახებ ძალიან საინტერესო წიგნი დაწერა, კონსერვატორიის პროფესორის, ფრანც კესნერის შვილიშვილი იყო. მამამისი იურისტი და ბუღალტერი გახლდათ და ყაზახეთში სამსახური იოლად იშოვა. მან რაღაცნაირად, ფარულად მოახერხა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ მალევე დაიჭირეს. საინტერესოა, რომ თურმე, არსებობდა ალექსანდრე მესამის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, უცხოელი, ვინც მართლმადიდებლურად მოინათლებოდა, რუსად ითვლებოდა. გამომძიებელმა მონახა ეს ცნობა, რომ მონათლულები იყვნენ და ისინი ამ ცნობის საფუძველზე გაათავისუფლეს.

1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის წინ საბჭოთა კავშირს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ გერმანელებს და ებრაელებს ემიგრაციის საშუალებას არ აძლევდნენ. ბრეჟნევმა გამოიძახა ანდროპოვი და ჰკითხა, რამდენი გერმანელია საბჭოთა კავშირშიო, რაზეც ანდროპოვმა უპასუხა, ახლა 2 მილიონია, მაგრამ თუ ემიგრაციის უფლებას მივცემთ, 10 მილიონი გამოჩნდებაო.

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის შესახებ," სადაც ჩაწერეს, რომ ეთნიკური ნიშნით გადასახლებულთა შესახებ ცალკე კანონი

გამოვიდოდა. მაგრამ, ცხადია, არანაირი კანონი არ მიუღიათ. დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ეს კანონი საქართველოს მოქალაქე დეპორტირებულ გერმანელებსაც შეგვხებოდა. ჩვენს განცხადებებს სასამართლოები არ იღებდნენ, შემდეგ, ნინო ბურჯანაძე დაგვეხმარა. ამ კანონში იყო საუბარი მორალურ კომპენსაციაზე, რომელიც არ გაუციათ. ადრე რეპრესირებულთა პენსია 49 ლარი იყო, სამჯერ მეტი ჩვეულებრივ პენსიაზე, გვქონდა კომუნალური შეღავათები; მერე ყველა ეს შეღავათი მოხსნეს. ახლა რეპრესირებულის პენსია 70 ლარია, ანუ ჩვეულებრივ პენსიაზე ნაკლები.

ძმებმა კილაძეებმა, რომლებმაც 1937 წელს მშობლები დაკარგეს, მორალური კომპენსაციის მისაღებად საქართველოში ყველა ინსტანციის სასამართლო გაიარეს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ლონდონელი ადვოკატების დახმარებით სტრასბურგში შეიტანეს საჩივარი. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ, მორალური კომპენსაციის ნიშნად თითოეულს 4000 ევრო უნდა გადაუხადოს. ასევე, განაჩენის მიხედვით სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა რეპრესიების მსხვერპლთა აღწერა, შეედგინა ბიუჯეტი და გაეცა კომპენსაციები. ამის ნაცვლად სახელწმიფომ კომპენსაციის გაცემა სასამართლოს დაავალა, სასამართლოები კი 200-400 ლარამდე გასცემენ. მინდა ვთქვა, რომ ეს მორალური კომპენსაცია არ არის.

გურამ სოსელიამ — ქართული „მემორიალის“ თავმჯდომარემ მისწერა წერილი პარლამენტის თავჯდომარეს, სადაც ნათქვამია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა რეპრესირებულთა კომპენსაციის საკითხი 90-იან წლებში გადაწყვიტეს. სომხეთში 12 მინიმალური ხელფასის ოდენობით გასცეს, ბელორუსიაშიც კი, რეპრესირებულებს 60 თვის ხელფასის ოდენობის თანხა მიაკუთვნეს.

თემურ ლომსაძე — საქართველოს სამხრეთ რეგიონებიდან მაჰმადიანი მესხები 1944 წელის 15 ნოემბერს გაასახლეს. მესხებსაც 48 საათი მისცეს და ისინიც არაადამიანურ პირობებში, საქონლის ვაგონებით გადაჰყავდათ. მოგეხსენებათ, ნოემბერში ძალიან ცივა. სულ 92 374 მესხი გაასახლეს შუა აზიის ქვეყნებში — ყირგიზეთში, ყაზახეთში და უზბეკეთში. 20 000 მესხი, რომლებიც ომში იბრძოდნენ, ომის შემდეგ დაექვემდებარნენ დეპორტაციას.

მინდა გაგაცნოთ ჩემი მოსაზრება დეპორტაციის შესახებ — ესაა ეთნიკური შემადგენლობის დანაშაულებრივი ფორმით ხელოვნური ცვლილება სახელმწიფო მიზნების მისაღწევად. ხოლო რეპატრიაცია — გადასახლებულთა მიმართ ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა, მათი დაბრუნება იმ ადგილას, სადაც გადასახლებამდე ცხოვრობდნენ.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დეპორტირებული ადამიანების რეაბილიტაცია გარკვეული დროის შემდეგ ეტაპობრივად განხორციელდა: გერმანელებს სამხედრო კომენდანტის ზედამხედველობა 1955 წელს მოუხსნეს, მაჰმადიან მესხებს კი — 1956 წლის აპრილში.

მაჰმადიან მესხთა გარდა საბჭოთა პერიოდში ყველამ მიიღო რეაბილიტაცია. საბჭოთა კავშირის დროს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილებები და საბჭოთა სახელმწიფომ აღიარა, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს ამ ეთნოსების მიმართ, ეს ადამიანები გამართლებულები იყვნენ.

ერთადერთი ეთნოსი, რომელიც არ იქნა რეაბილიტირებული, მაჰმადიანი მესხები არიან. საქართველოს მთავრობამ 2007 წლის ივნისში მიიღო კანონი „ყოფილი სსრკ-ს მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკიდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეაბილიტაციის შესახებ“, სადაც პირველი მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ამ კანონით დადგენილი რეპატრიაციის სისტემა ემსახურება ისტორიული სამართლიანობის დადგენას. ჩემი აზრით, ეს ჩანაწერი რეაბილიტაციას არ ნიშნავს. ადამიანებისთვის, რომლებიც დაექვემდებარნენ დეპორტაციას, თითოეული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ კანონში არც იყვნენ მოხსენიებული მაჰმადიანი მესხები.

1942 წელს ამერიკის სამხედრო სარდლობა წინადადებით შევიდა სსრკ-ს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში საბჭოთა კავშირის საზღვრის თურქეთ-საქართველოს მონაკვეთზე, სასაზღვრო რეჟიმის გაძლიერების მიზნით საზღვრისპირა რეგიონებიდან მუსლიმანთა გასახლების თაობაზე. 1942 წელს კიდევ რაღაც ლოგიკა ჰქონდა მაჰმადიანი მესხების დეპორტაციას. 1944 წლის ნოემბერში, როცა სტალინის შიშით თურქები აღარც კი ჩანდნენ, და მათი მხრიდან საშიშროება არ არსებობდა, გაუგებარია, რატომ გაასახლეს მაჰმადიანი მესხები საქართველოდან.

ლაშა ბაქრაძე — ერთ-ერთი ვერსიით, როგორც 1945 წელს გამოჩნდა, სტალინი აპირებდა თურქეთისთვის დაერტყა და ეს წინასწარი სამზადისი იყო. იმავე დროს ყვარლის რაიონიდან გაასახლეს ლეკები. ბერძნების გასახლება ყირიმიდან ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან დაიწყო.

თემურ ლომსაძე — ეს ერთ-ერთი ვერსიაა. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ეს ხალხი შუა აზიის ასათვისებლად სჭირდებოდათ. სხვა ვერსიით, სტალინი ფიქრობდა, რესპუბლიკებად შემოეერთებინა რამდენიმე სახელმწიფო — მონღოლეთი, თურქეთი და ა. შ.

იბადება ორი კითხვა: ერთი — ვინ არიან ეს ადამიანები? რომელ ეთნოსს მიეკუთვნებიან და მეორე — რა მიზეზით გაასახლეს ისინი? მეორე კითხვაზე დღეს ზუსტი პასუხის გაცემა რთულია. შეგვიძლია მხოლოდ ვერსიებზე ვისაუბროთ.

რაც შეეხება მათ ეთნიკურ წარმომავლობას, გასახლებული მაჰმადიანი მესხების 90% ეთნიკური ქართველები არიან, რომლთა გათურქების პოლიტიკასაც მე-16 საუკუნიდან ოსმალეთი მიზანმიმართულად აწარმოებდა: ქართული მენტალიტეტი ჯერ რელიგიით, ხოლო შემდგომ ენით გარდაიქმნა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი ყოველთვის ცდილობდა სამხრეთი რეგიონები მუსლიმანებისგან გაეთავისუფლებინა.

გარი აუგსტი — გერმანელებიც ამიტომ ჩაასახლეს სამხრეთ რეგიონებში.

თემურ ლომსაძე — არამხოლოდ გერმანელები, არამედ, 30 000 არზრუმელი სომეხიც ამიტომ ჩაასახლეს მეცხრამეტე საუკუნეში სამხრეთ რეგიონებში, თურქეთში კი 60 000 ქართველი გადაასახლეს. დღეს ოფიციალური მონაცემებით თურქეთში სამ მილიონამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, არაოფიციალური მონაცემებით მათი რიცხვი ექვს მილიონამდეა.

მე შემოვიარე ყველა ქვეყანა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ მესხები — უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, საქართველო. ამერიკაში დაახლოებით 12 000 მაჰმადიანი მესხი ცხოვრობს. ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეში მესხთა უფლებები საშინლად ირღვეოდა, და ისინი ამერიკამ ამიტომ მიიღო. მაჰმადიანი მესხები ამერიკის სხვადასხვა შტატში ჩაასახლეს. ახლახან ამერიკიდან ჩამოსულ ერთ მესხს ვესაუბრე და მან მითხრა, რომ საუბარი არ არის მათ დაბრუნებაზე. ისინი სრულად ინტეგრირდნენ ამერიკაში. არადა, სულ 6-7 წელია, რაც ამერიკაში ცხოვრობენ.

შტატების გარდა, ყველა ქვეყანა შემოვიარე და მინდა ვთქვა, რომ მაჰმადიანი მესხები საშინელ ნოსტალგიას განიცდიან — მათ საქართველოს გარდა, სხვა სამშობლო არა აქვთ, ნებისმიერ მათგანს აქვს საქართველოში დაბრუნების სურვილი.

ერთი პერიოდი რეპატრიაციის სახელმწიფო კომისიის წევრი ვიყავი, რომელიც 2005 წელს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა. ამ საკითხზე რამდენიმე სახელმწიფო კომისია არსებობდა. რეალურად, ბოლო კომისიამ ყველაზე უფრო ნაყოფიერად იმუშავა. შეიქმნა სტრატეგია, თუ როგორ უნდა მოხდეს მესხების რეპატრიაცია. დაახლოებით 4000-მდე ადამიანმა შეავსო ანკეტა რეპატრიაციის მოთხოვნით, რეპატრიანტის სტატუსს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და პირადად, მინისტრი ანიჭებს. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 75 მესხის ანკეტაა უნაკლოდ შევსებული და ჯერ მხოლოდ მათ მიენიჭებათ რეპატრიანტის სტატუსი. კომპენსაცია არც იყო განსაზღვრული და ამაზე საუბარიც არ არის.

1999 წელს, როდესაც ავიღეთ ვალდებულებები ევროსაბჭოს წინაშე, ერთ-ერთი ვალდებულება მესხების დაბრუნება გახლდათ. საქართველოს ფინანსური ვალდებულებები მათ მიმართ არ აუღია. ზოგადად, რეპატრიაცია საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა. სპეციალური სამსახურები და პროგრამები სჭირდება; ანუ ის, რაც ამერიკამ გააკეთა: უნდა შეიქმნას ინტეგრაციის გარემო, დაფინანსდეს ძვირადღირებული პროექტები და ა. შ.

ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქართველოში. არავისთვის დასამალი არ არის, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მესხების რეპატრიაციის წინააღმდეგია. არის მცდარი შეხედულებები, საჭიროა ჩვენს მოქალაქეებს ავუხსნათ, ვინ არიან მესხები. ამ ადამიანებს თურქები „გურჯებს“ ეძახიან, ჩვენ „თურქებს“ ვეძახით, რუსები კი — „კავკაზეცს“: რომ გადაასახლეს, პასპორტებში მაშინ „კავკაზეც“ ჩაუწერეს. მათ თვითონვე აინტერესებთ საკუთარი წარმომავლობის გაგება.

ფაქტიურად, რეპატრიაცია არც დაწყებულა. ეს კანონი ფორმალურად მიიღეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ევროსაბჭოს წინაშე ვალდებულება გვქონდა. დღევანდელი ხელისუფლება არც მალავს, რომ არ აინტერესებს მესხების რეპატრიაცია და ისტორიული სიმართლის აღდგენა.

მინდა ვთქვა, რომ ხალხის, საზოგადოების და ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე რეპატრიაცია შეუძლებელია. მესხები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შრომისმოყვარე და კანონმორჩილი ხალხია. ეს ყველაფერი მე თვითონ მაქვს ნანახი.

ნათია კაციტაძე — 2010 წლის 2 თებერვალს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება კილაძეების საქმეზე. რეპრესიების შესახებ 1997 წლის კანონის მე-9 მუხლის თანახმად, რეპრესიების მსხვერპლს ან მის პირველი რიგის მემკვიდრეს უნდა მიეღო ფულადი კომპენსაცია. ეს კანონი წლების განმავლობაში არ მუშაობდა, რადგან ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი და ოდენობა არ მიიღეს. ეს ცალკე კანონმდებლობას უნდა დაერეგულირებინა. კალუს და იური კილაძეების გარდა, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოდან ბევრი სხვა რეპრესირებულის საქმეა გაგზავნილი, მაგრამ კილაძეების პირველი იყო.

კილაძეები დაობდნენ იმაზე, რომ რადგან არ არსებობდა ფულადი კომპენსაციის გაცემის მექანიზმი, ირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი, რომელიც საკუთრების უფლებას შეეხება. თუკი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით ან სასამართლო გადაწყვეტილებით რაიმე ეკუთვნის ადამიანს, ეს ევროპული კონვენციის თანახმად, საკუთრების უფლებას უთანაბრდება; შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს.

ზოგადად, ფულად კომპენსაციას სხვადასხვანაირად განმარტავენ; ძნელია თქმა, ეს მორალური კომპენსაციაა თუ საკუთრებასთან მიბმული უფლება. ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც ლონდონში მუშაობს — „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ კილაძეების საქმეზე ჩვენთან ერთად დაობდა სასამართლოში. მათი ჟურნალი წამოვიღე, სადაც ძალიან კარგადაა განმარტებული, რომ სასამართლოს მიერ კილაძეების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, არამარტო საქართველოში დაიწყო ეს პროცესი, არამედ, რუსეთშიც, სადაც ძალიან დაბალია რეპრესირებულების ფულადი კომპენსაციის თანხები. რუსეთში სცადეს თავიდან დაეწყოთ სასამართლო პროცესები და 4000 ევროს ექვივალენტი კომპენსაცია მოეთხოვათ, მაგრამ რუსულმა სასამართლოებმა უარი თქვეს ამ თანხის

გაცემაზე. საინტერესოა ამ გადაწყვეტილების განმარტება, სასამართლომ პირდაპირ ჩაწერა, რომ არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, აანაზღაურონ რეპრესიების დროს მიყენებული ზიანი. ეს ვალდებულება საქართველოსთან მიმართებაში წარმოიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ შიდა კანონმდებლობით გვქონდა განსაზღვრული, რომ რეპრესირებულებისთვის ფულადი კომპენსაცია უნდა მიგვეცა. 1997 წლის კანონში ეს ჩანაწერი რომ არ ყოფილიყო, ვერავინ ვერაფერს მიიღებდა. კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებაში პირდაპირ წერია, რომ ეს 4000 ევრო, რაც კილაძეებს მიაკუთვნა სასამართლომ, არ არის განსაზღვრული ოდენობა, ეს ჩანაწერი პირობითია. გადაწყვეტილების განმარტების თანახმად, თუ საქართველო გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის განმავლობაში არ მიიღებდა ფულადი კომპენსაციის გაცემის ოდენობას და წესს, მხოლოდ ამ შემთხვევაში უხდიდა კილაძეებს 4000 ევროს. ჩვენს ხელისუფლებას ის კანონი, რომელიც ახლა გვაქვს, 6 თვის ვადაში რომ მიეღო, კილაძეები ვერ მიიღებდნენ 4000 ევროს, წავიდოდნენ სასამართლოში და მიიღებდნენ იმ თანხას, რასაც ჩვენი სასამართლო დაადგენდა, ანუ 400 ლარს.

სამწუხაროდ, ევროპის სასამართლო არ ამბობს, რომ ამ 4000 ევროს გადახდა რეპრესირებულისთვის ან მისი პირველი რიგის მემკვიდრისთვის სავალდებულოა. მაგრამ სასამართლომ საქართველოს დააკისრა, მიიღოს ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და საბიუჯეტო ზომები, რათა რეპრესირებულებმა ისევ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ მიმართონ. აღსანიშნავია, რომ ევროპის სასამართლო ჩვეულებრივი სასამართლო არ არის. ადამიანი, თუ საკუთარი ქვეყნის სასამართლოში ვერ აგვარებს რაღაც პრობლემას, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიდის ევროპულ სასამართლოში.

აქვე მინდა ვთქვა, რომ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში 2010 წლის მაისში შევიდა და უკვე ივლისში ცნობილი გახდა, რომ არსებობდა კანონპროექტი, სადაც სურდათ, რომ 1997 წლის კანონიდან საერთოდ ამოეღოთ მეცხრე მუხლი და ფულადი კომპენსაციების გაცემის უფლება. ეს აბსურდული ვერსია იყო, ამიტომაც, არც წარუდგენიათ პარლამენტისთვის. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებიდან 6 თვეც გავიდა, ჩვენ „მემორიალთან“ ერთად ვმუშაობდით კანონზე, რომელიც გვინდოდა წარგვედგინა პარლამენტისთვის. ჩვენ გვსურდა, ფულადი კომპენსაციის ოდენობა მიბმული ყოფილიყო დღეს განსაზღვრულ საარსებო მინიმუმთან, რომელიც დაახლოებით 150 ლარია. ვთქვათ, თუ ადამიანმა, გადასახლებაში, საპყრობილეში, ამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გაატარა რამდენიმე თვე, ის თვეები გამრავლებულიყო საარსებო მინიმუმზე. მაგრამ მეორე უკიდურესობაში რომ არ გადავვარდნილიყავით (ადამიანებმა 15 წელი გაატარეს ციხეებში), ვთავაზობდით, რომ კომპენსაციის მაქსიმუმი არ ყოფილიყო 10 000 ლარზე მეტი. ჩვენ გავდიოდით კონსულტაციებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტთან. მაგრამ სამწუხაროდ, პარლამენტმა შეიმუშავა ის პროექტი, რომელიც შემდეგ კანონად იქცა.მოსალოდნელი იყო, ეთქვათ ის, რასაც ახლა ამბობენ — შიდა სასამართლოები, თავიანთი

შინაგანი რწმენის საფუძველზე ადგენენ ოდენობას, რაშიც ვერ შეეკამათები. ეს იურიდიული წესია: თუკი შიდა სასამართლო რაიმე გადაწყვეტილებას საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე იღებს, ვერ მოედავები. პარლამენტში სწორედ ეს არგუმენტი ჰქონდათ: როგორ უდგენთ სასამართლოს, ვიღაც ადამიანს რა თანხის კომპენსაცია უნდა მისცესო.

შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ ისიც ითქვას, რომ ამ კანონის მიღებაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იყო ჩართულიო; ამიტომ, მინდა ვთქვა, რომ რაც გვინდოდა, სამწუხაროდ, იმას ვერ მივაღწიეთ.

რაც შეეხება ახლანდელ რეალობას, მინდა, ერთ რამეზე გავამახვილო ყურადღება. ამ კანონს რამდენიმე ნაკლი აქვს. ერთი ის, რომ მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს მსგავს საქმეებს; რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონში მცხოვრები ადამიანები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, ბევრ მათგანს არა თუ ჩამოსვლის, არამედ დოკუმენტების გამოგზავნის საშუალებაც კი არა აქვს. გვინდოდა, რომ რეგიონული ცენტრები მაინც ყოფილიყო, მაგრამ გვითხრეს, რომ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი მთელი ქვეყნის მასშტაბით ვერ ივლიდა.

როცა კანონი ძალაში შევიდა, ჩვენ ამის შესახებ მივწერეთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას: ვამბობდით, რომ უნდა მოხდეს მონიტორინგი.

ჩვენი ინფორმაციით, რომელიც საქალაქო სასამართლოდან გამოვითხოვეთ, უკვე 3000-ზე მეტი სარჩელია შესული სასამართლოში. აქედან მხოლოდ 73 საქმეზეა გადაწყვეტილება მიღებული, რაც ძალიან ცოტაა. სასამართლო იმდენად გადატვირთულია, რომ წარმოუდგენელია 3000 საქმე განიხილოს დადგენილ ვადაში, ანუ ერთ თვეში.

რაც შეეხება თანხის ოდენობას, ამას სასამართლო ადგენს, მაგრამ მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: რეპრესიის ფორმა და სიმძიმე, რეპრესირებულის და კომპენსაციის მიმღების ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, და სხვა ობიექტური ფაქტორები; ვთქვათ, აქვს თუ არა ადამიანს საცხოვრებელი და ა. შ.

ჩვენ 1000-ზე მეტ რეპრესირებულს და მათ პირველი რიგის მემკვიდრეს გავუწიეთ იურიდიული დახმარება. ყველას ვთხოვდით, რომ მოეგროვებინათ ეს საბუთები, მაგრამ ჯანმრთელობის ცნობის აღება ფული ღირს, რაც ამ ადამიანებს არა აქვთ. იმაზე აღარ ვსაუბრობთ, რომ ნოტარიუსთა პალატა პრობლემებს უქმნიდა ამ ადამიანებს. დახვრეტის დამადასტურებელ ცნობებს სთხოვდნენ. არქივიდან ცნობის აღება ახლა ფასიანი გახდა. მართალია, რეპრესირებულები სასამართლოს ბაჟს არ იხდიან, მაგრამ ვიდრე სასამართლომდე მივლენ, საბუთების აღება 100 ლარამდე უჯდებათ, კომპენსაცია კი შეიძლება, სულაც 150 ლარის ოდენობისა იყოს.

თემურ ლომსაძე — როცა მესხები ანკეტებს ავსებდნენ რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად, ერთი პაკეტის დოკუმენტთა ფასი 220 დოლარამდე ადიოდა. 2008 წელს, როცა

ანკეტების შევსება იწყებოდა, ომი დაიწყო. რომელი ქვეყნიდან ჩამოვიდოდნენ? მესხები ძირითადად სოფლებში ცხოვრობენ. სოფლის მეურნეობით არიან დაკავებულები. მაგალითად, აზერბაიჯანელი მესხები ჯერ ბაქოში უნდა ჩასულიყვნენ და აეღოთ დოკუმენტები. ეს საქმეს ძალიან ართულებდა.

ნათია კაციტაძე — ახლა ისევ ვაპირებთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მივმართოთ და ვაცნობოთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შაბლონური გადაწყვეტილებები აქვს გამოტანილი. ფაქტობრივი გარემოებების დიდი ნაწილი არ არის ასახული სასამართლო გადაწყვეტილებებში, საერთოდ, ნახსენებიც არ არის ეს გარემოებები. ჩვენც, ახლა უკვე აღარ ვეუბნებით რეპრესირებულებს და მათ შვილებს, რომ ჯანმრთელობის ცნობები მოიტანონ, რადგან სასამართლო ამ ყველაფერს მაინც არ ითვალისწინებს.

კომპენსაციის ოდენობა დაკავებულებზე 150 ლარიდან იწყება და დახვრეტილებზე მაქსიმუმ, 400 ლარამდე ადის. სხვათა შორის, ამ ადამიანებს პრობლემას უქმნიან სააღსრულებლო ფურცლების გამოწერაზეც, რომ წავიდნენ და თანხები აიღონ.

სამწუხაროდ, ვისაც სასამართლომ უკვე მიაკუთვნა თანხა, ევროპის სასამართლოში რომ წავიდეს და იდაოს, საქმის მოგების შანსი არ აქვს. უკვე ვთქვი, რომ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება არ ადგენდა რაიმე ოდენობას, რომელიც უნდა გადაიხადოს სახელმწიფომ. ერთადერთი ხელმოსაჭიდი მინისტრთა კომიტეტთან მუშაობაა — უნდა ვამტკიცოთ, რომ შიდა სასამართლო საქმეებს ინდივიდუალურად არ იხილავს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ჩვენ პასუხს არ გვწერს; მაგრამ წელიწადში ოთხჯერ აწყობს შეხვედრას, რომელსაც ესწრება სახელმწიფოს წარმომადგენელი და, წარდგენილი მასალის საფუძველზე, ეკითხებიან, თუ რა ხდება ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით. მას აუცილებლად მოუწევს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა. გარდა ამისა, მინისტრთა კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულა სახელმწიფომ სასამართლოს განაჩენი.

დარბაზიდან — თქვენ თქვით, რომ მაჰმადიანი მესხების უდიდესი ნაწილი ეთნიკურად ქართველია. რეპატრიაციის დროს თუ არის რაიმე მოთხოვნა, რომ მათ იცოდნენ ქართული ენა, იცნობდნენ ქართულ კულტურას?

თემურ ლომსაძე — მესხებს დიდი სურვილი აქვთ, ისწავლონ ქართული ენა. ჩვენმა ორგანიზაციამ შეადგინა წიგნი — „ყველაფერი საქართველოს შესახებ“, სადაც მოკლედ მოთხრობილია ჩვენი ქვეყნის ისტორია. ის თაობა, რომელიც დღეს აქ უნდა ჩამოვიდეს, საქართველოში არ დაბადებულა და ამიტომ, არც ენა არ იცის. მათ საერთოდ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქართველოს შესახებ.

უნდა შეიქმნას საადაპტაციო ცენტრები და ეს კანონმა უნდა განსაზღვროს. თავის დროზე ევროსაბჭომ აიღო ვალდებულება, რომ დახმარებოდნენ საქართველოს მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, ისრაელში რეპატრიანტი ხშირად ერთი წელი ცხოვრობს ასეთ ცენტრში და ის ყველაფერი, რაც სჭირდება ქვეყანაში საცხოვრებლად — ენა, კანონმდებლობა, ისტორია — შეუძლია შეისწავლოს.

რეპატრიაცია ურთულესი და საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია. უნდა მომზადდეს სპეციალური პროგრამები, ღრმად გააზრებული, სწორი სტრატეგია უნდა შემუშავდეს, რათა ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანები გახდნენ.

ლაშა ბაქრაძე — ეს საკმაოდ რთული საკითხია, ამიტომაც, როგორც ჩანს, ჩვენმა სახელმწიფომ მას რეპატრიაციის პროცესის გართულებით აარიდა თავი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 73 სწორად შევსებული ანკეტა გვაქვს; ამ სასაცილო რაოდენობაზე დავიდა ის უზარმაზარი ტრაგედია, რაც ამ ადამიანებმა გადაიტანეს.

ენასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე მხოლოდ წელს დაიწყო პროგრამები, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს — ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს — ქართულს ვასწავლით. 20 წელია, ჩვენი უმცირესობებისთვის ქართული ენის სახელმძღვანელო ვერ გამოვეცით.

თემურ ლომსაძე — შევხვდი ევროსაბჭოს მდივანს ტერი დევისს, რომელმაც ბრძანა, რომ ევროსაბჭო 40 მილიონს გამოყოფდა რეპატრიაციის მოსამზადებლად. რეპატრიაციის პროცესს ევროსაბჭო დააფინანსებს. დღევანდელი მდგომარეობით დეპორტირებული მესხების 15-20% თუ დაბრუნდა, ეს ყველაზე დიდი ციფრი იქნება.

სქოლიო

[1] კატინის დახვრეტები — 1940 წელს „შინსახკომმა“ კატინის ტყეში დახვრიტა 12 000-ზე მეტი პოლონელი ტყვე, ძირითადად, სამხედრო მოსამსახურეები.

საბჭოთა კავშირის დაშლა

28.11.2011

მომხსენებლები:

მარინა თაბუკაშვილი — ფონდი „ტასო“, გენერალური დირექტორი

ფრიდონ საყვარელიძე — რესპუბლიკური პარტია

ჩარლზ ფეირბენქსი — ჰუდსონის ინსტიტუტი, უფროსი მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თავისუფალ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

მოდერატორი: გიორგი გვახარია — კინომცოდნე, რადიო „თავისუფლება“

გიორგი გვახარია — მსმენია და ამას ხშირად ჭკვიანი ადამიანებიც ამბობენ ხოლმე, რომ საბჭოთა კავშირზე საუბარი კონიუნქტურაა, რომ დღეს საბჭოთა კავშირი არავის ენატრება. გული მწყდება, როცა ამას ვისმენ, რადგან მგონია, რომ კონიუნქტურა არა საბჭოთა კავშირის კრიტიკა და საბჭოთა წარსულის გააზრებაა, არამედ, ამ ქვეყნის მონატრება.

რაც უფრო გადის დრო და მოდის ახალი თაობა, ის ადამიანები, ვინც ახალგაზრდებს უნდა აუხსნას, რა იყო, როგორი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი, ამას რატომღაც არ აკეთებენ. შეიძლება, სწორედ მშობლების თაობის გავლენით, ახალგაზრდებს გაუჩნდათ რომანტიკული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ. ამასწინათ, „წითელი ზონის“ გადაცემის ჩაწერისას ახალგაზრდა, ძალიან სიმპათიურმა კაცმა მითხრა, რომ საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი რამ იყო კარგი. როგორც ჩანს, ჩვენ მართლაც გვიჭირს, ავუხსნათ ახალგაზრდებს, რა იყო საბჭოთა კავშირი.

ის პერიოდი, რომელზედაც ჩვენ დღეს ვისაუბრებთ, ჩემთვის ერთი დღეა — 1989 წლის 12 ივნისი, როცა მე და ჩემი ორი მეგობარი კერძო მიწვევით დასავლეთ გერმანიაში მივდიოდით და იძულებულები გავხდით, წასვლის წინ უშიშროების კომიტეტში რაღაც კითხვარი შეგვევსო. მათ ერთი ოთახი ჰქონდათ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში, პატივი დაგვდეს და უშიშროების შენობაში არ დაგვიბარეს. იქ დამხვდა ვინმე ცოტნე, რომელის სახელიც არასდროს დამავიწყდება, და საერთოდ, ეს დღე არ დამავიწყდება. როცა იმ ოთახიდან გამოვედი, ვფიქრობდი — რატომ არ შეიძლება, ეს სისტემა აფეთქდეს, დაინგრეს, ან დაიშალოს-მეთქი; რადგანაც არ მახსოვს ამაზე უფრო შეურაცხმყოფელი დრო ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე ის ერთი საათი, რომელიც იმ ოთახში გავატარე. მას შემდეგ ძალიან ბევრჯერ მიცდია, აღმეწერა ის ერთი საათი და არაფერი გამომივიდა. როგორც ჩანს, ჩვენს თაობას არა აქვს ნიჭი, აღწეროს და თქვას, რა იყო საბჭოთა კავშირი.

1989 წელი სწორედ გარდამავალი პერიოდია, როცა „ცოტნეები“ მიდიან და ახალი დრო მოდის. ჩემი თაობა ნამდვილად ძალიან ბედნიერია, რომ ამ დროს შეესწრო. მიუხედავად ყველაფრისა, რაც გადავიტანეთ, ეს ნამდვილად ბედნიერი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში.

დღეს ჩვენ მოვუსმენთ ადამიანებს, რომლებმაც ეს პერიოდი გაიარეს და დიდი იმედი მაქვს, რომ ის ნოსტალგია, რომელიც ჩვენთან ჯერ კიდევ არის, ამ დარბაზში მაინც გაქრება.

მარინა თაბუკაშვილი — არ მახსოვს გვარები, თარიღები, მაგრამ მახსოვს შეგრძნებები, ადამიანები და მათზე ვილაპარაკებ. არ ვილაპარაკებ საბჭოთა კავშირზე, ვილაპარაკებ ადამიანებზე საბჭოთა კავშირში და მას შემდეგ.

იმ დროის საბჭოთა კავშირში, რომელსაც ჩვენ მოვესწარით, არ იყო ისეთი ვითარება, რომ ძალიან შეგეშინდებოდა. იყო დევნა, ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მაშინ ყველაზე დიდი სასჯელი ის იყო, თუკი საზღვარგარეთ ტურისტად არ გაგიშვებდნენ. ამიტომაც

თავისუფლად ვთხზავდით და ვიმეორებდით ანტისაბჭოთა ანეგდოტებს და მივეკუთვნებოდით საბჭოთა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სხვანაირად ფიქრობდა. საბჭოთა კავშირში ხელფასი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადამიანს თვიდან თვემდე გაეძლო, მაგრამ მანქანას ან აგარაკს ვერ იყიდიდა. სიგარეტი და წიგნები იაფი ღირდა, საჯარო ბიბლიოთეკაც ღია იყო, თუკი რაიმე გამოფენა ჩამოდიოდა ან კონცერტი იმართებოდა, მოსკოვშიც შეიძლებოდა წასვლა. ჩვენი თაობა სარგებლობდა იმ თავისუფალი დროით, რასაც საბჭოთა სისტემა იძლეოდა. მოსახლეობის რაღაც ნაწილი ამ დროს ხარისხობრივი თვითდამკვიდრებისკენ, მეგობრებისკენ და პოეზიით ტკბობისკენ მიმართავდა.

მინდა ვისაუბრო ნაციონალიზმზე, ეროვნულ მოძრაობაზე. ვისურვებდი, რომ ეს მოძრაობა უფრო ღირსეული ყოფილიყო. ჩემი აზრით ეროვნული მოძრაობა დაიწყო აკაკი ბაქრაძის ლექციებით და თენგიზ აბულაძის ფილმით — „მონანიება." ჩემს ნაცნობთა შორის, მგონი, მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვისაც ეს ფილმი არ მოსწონდა. დღეს, როცა დრო გავიდა, გასაგებია რატომაც. თუნდაც იმიტომ, რომ იქ ნაჩვენებია არანორმალური შურისძიება. ამბობდნენ, რომ მაშინ რამდენიმე შემთხვევა მოხდა, როცა მიცვალებულები მართლა ამოიღეს საფლავებიდან.

ის ადამიანები, ვისზეც მინდა ვისაუბრო, 70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირის დანგრევაზე ვოცნებობდით, მაგრამ ხშირად ვამბობდით, რომ იმ ნანგრევებში ჩვენ მოვყვებოდით. მაშინ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ვმუშაობდი, ჩვენი ინსტიტუტი ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში იყო განთავსებული და ძალიან ბევრ ღირსეულ ადამიანს ვიცნობდი. იქ მუშაობდა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი[1] — ალბათ, ყველაზე ღირსეული ადამიანი, ვისაც ოდესმე ვიცნობდი. ის, რაც ბატონ ალექსანდრეს ეროვნული მოძრაობის პერიოდში გადახდა, შეიძლება განზოგადდეს. მისი ადგილი იქ არ აღმოჩნდა, ისევე, როგორც ბევრი ღირსეული ადამიანისა.

მიტინგებზე თავიდან ჩვენც დავდიოდით; მაგრამ მალევე გაგვიჩნდა გრძნობა, რომელსაც ესთეტიკურ მიუღებლობას ვუწოდებდი. ცხადი იყო, რომ ის ხალხი, რომლებიც მიტინგებს ატარებდნენ, უპასუხისმგებლო ადამიანები იყვნენ. მერე შეიძლება წასულიყვნენ და სომხისთვის ან ოსისთვის ყელი გამოეჭრათ. მნიშვნელოვანია ისიც, რას აკეთებდა მედია და მეცნიერები, ისტორიკოსები. მედიაში ხშირად ეთნიკური უმცირესობების მიმართ იყო ასეთი გამოთქმები — „ჩამოთრეული", „გენეტიკურად ქურდი" და ა. შ.; მაშინ გაზეთებში ასეთი რაღაცებიც იწერებოდა — ქართულ გენს შიდსი არ მიეკარებაო.

ხალხი, რომელიც პატიოსნად მუშაობდა და ელოდებოდა ამ დროს, იმ ადამიანებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც სხვადასხვა „წვენებში" მუშაობდნენ, მოპარული საშენი მასალებით სასახლეებს იშენებდნენ და რომელთაც მართლაც გუშინ გაიგეს, რომ ქართველები იყვნენ. საბჭოთა დროს ასეთი ანეგდოტი იყო — „მითხარი, რა მოგაქვს სამსახურიდან და გეტყვი, სად მუშაობ."

გავიხსენებ იმ მიტინგს, რომელიც იპოდრომზე გაიმართა, სადაც ზვიად გამსახურდია გამოვიდა ცნობილი სიტყვით. ჩემი ქმარი[2] აპირებდა სიტყვის თქმას, მე მოპირდაპირე

მხარეს ვიდექი და მივხვდი, — ოდნავ განსხვავებული რაღაც რომ ეთქვა, ხალხი ნამდვილად ჩაქოლავდა და დავიწყე ხელების ქნევა, ვანიშნებდი, არ გამოხვიდე-მეთქი. სხვათა შორის, თვითონაც მიხვდა და არ გამოსულა.

მახსოვს, ნაირა გელაშვილი მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლების მომხრე იყო, მაშინ ერთად ვმუშაობდით, მეც დავწერე სტატია მესხების დასაცავად და რუსთაველის საზოგადოების გაზეთში მივიტანე გამოსაქვეყნებლად. მაშინ ერთი ცნობილი პოეტი იყო რედაქტორი. ჩემი სტატია რომ წაიკითხა, დაიწყო ყვირილი, ყვირილზე მოვიდნენ ადამიანები — აი, ეს არის მტერიო — მთელი ხმით მიყვიროდა. მერე მითხრა — ამათ გავჟლეტთ, მერე შევალთ აბაზანაში, სისხლს ჩამოვირეცხთ და მშვენიერ საქართველოს ავაშენებთო.

ძალიან დიდი მუშაობა მიდიოდა იმისთვის, რომ ეთნიკური კონფლიქტები დაწყებულიყო. ეს იყო ზუსტად ის, რისიც ჩვენ გვეშინოდა. მაშინ, როცა ჩემი ქმარი იცავდა ოსებს და ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რაც ხდებოდა, ქუჩაში ნაცნობები რომ მხვდებოდნენ, მატირებდნენ, მეუბნებოდნენ, რომ მტრები ვიყავით. ასეთი დრო იყო.

როდესაც გუმბარიძის[3] დროს გამოცხადდა, რომ სამასი ავტობუსი დგას და ცხინვალში მიტინგი უნდა გაიმართოსო, ეს ავტობუსები ხალხით გაივსო და მერე რაც მოხდა, ყველას მოგეხსენებათ. ეს ის დრო იყო, რომ მე და ჩემს მეგობრებს ერთი ავტობუსი რომ გვექირავებინა და ცხინვალში წავსულიყავით, არავინ გაგვატარებდა. ცხადია, ეს ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლების დაგეგმილი იყო. ყველაზე საგანგაშო მაინც ის იყო, რომ ეს ავტობუსები ხალხით გაივსო. სამწუხაროდ, ეროვნული კულტურა, რომელიც ჩვენ გვაქვს, არ არის გარანტია იმისა, რომ ამგვარ პროვოკაციაში არ იქნები ჩართული.

დისერტაციაზე რომ ვმუშაობდი, მაშინ აღმოვაჩინე, რომ სიტყვა ღირსება — სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „მართლის დიდება“, ხოლო ახალ ქართულ ლექსიკონში იგივე სიტყვის განმარტებად წერია — „ჭიათურის მარგანეცი მაღალი ღირსებისაა“.

ფრიდონ საყვარელიძე — საბჭოთა დისიდენტმა ანდრეი ამალრიკმა, დაწერა წიგნი, რომელიც მოგვიანებით მთელ მსოფლიოში გავრცელდა — „გაძლებს თუ არა საბჭოთა კავშირი 1984 წლამდე?“ ბუნებრივია, ის ზუსტად 1984 წელს არ გულისხმობდა. ძალიან ცოტა შეეშალა. ანდრეი ამალრიკი 1978 წელს წავიდა იძულებით ემიგრაციაში საფრანგეთში, 1979 წელს კი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთივე პროგნოზს აკეთებდა რესპუბლიკური პარტიაც. 1979 წელს ჟურნალ „სამრეკლოს“ მხოლოდ ორი ნომრის გამოცემა მოხერხდა — შემდეგ მისი გამომცემლები დააპატიმრეს.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით ბუკოვსკიმაც[4] გამოსცა წიგნი საფრანგეთში 1989 წელს, ხოლო 1992 წელს ეს წიგნი გერმანიაში გამოიცა, როცა საბჭოთა კავშირი უკვე დაშლილი იყო. სწორედ ბუკოვსკის ეკუთვნის ფორმულა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზებია ჩამოყალიბებული — ესაა დისბალანსი უტოპიურ იდეო-

ლოგიას, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიასა და სისტემის რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის. გაზრდილმა პრეტენზიებმა მსოფლიო ლიდერობაზე, დასავლეთის მიერ ზუსტად გათვლილმა გამალებული შეიარაღების ტემპმა, რომელსაც სსრკ ვერ დაეწია, დაშალა საბჭოთა კავშირი და არა, მაგალითად, 9 აპრილმა, როგორც ჩვენ გვეგონა.

რაღაც რომ ინგრევა, ამას ყოველთვის აქვს მიზეზები. სახლი რომ ინგრევა, ეს იმას ნიშნავს, რომ სახურავი დაზიანდა ან ფუნდამენტში წყალი ჩავიდა, ან მიწისძვრა ან წყალდიდობა მოხდა. მსოფლიოში ხდებოდა მოვლენები, რომლებიც სხვადასხვანაირად უწყობდა ხელს საბჭოთა კავშირის დაშლას: ზოგი მათგანი ქვეყნის ნამდვილ სახეს წარმოაჩენდა, ზოგი — შეარყევდა სისტემას. სწორედ რამდენიმე ასეთ მოვლენაზე მინდა გავამახვილო ყურადღება.

1956 წელს უნგრული რევოლუცია მოხდა. იმრე ნადი[5], ლიბერალური რეფორმების მომხრე კომუნისტი პოლიტიკოსი 1956 წელს გაათავისუფლეს და მის ადგილას სტალინური ტიპის მმართველი — რაკოში დანიშნეს. შემოდგომაზე დაიწყო სტუდენტური გამოსვლები. პირველივე დღეს, 23 ოქტომბერს იყო მსხვერპლი. პოლიციის ნაწილი აჯანყებულების მხარეზე გადავიდა, მაგრამ ბუდაპეშტში შევიდნენ საბჭოთა ჯარები სუსლოვის მეთაურობით და სისხლში ჩაახშვეს აჯანყება. 31 ოქტომბრამდე ყველანაირი შეიარაღებული წინააღმდეგობა შეწყდა, სთხოვეს საბჭოთა ჯარებს, დაბრუნებულიყვნენ თავიანთი დისლოკაციის ადგილას. მაგრამ ამის შემდეგ დაიწო ის, რისიც უნდა ეშინოდეს ყველა ხელისუფალს, რომელსაც საკუთარი ხალხი გამწარებული ჰყავს — კომუნისტებს, განსაკუთრებით, უშიშროების თანამშრომლებს, ქუჩებში დასდევდნენ და ლინჩის წესით უსწორდებოდნენ. საშინელებები ხდებოდა — მჟავას ასხამდნენ, ფეხებით კიდებდნენ, იატაკზე აჭედებდნენ. 2 დეკემბერს საბჭოთა ჯარები ისევ სასტიკად გაუსწორდნენ ხალხს, წინააღმდეგობა ჩაახშვეს. ნადმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა იუგოსლავიის საელჩოს შეაფარეს თავი, მაგრამ მოტყუებით გამოიყვანეს და დააპატიმრეს; ჯერ რუმინეთის ციხეში ჰყავდათ, შემდეგ დააბრუნეს უნგრეთში და სიკვდილით დასაჯეს.

1989 წელს ნადი რეაბილიტირებულ იქნა. არსებობს ცნობები, რომ თავის დროზე ის საბჭოთა უშიშროებასთან იყო შეკრული. საინტერესოა, რომ 1956 წელს ოლიმპიადაზე გაიმართა მატჩი წყალბურთში სსრკ-ს ნაკრებსა და უნგრეთის ნაკრებს შორის; ამბობენ, რომ წყალი წითელი იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმიტომ, რომ უნგრელი წყალბურთელებისთვის ეს არ იყო უბრალოდ წყალბურთი — ეს იყო შურისძიება დაღუპული ახლობლებისთვის. ასეთივე სულისკვეთების მატჩი იყო ჩეხეთსა და სსრკ-ს შორის მსოფლიო ჩემპიონატზე 1968 წელს. პირველი, რამაც საბჭოთა კავშირი აღაშფოთა, ის იყო, რომ ფეხბურთელებს მაისურზე არ ეწერათ *ЧССР*, არამედ, ეწერათ — „ჩეხოსლოვაკია“. არ დამავიწყდება ის სიხარული, როგორც ჩეხები ამ გამარჯვებას ზეიმობდნენ.

1980 წელს პოლონეთში გდანსკის მანქანათმშენებელი ქარხნიდან წინააღმდეგობის დიდი მოძრაობა დაიწყო, რომელიც „სოლიდარობის“ სახელითაა ცნობილი. მას სათავეში

ედგა 1970 წელს ამავე ქარხნიდან გაფიცვაში მონაწილეობის გამო გაძევებული ლეხ ვალენსა. მაშინ საბჭოთა ჯარების მონაწილეობა საჭირო არ გახდა; დააპატიმრეს პროფკავშირების ყველა წევრი, მაგრამ პოლონეთში „სოლიდარობის“ მოძრაობა გრძელდებოდა მანამ, სანამ 1989 წელს პირველი მრავალპარტიული არჩევნები არ გაიმართა.

1987 წელს გაიმართა მრგვალი მაგიდა პოლონეთის შსს-ს მინისტრსა და ლეხ ვალენსას შორის, სადაც ლეხ ვალენსამ მოითხოვა პროფკავშირების გახსნის უფლება მთელი პოლონეთის ტერიტორიაზე. ცნობილია, რომ დასავლეთიდან პოლონეთში დახმარება შედიოდა, მათ შორის, პატარა ხმამაღლა მოლაპარაკეებიც, რომლებზეც იწერდნენ ტექსტს და სახლის სახურავებზე აგდებდნენ ხოლმე. ტექსტში ნათქვამი იყო, თუ ჩვენი გესმით, საღამოს რვა საათზე აანთეთ და ჩააქრეთ სინათლეო. მნახველები ამბობდნენ, რომ რვა საათზე მთელი ვარშავა ციმციმებდა. ამგვარი სოლიდარობა ძალასა და რწმენას აძლევდა ხალხს. პოლონელებმა გადაწყვიტეს, რომ ვინც ნამდვილი პოლონელები ვართ და თავისუფლება გვინდა, ქუჩის მარჯვენა მხარეს ვიაროთო, და მართლაც, ზოგჯერ გავლა ჭირდა, მაგრამ პოლონელები მაინც არ გადადიოდნენ ქუჩის მარცხენა მხარეს. თუკი ადამიანს პურის ყიდვა უნდოდა, ხმამაღლა გამოაცხადებდა, პურის საყიდლად გადავდივარო და ასე დემონსტრაციულად გადადიოდა. ეს მშვენიერი მაგალითებია, რითიც პოლონელებმა დაანახეს სახელმწიფო მანქანას, რომ შეურიგებლები იყვნენ.

საბჭოთა კავშირში პირველი დემონსტრაცია 1968 წლის აგვისტოში პრაღაში საბჭოთა ჯარების შეყვანის შემდეგ მოხდა. წითელ მოედანზე გამოვიდა სულ რვა კაცი, რაც სასწრაფოდ იქნა აღკვეთილი. დემონსტრანტები დააპატიმრეს. ამას მოჰყვა მწერლების — დანიელისა და სინიავსკის სასამართლო პროცესი, რომლებმაც წიგნები უცხოეთში ფსევდონიმით გამოსცეს. შემდეგ იყო დიდი რუსი პოეტის იოსიფ ბროდსკის სასამართლო პროცესი, რომელსაც მუქთახორობაში დასდეს ბრალი — ამ სასამართლო პროცესებს დიდი რეზონანსი ჰქონდა.

1979 წელს საბჭოთა ჯარები შევიდნენ ავღანეთში და 10 წლის განმავლობაში იქ ათას უბედურებას სჩადიოდნენ, რამაც მთელი მსოფლიოს დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ბერლინის კედელი 1961 წელს აშენდა. ეს რთული საინჟინრო ნაგებობა 100 კმ-ზე მეტი იყო სიგრძით, გამოყენებული იყო სხვადასხვა საინჟინრო ტექნიკა, მავთულხლართი, შიგ გადიოდა ელექტროდენი და ა. შ. ძალიან ბევრი იყო მსხვერპლი მათ შორის, ვინც ამ კედლის გადალახვას ცდილობდა. ამ ტრაგედიაშიც, რომელიც გერმანელი ხალხის გახლეჩასაც გამოხატავდა, იყო რაღაც სახალისო მომენტები. ერთხელ, მაგალითად, ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტები გადაძვრნენ დასავლეთ გერმანიიდან აღმოსავლეთ გერმანიაში. ასე იყო თუ ისე, ბერლინის კედელი დაინგრა.

გიორგი გვახარია — როცა ანდროპოვი გახდა პარტიის გენერალური მდივანი, სტუდენტი ვიყავი და მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ „კგბ“-ს გენერალი იყო, ვამბობდით, რომ გვეშველება, რადგან ანდროპოვს ჯაზი უყვარსო.

ჩარლზ ფეირბენქსი — საბჭოთა სისტემის დაშლის საკითხს ცოტა შორიდან მოვუვლი. ეს ძალიან საინტერესო მოვლენებია მათთვისაც, ვინც საქართველოში ცხოვრობს, და მათთვისაც, ვინც დასავლეთშია. დასავლეთში მცხოვრები მოქალაქისთვის დღევანდელი საქართველო საკმაოდ რთულად აღსაქმელი მოზაიკაა, რადგანაც ერთი მხრივ — აერთიანებს იმ სიახლეებს, რომელებიც საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ გაჩნდა, მეორე მხრივ კი — საბჭოთა კავშირიდანაც შემორჩა ბევრი რამ.

კაცობრიობას უამრავი რამ შემორჩა ბერძნებისგან, ელინებისგან, სპარსელებისგან; საინტერესოა, რა დარჩა საბჭოთა კავშირისგან. სხვათა შორის, მარქსის და ენგელსის იდეები სწორედ დასავლეთიდან შევიდა რუსეთში; ეს, როგორც წესი, ავიწყდებათ ხოლმე.

დღეს შეგვიძლია თვალი გადავავლოთ იმ მოკლე პერიოდს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა და მიმოვიხილოთ ამ ნგრევის გრძელვადიანი მიზეზები. მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი: საბჭოთა ეკონომიკა, რომელიც ციფრებში სულ სხვანაირად იყო წარმოდგენილი, რეალურად ეფექტური არ ყოფილა. თავდაპირველად დასავლეთის როლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ის ახალ გამოწვევებს სთავაზობდა კაცობრიობას იმის საპირწონედ, რასაც ექსტრემალური საბჭოთა ლიდერები სთავაზობდნენ, რომლებმაც წარმოიდგინეს, რომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნება მაინც შესაძლებელი იქნებოდა. გორბაჩოვი, შევარდნაძე და იაკოვლევი განსხვავდებოდნენ წინამორბედი ლიდერებისგან. გორბაჩოვმა საკმაოდ ახლგაზრდამ დაიწყო პოლიტბიუროში მოღვაწეობა.

„გლასნოსტი“[6] და „პერესტროიკა“[7], საბჭოთა კავშირის დანგრევის სწრაფი მიზეზებია. 1987 წლის იანვარში დაიწყო „გლასნოსტი“, რომელმაც დიდწილად დაანგრია საბჭოთა სისტემის კანონიერების მითი; მისი სისასტიკე და ნაკლი მთლიანად გამოავლინა და გადაშალა ჩვენ თვალწინ. შემდეგ „პერესტროიკამ“ ძირი გამოუთხარა მმართველ, ადმინისტრაციულ სისტემას, რომელიც სტალინის შემდეგ არ შეცვლილა. რამ უბიძგა გორბაჩოვს, რომ ეს პროცესები დაეწყო? ალბათ, საბჭოთა სისტემამ, სადაც მმართველებს არ ირჩევდნენ, არ ხდებოდა ლიდერების მონაცვლეობა, არსებობდა ერთი ვერტიკალური ჯაჭვი. არ არსებობდა რეალური კონსტიტუცია. კონსტიტუცია სოციალური კონტრაქტია, მაგრამ თუ ქვეყანა იმართება კენწეროდან, მაშინ, როცა კონსტიტუციაში გაცხადებულია ხალხის მმართველობის შესახებ, ასეთი შემთხვევაში შეუძლებელია რაიმე კანონიერი სტრუქტურა შევინარჩუნოთ. ამიტომაც, საბჭოთა ლიდერებს სულ სჭირდებოდათ საკუთარ ავტორიტეტზე და ლეგიტიმურობაზე ფიქრი. საბჭოთა მმართველებისთვის ლეგიტიმაციის ყველაზე კანონიერი წყარო მათი რევოლუციონერობა ან რევოლუციური წარსული გახლდათ.

გარდა ამისა, საბჭოთა სისტემას მთავარი დარტყმები ნაციონალისტური პოზიციებიდან მიაყენეს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმები ხშირად არაკონსტრუქციული იყო, ვფიქრობ, საქართველოსაც შეუძლია იამაყოს ამით. სისტემა ისედაც ინგრეოდა, მაგრამ ეს ნაციონალისტური დარტყმები მაინც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი: ნაციონალიზმმა სწრაფად დაანგრია საბჭოთა კავშირი მანამ, სანამ ადამიანები რეალურ კონსტრუქციულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ არასტაბილურობას; საბჭოთა კავშირში, დისციპლინარულ სახელმწიფოში ცხოვრება არაპროგნოზირებადი იყო; ლიდერების ცვლილება ყოველთვის დიდი პრობლემა იყო რუსეთისთვის; დაბოლოს, ბორის ელცინმა მისცა პლატფორმა ნაციონალიზმს და, ფაქტიურად, ამით გაიმარჯვა გორბაჩოვის ძალაუფლებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის გრძელვადიანი მიზეზები გაცილებით უფრო საინტერესოა. ამ ქვეყანამ 74 წლის მანძილზე იარსება, მსოფლიო ისტორიის ფონზე ეს საკმაოდ ცოტა დროა.

ნაციონალიზმი როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზეზიც იყო; საბჭოთა კავშირი რუსულ ნაციონალიზმზე იდგა და აქედან ცდილობდა, ლეგიტიმაცია მიეცა საბჭოთა მმართველობითი აპარატისთვის. ეს არარუსების მუდმივ შეურაცხყოფას და დამცირებას იწვევდა. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 1945 წელს, როდესაც ფაშისტურ გერმანიაზე გაიმარჯვეს, სტალინმა და ჟდანოვმა ანტისემიტიზმი — ჰიტლერის იდეოლოგიის საფუძველი, მიიღეს, როგორც საბჭოთა იდეოლოგიის ცენტრალური ელემენტი.

მარქსიზმის მიდგომა ნაციონალიზმის მიმართ ფუნდამენტურ შეცდომებს შეიცავს, მაგრამ მან გაცილებით უფრო მძიმე ფორმები საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიიღო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში ავტონომიების ავსტრიული მოდელი დანერგეს. მაგალითად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი — ავტონომიური ოლქი. ეს მოდელი ხელს უწყობდა ეთნოსების სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ. სწორედ ეს გახდა ეთნიკური ომების მიზეზი.

კომუნისტური პარტია, რომელიც მონოლითურობას იჩემებდა, სწორედ ეთნიკურმა პარტიებმა დაანგრია; მათ მოსახლეობაში ტირანიის ზიზღი გააჩინეს და სისტემის რეპრესიულობა აჩვენეს.

მინდა, ისევ ეკონომიკას დავუბრუნდე. კოლექტივიზაციამ დაანგრია გლეხობა, ეს არაეფექტური მოდელი იყო. დღეს იგივე პროცესები მიდის ჩინეთში, როცა ეკონომიკის არაეფექტურობა ადამიანების მასითაა გადაფარული. რაც დრო გადიოდა, ეკონომიკის მდგომარეობა რთულდებოდა და რესურსები იწურებოდა. ეკონომიკის ცენტრალიზებულმა მართვამ ვერ გამართლა და ესეც ძალიან დიდი საშიშროება იყო რეჟიმისთვის. ამ პერიოდში, მაგალითად, ლონდონის ქუჩებში დიდი რაოდენობით ნაგავი ეყარა და ინგლისს ელექტროენერგიის დეფიციტიც ჰქონდა, მაგრამ ბრიტანეთი ამის გამო არ დანგრეულა. იმის თქმა მინდა, რომ კრიზისების მართვა, ზოგადად, შესაძლებელია.

მარქსიზმის მიხედვით ეკონომიკა სისტემის სიამაყე უნდა იყოს. 20-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ძალიან მაღალი მიზნები დაისახეს. მოგვიანებით ნიკიტა ხრუშოვი ამბობ-

და, რომ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებსო. მოხდა რღვევა რეალობასა და იმ მიზნებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დაისახა. რატომ გააკეთეს ეს საბჭოთა ლიდერებმა? ნუთუ ვერ ხედავდნენ, რამდენად ჩამორჩებოდა სსრკ განვითარებულ კაპიტალისტური ქვეყნებს? ეკონომიკურ სისუსტეს პარტიულ ელიტა ხედავდა, სისტემის ნგრევა ამანაც გამოიწვია.

ძალიან მნიშვნელოვანი და ღრმა მიზეზი იყო მცირერიცხოვანი პარტიული ელიტასა და მასებს შორის განსხვავება, რომელსაც ინტელექტუალები, თუნდაც, პარტიული მრჩევლები ხედავდნენ; მათაც შეეპარათ სკეფსისი — სისტემის ეფექტურობის აღარ სჯეროდათ და ფიქრობდნენ, რომ სისტემის ვესტერნიზაცია და ნორმალური მთავრობის შექმნა, რომელიც კომუნისტური პარტიის როლს შეამცირებდა, მნიშვნელოვანი იქნებოდა. შევარდნაძემ და იაკოვლევმა დაინახეს, რომ სისტემამ მათ უღალატა და იმედები გაუცრუა. გორბაჩოვს, რომელიც მათთან შედარებით უფრო კომუნისტი იყო, სწორედ მათ დაანახეს, რომ ღირდა სისტემის დიდი პოტენციალის გათავისუფლება. პერესტროიკა — ეს რევოლუციაა, თქვა გორბაჩოვმა. მას სურდა ნაბიჯ-ნაბიჯ შეეცვლა და გაეთავისუფლებინა ეკონომიკა და მთელი სისტემა. მას სჯეროდა, რომ პარტია ამით უფრო გაძლიერდებოდა და გაუძლებდა ამ გამოწვევებს. იმ დროისათვის გორბაჩოვის ქმედებები უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე რომელიმე სხვა საბჭოთა ლიდერისა. ინტელექტუალები ფიქრობდნენ, რომ დასავლური იდეების შემოტანა ქვეყანას გადაარჩენდა. „პერესტროიკა“ საბჭოთა მოვლენა იყო; ისევე, როგორც სტალინის მეორე რევოლუცია, მისი შეტევა ძველი ბოლშევიკების წინააღმდეგ; მოგვიანებით, 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ბერიასა და მალენკოვის განადგურება; შემდეგ გამოჩნდა ხრუშოვი, დათბა, მაგრამ დათბობის რწმენა მალევე გაქარწყლდა.

პერმანენტული რევოლუციების, როგორც საზოგადოებრივი ცვლილების იდეა, ტიპურად კომუნისტურია. ჰეგელი ამბობს საფრანგეთის რევოლუციაზე, რომ ნებისმიერი ინსტიტუცია რევოლუციური სულისკვეთებითაა აღბეჭდილი, როდესაც ცნობიერება და სინდისი იმარჯვებს, მაგრამ თვითონ, ეს ტერმინი — რევოლუცია — წესრიგს ვერ ითავსებსო. მაშინ, როცა არარუსული ნაციონალიზმი იქცა მთავარ იარაღად სისტემის წინააღმდეგ საბრძოლველად, გორბაჩოვის რევოლუციურმა ცვლილებებმა, სიტუაცია განმუხტა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რაც საბჭოთა კავშირის ნგრევას ახლდა, მაინც თვითმკვლელობაა. საბჭოთა სისტემამ თავი მოიკლა. ეს სისტემა თავიდანვე მიდრეკილი იყო თვითნგრევისაკენ.

დარბაზიდან — იმ დროს ინჟინრად ვმუშაობდი და ნამდვილად ვიცი, რომ საბჭოთა კავშირში ტექნოლოგია ძალიან ჩამორჩენილი იყო...

გიორგი გვახარია — მართლაც, დღეს არ გვისაუბრია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი ახალმა მანქანამაც დაანგრია, რომლის ათვისების უნარიც იმ თაობას არ აღმოაჩნდა.

მარინა თაბუკაშვილი — ერთს დავამატებდი: 90-იანებში, როცა ორი მოშიმშილე ახალგაზრდის საუბარს ვისმენდი, გამიჩნდა განცდა, რომ იმის აღწერა, რაც მაშინ ჩვენ ირგვლივ ხდებოდა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა და ისტორიაში ეს ყველაფერი სულ სხვანაირად შევიდოდა.

დავით კოპალიანი, ილიას უნივერსიტეტის საბჭოთა კვლევების მაგისტრატურის სტუდენტი — ქალბატონ მარინასთან მაქვს კითხვა: თქვენი აზრით, რატომ ვერ მოახერხეს იმ ღირსეულმა ადამიანებმა, ვისაც პასუხისგებლობა ჰქონდათ, მოსულიყვნენ ეროვნული მოძრაობის სათავეში? ბატონ ფრიდონს მინდა ვკითხო — თქვენ ისაუბრეთ ეროვნულ მოძრაობებზე აღმოსავლეთ ევროპაში და არაფერი გითქვამთ ცხრა აპრილზე. მაინტერესებს, რით განსხვავდებოდა ის, რაც საქართველოში ხდებოდა, იმ პროცესებისგან, რასაც აღმოსავლეთ ევროპაში ჰქონდა ადგილი?

მარინა თაბუკაშვილი — 1978 წლის 14 აპრილს გავიხსენებ. მაშინაც გაჭედილი იყო ქუჩები სამხედრო მანქანებით, მაგრამ ჩვენ, ჯანაშიას მუზეუმის თანამშრომლები და უფროსი ხალხი წინ ვიდექით, რომ პირველი დარტყმა მიგვეღო. მაშინ ჩემი ერთი თანამშრომელი უკან მაყენებდა და მეუბნებოდა, შვილები არა მყავს, ამიტომ გადაგეფარებიო. თუმცა, მაშინაც იყო აზრთა სხვადასხვაობა. მიმაჩნდა, რომ მთავარი ის კი არ იყო, კონსტიტუციაში რას ჩაწერდნენ, არამედ ის, რომ ქართული ენა ყოველდღიურობაში დაგვეცვა. მე მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი სისხლისღვრისა, რისი საშიშროებაც ნამდვილად იყო. რაც შეეხება იმას, რატომ ვერ მოვახერხეთ ეროვნულ მოძრაობაში მოსვლა, მინდა გითხრათ, რომ „კგბ“ არასად არ წასულა, მერე თანამდებობებზეც მოვიდა. მახსოვს, ევროკავშირის ელჩს, როცა ვკითხეთ, რატომ აძლევენ სამუშაოს „კგბ“-ს ყოფილ აგენტებს, მას ეს კითხვა არ გაჰკვირვებია. იმიტომ, რომ მუშაობა იციანო — ასე გვიპასუხა.

ფრიდონ საყვარელიძე — მინდოდა მესაუბრა სამ თარიღზე — 1956 წლის 9 მარტი, 1978 წლის 14 აპრილი და 1989 წლის 9 აპრილი. პირველზე არ შევჩერდები, ეს არ იყო საამაყო დღე, აშკარა პროვოკაციაზე წამოაგეს ხალხი და მიიყვანეს კავშირგაბმულობის მთავარ შენობასთან. დღევანდელი ახალგაზრდა ვერ გაიგებს, ეს რას ნიშნავს; მაგრამ მაშინ თუკი ფოსტას აიღებდი, ყველაფერი შენს ხელთ იყო — ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალება არ არსებობდა. მომიტინგეებს უნდოდათ მოსკოვში დეპეშა გაეგზავნათ — დააბრუნეთ მავზოლეუმში ჩვენი საყვარელი ძია სტალინიო. რაც შეეხება 9 აპრილს — როცა ვამბობ, რომ 9 აპრილს არ დაუნგრევია საბჭოთა კავშირი, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ეს უმნიშვნელო მოვლენა იყო; იქ ერთიანობის განცდა იყო, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამ დღეს, მაგალითად, 1968 წლის „პრაღის გაზაფხულს“ ვერ შევადარებთ.

ლაშა ქავთარაძე, თსუ–ს სტუდენტი — დღევანდელი დიკუსიის შემდეგ, მიუხედავად დიდი პატივისცემისა მომხსენებლების მიმართ, მაინც ვერ გავიგე და ვერ მივხვდი, რატომ დაინგრა საბჭოთა კავშირი. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩა; მგონია, რომ ჯერ ძალიან ცოტა დრო გავიდა და ამიტომ, ნაადრევია დისკუსია ამ თემაზე.

მიშა შავთველაძე — თქვენ თქვით, რომ ნოსტალგიური დამოკიდებულებაა საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს რისი ბრალი შეიძლება იყოს?

გიორგი გვახარია — იმ ადამიანმა, ვინც ჩემს გადაცემაში ისაუბრა, სწორედ ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური დაცვა იგულისხმა. მან თქვა, რომ სჯობია ექიმის გრძელ რიგში იდგე, ვიდრე საერთოდ ვერ მოხვდე ექიმთან. თუმცა, საუბარი იყო სამედიცინო მომსახურების ხარისხზეც.

ალექსანდრე მშვილდაძე — ორი კითხვა მაქვს — ის ადამიანები, რომლებიც დღეს ეროვნულ მოძრაობას აკრიტიკებთ, სად იყავით მაშინ და მეორე — როგორ ფიქრობთ, საბჭოთა კავშირი დაინგრა?

მარინა თაბუკაშვილი — სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა დროში ერთი და იგივე რაღაცები მეორდება, მექანიზმები კი ერთია. ერთ კონფერენციაზე ინდოელმა ქალმა ვიღაცის ციტატა მოიყვანა — როდესაც ძალაუფლება არ არის გაზიარებული, დისტრიბუცია (დარიგება) ერთადერთი გამოსავალიაო. მან თქვა საკუთარ კონტექსტში და მე — ქართველს — ძალიან მეცნო.

მართალია, ჩვენ ვერაფერი შევცვალეთ, მაგრამ შეცვლის სერიოზული მცდელობები ნამდვილად იყო. იყო ჯგუფი ადმიანებისა, რომელიც ყოველდღიურად მუშაობდა, რომ შექმნილიყო მონაცემთა ბაზა, ვინ რისი სპეციალისტია საქართველოში. ეს ბაზა შეიქმნა, მაგრამ მაინც მოხდა ისე, რომ საქართველომ ორი თაობის გამოცდილება დაკარგა. სხვათა შორის, იმ სულელური მიზეზითაც, რომ ვიღაცამ ინგლისური ენა არ იცოდა. ადამიანური რესურსი არ უნდა დაიკარგოს, რადგან ეს თვითონ ადამიანსაც სჭირდება და ქვეყანასაც.

ფრიდონ საყვარელიძე — რატომ ხდებოდა ცივილიზებულ ხალხში ისეთი რამ, რაც ხდებოდა? მაგალითად, 1937 წელს, როგორც ვიცით, მანქანებით გაჰყავდათ დასახვრეტად, თითო ადამიანს თითო საბურავი რომ ჩაეშვა, სისტემა ვეღარ იმუშავებდა. უნდა გითხრათ ისიც, რომ სტალინის დროს ისეთი მშენებლობები იყო, არ დაესიზმრება არავის. ეს ვის ხარჯზე ხდებოდა, სხვა საკითხია. სხვათა შორის, შადრევნებიც კეთდებოდა! „მტრები“ მაშინაც იყვნენ — დღეს არიან რუსეთის აგენტები, გამსახურდიას დროს იყვნენ — კრემლის აგენტები, სტალინის დროს — იმპერიალიზმის აგენტები. განსახვავება იმაშია, რომ აღარ

არის იდეოლოგია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან რთული თემაა და ღრმად შესწავლა სჭირდება.

გირჩევთ, გაეცნოთ ბუკოვსკის არქივს, რომელიც მთლიანად არის ინტერნეტში განთავსებული *(http://bukovsky—archives.net/).* ბუკოვსკი 1990 წელს ელცინმა ჩამოიყვანა რუსეთში, მან საბჭოთა დოკუმენტების დიდი ნაწილის ასლების გადაღება შეძლო. აქ შეხვდებით ძალიან საინტერსო დოკუმენტებს, რომლებიც საბჭოთა სისტემის არსის შეცნობაში დაგეხმარებათ — მაგალითად, ასეთს — საბჭოთა მოქალაქის ქცევის წესები მატარებელში.

დარბაზიდან — თქვენ ისაუბრეთ მასისა და ინდივიდის ურთიერთობებზე, მაგრამ მაინტერესებს, თუ იყო ღირებულებებითი კონფლიქტები საზოგადოებებს შორის? თუ იყო სტერეოტიპები საზოგადოებაში? დღესაც გაისმის დამცინავი რეპლიკები უმცირესობების მიმართ; მგონია, რომ ეს საზოგადოების პრობლემაა.

მარინა თაბუკაშვილი — ვაფასებ იმას, რომ საქართველოში არ ყოფილა ებრაელების დარბევები, მაგრამ კულტურათა შორის ურთიერთობა და დიალოგი არ იყო. კომპაქტურად ჩასახლებულმა აზერბაიჯანელებმა დღესაც არ იციან ქართული ენა. აფხაზს უნდა სცოდნოდა აფხაზური, მეგრული და რუსული. ამ ადამიანებს სასიცოცხლოდ სჭირდებოდათ მეორე ენა და ეს მეორე ენა ყოველთვის რუსული იყო და არა — ქართული. ესეც იყო გაუცხოების მიზეზი. არ მჯერა, რომ ადამიანს შეიძლება ეზიზღებოდეს მეორე ადამიანი, თუკი ის იმ მეორეს იცნობს. მეორე მხრივ, ადამიანი მუდმივად ეძებს დამნაშავეს და ვერ ამბობს, რომ რაღაც „ჩემი ბრალია“. ამიტომ, ყოველთვის მოინახება ეს „დამნაშავე“; მოდის პროვოკატორი და ამბობს, რომ ყველაფერი იმის — „მეორის“ ბრალია. როცა ამ „მეორეს“ არ იცნობ, ადვილად აბრალებ.

გიორგი გვახარია — რომის იმპერიის დანგრევის შესახებ ორსაათიან დისკუსიაში ყველა პრობლემაზე ვერ ვისაუბრებთ, იმიტომ, რომ უამრავი მიზეზი იყო. ზუსტად ასეა საბჭოთა კავშირის შემთხვევაშიც. ჩვენ ახლა მოგვდის იგივე შეცდომა, რაც ჩემს და ჩემს წინა თაობას მოუვიდა, როცა მორალისტური პოზიციებიდან ვცდილობდით ისტორიის შეფასებას. დღეს ჩვენც სწორედ იმავეს ვაკეთებთ. ისეთი ფაქტების შეფასების დროს, როგორიც 9 აპრილია, უნდა მოვერიდოთ მითებს. ცხრა აპრილის შესახებ ორი მითი არსებობს — ის, რომ 9 აპრილმა დაანგრია საბჭოთა კავშირი და ის, რომ საბჭოთა კავშირი 9 აპრილის გარეშეც დაინგრეოდა. მაგალითად, თურქმენეთში არც სისხლი დაღვრილა, არც დემონსტრაციები ყოფილა, მაგრამ თურქმენეთი დღეს ისეთივე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, როგორიც საქართველო. ჩვენ ისტორიას ვერ გავიგებთ, თუ ამ მითებში ვიცხოვრებთ. მე 9 აპრილს ქუჩაში არ გავსულვარ; იმიტომ, რომ ბევრი ხალხის თავყრილობა არ მიყვარს, მაგრამ ვერაფრით ვერ გავაკრიტიკებ იმათ, ვინც იმ ღამეს იქ იდგა.

სქოლიო

[1] ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი (1917-1997) — ცნობილი ქართველი არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილისა და ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანის ვაჟი; 1943 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

[2] ზაალ ქიქოძე (1948 -2005) — არქეოლოგი, მთამსვლელი, მაშველი და მეგზური, ფოტოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ერთ-ერთი დამფუძნებელი ფონდისა — „ღია საზოგადოება-საქართველო"; მუშაობდა ეროვნულ მუზეუმში, არქეოლოგიის გარდა კითხულობდა ლექციებს ეთნიკური კონფლიქტების მოგვარებაზე, ბიომრავალფეროვნებასა და მდგრად განვითარებაზე.

[3] გივი გუმბერიძე (1945) — საბჭოთა პარტიული მუშაკი. საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი 1989-1991 წწ. ამჟამად ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში.

[4] ვლადიმერ ბუკოვსკი (დაიბ.1942) — რუსი დისიდენტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 12 წელი გაატარა საბჭოთა ციხეებში და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში; 1976 წლიდან ემიგრაციაშია.

[5] იმრე ნადი (1896-1958) — უნგრელი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, უნგრეთის სახლახო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი; 1930-1940 წლებში ცხოვრობდა სსრკ-ში; 1956 წელს გახდა პრემიერ-მინისტრი და ხანმოკლე მმართველობის დროს ლიბერალური რეფორმები გაატარა; სიკვდილით დასაჯეს 1958 წელს.

[6] „გლასნოსტი" (საჯაროობა) — პირველად ეს ტერმინი პარტიის XXVII ყრილობაზე ახსენეს 1986 წლის თებერვალში, ამის შემდეგ ინფორმაცია საბჭოთა კავშირში ღია გახდა. დაიწყო მსჯელობა მანამდე ტაბუდადებულ თემებზე, სტალინის დიქტატურაზე, დიდ ტერორზე, პარტიული ნომენკლატურის პრივილეგიებზე, ეკოლოგიურ პრობლემებზე და სხვ.

[7] „პერესტროიკა" (გარდაქმნა) — ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა საბჭოთა პოლიტიკა 1987-1990 წლებში.

SOVLAB

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა ტოტალიტარული წარსულის შესწავლას, საბჭოთა მემკვიდრეობის პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის გააზრებას. ორგანიზაციას სურს შექმნას თავისუფალი სააზროვნო და სადისკუსიო სივრცე დემოკრატიული განვითარების ხელშესაწყობად.

info@sovlab.ge
www.sovlab.ge

სტილი და კორექტურა: ნანა გამყრელიძე
დიზაინი: მანანა არაბული | zangodesign
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე